

აზაზელი

პირველი თავი,

რომელშიც აღწერილია ერთი ცინიკური გამოხდომა

1876 წლის 13 მაისის ორშაბათს, შუადღის მესამე საათზე, გაზაფხულის ხასხასა და ზაფხულივით თბილს დღეს, ალექსანდრეს ბაღში, უამრავი მოწმის თვალწინ უმსგავსობა მოხდა, ისეთი შემთხვევა, არანაირ ჩარჩოებში რომ არა თავსდება. ხეივანებში, აყვავებული იასამნის ბუჩქებსა და ალისფრად ანთებული ტიტების ყვავილნართა შორის მოხდენილად გამოწყობილ საზოგადოებას სეირნობა გაემართა - ქალბატონები მაქმანიანი (ჭორფლისთვის რომ დაეღწიათ თავი) ქოლგებით, აღმზრდელები მეზღვაურის კოსტიუმისანი ბავშვებით, მოწყენილი გამომეტყველების ახალგაზრდები მოდურ შევიოტის სერთუკებში ანდა მოკლე, ინგლისური მანერის პიჯაკებში. არაფერი იტყობინებოდა უსიამოვნების შესახებ. ჰაერში, რომელიც სავსე იყო უკვე ძალაში შესული, ღონიერი გაზაფხულის სურნელით, იღვრებოდა მცონარე კმაყოფილება და საამო მოწყენილობა. მზე არცთუ სახუმაროდ გაფიცხებულიყო და ის მერხები, ჩრდილში რომ მოხვდა, დაკავებული გახლდათ.

ერთ მათგანზე, გროგის მახლობლად რომ მდებარეობდა და გისოსისკენ იყო მიქცეული, რომლის იქით ნეგლინაიას ქუჩა იწყებოდა და მანუჟის ყვითელი კედელი მოჩანდა, ორი მანდილოსანი იჯდა. ერთი, მთლად ახალგაზრდა (სწორედაც, ქალბატონი კი არა, არამედ ქალისშვილი) ტარსიკონის ყდაში ჩასმულ წიგნს კითხულობდა, ხან კი დაფანტული ყურადღებით გაიხედ-გამოიხედებოდა ხოლმე. მეორე, გაცილებით უფროსი, კეთილშობილ მუქ-ლურჯ შალის კაბაში და პრაქტიკულ, თასმებიან ბოტებში, ჩხირების მოზომილი მოძრაობით მიზანდასახულად ქსოვდა რაღაც შხამისფერ-მოვარდისფროს. ამასთან, იმასაც კი ასწრებდა, თავი ხან მარჯვნივ მიებრუნებინა, ხანაც მარცხნივ, და მისი გაჩქარებული მხერა იმდენად გამჭრიახი იყო, რომ, ნამდვილად არაფრით გამოეპარებოდა სულ ოდნავ შესამჩნევი მოძრაობაც კი.

ვიწრო, კვადრატულ შარვალში, ჟილეტზე უდარდელად მოღვლილ სერთუკში და მრგვალ შვეიცარიულს შლაპაში გამოწყობილ ყმაწვილკაცს ქალბატონმა უწინვე მიაქცია ყურადღება - ძალზე სნეულებრივი უცნაურობით მოაბიჯებდა ხეივანში: ხან გაჩერდება, ვიღაცას აკვირდება მოსეირნებში, ხან რამდენიმე გაჩქარებულ ნაბიჯს გადადგამს და ისევ შესდგება. ამ გაუწონასწორებელმა სუბიექტმა მოულოდნელად ჩვენს მანდილოსნებს შეხედა და თითქო რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, მათკენ გასწია სწრაფად. მერხის წინ შესდგა და ტაკიმასხრული ფალცეტით მიმართა ახალგაზრდა ქალისშვილს: -ქალბატონო! უწინ ვინმეს თუ უთქომს, რომ თქვენ გადაუტანლად მშვენიერი ჰბრძანდებით? ქალისშვილი, რომელიც მართლაცდა საუცხოო რამ იყო, თავხედს მიაჩერდა და შიშისგან ოდნავ გააღო მარწყვისფერი ტუჩები. მისი ხნიერი თანამგზავრიც სახტად დაჰრჩა ასეთი გაუგონარი დაურიდებლობით.

-პირველის ნახვისთანავე დავმარცხდი! - იმანჭებოდა უცნობი - სხვათაშორის, სრულიად პრეზენტაბელური ყმაწვილკაცი (მოდურად აკრეჭილი საფეთქლები, მაღალი, ფერმკრთალი შუბლი, აღვზნებულად ანთებული თაფლისფერი თვალები). - ნება მიბოძეთ, თქვენს უმანკო შუბლზედ კიდევ უფრო უმანკო, სავსებით მმური კოცნა აღვჰბეჭდო!
-ბატონო, ტკვენ ხომ სრულიად მტვრალი ხარტ? - გონს მოეგო მქსოველი ქალბატონი, თანაც აღმოჩნდა, რომ ნემენცებისთვის დამახასიათებელი აკცენტით ლაპარაკობს.
-მე მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით ვარ მთვრალი, - დაარწმუნა ის თავსგასულმა და იმავ

არაბუნებრივი, ღმუილს აყოლილი ხმით მოითხოვა. - ერთი-ერთადერთი კოცნა, თუ არა და, დაუყოვნებლივ გულ-ხელს დავიკრიფავ! ქალისშვილი მერხის ზურგისკენ მიიწია და სახეც თავისი ნემენცი დამცველისკენ მიაბრუნა. იმან კი, სიტუაციის შემაშფოთებლობის მიუხედავად, მაინც სრული სიმშვიდე გამოამჟღავნა სულისა.

-ახლავ მიბრდნაღიტი აკედან! ტკვენ შეშლილი ხარტ! - ხმა აღიმალა მან და თავისი საქსოვი, საომრად მომზადებული ჩხირებითურთ, წინ წამოსწია. - იცოდეთ, პოლიციის ვუდნახებ! და აქ რაღაც უფრო ველური მოხდა. -აჰ, ასე, არა?! მე უვარმყოფენ! - ყალბი სასოწარკვეთით წაუტირა ყმაწვილკაცმა, სასურათედ აიფარა თვალეზზე ხელი და მოულოდნელად ჯიბიდან შავად მზინვარე ფოლადის მომცრო რევოლვერი დაადრო.

-ამის მერე ჰღირს კიდევ სიცოცხლე? თქვენი ერთი სიტყვა და, მე ვიცოცხლებ! თქვენი ერთი სიტყვა და, მკვდარი დავეცემი! - მიმართავდა იგი ქალისშვილს, რომელიც, უამისოდაც, არც მკვდარი იჯდა და აღარც ცოცხალი. - თქვენ დაჰსდუმდით? მაშინ, მშვიდობით! იარაღთან შეხუმრებული ბატონის სანახაობას, შეუძლებელია, მოსეირნეთა ყურადღება არ მიექცია. რამდენიმე ადამიანი იმათგან, ვინც შორიხლო აღმოჩნდა - ჩაპუტკუნებული ქალბატონი ხელში მარათი, მედიდური ბატონი კისერზე ანენსკის ჯვრით, ორი ინსტიტუტკა ერთნაირი ყავისფერი, მოსასხამიანი ქვედაბოლოებით - ადგილზე გაქვავდა, და ზღუდის იქითა მხარესაც კი, ეს უკვე ტროტუარზე, ვიღაც სტუდენტი შეჩერდა. ერთის სიტყვით, შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ ამ უმსგასო სურათს მყისიერი დასასრული ექნებოდა. მაგრამ შემდეგ ყველაფერი ისე ჩქარა მოხდა, რომ ვერვინ მოასწრო ჩარევა. -ესეც იღბალი! - დასძახათ მთვრალმა (შესაძლოა, შეშლილმაც კი), რატომღაც რევოლვერიანი ხელი თავსზეთ, მთელ სიმაღლეზე აღმართა, დოლურა დააბზურიალა და ლულა საფეთქელთან მიიღო.

-კლოუნო! ლაზგანდარავ! - ამოისისინა გულადმა ნემენცმა ბანოვანმა და სალანძღავი სიტყვების არცთუ ურიგო ცოდნა გამოამჟღავნა. ისედაც ფერდაკარგულ ყმაწვილკაცის სახემ ჯერ ნაცრისფერი და შემდგომ მწვანე ფერი მიიღო. მერე ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და თვალეზი მოჭუტა. ყოველშემთხვევისთვის, ქალისშვილმაც დახუჭა მშვენიერი თვალეზი. და სწორედაც მოიქცა - ამან ხომ კომმარული სანახაობა აარიდა: იმ წამს, როცა ტყვიამ დაიქუხა, თავისმკვლელის თავი მკვეთრად გადაქანდა გვერდზე და მარცხენა ყურის ოდნავ ზემოთ მდებარე გამჭოლი ნასვრეტიდან თეთრ-წითელმა შადრევანმა ამოხეთქა. დაიწყო რაღაც ენით უთქმელი. ნემენცი ბანოვანი აღშფოთებით გამოიცქირებოდა, თითქო ასეთი გაუგონარი უმსგავსობის მოწმად იწვევდა ყველას. მერე თავისი გულისგამგმირე წიაქი ზედდაურთო ინსტიტუტკების და ჩაპუტკუნებულ ქალბატონის წივილ-კივილს, რომლებიც ამ ხმებს უკვე რამოდენიმე წამის განმავლობაში გამოსცემდნენ. ქალიშვილი უგრძობლად იწვა - წამით მაინც გაახილა თვალი და მაშინვე უკანვე გაბრუნდა. ყოველი მხრიდან გამორბოდნენ, ხოლო ის სტუდენტი, ზღუდესთან რომ იდგა, პირიქით გაჩქარდა, ხიდისკენ, მოხოვოის მხარეს.

ქსავერი თეოფილაქტოვიჩ გრუშინმა, მოსკოვის ობერ-პოლიციემეისტერის სამმებრო განყოფილების საგამომძიებლო ბოქოულმა შვებით ამოისუნთქა და მარცხნივ, უკვე ნანახიას-დასტის მხარეზე გადასდო დღის მნიშვნელოვან დანაშაულობათა კრებსი (ნაკრები ცნობები). ექვსასი ათასიანი ქალაქის ოცდაოთხი პოლიციის ნაწილიდან ჩავლილ დღე-ღამეში, ანუ მაისის თვის 13 რიცხვში, გულისხმაში ჩასაგდები არც არაფერი მომხდარა, რაიც ჩუმათ-მამებრის ჩარევას დაისაჭიროებდა. მთვრალი ხელოსნების ჩხუბით გამოწვეული ერთი მკვლელობა (მკვლელი ადგილზეა დაკავებული), ორი მეეტლის გაძარცვა (ამას უბნებმა მიხედონ), რუსულ-

აზიური ბანკიდან შვიდი აათას რვაას ორმოცდაცამეტი რუბლის და ორმოცდარვა კაპეიკის დაკარგვა (ეს, საზოგადოდ, ანტონ სემიონოვიჩის მხარეზედ გახლავსთ, კომერციული ბოროტმოქმედების განყოფილებიდან). ღმერთსა მაღლი, ყველანაირ წვრილმან ჯიბის ქურდობებზე, თავჩამომხრჩვალ მოახლეებზე და მიგდებულ ჩვილებზე აღარაფერს აგზავნიან - სწორედ მაგისტვის არსებობს ქალაქური შემთხვევების პოლიციური კრებსი~, რომელიც განყოფილებებს დღის მეორე ნახევარში მისდით. ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა ნებივრად დაამთქნარა და კუს პენსნეს ზემოდან მწერალ-მწარმოებელს, მეთოთხმეტე კლასის ჩინოვნიკს, ერასტ პეტროვიჩ ფანდორინს გახედა, ბატონი ობერ-პოლიციემისტერისთვის წარსადგენ ანგარიშს უკვე მესამედ რომ სწერდა. არაფერი უჭირს, გაიფიქრა გრუშინმა, ამთავითვე შეეჩვიოს წესრიგს, მერე თვითონვე იტყვის მაღლობას. ერთი ამათ დამიხედეთ, მოდა აიღეს - ფოლადის კალმით ელაცებებიან და მერე ვის, თვით ზემდგომ უფროსობას. არა, გენცვალე, დაჰსჯექ და ნელა-ნელა, ჩვენებურათ, ძველებურათ, ბატის ფრთით, მთელის თავისის მონასმებითა და ჩაჰხვეულებით დასწერევი. მის აღმატებულებას იმპერატორ ნიკოლაი პავლოვიჩის ხანაში ჰზრდიდნენ, წესრიგი და წოდებათა პატივისცემა კარგათ ესმის. ქსავერი თეოფილაქტოვიჩს გულითა და სულით ჰსურდა ამ ყმაწვილის სიკეთე, მამა-შვილურად ეცოდებოდა. უნდა კი მოგახსენოთ, რომ ბედისწერამ ეს ახალგამომცხვარი მწერალ-მწარმოებელი არ დაინდო. ცხრამეტი წლისა ორთავმხრივ ობოლი დარჩა - დედა პატარაობიდან არ ახსოვდა, ხოლო ქარიყლაპია მამამისმა მთელი ქონება ცარიელ პროჟექტებში გაუშვა, თავის პირმშოს კიდევ დაუბარა, აბა-და, შენ იცი, მრავალჟამიერ იცხოვრეო. რკინიგზის ციებ-ცხელებისას გამდიდრდა, მაგრამ ბანკობიამ მოინელა. გასულ წელს, როგორც კი ერთი მეორის მიყოლებით ბანკების გაკუტრება დაიწყო, ბევრი ღირსეული კაცი წარუდგა უფალს. მეტათ საიმედო პროცენტისანი ქაღალდები სულ ფარატინებად გადიქცა, არარაობად. ჰოდა, ბატონმა ფანდორინმა, გადამდგარმა პორუჩიკმა, ამ დარტყმისთანავე ცაში წარმდგარმა, თავის ერთადერთ შვილს, ვექსილების გარდა, არც არაფერი დაუტოვა. ბიჭს გიმნაზია მაინც გაესრულებინა და მერე ჰუნივერსიტეტი, ამის მაგივრად - მიბრძანდი მშობლიური კედლებიდან ქუჩაშია და დღიური ლუკმა-პური იშოვნე. ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა სიბრალულის ნიშნად ამოიხვნეშა. კოლეგის რეგისტრატორის გამოცდა ობოლმა კი დაიჭირა, ასეთი აღზრდილი ყმაწვილისთვის ეს სულაც არ იყო სამნელო, მაგრამ პოლიციაში რაღამ მოიყვანა? სტატიტიკაში მაინც ემსახურნა, თუნდაც სასამართლოს ნაწილში. ამის ასაკში მთელი რომანტიკა ჭკვაში გვაქვს, ყველანი კ არ დ უ დ ა ლ ე ი ს (ფანდორინმა იცოდა, რომ მისი უფროსი ფრანცუზი ტერორისტის ჟ. კარდუდალის გვარს ამახინჯებდა, რომელსაც, თავის დროზე, ნაპოლეონის მოკვლა ჰქონდა განზრახული) შეპყრობაზედ ვოცნებობთ. აი, ჩვენთან კი, ჭირიმე, კ არ დ უ დ ა ლ ე ე ბ ი არა გვყავს (ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა დაწუნებით გადააქნია თავი), ჩვენთან ყველა სადიდო შარვლებით ჰსხედან და ოქმებს იმაზედ ჰსწერენ, თუ მეშჩანინმა გოლოპუზოვმა სიმთვრალის ნიადაგზედ კანონიერი თანამერცხედრე და სამი თავისი ბლარტი ცულით როგორ დაჰსჩეხა. მესამე კვირა იყო, სამძებროში მუშაობდა ყმაწვილი ფანდორინი და უკვე მტკიცედ უწყოდა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა, ყოფილმა მამებარმა და სწორედ ამიტომ, მეტად გაქნილმა, რომ ამ ბიჭისგან ხერი არა იქნებოდა რა. აზიზ-მაზიზი სჩანს და თანაც მეტად დახვეწილი აღზრდა მიუღია. ჰაიდა-ჰა, წაიყვანა ერთხელაც, პირველსავე კვირას გრუშინმა დანაშაულის ადგილზე (აი, ვაჭრის ცოლს რომ გამოსჭრეს ყელი). ჰოდა, შეხედა ფანდორინმა მკვდარს, სახეზე სულერთიანად გადამწვანდა და კედელ-კედელ-კედელ გააღწია ეზომდინ. ეხლა, ეგეც მართალია, რომ ვაჭრის ცოლს სულაც არ ჰქონდა გულისმისასვლელი შესახედაობა - ყურიდამ ყურამდე გამოლადრული ყელი, ენა გადმოვარდნილი, თვალები გადმოკარკლული და თან ეს სისხლიც, თავისთავად, ლამის ზღვად იყო დამდგარი. ჰოდა, თავად ქსავერი თეოფილაქტოვიჩს

მოუწია წინდაწინი მოკვლევის გამართვაც და ოქმის დაწერაც. ისე, სწორედ მოგახსენოთ, ძალზედ უემმაკო საქმე კი გამოსდგა. იმ მეუზოვე კუზიკინს იმგარად დაურბოდა თვალები, რომ ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა იქვე უბრძანა გოროდოვოს, რომ ქეჩოში ჩაევილო და ვირის აბანოში მიებრძანებინა. უკვე ორი კვირაა ჩაყუდებული კუზიკინი და მინც უარზე სდგას, მაგრამ ეგ არაფერი, თავისით გამოტყდება. მაშ აბა-და, სხვას ვის უნდა გამოეჭრა ყელი ვაჭრის ცოლისთვის - ოცდაათი წლის სამსახურმა ზედამხედველ ბოქოულ გრუმინს შეუმცდარი ყნოსვა გამოუმუშავა. მაგრამ ფანდორინი კანცელარიაში გამოდგება. კარგი აღმსრულებელია, ჩინებულად სწერს, ენების ავანჩავანიც მოეკითხება, საზრიანია, თან მომართვაც სასიამოვნოდ იცის. იმ ბედნავს ლოთს - ტროფიმოვს კი არა ჰგავს, გასულ თვეში წერილების დამტარებლის თანამდებობიდან საპოლიციო უბნის უფროსის თანამემწედ რომ გადმოიყვანეს ხიტროვკაზე. გაუშვი, ილოთოს და უფროსობაზე უხამსობები ილაყბოს. გრუმინმა სიბრაზით ააკაკუნა თითები სამსახურის უკვე მობეზრებულ, მათდ გადაკრულ მაგიდაზე, ჟილეტის ჯიბაკიდან საათი ამოიღო (უჰ, სადილამდე კიდევ ბევრი დარჩა) და უყოყმანოდ თავისკენ მიიჩოჩა `მოსკოვსკიე ვედომოსტის~ ცხელ-ცხელი ნომერი. -აბა-და, დღეს რილათი მოგვიყვანენ გაკვირვებაზედ, - გასაგონად ჩაილაპარაკა და ყმაწვილმა მწერალ-მწარმოებელმა მაშინვე გადასდო უკვე მობეზრებული ბატის ფრთა, რაკილა კარგად იცოდა, რომ ახლა მისი უფროსი სათაურებისა და ყველანაირი რამე-რუმეების ხმამაღალ კითხვას მოჰყვება, ზედაც კომენტარებით - რას ვიზამთ, ჰქონდა ქსავერი თეოფილაქტოვიჩს ასეთი რჯულზედ უმტკიცესი ჩვეულება. -ერთი ამას დამიჰხედეთ, ერასტ პეტროვიჩ, პირველსავე გვერდზედ მიუციათ ადგილი, ყველაზედ გამოსაჩენს ალაგას. უახლესი ამერიკული კორსეტი ` ლ ო რ დ ბ ა ი რ ო ნ ი ~ ვეშაპის უმტკიცესი ულვაშისგან, მამაკაცებისთვის,ვისაც სურვილი აქვს ტანადი იყოს.წელი დუიმში, მხრები საყენში! ასო-ნიშნებს დახე, ასო-ნიშნებს - არშინიანი მინც იქნება. და, ქვემოთ კიდევ, პატარაზედ,ხელმწიფე მიემგზავრება ემსში.და, რა თქმა უნდა, იფიქრებ - ხელმწიფე უფრო დიდი ფიგურაა თუ ეს ვიღაც `ლორდ ბაირონი~!უკეთილესი ქსავერი თეოფილაქტოვიჩის ბუზლუნმა მწერალ-მწარმოებელზე საკვირველი ზემოქმედება იქონია. რატომღაც აირ-დაირია, დაწვები შეუფაკლდა და გრძელი წამწამები დამნაშავესავით აუფახულდა. რაკი წამწამებამდეც მივიდა საქმე, მკითხველო, უმჯობესი იქნება, ერასტ პეტროვიჩის გარეგნობა უფრო ზედმიწევნით გამოვხატოთ, რაღაი სწორეთ ამას უწერია ბედის წიგნში, მთავარი ალაგი დაიჭიროს იმ საცვიფრო, საშიშ მოვლენებში, თავს რომ გადაგვხდება ძალიან ძალე. ეს გახლდათ საკმაოდ საამოდ სანახავი ყმაწვილი, შავი თმით (რითაც ჩუმად იკვებნიდა) და ლაჟვარდისფერი (ეჰ, საწყინოა, უმჯობესი იქნებოდა, ისიც შავი ყოფილიყო რაღა) თვალებით; საშუალოზე მაღალი, თეთრი პირისახით; იმისი სახის მეტყველება ხშირათ ამჟღავნებდა წყეულ, გაუქრობელ დაწვთა სიწითლეს. ეხლა კი, მოდით, ერთად გავმინჯოთ მიზეზი, რომლის გამოც ამრიგად შეცბუნებულიყო კოლეგიის რეგისტრატორი. საქმე ის გახლდათ, რომ გუშინსწინ მთელი თავისი თვიური ჯამაგირის ნასამალი ამ გაზეთში საქვეყნოდ გამოფენილ კორსეტში მიახარჯა, მეორე დღე მიდიოდა `ლორდ ბაირონიში~ იარებოდა და სილამაზის სახელით სულ ჭირის ოფლში იწურებოდა. ახლა კი ეჭვი მიიტანა (სრულიად უსაფუძვლოთ), რომ გამჭრიახმა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა ამოიციო თავისი თანამემწის დევგმირული აგებულების საიდუმლო და მასხარად აგდებას ეპირება.ხოლო ბოქოული კი განაგრძობდა, ოსმალო-თათართა მხეცობა ბოლდარიაში. -ყველა-ყველა და, ეს სადილის წინ საკითხავი სულაც არ გახლავსთ...

აფეთქება ლიგოვკაზე

ვენი სანკტ-პეტერბურელი კორენსპონდენტი გვატყობინებს, რომ გუშინ, დილის 6. 30., ზნამენსკის ქუჩაზე, მრჩველ ვარტანოვის კომერციის შემოსავლიან სახლში აფეთქება მოხდა, რომელმაც მეოთხე სართულის ბინა ნამსხრევებად გადააქცია. ადგილზედ მისულმა პოლიციამ ნახა ვაი-ვაგლახად დამახინჯებული ყმაწვილკაცის ნარჩენები. ბინას ქირავნობდა ვინმე უფალი პ., პრივატ-დოცენტი, რომლის გვამიც, სჩანს, აღმოაჩინეს. სადგომის მოწყობის გარემოებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ იქ საიდუმლოს ქიმიურის ლაბორატორიის მზგავსი რამ იყო გამართული. გამოძიების ხელმძღვანელი, სამოქალაქო მრჩვეელი ბრილინგი ვარაუდობს, რომ დასახელებულ ბინაზედ ნილილისტების ტერორისტული ორღანიზაციის ჯოჯოხეთური მაშინები მზადდებოდა. გამოძიება გრძელდება.

-ჰაიდა-აჰა, მადლი ღმერთს, რომ პიტერში არა ვართ. ახალგაზრდა ფანდორინის თვალთა ელვარებით თუ განვსჯით, ამჯერად სხვა აზრის გახლდათ. მთელი მისი სახის მეტყველება მჭევრმეტყველურად იმახდა: აჰა-და, დედაქალაქში საქმესა სწევთან, ბომბისტებს დასდევენ. ათჯერ კი არ გადასწერენ ხოლმე ამ სულელურ ქალაღებსა, რომლებშიც, ამას ბევრი ლარი და ხაზი აღარ უნდა, არც არაფერია საინტერესო.

-კეთილი, - გაზეთი გააშრილა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა,- აბა-და, გამინჯოთ ქალაქის გვერდზედ რა მოუთავსებიათ.

პირველი მოსკოველი ესტერნატი სახელგანთქმულმა ანლიელმა მეოხმა, ბარონესა ესტერმა, რომლის მზრუნველობითაც სხვადასვა ქვეყნებში მოწყობილია ეგრეთ წოდებული `ესტერნატები~ - სამაგალითო თავმესაფრები ობოლი ბიჭებისათვის, ჩვენს კორენსპონდენტს განუცხადა, რომ ზლატოგლავაში, ბოლოსდაბოლოს, განიხვნა პირველის ამდაგვარის დაწესებულების კარიბჭე. ლედი ესტერმა, რომელიც გასულის წლიდან შეუდგა თავის მოღვაწეობას რუსეთშია და უკვე მოასწრო ერთი ესტერნატის გახსნა პეტერბურღში, გადაწყვიტა ქველმოქმედობა გასწიოს მოსკოველ ობლებისთვისაც...-მ-მ-მ..

ყოველი მოსკოველის გულითადი სამადლობელი... სად გახლავან ჩვენი ოუენები და ესტერები?

-კეთილი. უფალი იმათთან, იმ ობლებთან. აქ რაღა გვაქვს ც ი ნ ი კ უ რ ი გ ა მ ო ხ დ ო მ ა -აჰმ, საინტერესოა,

ახლანდელის ყმაწილკაცობის ცინიკური ზნე-ჩვეულებების მეოხებით მეტად საწუხო შემთხვევა მოხდა გუშინ ალექსანდროვის ბაღში. მოსეირნეთა თვალწინ ტყვია დაიხალა უფალმა ნ.-მა, ოცდასამი წლის სამოქალაქომ, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა, მილიონიანი ქონების ერთადერთმა მემკიდრემ.

-ოჰო!

ვიდრე ამ განუსჯელ საქციელს ჩაიდენდა, მხილველთა მოწმობით, თახედურად ათამაშებდა რევოლვერს. თავდაპიველად ეს ქცევა გამვლელებმა ქეიფის კაცის ბაქიბუქათ მიიჩნიეს, თუმცა სულაც არა ხუმრობდა თურმე, შუბლში ტყვია იკრა და ადგილზე გათავდა. თავისმკვლელის ჯიბეში იპოვეს აღმამფოთებელი ათეისტური შინაარსის ბარათი, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ნ.-ის საქციელი ალალბედზე მიღებული გადაწყვეტილებით ანდა თეთრი ცხელების ზედმიყოლებული ქმედობა არა ყოფილა. მაშ, ამრიგად, უმიზეზო თავისმოკვლის მოდურმა ეპიდემიამ, აქამომდე რომ პეტროპოლის ჭირი გახლდათ, დედილო-მოსკოვის გაღავანამდეც მოაღწია. ვაჰ, დრონი! ვაჰ, ზნეობანი! ურწმუნოებისა და ნილილიზმის როგორ უკიდურეს სამძღვრამდინ უნდა მისულიყო ჩვენი ოქროს ახალთაობა, თავისი სიკვდილიდანაც კი ამგვარი ბუფონადა რომ გაემართნა? თუკი ჩვენებურ ბრუტოსთა დამოკიდებულება თავის სიცოცხლესთან ამდაგვარი გახლავსთ, მაშინ განა უნდა გაგვიკვირდეს, გროშადაც რომ არ უღირთ სხვების, გაცილებით ღირსეული ადამიანების სიცოცხლე? აქ მოგვყავს თითქო

საგანგებოდ ამისთვის დაწერილი უპატივცემულის ფიოდორ მიხაილოვიჩ დოსტოევსკის ახლახანს გამოსული `მწერლის დღიურების~ მაისის წიგნაკიდან ერთი ნაკვითი: `ძვირფასებო, კეთილებო, პატიოსნებო (ეს ყოველისფერი თქვენ გაქვსთ!) საით გაგიწევნიათ, ეგრე რამ გაგიძვირფასათ ეგ ბნელი და გამოყრუვებული საფლავი? შეჰხედეთ, ცაზედ გაზაფხულის ნათელი მზეა, ხეები იფურჩქნება. თქვენ კი ისე გადიქანცეთ უკვე, რომ ჯერ არც კი გიცხოვრნიათ~.

ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა აღელვებით დაიქსუტუნა ცხვირით და მკაცრად გახედა თავის ყმაწვილ თანაშემწეს - აბა-და, ხომ არ შეამჩნია, რის შემდგომაც ერთობ მშრალად განაგრძო: -და ასე შემდგომ, და ასე შემდგომ. ხოლოთუ დროება აქ არაფერ შუაში არ გახლავსთ. სწორედ მოგახსენოთ, ჩვენთან რუსეთში ეგეთების გამო ძველები იტყოდნენ `სიმსუქნისგან გაშმაგდაო~. მილიონიანი ქონება? მაინც ვინ უნდა ყოფილიყო? ისიც ხომ ცნობილია, რომ ეს გაიძვერა უზნის ბოქოულები ყველანაირ აბდაუბდას მოგვახსენებენ ხოლმე, აქ კი ანგარიშშიც კი არ ჩაურთავთ. ელოდე ეხლა ქალაქურ შემთხვევათა კრებსს! თუმცა რა, აქ ადვილი შემთხვევა გახლავსთ, მოწმათა თვალწინ მოიკლა თავი... და მაინც საინტერესო არის. ალესანდროვის ბალი - ეს იქნება ქალაქის ის ნაწილი, სადაც მეორე უბანია. და, აი, რა, ერასტ პეტროვიჩ, სამსახურებრივად კი არა, ამხანაგურად გასთხოვთ - შეირბინევით იმათთან, მოხოვიაზედ. ვითომცდა უწყებრივი ზედამხედველობის წესით და ამისთანები. გამოარკვეით, ვინ არის ეს N.-ი. და რაც მთავარია, გენცვალე, ის გამოსალმების ბარათი უსათუოთ გადიწერეთ, სადამოს ჩემს ევდოკია ანდრეევანს ვუჩვენებ, ჭკვას ჰკარგავს ამისთანა გულშიჩამწვდომ რამე-რუმეებზედ. ნუ, ეხლა, სულმთლად სულიც არ ამოიძროთ და მალევე დაჰბრუნდით. ბოლო სიტყვები კოლეგიის რეგისტრატორის ზურგში წარმოითქვა, რაღაი ისე ჩქარობდა თავისი დაღვრემილი, მუშამბაგადაკრული მაგიდის მიტოვებას, რომ კინალამ ფორმის ქუდი დაჰრჩა.

უბანში წარმდგარი სამძებროს ყმაწვილი ჩინოვნიკი თავად ბოქოულთან მიიყვანეს, თუმცა იმან, რაკი დაინახა, რომ ერთმა მხოლოდ ღმერთმა უწყის, ეს რანაირი პერსონა აახლეს, ახსნა-განმარტებაზე დრო აღარ დახარჯა, მაშინვე მოადგილე იხმო. -ჰაიდა-აჰა, ივანე პროკოფიევიჩს წაჰყევით,-დიდი დაყვავებით მიმართა ბოქოულმა ბიჭუკელას (მართალია, ოქოქა კაცუნა კი სჩანს, მაგრამ მაინც ხომ სამმართველოდამ არის). - ყოველისფერს გიჩვენებსთ და მოგიყვებათ. განსვენებულის ბინაზედაც სწორედ ეს გახლდათ. ხოლო ქსავერი თეოფილაქტოვიჩისთვის ჩემი მდაბალი სალამი მომიხსენებია. ფანდორინი კანტორულა მაგისთან დააჯინეს და სქელი საქალაღით მოართვეს საქმე. ერასტ პეტროვიჩმა სათაური წაიკითხა.

პეტრე	ალექსანდროვიჩ	კოკორინის,	23	წლის,	
შთამომავლობით		ღირსეულის		მოქალაქის,	
მოსკოვის		საიმპერატორო		უნივერსიტეტის	
იურიდიული		ფაკულტეტის		სტუდენტის	
თ ა ვ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ი ს ს ა ქ მ ე					
დაიწყო:	1876	წლის	მაისის	თთვის 13	რიცხვში.
დასრულდა:	18...	წლის	თთვის ...	რიცხვში.

და წინდაწინ, სიამოვნებისგან აკანკალებული თითებით გამობაფთული თასმების გახსნას შეუდგა.

-ალექსანდრ არტამონოვიჩ კოკორინის ძე გახლავსთ, - განუმარტა ივან პროკოფიევიჩმა, სქელი, ოყრაყულის სანახაობის მოსამსახურემ, ისეთის დანაოჭებულის პირისახის პატრონმა, თითქოს ძროხას გამოუღეჭავსო. - მეტათ შეძლებული კაცი იყო. მექარხნე. სამი წელიწადი გავიდა, რაც

უზენაესს წარუდგა. ყოვლისფერი შვილს უანდერძა. ვინ დაუშლიდა, ეცხოვრნა ამასაც, ამ სტუდენტსაც თავისთვის და გაეხარნა. რა აკლია ამისთანა ხალხს, ვეღარ შევიტყვე. ერასტ პეტროვიჩმა თავი დაუქნია, რადგანაც არ უწყოდა, რა მიეგო პასუხად, და მოწმათა ჩვენებებს ჩაუკირკიტდა. ოქმები, გაგიხარია, ბლომად იყო, ერთი ათამდის მაინც. ყველაზე უმჯობესი შედგენილი გახლდათ ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის 17 წლის ქალისშვილის ელიზავეტა ფონ ევერტ-კოკოლცევას და მისი გაუთხოვარი, 48 წლის გუვერნანტის ემმა პფულის სიტყვებით, რომლებთანაც თავისმკვლელი საუბრობდა უშუალოდ გასროლის წინებზე. სხვათაშორის, მეტი არანაირი ცნობა, იმათ გარდა, რაიც მკითხველმა უკვე იცის, ერასტ პეტროვიჩს იმ ოქმებიდან არ ამოუღია - ყველა მოწმა მეტ-ნალკებად ერთსა და იმავეს იმეორებდა. და ერთურთისგან მარტოდენ გამჭრიახობით გამოირჩეოდნენ: ერთნი ამბობდნენ, რომ ყმაწვილკაცის სანახაობამ მაშინვე გააღვიძა მათში შემაშფოთებელი წინათგრძნობა (როგორც კი შევხედვეი უაზროს თვალეზშიდ, ჩემში ყოვლისფერი გაიყინა~ - აჩვენა ტიტულიანმა მრჩეელმა, ქალბატონმა ხოხრიაკოვამ, თუმცაღა შემდეგ ირწმუნებოდა, რომ ყმაწვილკაცი მხოლოდ ზურგიდან დაინახა); სხვა მოწმანი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაზე ლაპარაკობდნენ.

საქაღალდის სულ ბოლოს მოთავსებული იყო მონოგრამიან, ცისფერ და დაჭმუჭუნულ ქაღალდზე შესრულებული ჩანაწერი. ერასტ პეტროვიჩმა თითქო თვალეზით დაიწყო ამ უთანაბრო (სჩანს, სულიერი მღელვარების გამო) სტრიქონების სმა. ჩემს შემდგომ მცხოვრებნო ბატონებო! ვინაითგან თქვენ ჰკითხულობთ ამ ჩემს უსტარს, ესე იგი, უკვე დაგტოვეთ და სიკვდილის საიდუმლოება შევიცანი, რომელიც თქვენგან შვიდის ბეჭდით არის დაბეჭდული. ეხლა მე თავისუფალი ვარ, თქვენ კიდევ უნდა იცხოროსთ და შიშებით დაიტანჯოსთ. მაინც სანამღეოს ჩამოვდივარ, რომ იმ ალაგს, სადაც ეხლა მე ვარ და საითგანაც, როგორაც დანიის პრინცმა ჰბრძანა, არც ერთი ამსოფლიური მგზავრი ჯერ არ დაბრუნებულა, ვერაფერს გაუთანაბრებ. ვინაც არ მეთანხმება, კეთილისმყოფლურათ ვსთხოვ, თავათ შეამოწმოს. სხვათაშორის, მე თქვენსთან, ყველასთან არრავითარის საქმე არღარ მაქვს, ხოლო ამ უსტარს იმისთვის ვსწერ, რომ ვინმეს ჭკვაში არ გაუჭაჭანდეს, თითქოსდა თავი რაღაცის ცრემლიანის სისულელის გამოისობით მოვიკალ. გულს მაზიდებს თქვენს სამყაროზედ და, სწორედ მოგახსენოთ, ეს მიზეზი სრულიათ საკმაო არ არის განა? ხოლო იმას, რომ მე უიმედო ნადირიკაცი არ გახლავარსთ, უთუოთ დაადსტურებს ჩემი ტყავის ბივუარი, ანუ წიგნების, საფომტო ქაღალდების, კონვერტების და მისთანათა შესანახი სამაგიდო რვეული. პ ე ტ რ ე კ ო კ ო რ ი ნ ი ეს სულიერი მღელვარებისას შეთხზულს არა ჰგავს - აი, პირველი, რაიც ერასტ პეტროვიჩმა გაიფიქრა.

-ბივუარის შესახებ რომ სთქვა, სახეში რა ჰქონდა? - დაეკითხა იგი. ბოქოულის თანაშემწემ მხრები აიწია: -თან არანაირი ბიუარი არა ჰქონია. რა გინდათ, ჰქმნათ, მდგომარეობიდამ არის კაცი გამოსული. შესაძლოა, რაღაც ისეთის ჩადენას ეპირებოდა, მერე კი გადაიფიქრა ან გონებიდამ გადუვარდა. ყოვლისფრით სჩანს, რომ მეტათ ახირებულის ჭკუის კაცი იყო. ხომ წაიკითხეთ, როგორ აზრიალებდა დოლურასა? სხვათაშორის, იმ დოლურას ექვსი პირიდამ მარტოკა ერთში იყო მიცემული ვაზნა. მე, მაგალითებრ, იმ ჰაზრის გახლავარსთ, რომ ის, საზოგადოთ, არც კი აპირობდა დახლას, მხოლოთ ნერების შეღიტინება ჰსურდა - ეგრე ვსთქვათ, ცხოვრებისეულს შეგზნებათა მეტი მძაფრობისთვის. რათა მერე დაშხოშიანათ ექამა და კაი პიკანტურათაც ექეიფნა.

-ექვსიდან ერთი ვაზნა? სჩანს, ბედ-იღბალს ზურგი უქცევია! - მიცვალებულის მაგივრად იწყინა ერასტ პეტროვიჩმა, მაინც რომ მოსვენებას არ აძლევდა ის ტყავის ბივუარი.

-სადა სცხოვრობს? უფრო უკეთ, სცხოვრობდა...
 -ოსტროჟენკაზედ, ახალს სახლში. რვა ოთახიანს ბინაში და ძაანაც მდიდრულში, - ხალისიანათ შეუდგა შთაბეჭდილებების გაზიარებას ივან პროკოფიევიჩი, - მამისგან მემკვიდრეობით საკუთარი სახლი მიიღო მასკვა-მდინარის გაღმა ალაგას. მთელი მამული თავისის სამსახურებიანათ, მაგრამ იქ ცხოვრება არ ინდომა, ვაჭრებიდამ შორს დაიჭირა თავი.
 -და ის ტყავის ბივუარი არც იქ აღმოჩნდა? ბოქოულის თანაშემწე გაკვირვებას მოვიდა:
 -თქვენის აზრით, ჩხრეკვა უნდა მოგვეწყო? აკი მოგახსენეთ, იქ იმგვარი ბინაა, აგენტების ოთახებში შეშვება საშიშოა - ვაითუ, ეშმაკმა აურიოთ გზა-კვალი. თან, რათ გვინდა? ოლქის პროკურორის გამომძიებელმა, იგორ ნიკიფორიჩმა განსვენებულის კამერდინერს საათის რუბი (ესე იგი, მეოთხედი) მისცა თავისის გუდა-ნაბადის ასაკრავათ - ისიც პოლიციელის თანდასწრობით, რომ ღმერთმა არა ჰქმნას და პატრონს არაფერი ასწაპნოს - და მიბრძანა, კარი დამელუქა. მემკვიდრეების გამოჩენამდინ.
 -მემკვიდრენი ვინლა არიან? - დაინტერესდა ერასტ პეტროვიჩი.
 -აქ დიდი გაიწი-გამოიწის ასპარეზია. კამერდინერი ამბობს, რომ კოკორინს და-მმანი არა ჰყოლია. არიან შორებელნი ნათესავნი, მაგრამ იმათ თავისი კარის დირესაც კი არ აჩვენებდა ცხოვნებული. ვის შეჰხვდება ამთვენი ფული? - შურით აღმოიოხრა ივან პროკოფიევიჩმა, - ამის წარმოდგენაც კი მზარავს... თუმცა ჩვენი სადარდო სულაც არ გვახლავსთ. გნებავსთ, ადვოკატი ანდა სულაც ანდერძის აღმასრულებელნი დღეს-ხვალ გამოსჩნდებიან. აქამდისინ ხომ ერთი დღე და ღამეც არ გასულა და გვამიც ყინულიანს მორგშიდ ასვენია. შეიძლება, ხვალ იგორ ნიკიფორიჩმა საქმე დაჰხუროს, მერე ნახეთ, წავა და წავა.
 -და მაინც, მეტად უცნაურია, - შენიშნა შუბლშეჭმუხნულმა მწერალ-მწარმოებელმა. - თუკი სიკდილისწინა წერილში კაცმა რაღაც ბივუარზე მიუთითა, ეს მარტივი სულაც არ არის და უიმედო ნადირიკაცზედაც~ სრული გაუგებრობაა. ვაითუ, იმ ბივუარში მეტად მნიშვნელოვანი საგამომიებო გეში თუ ნიშანია? თქვენ როგორც გენებოთ, მაგრამ მე ყოველ მიზეზ გარეშე მოვძებნიდი იმ ბინაში. აგრე მგონია, მთელი უსტარი ამ ბივუარის გამო გახლავსთ დაწერილი.
 აქ, ნამდვილად, რაღაც საიდუმლოა. იმითი შეშინებული ერასტ პეტროვიჩი, რომ ეს `საიდუმლო~ ბავშვურად წამომცდაო, გაწითლდა, მაგრამ უფალ ბოქოულის თანაშემწეს მისი სახის მეტყველების შეცვლა არ შეუძენია.
 -და კიდევ, ურიგო არ იქნებოდა, კაბინეტშიაც გვენახა ქალადები, - აღიარა ივან პროკოფოვიჩმა, - იგორ ნიკიფორიჩი ხომ მუდამდღე სჩქარობს. ოჯახი ერთი-ასათ უღირს, ამისთვინ სცდილობს დათვალირებიდამ ანდა წინდაწინის მოკვლევიდამ მალე გაძვრეს და შინა სტუცოს თავი. უწინდელი კაცი გახლავსთ, კიდევ წელიწადი დაჰრჩა პენსიამდინ, აზა-და, რაღა უნდა მოსთხოვო?! იცით რა, ბატონო ფანდორინ, უფრორე სახერხო ხომ არ იქნებოდა, თქვენ რომ წასულიყავით? ერთათ ვნახამდით. მერე ახალს კლიტეს დავჰკიდებდი - ეგ ადვილი სამსახური გახლავსთ. იგორ ნიკიფორიჩი არ დავგვსჯის, პირუკუ, მადლს მოგვახსენებს, მეორეთ რომ არ გავაწვალეთ. სულაც ვეტყვი, რომ სამძებროს უწყებიდამ მოთხოვნა იყო, ჰა? ერასტ პეტროვიჩს მოეჩვენა, რომ ბოქოულის ოყლაყ მოადგილეს მარტივად აინტერესებდა `მდიდრული~ ბინის კაი მოჩხრეკა, თან ამ ახალი კლიტის `დაკიდებაც~ თითქო ურიგოდ გამოდიოდა, მაგრამ ცდუნებაც ძაან დიდი იყო. ამ საქმეს, მართლაცდა, იდუმალების ამაწრიალებელი სურნელი დაჰკავდა.

განსვენებული პეტრე კოკორინის ბინის გამართულობას (პრეჩისტენკის კარიბჭესთან შემოსავლიანი სახლის სადარბაზო სართული) ფანდორინზე განსაკუთრებული რამ შთაბეჭდილება არ მოუხდენია - მამამისის მსწრაფლწარმავალი სიმდიდრის ჟამს ისიც არანაკლებ სცხოვრობდა ასეთივე დაბაზეშია. ამიტომაც მარმარილოთი მოპირკეთებულ

შესავალში სამარშინიან ვენეციანურ სარკესთან და ჭერის მოოქროვებულ ნაძერწთან კოლეგიის რეგისტრატორი არ შეჩერებულა, პირდაპირ სასტუმროსკენ დაიჭირა გეზი, რომელიც ფართო გახლდათ, თან ექვსფანჯრიანი. მეტად მოდურ რუსულ სტილში იყო მოწყობილი: ზედწარწერიანი სკივრებით, მუხის ხის ჩუქურთმებით და რიგიანი შორენკეცის ღუმელით. -ფრანციცულათ რომა ვსთქვათ, `ბონ ტონშიდ~ სცხოვრობენ განცხრომით. - რატომღაც კეფაში ჩასჩურჩულა გამცილებელმა.

ამჟამად ერასტ პეტროვიჩი საცვიფროდ ჩამოჰგავდა ერთი წლის სეტერს, პირველად რომ მიუციათ სამრაობა ტყეში და ერთობ გაშმაგებულა ახლოს მყოფი ნადირის ცხვირში შეღიტილებული სუნისგან. აქეთ-იქით მიმოიხედა და შეუმცდარად განსაჯა:

-ეს კარი კაბინეტში შეგვიყვანს?

-დიაღ.

-აბა-და,

შევიდეთ.

ტყავის ბივუარი დიდხანს არ უძებნიათ - მასიური საწერის მაგიდის ზედ გულზედ იდგა, მალაქიტის სამელნე მოწყობილობასა და სადაფის ნიჟარა-საფერფლეს შუაში. მაგრამ ვიდრე ფანდორინის მოუთმენელი ხელები ყავისფერ, ჭრაჭუნა ტყავს შეეხებოდნენ, მისი მზერა გადააწყდა ვერცხლის ჩარჩოში ჩასმულ ერთ ფოტოს პორტრეტს, აქვე რომ იდგა, მაგიდაზე, ყველაზე გამოსაჩენ ალაგას. ზედ გამოსახული სახე იმდენად ჩინებული და გულისთქმათა ამშლელი გახლდათ, რომ ერასტ პეტროვიჩს ბივუარიც კი ამოუვარდა ჭკუიდან: სანახევროდ შემოქცეულიყო სქელთმიანი კლეოპატრა და შემოჰყურებდა ფართოთ გახელილი, შავად ჟუჟუნა თვალებით; ამაყად მოედერებინა გედის ყელი და ოდნავის მკაცრობით და ახირებულის თვითნებობით გამოჰხატვოდა ღაწვ-ბაგეთა ოვალეები. მეტადრე, კოლეგიის რეგისტრატორი მოაჯადოვა დამშვიდებულმა და მტკიცე ძალაუფლებამ, ერთობ მოულოდნელი რომ იყო ამ საამური ქალისშვილის პირისახეზე (რატომღაც მოუნდა ფანდორინს, რომ ეს აუცილებლად ქალისშვილი ყოფილიყო და არა ქალბატონი).

-მშვენიერთა ხელმწიფაავ, - დაუფშტვინა გვერდით ამომდგარმა ივან პროკოფიჩმა, - ვინ გახლავსთ? ნება მომეცით...

და მან ყოველისფერის ჭოჭმანის გარეშე, ტურტლიანის ხელით ჩარჩოთაგან ამოიღო გულ-სულ წარმტაცი სახე და უბოდიშოდ გადააბრუნა. იქ კი, ალმაცერი, გაკრული ხელით აგრე ეწერა პეტრე კ.-ს.

და განვიდა პეტრე და სტიროდა მწარედ. თუ შეიყვარებ, ნუღარ უარჰყოფ!

ა.

ბ.

-თუკი ეს პეტრე მოციქულს შეადარა, მაშინ თავათ ქრისტე-ღმერთი გამოდის რაღა? ამბიციები ჰნახეთ! - ჩაიფრუტუნა ბოქოულის თანაშემწემ, - ამ ჰინდივიდის მეოხებით ხომ არ დაიკრიფა გულსხელი ჩვენმა სტუდენტმა? ჰაიდა-აჰა, ესეც ბივუარი! მაშ, ტყვილათ არ გვივლია! ივან პროკოფიევიჩმა ტყავის სათავსო გახსნა და იქიდან ერთადერთი ფურცელი ამოიღო. ერასტ პეტროვიჩისთვის უკვე კარგად ნაცნობ ცისფერ ქალაღზე დაწერილ საბუთს ნოტარიალური ბეჭედი ესვა და რამდენიმე ხელმოწერითაც იყო დამოწმებული.

-საქმე დამშია, - თავი დაუქნია კმაყოფილმა პოლიციელმა. - ანდერძიც გამოიძებნა. საინეტერესო გახლავსთ, შიგ რა სწერია.

წუთში ჩაურბინა თვალებით დოკუმენტს, მაგრამ ერასტ პეტროვიჩს ეს დრო მარადისობად მოეჩვენა, ხოლო მხრის ზემოდან გადაჰყეტვის სურვილსაც კი თავისი პატივის დამამცრობლად სთვლიდა და ამ ქმედობას გამოსავალს არაფრისდიდებით არ მისცემდა.

-ჰაიდა-აჰა, ესეც შენი კეთილი ბებია შობა ღამით! მე და ჩემმა მზემ, კაი საჩუქარი კი გამოუვიდათ იმ შორებელს ნათესავეებს!@- წამოიძახა ივან პროკოფიევიჩმა გაუგებარის სიხარულით, - ჰაიდა, კოკორინ! ტალახში წაყოფილი დინგები დასწმინდა ყველას. ჩვენებურათ,

მველებურათ, რუსულათ. ისე, მაინც-და-მაინც პატრიოტულათ არ გამოდის. თან კიდევ
 `ნადირიკაცზედაც~ ყოველისფერი ცხადი ჰხდება.
 მოუთმენლობის მეოხებით ყოველგვარ ჩინუჩინმაჩინოთა პატივისცემის წესებზე წარმოდგენა-
 დაკარგულმა ერასტ პეტროვიჩმა წოდებით მალა მდგომს ფურცელი გამოსტაცა ხელიდან და
 ეს წაიკითხა:

ა ნ დ ე რ მ ი
 მე, ქვემორე ხელის მომწერი პეტრე ალექსანდროვიჩ კოკორინი, სრულს ჰკვაზედ მყოფი და
 ჩინებულის მეხსიერებით, აგრეთვე ქვემორე ხელის მომწერის მოწმათა თანსწრებით ვაცხადებ
 ანდერძს ჩემის კუთვნილის ქონების განკარგის თაობაზედ.
 მთელს ჩემს აქამდისინ შემდგარს ქონებას, რომლის სრული ჩამონათვალი აქვს ჩემს
 რწმუნებულს სემიონ ეფიმიჩ ბერენზონს, ვუანდერძებ ქალბატონს, ბარონესსა მარგარეტ
 ესტერს, ბრიტანეთის მოქალაქეს, ყოველისფერის ამ საშუალების გამოსაყენებლათ თავისის
 შეხედულებისამებრ ობოლთა განათლების და აღზრდის საჭიროებისთვის. დარწმუნებული
 გახლავარსთ, რომ ქალბატონი ესტერი განაგებს ამ საშუალებებს უფრორე ჰკვიანურათ და
 პატიოსნათ, ვიდრე უფალი ღენერლები ჩვენის ადგილობრივის ქველმომქმედობისა.
 ეს ანდერძი გახლავსთ საბოლოო და დასრულებული, გააჩნია კანონიერი ძალა და სცვლის ჩემს
 უწინდელს ანდერძს.
 ანდერძის აღმასრულებლებათ ვჰნიშნავ ადვოკატს სემიონ ეფიმიჩ ბერენზონს და მოსკოვის
 უნივერსიტეტის სტუდენტს ნიკოლაი სტეპანიჩ ახტირცევს.
 წინმდებარე ანდერძი შედგენილი გახლავსთ ორს ეგზემპლიარათ, რომელთაგან ერთი ჩემთან
 ჰრჩება, ხოლო მეორე შესანახათ ეძლევა ბატონ ბერენზონის საადვოკატო კანტორას.
 მოსკოვი, 1876 წლის მაისის 12.
 პეტრე კოკორინი
 რომელშიც ლაპარაკის გარდა არაფერია

-თქვენი ნებაა, ქსავვერი თეოფილაქტოვიჩ, მაგრამ ძალიან უცნაურია! - მღელვარებით გაიმეორა
 ფანდორინმა, - აქ რაღაც საიდუმლოებაა, პატიოსან სიტყვას გამღევთ! - და ჯიუტად გაუსვა
 ხაზი. - დიად, სწორედ საიდუმლო! თავად განსაჯეთ. ჯერ ერთი, რაღაც უაზროდ მოიკლა თავი,
 `იღბალზე~, დოლურაში ჩადებული ერთადერთი ვაზნით, თითქო სროლას არც აპირებდა. ეს რა
 ფატალური უიღბლობაა! და სიკვდილისწინა ჩანაწერის ტონიც, თქვენც დამეთანხმებით, მეტად
 უცნაურია - გეგონება სახელდახელოდ, ნამდვილი საქმის გამოჩენამდეა დაწერილი, მაგრამ ამის
 მიუხედავად, იქ აღძრულია უმთავრესი საკითხი, არასახუმარო საკითხი! - ერასტ პეტროვიჩის
 ხმა გრძნობით ჟღერდა, - მაგრამ ამ პრობლემაზე მერე მოგახსენებთ, ახლა ანდერძზე უნდა
 გელაპარაკოთ. განა საეჭვო არ არის?
 -მაინც რა გეცვენებათ, გენცვალე, საეჭვოთ? - წაიღვინა გრუშინმა, ნახტომებით რომ
 ფურცლავდა გასული დღე-ღამისდ `ქალაქურ შემთხვევათა კრებსს~. ეს საცნობარო ინტერესის
 აღმძვრელი საკითხავი, ჩვეულებრივ, მოდიოდა რის მეორე ნახევარში, რაღაც
 დიდმნიშვნელოვანი საქმეები შიგ არ შედიოდა - ძრითადად ყველანაირი წვრილმანი, სრული
 სისულელე, მაგრამ შიგადაშიგ საინტერესოც გამოჩნდებოდა ხოლმე. აქ იყო ცნობა გუმინდელი
 თვითმკვლელობის შესახებაც ალექსანდროვის ბაღში, მაგრამ როგორც დიდად გამოცდილმა
 ქსავვერი თეოფილაქტოვიჩმა იწინასწარმეტყველა, ყოველგვარი დეტალების გარეშე და, რა თქმა
 უნდა, არც სიკვდილისწინა ჩანაწერი ჩანდა.
 -რა მეჩვენება და, აი რა! თითქო არასერიოზულად დაიხალა კოკორინმა, თუმცა ანდერძი,
 მიუხედავადამომწვევი ტონისა, მთელი თავისი ფორმის დაცვით არის შედგანილი -
 ნოტარიუსით, მოწმათა ხელმოწერებით, აღმასრულებელთა მითითებით. და ისიც უნდა
 აღინიშნოს, რომ ქონება დიდია. მე დავადგინე - ორი ფაბრიკა, სამი ქარხანა, სახლები
 სხვადასხვა ქალაქში, გემთსამენი ლიბავაში... მხოლოდ პროცენტისანი ქალაღებები სახელმწიფო

ბანკში ნახევარ მილიონზეა!
 -ნახევარ მილიონზედ? - ამოიხრა ქალაღებიდან მომწყდარმა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა, -
 გაუმართლა იმ ანდლიელს დედაკაცს, გაუმართლა.
 -და ერთი ამიხსენით, რა შუაშია ლედი ესტერი? რაღა სწორედ მაგას უანდერდა და არა ვინმე
 სხვას? რა კავშირია იმასა და კოკორინს შორის? აი, რა არის გასარკვევი!
 -როგორც თავათ დასწერა, ჩვენებურ ხაზინის ქურდებს არ ენდობა, ხოლო ეს ანდლიელი კი,
 უკვე მერამთვენე თვე გამოჰხდა, გაზეთებს ცაში აჰყავთ. არა, ჩემო კეთილო, არა... თქვენ ის
 მითხარით, როგორა ჰხდება, რომ თქვენი თაობა სიცოცხლეს ესოდენ იაფათ აფასებს? ერთიბეწო
 რამე და მაშინვე ბახ-ბუხ, თანაც ზვიადათ, მთელი სამყაროს სიძულველით. რომელი
 ღვაწლით ეს აბუჩათ აგდება, რომელი ღვაწლით? - გრუმინი გაბრაზდა, რაკი გაახსენდა, თუ
 როგორ კადნიერად და უპატივცემულოდ ელაპარაკებოდა გუმინ სადამოს საყვარელი
 ქალიშვილი, თექვსმეტი წლის გიმნაზისტკა საშენკა. თუმცა ეს შეკითხვა უფრო რიტორიკული
 გალდათ, ამიტომ მწერალ-მწარმოებლის აზრიც ნაკლებად აინტერესებდა უფალ ბოქოულს და
 ამიტომ ისევ კრებსში ჩარგო თავი.
 სამაგიეროდ, ერასტ პეტროვიჩი გამოცოცხლდა უფრო.
 -აი, ეს კი ის წყევლა-კრულვიანი საკითხავია, რომელზედაც განსაკუთრებულად უნდა მეტქვა.
 მოდით, ისეთ კაცს შევხედოთ, როგორც კოკორინია. ბედი ყოველისფერს აძლევს -
 სიმდიდრეს, თავისუფლებას, განათლებას, სილამაზეს (ეს სილამაზე ფანდორინმა ისე თქვა,
 დაუსწრებლად, რადგან მცირეოდენი წარმოდგენაც კი არა ჰქონდა გარდაცვლილის
 გარეგნობაზე). ის კი სიკვდილს ეთამაშება და, ბოლოსდაბოლოს, დასახულ მიზანსაც აღწევს.
 გნებავთ, იცოდეთ, რატომ? ჩვენ, უნუგემოდ დამთომილ ახალგაზრდობას თქვენს სამყაროში
 სული გვეხუთება - კოკორინმა პირდაპირ დაწერა ეს, მაგრამ აღარ განავრცო. თქვენი,
 უწინდელი კაცების იდეალები - კარიერა, ფული, პატივი - ბევრი ჩვენგანისთვის არაფერს
 ნიშნავს. მაგეებზე აღარც ვოცნებობთ. თქვენ როგორა გგონიათ, ტყუილად სწერენ
 თვითმკვლელობის ეპიდემიაზე? განათლებული ყმაწვილკაცობის უკეთესი ნაწილი მიდის,
 სულიერი ჟანგბადის ნაკლებობით ირჩობიან, თქვენ კი, მამების საზოგადოებას, აქედან
 გაკვეთილი ვერ გამოგიტანიათ!
 ისე გამოდიოდა, რომ ბრალდების მთელი პათოსი ქსავერი თეოფილაქტოვიჩისკენ იყო
 მიმართული, ვინაიდან `მამების საზოგადოების~ სხვა წარმომადგენლები ახლო-მახლო არ
 შეიმჩნეოდნენ, თუმცა გრუმინი ოდნავადაც არ გაბრაზებულა, პირიქით, შესამჩნევი
 კმაყოფილებით დააქნია თავი.
 -სიტყვამ მოიყოლა და, - დაცინვით დაიჩვილა მან, თან კრებსში ჩაიცქირებოდა, - აგერ,
 სულიერის ჟანგბადის ნაკლებობაზედ. `ჩიხაევის შესახვევში, მეშჩანსკის ნაწილის მესამე
 უბანზე, დილის 10 საათზე ნაპოვნია გვამი დამრჩვალი მეწაღისა, 27 წლის ივანე ერემოვიჩ
 ბულდიგინისა. მეეზოვე პეტრე სილინის ჩვენებით, თავის მოკვლის მიზეზი - ნასმურევიდან
 გამოსვლის საშუალების უქონლობა გახლავსთ~. ასე ხომ ყველა საუკეთესო წავა. მარტოკა ჩვენ,
 ბებერი სულელებიღა დავრჩებით.
 -თქვენ იცინით, - სიმწრით თქვა ერასტ პეტროვიჩმა, - და პეტერბურღში თუ ვარშავაში, ლამის
 ყოველდღე, სტუდენტები იქნებიან, კურსისტები, შიგადაშიგ გიმნაზისტებიც კი - თავს
 იწამლავენ, ტყვიას იხლიან, ირჩობიან. თქვენ კი გეცინებათ...
 `მოინანიეთ, ქსავერი თეოფილაქტოვიჩ, თორემ მერე გვიან იქნება~ - შურისგებით იფიქრა,
 თუმც ამ წუთამდე თავისმკვლელობის აზრი ჭკვაში არ მოსვლია - მეთად ცოცხალი ბუნების
 ყმაწვილი იყო. სიჩუმე ჩამოდგა: ფანდორინმა წარმოიდგინა ღარიბული სასაფლაო,
 ეკლესიის ღობის მიღმა, უჯვაროდ; ხოლო გრუმინი ხან თითს აყოლებდა სტრიქონებს, ხანაც
 ფურცლებს აშრიალებდა.
 -ეს სინამდვილეში რაღაც აბდაუბდა გახლავსთ, - ამოიბურტყუნა მან, - რა არის, ყველანი

გასულელდნენ? აი, ორი მოხსენება. ერთი მთავარი ნაწილის მესამე უბნიდან, მერვე გვერდზე და მეორე როგოჭკის ნაწილის პირველი უბნიდან, მეცხრე გვერდზე. ჰაიდა-აჰა. `12 საათსა და 35 წუთზე, პოდკოლოკოლნიის შესახვევში, `მოსკოვის ცეცხლისაგან დაზღვევის საქმეგადგობის~ სახლში კალუგელი მემამულის, ავდოტია ფილიპოვნა სპიცინას (დროებით მცხოვრები სასტუმრო `ბოიარსკაიაში~) მოთხოვით გამოიძახეს უბნის ზედამხედველი ფედორუკი. ქალბატონმა სპიცინამ უჩვენა, რომ წიგნის ფარდულის შესასვლელის მახლობლად, მის თვალწინ, ვიღაც წესიერად ჩაცმულმა, შესახედად 25 წლის ბატონმა თავის მოკვლა სცადა - საფეთქელთან პისტოლეტი მიიტანა, მაგრამ, სჩანს, ტყვია არ გავარდა და შეუმდგარი თავისმკვლეელი მიიმალა. ქალბატონმა სპიცინამ მოითხოვა, რომ პოლიციას მოემეხნა ახალგაზრდა და გადაეცა იგი ჩვენი ეკლესიურის ხელისუფლებისთვის მძიმე მონაწილის დასაკისრებლად. მეხნა არ შემდგარა დანაშაულებრივი გერშების და ნიშნების არარსებობის გამო~.

-აი, ხომ ხედავთ, მეც ამას არ ვამბობდი! - გაუხარდა ერასტ პეტროვიჩს, ასეთი შურისძიებისგან სრულიად გულსავსედ რომ იგრძნო თავი. -მოითმინეთ, ყმაწილო, ჯერ არ დამიმთავრებია, - შეაჩერა ბოქოულმა, - შემდგომ მოისმინეთ. `მოგახსენებთ გოროდოვოი, ანუ ქალაქის პოლიციელი სემიონოვი (ეს როგოჭკიდან არის). თერთმეტ საათზე იგი გამოიძახა მეშჩანინმა ნიკოლაი კუკინმა, მცირე იაუზსკის ხიდის პირდაპირ მდებარე საბაყლო დუქნის `ბრიკინი და ძმების~ დახლიდარმა. კუკინმა განაცხადა, რომ რამდენიმე წუთის წინ ხიდის ქვის ბოძკინტზე აძვრა ვიღაცა სტუდენტი, შუბლზე პისტოლეტი მიიძო, ნამდილად თავის მოკვლის სურვილით. კუკინმა გაიგონა ჩახმახის ჩხაკუნის, მაგრამ გასროლა არ შემდგარა. ამ ჩხაკუნის შემდგომ სტუდენტი გადმოხტა ხიდზე და სწრაფად წავიდა იაუზსკის ქუჩის მხარეს. აქამდისინ სხვა მხილველები არ აღმოჩნდნენ. კუკინს დაუბეჯითებია ამ ხიდზე პოლიციის პოსტის დაწესება, რადგანაც გასულ წელს იქ უკვე დაირჩო მსუბუქის ყოფა-ქცევის ქალი და ამის გამოისობით ვაჭრობას ზიანი ადგებო~. -არაფერი მესმის, - ხელები გაშალა ფანდორინმა, - ეს რა რიტუალია ამისთანა? უკაცრაოდ და, თავისმკვლელების საიდუმლო ორღანიზაცია ხომ არ არის? -რას ორღანიზაცია, - ბრტყლად წარმოთქვა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა და მერე, გამოცოცხლების კვალობაზე უფრო ჩქარა ალაპარაკდა, - არანაირი საზოგადოება, ჩემო კეთილო, ყოველისფერი უფრორე მარტივად არის. ეხლა უკვე დოლურას ამბავიც გასაგებია, უწინ ფიქრათაც არ მომივიდოდა! ამას, ყოველისფერს სულ ერთი და იგივე კაცი, აეს ჩვენი სტუდენტი კოკორინი ონავრობდა. აქ უყურეთ, - წამოდგა და მკვირცხლად მივიდა მოსკოვის რუქასთან, კარის მახლობლად რომ ეკიდა კედელზე. - აი, ეს მცირე იაუზსკის ხიდია. აქედამ იაუზსკის ქუჩით გასწია, სადღაცას იბოდილა და პოდკოლოკოლნიიზე ამოჰყო თავი, სადაზღვებო ორღანიზაციის მახლობლად. აქ მემამულე სპიცინა შეაშინა და თავისი საცულულუტო გზა განაგრძო კრემლის მხარეზე. მესამე საათისათვის ალექსანდროვის ბაღამდის მოაღწია, სადაც მისი ონავრობა ჩვენთვის უკვე ცნობილი შედეგით დასრულდა. -მერედა, რატომ? და რას ნიშნავს ეს ყოველისფერი? - რუქას მიაშტერდა ერასტ პეტროვიჩი. -რასა ჰნიშნავს, ამის განსჯაში ჩვენ ვერ შევალთ. მაგრამ საქმე როგორც იყო, ვხვდები. ამ ჩვენმა თეთრსაყელოიანმა სტუდენტმა, ოქროს ახალგაზრდამ გარგასწყვიტა, ყველასთვინ ჯოჯოხეთი მოეწყო. თანაც სიკვდილის წინ მოინდომა, თავისის ნერვებისთვის შეეღიტიწებინა. სადღაცას წავიკითხე, რომ ამას `ამერიკული რულეტი~ ჰქვია. ჩრდილო ამერიკის შტატებში გამოიგონეს, ოქროს სარეწებზე. დოლურას ერთი ვაზნით დასტენი, დაატრიალებ და ბა-ბაახ! თუ გაგიმართლა, ბანკს მოჰხსნი, არადა - მეყოლე გაზაფხულის ვარდივით. ჰოდა, გასწია ჩვენმა სტუდენტმაც მოსკოვურ ვოიაჟში ბედის გამოსაცდელად. სავსებით დასაშვებია, რომ სამჯერ კი არა, უფრო მეტჯერ დაიხალა. უბრალოდ, ყველა მხილველი პოლიციას არ დაუძახებს. იმ სულთა მშველელმა მემამულე ქალმა და დახლიდარმა კუკინმა თავიანთი კერძო ინტერესის

გამო გამოაცლინეს სიფხიზლე, თორემ რამდენგზის სცადა კოკორინმა - ერთმა ღმერთმა თუ უწყის. ანდა, თავის თავთან პირობა დადო - აი, მე სიკვდილს რამოდენიმეჯერ გავეთამაშები და, მორჩა? გადავრჩები - ასე იქნება!.. სხვათაშორის, ეს უკვე ჩემი ფანტაზიებია. არანაირი ფატალური უიღბლობა არა ყოფილა ალექსანდროვის ბაღში, უბრალოთ, მესამე საათისთვის სტუდენტს მთელი თავისი ფორტუნა შემოეფლანგა. -ქსავერი თეოფილაქტოვიჩ, თქვენ ნამდვილი ანალიტიკური ნიჭი გაქვსთ, - გულწრფელად აღიარა ადფრთოვანებულმა ფანდორინმა, - სულ თვალწინ მიდგას, რაც როგორ მოხდა. დამსახურებული ქება, თუმც კი ძუძუმწოვარასგან, გრუშინს გულზე მოეფონა. -ჰაიდა-აჰა, უწინდელის სულელის ბერიკაცებისგანაც შეიძლება რაღაცის სწავლა, - დამრიგებლურად თქა მან, - თქვენს რომ ჩემდენი გემსახურნათ საგამომძიებლო საქმეში, თან ახლანდელს უკულტურო დროებაში კი არა, ხელმწიფე ნიკოლაი პავლოვიჩის ხანაში, მაშინ აღარ გაარჩევდით, საქმე საგამომძიებო თუ არა. მაშინ მოსკოვში ჯერ არ იყო ჩვენი სამმართველო, არცა საგამომძიებო განყოფილება. დღეს მკვლელს ეძებ, ხვალ ბაზარში დგებარ, ხალხს ჭკუას ასწავლი, მაზეგ სამიკიტნოებში უპაპორტოებს დასდეგ. სამაგიეროთ, დაკვირვებული ჰხდები, ხალხს ეცნობი, თანაც ტყავი გეთრიმლება - უამისოთ პოლიციურს საქმეში შეუძლებელი გახლავსთ, - მინიშნებით დაასრულა ბოქოულმა და იქვე შეამჩნია, რომ მწერალ-მწარმოებელი რაღაც უგულისყუროდ უსმენს, თავის რომელიღაცა ფიქრს მკაცრად უჭმუხნის შუბლს და არც ისე საამო სანახავია. -კეთილი. გადმოალაგეთ, კიდევ რა გაქვთ... -ერიჰა!.. ვერ გამიგია... - ფანდორინმა ნერვიულად აათამაშა ნამგალა მთვარესავით წარბები, - ეს კუკინი გაიძახის, ხიდზე სტუდენტი იყო... -რა თქმა უნდა, სტუდენტი. აბა-და, სხვა, ვინ? -მაგრამ, საიდან იცის კუკინმა, რომ კოკორინი სტუდენტია? სერთუკში იყო და შლაპა ეხურა, ალექსანდროვის ბაღში არც ერთ მოწმას სტუდენტად არ მიუღია... ოქმებშიც სულ `ყმაწვილკაცი~ და `ის ბატონია~. აი, გამოცანა! -თქვენ სულ გამოცანები გიტრიალებსთ ჭკვაში, - ხელი ჩაიქნია გრუშინმა, - ბრიყვია ეგ თქვენი კუკინი და მორჩა! ხედავს, ახალგაზრდა ბატონია, სამოქალაქო სამოსში, და წარმოიდგინა, რომ სტუდენტია. ანდე, ეგებ დახლიდარს მახვილი მზერა აქვს და სტუდენტი ამოიცნო - მაგას ხომ დილიდან სადამომდე მსყიდველებთან აქვს საქმე. -ისეთი მსყიდველი, როგორიც კოკორინია, კუკინს მისდღემში არ უნახავს თავის სამიკიტნოში! - მართებულად შეეწინააღმდეგა ერასტ პეტროვიჩი. -მერედა, ამით რა? -ის, რომ ურიგო არ იქნებოდა, მემამულე სპიცინა და დახლიდარი კუკინი უფრო უკეთესად დაგვეკითხა. თქვენ, ქსავერი თეოფილაქტოვიჩ, ასეთ წვრილმანებზე დახურდავება არ გეკუთვნით, მაგრამ, თუ ნებას მომცემთ, მე თავად... - ერასტ პეტროვიჩი სკამიდან წამიწია, ისე უნდოდა, გრუშინი დაყაბულებოდა. ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა სიმკაცრის გამოვლინება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. გაუშვი, ყმაწილმა ცოცხალი სამუშაოს გერში აიღოს, მოწმეებსთან ლაპარაკი ისწავლოს. იქნებ მაგისგან ხეირიც კი იყოს. შთაგონებითა ჰბრძანა: -არ გიკრძალავ. - და ჯერ იქვე ხელის გაქნევით აღკვეთა სიხარულის შემახილი, კოლეგიის რეგისტრატორის ბაგეებს რომ უნდა დასცდენოდა და მხოლოდ მერეღა დასძინა, - მაგრამ ჯერ კეთილი ინებეთ და მისი აღმატებულების ანგარიში დაასრულევით. და კიდევ აი, რა, გენცვალე, უკვე მეოთხე საათი გახლავსთ. ჰოდა, წავალ მე ჩემთვის. თქვენ კი ხვალ მომიყვებით, ის სტუდენტი საიდანა მოიტანა დახლიდარმა.

მესამე თავი,
რომელშიც გამოჩნდება `წელში მოხრილი სტუდენტი~
13

მიასნიცკიდან, სადაც სამძებრო სამმართველო მდებარეობდა ვიდრე სასტუმრო `ზოიარსკაია~ - აქ, კრების მიხედვით, დროებით ცხორებდა მემამულე სპიცინა, ოციოდე წუთის სავალი იყო და მოუთმენლობით აწრიალებულმა ფანდორინმა მაინც ფეხით გადაწყვიტა წასვლა. მტანჯველ `ლორდ ბაირონს~, გამოუთქმელი ვაი-ვიშით რომ ერჭობოდა ფერდებში ჩვენს მწერალ-მწარმოებელს, მის ბიუჯეტში ისეთი გარღვევა შეექმნა, მეეტლის ხარჯი უკვე პირდაპირ ასახვას ჰპოვებდა კვების ყოველდღიურ ულუფაზე. გზადმიმავალი შარშან გამხმარი და ახლახანს მოხარშული თევზისგან გამომცხვარ ღვეზელს შეექცეოდა (მეხსიერებიდან არ უნდა გადაგვივარდეს, რომ თავის უწყებაში უსადილოდ დარჩა აჟიტაციის, გნებავსთ, მღელვარების ნიადაგზე). ფეხმარდად მიაბიჯებდა ჩისტოპრუდნის ბულვარზე, სადაც წარღვნამდელი ბებიები - წულა-მესტებიტა და ჩაჩებით - ნამცეცებს უყრიდნენ კარგად ნაპატივებ, მოურიდებელ მტრედებს. ქვარიყულ ფენილზე ისე დაჰქროდნენ ღია ეტლები და ფაიტონები, რომ იმათ ფანდორინი ვერანაირად დაეწეოდა და იმისმა ფიქრებმაც განაწყენებული მიმართულება მიიღეს. სწორედ მოგახსენოთ, მამებარი კარგი ეტლისა და ბედაურის გარეშე, აბა-და, ვის გაუგონია. კიდევ კარგი, `ზოიარსკაია~ პოკროვკაზეა, თანაც მერე იქიდან იაუზისკენ - უფალ დახლიდარ კუკინს ხომ უნდა დაუკრას თავი - ესეც შენი ნახევარი საათის სასიარულო. აქ დაყოვნება სიკვდილის სწორფასი შექმნილა, საკუთარ თავს ჰგერშავდა ერასტ პეტროვიჩი (უნდა კი მოურიდებლად ითქვას, ცოტათი აზვიადებდა კიდევ). უფალმა ბოქოულმა მხოლოდ სამშაურიანი უწყალობა, თავადვე წადიო. არადა, სამმართველო ყოველ თთვეს ოთხმოცდაათ გაუტეხელ რუბლს კერძო მეეტლის საქირაოდ ჰრიცხავს. ჰაიდა-აჰა, საუფროსო პრივილედიები: ერთნი კერძო ეტლით მიბრძანდებიან შინ, ხოლოთუ მეორენი ორთავეთათვის აუცილებელ სამსახურებრივ საჭიროებაზე ფეხით დაჩანჩალებენ. მარცხენა მხარეს, მშრალი ყავახანის სახურავს ზემოთ ტროიციკის ეკლესიის სამრეკლო გამოჩნდა, რომლის შორიალოს მდებარეობდა `ზოიარსკაია~ - აი, ამისთანა მნიშნელოვანი აღმოჩენა უკარნახა ფანდორინს გულმა და უფრორე ფეხგაჩქარებით გასწია.

ნახევარი საათის შემდგომ, თავჩაქინდრული და სიქაგაცილილი პოკროვსკის ბულვარს მიუყვებოდა ქვემოთ, სადაც ისეთივე ნაპატივებ და თავგასულ მტრედებს, როგორნიც ჩისტოპრუდნიზე ვნახეთ, უკვე ჩამომავლობით დიდგვაროვანი ქალბატონები კი აღარ, ვაჭართა ცოლები აჭმევდნენ.

მოწმა დედაკაცთან ისეთი ლაპარაკი მოუხდა, დამამშვიდებელს ვერ დაარქმევდი. ის მემამულე დიაცი ერასტ პეტროვიჩმა ბოლო წამს დაიჭირა - უკვე მსუბუქ ეტლში ჩაჯდომას ეპირებოდა, სამგზავრო სკივრებითა და ფუთებით რომ იყო გამოტენილი, რათა სატახტოდან მშობლიური კალუგის გუბერნიაში დაბრუნებულიყო. ფულად საშუალებათა დაზოგვის მიზნით მოგზაურობდა უფალა სპიცინა ძველებურად, თავისი ცხენებით და არა რკინისგზით. აი, ამაში კი, ისემც ღვთის წყალობა თქვენა გქონდესთ, როგორც ფანდორინს გაუმართლა. მემამულე მანდილოსანი ვოგზალზე რომ გამოჰკიდებოდა მატარებელს, ვაითუ მათი ლაპარაკი აღარც გამართულიყო. სიტყვაზე ძუნწი მოწმას მუსაიფის შინა-არსი, ვისთანაც ხან იქიდან და ხანაც აქედან სცადა მიდგომა ერასტ პეტროვიჩმა, ერთ ალაგას იყრიდა თავს: ქსავერი თეოფილაქტოვიჩი მართალი იყო, სწორედ რომ კოკორინი ენახნა უფალა სპიცინას - სერთუკიც მოიგონა, გურგვალი შლაპაც და ლაკის შტიბლეტებიც, ჩვენებურად - ღილიანი საცვეთები, რაზედაც კრინტი არ დასცდენიათ ალექსანდროვის ბაღის მოწმეებს. მთელი იმედები უფალ კუკინზე დავიდა, ვისთან დამოკიდებულებაშიც, ალბათ, ისევ გრუშინი გამოდგება მართალი. ვილაცა ყბამოღებული დახლიდარი დაუფიქრებლად მოედო ღობე-ყორეს, შენ კიდევ მაგის გულისთვის ფეხით იწოწიალე მთელ მოსკოვში და ბოლოს ბოქოულის დასაციანი შეიქმენ.

საბაყლო დუქან `ბრიკინი და შვილების~ მინიანი კარი ზედგამოხატული შაქრის თავით,

პირდაპირ საპისწყლოზე გამოდიოდა და აქედან ხელისგულივით სჩანდა ხიდი - ეს უმაღლესი შენიშნა ფანდორინმა. ისიც დაატყო, რომ დუქნის ფანჯრები ღია იყო (დახუთულობის მეოხებით) და ეგება, პატრონს გაეგონა კიდევაც `რკინის ჩხაკუნით~, რაკილა ხიდის უახლოეს ქვის ბოძკინტამდე თხუთმეტ ნაბიჯზე მეტი არ იქნებოდა. კარიდან ცნობისმოყვარეობით გამოიჭყიტა წითელპერანგა, ორმოცწლამდე კაცმა - შალის შავ ჟილეტში, პლისე შარვალში და ბოთლებში ჩადგმული წულებით.

-რით გემსახუროთ, თქვენო კეთილშობილებავ? - შეეკითხა, - უკაცრავოთ კი გახლავართ და ბოდშიც მომიხდია, მაგრამ გზის დაკარგვა ხომ არ გინებებიასთ? -კუკინი? - მკაცრად დაეკითხა ერასტ პეტროვიჩი, რადგან წარმოთქმული სიტყვებიდან თავისთვის დამამშვიდებელი დასკვნის გამოტანა ვერ შეიძლო. -გახლავართ! - ყურები დაცქვითა უფალმა დახლიდარმა და ფაჩვნიერი წარბები ერთად შეჰყარა, მაგრამ მალევე მიხვდა, - თქვენო კეთილშობილებავ, პოლიციიდან ხო არა ჰბრძანდებით? უმორჩილესათ მადლობელი გახლავართ, არ ველოდი თქვენგანა ასეთს ელვისებურს ყურადღებასა. ბატონმა უბნის უფროსმა ჰსთქო, ზემოთ სახეში მიიღებენო, მაგრამა ეგრე ხელდახელ? რას ვიფიქრებდით, რას ვიფიქრებდით? ან აქამდისინ გარეთ რათა ვსდგავართ! დუქანში მობრძანდით. ისეთი მადლობელი გახლავართ, რომ - ბარაქალა! ბარაქალა!

ამ სიტყვებზე თავი დაუკრა, შეხსნა კარი და ხელის მოძრაობით შეიპატიჟა - მთელის გულითა გასთხოვსთ! - მაგრამ ფანდორინი არც განძრეულა თავისი ალაგიდან. შთაგონებული სახის მეტყველებით უთხრა:

-მე, უფალო კუკინ, უბნიდან კი არა, სამმართველოდან გახლავართ და პოვნა დამავალეს იმ სტუ... იმ კაცისა, ვის შესახებაც თქვენ მოახსენეთ უბნის ზედამხედველს. -აჰა, ის სკუბენტი? - თავი მოუქონა ამ საგანზე სალაპარაკოდ მზადმყოფმა დახლიდარმა, - აბა-და, როგორ, კობტათ და შვენივრათ დავიმახსოვრევი. რა შიში ვჭამეთ, ღმერთო კი შეგვიწყალე. რო დავინახე, არა, რო აემ ბოძკინტზედ აძვრნენ და შუბლზედ ფიშტო მიიღეს, აექვე ჩავკვდი - ვიფიქრე, რო ყოველისფერი გასთავდა... შარშანაც ეგრე არ იყო მეთქვი და დუქანში რო ქუდი შემოუგდო, კაციშვილი აღარ შემოადგამს მეთქვი ფეხსა. ჯამი გავარდეს, ქვაბში ჩავარდეს, მაგრამა, ჩვენ აქ რა შუაში გახლავართ, ამისი პასუხი მომეცით. რა ჭირი და ნაცილი დაეტაკათ, მამაძალი, თაფლი ხო არ წამისვია, რო მაინცა და მაინც ამ ჩემის დუქნის წინ დაიკრიფონ გულხელი? ადექი, შე დალოცვილიშვილო და მასკვა-რეკაზედ წადი, სულ კაი-კაი რიყის ქვებია და ხიდიც, გაგიხარია, ძან მალლა არი, ჰოდა, შენც ადექი და... -ხმა ჩაიკმინდეთ, კოკორინ! - შეაწყვეტინა ერასტ პეტროვიჩმა, - და უმჯობესია ის სტუდენტი აღმიწეროთ. როგორი სამოსი ეცვა, რანაირად გამოიყურებოდა და მითამ საიდან მოიტანეთ, რომ სტუდენტი.

-საიდან მოვიტანე, თქვენო კეთილშობილებავ და იქიდან, რომა... - გაუკვირდა დახლიდარს, - აი, როგორც სკუბენტს რო ეკუთვნის, არა? აეგეთინა ფორმაში გახლდასთ. მუნდირი გინდა. პჰყვიალა ღილები გინდა და ცხვირზედ კიდევ - შუშაბანდები.

-მუნდირი? - წამოიძახა ფანდორინმა, - მუნდირში იყო? -ვა... აბა, მაშ, როგორ? - კუკინმა თანაგრძნობით მიხედა ჩაუმხვდარ ჩინოვნიკს, - უმაგისოთ რანაირათ გამეგო, სკუბენტია თუ ვიდაცა ოხერ-ტიელი? მაშ, მე მუნდირის ყაიდაზედ სკუბენტი და სტაცკი ჩინოვნიკი ვეღარ გამირჩევნია? ამ მართებულ შენიშვნაზე ერასტ პეტროვიჩს რაღა ეთქმოდა, ჯიბიდან ერთი რიგიანი ბლოკნოტი და წესიერი ფანქარი ამოიღო ჩვენების ჩასაწერად. ეს ბლოკნოტი სამძებროში მუშაობის დაწყებამდე შეიძინა ფანდორინმა, სამი კვირა არ შეუწუხებია, დღეს გამოადგა - დილიდან მოყოლებული, ნელა-ნელა რამდენიმე ფურცელი შეავსო უკვე. -აბა, მოჰყევით, როგორ გამოიყურებოდა ის კაცი.

-როგორა და... კაცია რაღა, როგორღაც შეუმჩნეველი, სახეზედ აქა-იქა `რქებით~, მღიერებით
რა... და შუშაბანდებით.

-რომელი შუშაბანდებით - სათვალე ეკეთა თუ პენსნე?
-აი, ეგეთინა, ბაფთით რაღა.

-მაშინ, პენსნე, - ფანქარს აფხაჭუნებდა ფანდორინი. - კიდევ რა ნიშნები ჰქონდა?

-ორთავენი ძაან წელში მოხრილები იყვნენ, მხრები კინკრიხოზედ მაღლა მოემარჯვებინათ...

მოკლეთ, სკუბენტი სკუბენტია, აკი მოგახსენებთ...

საგონებელში ჩავარდნილი კუკინი `შტაცკი ჩინოვნიკს~ მიშტერებოდა, ის კი დიდხანს გაჩუმდა

- თვალებს ჭუტავდა, ტუჩებს აცმაცუნებდა, თავის პატარა რვეულს აშარიშურებდა. რაღა ბევრი
გავაგრძელოთ, ფიქრობდა რაღაცას თავისთვის კაცი.

`მუნდირი, მღიერიანი, პენსნე, წელში მოხრილი~ - აღნიშნული იყო ბლოკნოტში. უკაცრავოდ

და, აქა-იქა მღიერები - ეს წვრილმანია. კოკორინის ნივთების აღწერილობაში პენსნეს თაობაზე

სიტყვა არ არის დაძრული. დაკარგა? შეიძლება. მოწმეებიც არა-რას ამბობენ პენსნეზე, მაგრამ

თავის-მკვლელის გარეგნობის შესახებ რიგიანად არც გამოუკითხავთ იმათთვის - რად

უნდოდათ? წელში მოხრილი? ჰმ. `მოსკოვსკიე ვედომოსტიში~, მახსოვს, აღწერილია

`სამოქალაქო ყოჩაღი~, მაგრამ რეპორტიორი ამ შემთხვევას არ დასწრებია, კოკორინი არ

უნახავს; ასე, რომ `ყოჩაღობის~ მოჭორვაც შეეძლო უფრო მეტი ეფექტის მისაცემად. რჩება

სტუდენტური მუნდირი - ამას ვეღარ უკუაგდებ. თუკი ხიდზე კოკორინი იყო, მაშინ გამოდის,

რომ თერთმეტ საათსა და პირველის ნახევარს შორის რატომღაც სერთუკი გადაიცვა.

საინტერესოა, სად? იაუზიდან ოსტოჟენკამდე და მერე უკან, `მოსკოვის ცეცხლისგან

დაზღვევის ორდანიზაციამდე~ გრძელი გზა არის, საათნახევარში ვერ მობრუნდები.

და გულის კოვზთან ყრუ ტკივილმა ფანდორინი მიახვედრა, რომ ერთადერთი გამოსავალი

აქვს: მაგრად ჩაჰკიდოს ქეჩოში დახლიდარ კუკინს, წაიყვანოს უბანში, მოხოვაიაზე, სადაც

მორგში ჯერ კიდევ ასვენია ყინულებშემოწყობილი თავისმკვლელის გვამი და ამოცნობა

გამართოს. ერასტ პეტროვიჩმა წარმოიდგინა გაპობილი თავის ქალა, სისხლის და ტვინის

ნაგურჯლებით, და სავსებით ბუნებრივად სახეში დაუდგა ვაჭრის ყელგამოღადრული ცოლი

კრუპნოვა, აქამდისინ კიდევ რომ ეჩენებოდა ხოლმე ღამის კომმარულ სიზმრებში. არა,

`საყინულეში~ წასვლა ნამდვილად არ უნდოდა. მაგრამ მცირე იაუზსკის ხიდის სტუდენტსა და

ალექსანდროვის ბალის თავის-მკვლელს შორის რაღაც კავშირი იყო, რომელშიც დაუყოვნებლივ

უნდა გარკვეულიყო. ვის შეუძლია უთხრას, იყო თუ არა კოკორინი `რქებიანი~ და წელში

მოხრილი? და ატარებდა თუ არა პენსნეს?

პირველ რიგში, მემამულეს, უფალა სპიცინას, მაგრამ ის, ალბათ, უკვე კალუგის საგუშაგოს

უახლოვდება. მერე, განსვენებულის კამერდინერი. როგორ არის იმისი გვარი? რა საჭიროა,

მაინც გამომძიებელმა გამოაგდო ბინიდან, წადი და ეძებე. დარჩნენ ალექსანდროვის ბალის

მოწმეები, განსაკუთრებით ის ორი მანდილოსანი, რომლებთანაც კოკორინი ლაპარაკობდა

თავისი სიცოცხლის ბოლო წუთს. აი, ისინი კი ყოველისფერს დაინახავდნენ. აგერ,

ბლოკნოტშიც ჩამიწერნია: `ქალისშვილი ნ.ს.მ. ელიზ. ალექსანდროვნა ფონ ევერტ-კოკოლცევა,

17 წლისა; შინაბერა ემა გოტლიბოვნა პფული, 48 წლის, მცირე ნიკიტინსკაია, საკუთარი

სახლი~.

მეეტლის ხარჯს ამჯერად ვეღარ გადურჩებოდა.

ძალიან გრძელი დღე გამოდიოდა. მაისის ხალისიანი მზე, სულაც რომ არ დაღლილიყო

ოქროსთავიანი ქალაქის გაბრწყინებით, უწადინოდ ჩამოდიოდა სახურავების ხაზებიდან, როცა

ორი აბაზით გაღარიბებული ერასტ პეტროვიჩი ეტლიდან ჩამოვიდა დორიული სვეტებით,

მოჩუქურთმებული ფასადითა და მარმარილოს პარმალთ დაშვებულ, მდიდრულ სახლთან.

მეეტლემ შეატყო, რომ შეყოყმანებული მგზავრი გაჩერდა და უთხრა:

-სწორეთ ეს არი ღენერლის სახლი, იჭვიც არ შეგეპაროთ. განა პირელი წელია, რაც ამ ქალაქში

დავდივარ.

ასე არ შემიშვებენ~, - მოსალოდნელი დამცირების შიშისგან ერასტ პეტროვიჩს გული შეუფრთხილდა. ხელი მოჰკიდა სპილენძის ბრჭყვიალა ჩაქუსს და ორჯერ დაარაკუნა. ბრინჯაოს ლომების სახეებით დამშვენებული მასიური კარი დაუყოვნებლივ განიხვნა და ოქროსბუზბენტიან, მდიდრულ ლივრეაში გამოწყობილმა შვეიცარმა გამოიხედა.

-ბატონ ბარონთან ჰბრძანდებით? სამსახურიდამ? - საქმიანად დაეკითხა, - მოვახსენო თუ რაიმე ქალადი გადავცე? შემოჰბრძანდისთ, მანდ რატომ ჰსდგახართ? ჭალითაც და გაზის რქაულებითაც გაჩირალდნებულ მისაღებში სტუმარი მთლად დაფრთხა. -მე პირადად ელიზავეტა ალექსანდროვნასთან გეახელით, - აუხსნა მან, - ერასტ პეტროვიჩ ფანდორინი, სამმებრო პოლიციიდან. გადაუდებელი საჭიროების გამო. -სამმებროდამ? - იქვით შეიჭმუნა კარის გუმბაგი, - გუშინდელის საქმის გამო ხომ არა? არც კი იფიქროთ. ქალიშვილები თითქმის ნახევარი დღე ქვითინებდნენ და ღამითაც კარგათ არა სძინებიათ. ვერც შეგიშვებთ და ვერც მოვახსენებ. გუშინ რომ ელიზავეტა ალექსანდრონა დაკითხვებით გააწამეს, მისი აღმატებულება თქვენებს, საუბნოდამ სულ კისრების წაწყვეტით დაემუქრა. ქუჩაში მიბრძანდით, ქუჩაში. - და იმ არამზადამ გასასვლელისკენ უბიძგა თავისი უშველებელი ღიპით.

-შინაბერა პფული? - წამოიძახა სასოწარკვეთილმა ერასტ პეტროვიჩმა, - ორმოცდარვა წლის ასაკის ემა გოტლიბოვნა? იმასთან მაინც გავისაუბრებდი. სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა! შვეიცარმა მედიდურად ააცმაცუნა ტურები:

-იმასთან შეგიშვებთ, რატომაც არა. აი, იქით, კიბის ქვეშ მიბრძანდით. დერეფანში. მარჯვნივ მესამე კარი. მანდა ჰსცხოვრობს ქალბატონი აღმზრდელი. დაკაკუნების მერე მაღალმა, გამძალებულმა არსებამ გაულო კარი და სტუმარს მრგვალი, თაფლისფერი თვალებით მიაჩერდა.

-ფანდორინი. პოლიციიდან. ქალბატონი პფული ბრძანდებით? - ყოყმანით წარმოთქვა ერასტ პეტროვიჩმა და ყოველშემთხვევაში ნემენცურად გაიმეორა, - პოლიციამტ. ზინდ ზი ფრეილან პფულ? გუტენ აბენდ. (პოლიციის სამმართველო. თქვენ ქალისშვილი პფული ხართ? სადამო მშიდობისა~).

-მშვიდობის საგამო, - ცივად მიუგო გამძალებულმა, - დიაგ, მე ემმა პფული ვარ. შემოდიტ. იმ სკამზედ დაბრდზანდიტ.

ფანდორინი მითითებულ ადგილზე, მორკალულ საზურგიან ვენურ სკამზე დაჯდა, რომელიც რაღაც სახელმძღვანელოების და საწერი ქალადის დასტების ზედმიყოლებითი წესრიგიანობით გაწყობილ საწერ მაგიდასთან იყო მიდგმული. ოთახი კარგი იყო, ნათელი, მაგრამ მეტად მოსაწყენი, თითქო მკვდარი. მხოლოდ რაფაზე იდგა მთელი სამი ქოთანნი წამოზრდილი ნემსიწვერებით - ერთადერთი ნათელი წერტილი მთელ ამ მოღუმულ სადგომში.

-ტკვენ იმ სულელი კმაწვილკაცის ტაობაზე ბრდზანდებიტ, საკუტარ ტავს რომ ესროლა? - შეეკითხა შინაბერა პფული, - მე გუშინ ბატონი პოლიციელის კველა შეკიტხვას ვუპასუხე, მაგრამ ტუ კიდევ გსურტ, შეგიდზლიატ მკიტხოტ. მე კარგატ მესმის, რომ პოლიციის მუშაობა - ეს დზალიან მნიშვნელოვანია. ბიდზაჩემი გიუნტერი ზაკსონიის პოლიციაში მსახურობდა ობერ-ვახმაისტერად.

-მე კოლეგიის რეგისტრატორი ვარ, - თავადაც რომ ვახმაისტერად არ მიეღოთ, სასწრაფოდ აუხსნა ერასტ პეტროვიჩმა, - მეთოთხმეტე კლასის მოხელე.

-დიაგ, მე შემიდზლია ჩინების გარჩევა, - თავი დაუქნია ნემენცმა ქალმა და სტუმრის ვიცმუნდირის საღილეზე მიუთითა, - მაშ, ასე, ბატონო კოლეგიის რეგისტრატორო, მე ტქვენ გისმენტ.

ამ მომენტში კარი დაუკაკუნებლად შემოხსნა და ოთახში შემოფრინდა ქალიშვილი მომაჯადოებლად აწითლებული სახით.

-freilein pful! Morgen fahren wiz nach Kuntsevo! (ხვალ ჩვენ კუცევოში მივდივართ!~ - ნემენც.)
პატიოსანი სიტყვაა! მამიკომ ნება მოგვცა! - ზღურბლიდანვე წააყარა, მაგრამ უცხოს დანახვაზე
შეჩერდა და დარცხვენილი დადუმდა, ტუნცა მისი ნაცრისფერი თვალები ცოცხალი
ყურადღებით მიაჩერდნენ ახალგაზრდა ჩინოვნიკს.

-კარგად აგზრდილი ბარონესები კი არ დარბიან, არამედ დადიან, - სამგელი სიმკაცრით
უთხრა აღმზრდელმა, - მიტ უფრო მაშინ, როცა ისინი მტელი ჩვიდმეტი ცლისანი არიან. ტუკი
არ დარბიხარტ, არამედ დადიხარტ, ტკვენ გაკვტ დრო, დაინახოტ უცნობი კაცი და წესიერად
მიესალმოტ.

-გამარჯობა, ბატონო! - თითქოსდა გაიშრიალა საოცარმა ხილვამ.
ფანდორინი წამოხტა და თავი დაუკრა, თან უსამაგლესად იგრძნო თავი. გოგონა საშინლად
მოეწონა და საწყალი მწერალ-მწარმოებელი შეშინდა, რომ ახლა ადგება და ერთი ნახვით
შეიყვარებს, მაგრამ ამის ჩადენა არაფრით არ შეიძლება. ადრეც კი, მამის კეთილდღეობის ხანაში
ასეთი პრინცესა ვერანაირად ვერ იქნებოდა მისი საწყვილო, ახლა კი მით უმეტეს.

-გამარჯობა, - ძალიან მშრალად მიუგო მან, მკაცრი გამომეტყველება მიიღო და გონებაში
დასძინა: `არასახარბიელო როლში გსურდათ ჩემი წარდგენა? ეს ტიტულიანი მრჩეველი და ეს
კი ღენერლის ქალიშვილი? არა ქალბატონო, არ გამოგივათ! ტიტულარულამდე ჯერ კიდევ
რამდენი უნდა ვიმსახურო და ვიმსახურო~.

-კოლეგიის რეგისტრატორი ფანდორინი, ერასტ პეტროვიჩი, სამძებრო პოლიციის
სამმართველო, - ოფიციალური ტონით წარუდგა, - ვაწარმოვებ მოკვლევას გუშინ
ალექსანდროვის ბაღში მომხდარ სამწუხარო შემთხვევაზე. გაჩმდა აუცილობლობა, კიდევ
დამესვა რამდენიმე შეკითხვა, მაგრამ თუკი თქვენ არ გსიამოვნებთ - მე შესანიშნავად მესმის,
როგორ მდგომარეობაში იყავით, - ჩემთვის საკმარისი იქნება საუბარი მხოლოდ ქალბატონ
პფულთან.

-დიაღ, ეს საშინელება იყო, - ქალიშვილის ისედაც დიდი თვალები უფრო ფართოდ გაიღო, -
მართალია, მე თვალები დავხუჭე და თიტქმის ვერაფერს ვხედავდი, მერე კი გრძნობა
დავკარგე... მაგრამ ისე მაინტერესებს!.. ფრეილეინ პფულ, შეიძლება მეც დავრჩე? ძალიან
გთხოვთ! მე, სხვათაშორის, ისეტივე მოწმე ვარ, როგორიც თქვენ!

-ჩემის მხრივ და ტანაც გამოზიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვამჯობინებდი, ქალბატონი
ბარონესა აქ დარჩენილიყო, - სულმოკლეობა გამომჟღავნა ფანდორინმა.

-cesi cesia, - Tavi dauqnia ema gotlibovnam, - me, lixzen, koveltvis gimeorebdi: Ordnung muss sein
(წესრიგი უნდა იყოს~ - ნემენც.). კანონის მორჩილი უნდა იკოტ. შეგიდზლიატ დარჩეტ.
ლიზანკა (თავისთვის უკვე ასე ეძახდა ელიზავეტა ალექსანდრონას გაუგონარი სისწრაფით
მომაკვდავი ფანდორინი) უკვე მზადმყოფი დაეშვა ტყავის ტახტზე და სრული მზერით
განაგრძო ჩვენი გმირის თვალიერება.

მან კი თავი ხელში აიყვანა და ფრეილიან პფულისკენ შებრუნებულმა ითხოვა:
-აღმიწერეთ, გეთაყვა, იმ ბატონის პორტრეტი.

-ვინც ტავის ტავს ესროლა? - დააზუსტა მასპინძელმა. - Na ja (მაშ, ასე~ - ნემენც.). კავიფპერი
ტვალები, კავისპერი ტმა, საკმაოდ მაგალი, ცვერ-ულვაში - არა, ბაკენბარდებიც არა, სახე
სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ არცტუ კარგი. ახლა ტანის სამოსი...

-ტანსაცმელზე მერე, - შეაწყვეტინა ერასტ პეტროვიჩმა, -თქვენ ამბობთ, რომ კარგი სახე არა
ჰქონდა. რატომ, სახეზე მღიერების მეოხებით?

- ჯა, მღიერები, - აღმზრდელმა გემრილად გაიმეორა ვერგაგებული სიტყვა, - არა, მღიერები იმ
ბატონს არ ჰქონია. მას ჰქონდა ღჟანმრტელი კანი. სახე კი არცტუ კარგი.
-აბა, როგორი?

-ბოროტი. ის ისე იკურებოდა, ტიტკოს სურდა ტავისი ტავის მოკვლა კი არა, არამედ ვიგაც სულ
სხვისა. ო, ეს კომშარი იყო! - მოგონებებმა ალაგზნო ემა გოტლიბოვნა, - გაზაპხული, ოკროს
ამინდი, კველა დამა და ბატონი დასეირნობს, საოცარი უკანა მხარე სულ კვავილებში!

ამ სიტყვებზე ერასტ პეტროვიჩი გაწითლდა და აღმაცერად გახედა ლიზანკას, მაგრამ ის, ეტყობა, დიდი ხანია შეჩვეოდა თავისი დუენიას თავისებურ გამოთქმას და ისევ ისეთი ნდობითა და სხივთაფრქვევით უყურებდა.

-პენსნე თუ ჰქონდა? იქნებ, ცხვირზე არ ეკეთა და ჯიბიდან მოუჩანდა? აბრესუმის ლენტით? - შეკითხვებს აყრიდა ფანდორინი, - და ხომ არ მოგეჩვენათ, რომ წელშია მოხრილი? და, აი კიდევ რა - ვიცი, რომ სერთუკში იყო, მაგრამ მის გარეგნობაში რაიმე ხომ არ ამჟღავნებდა სტუდენტს? მაგალითად, ფორმის შარვალი არ შეგიმჩნევიათ?

-მე კოველტვის კოველიპერს ვამჩნევდი, - საკუთარი ღირსებობის სრული შეგრძნებით მიუგო ნემენცმა, - შარვალი იყო კუბოკრული პანტალონი გზვიპასი აბრეშუმისგან. პენსნე საერთოდ არა ჰკონია. არც ცელში მოხრილი არ იყო. იმ ბატონს კარგი თავდაჭერა ჰკონდა. - ჩაფიქრდა და მოულოდნელად შეკითხვა შეუბრუნა, - ცელში მოხრილი, პენსნე და შტუდენტი? რატომ ტკვენ ასე სტკვიტ?

-დიაღ, მერედა, რა? - ჩაუსაფრდა ერასტ პეტროვიჩი.

-უცნაურია, იკ იკო ერტი ბატონი. ცელში მოხრილი შტუდენტი პენსნეში.

-როგორ!? სად!? - ამოიგმინა ფანდორინმა.

-მე დავინახე ასეთი ბატონი... ჯენსეისტ... ზგუდის მეორე მხარეს, კუჩაში. იდგა და ჩვენ გვიკურებდა. მე იმასაც ვპიკრობდი, რომ ახლა ბატონი შტუდენტი ამ საშინელი კაცის გაგდებაში გვიშველის. და ის იკო დზალიან ცელში მოხრილი. ეს მერე დავინახე, როცა ამ ბატონმა უკვე მოკლა ტავისი ტავი. შტუდენტი შეტრიალდა და ჩკარა-ჩკარა ცავიდა. და მე დავინახე, ის როგორი ცელში მოხრილია. ეს იმტომ ხდება, რომ ბავშვებს ბავშვობაში არ ასცავლიან სცორად დჟდომას. სცორად დჟდომა დზალიან მნიშვნელოვანია. შეხედეთ ფრეილიან ბარონესსას. ხერდავტ, როგორ უჩირავს ცელი? დზალიან ლამაზად! აი, აქ კი ელიზავეტა ალექსანდროვნა გაწითლდა, თან ისე საყვარლად, რომ ფანდორინმა წამით ძაფი დაკარგა, თუმცა ქალბატონი პფულის ჩვენებას, უთუოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

მეოთხე თავი,
რომელიც სილამაზის დამღუპველ ძალაზე გვიამბობს

მეორე დღეს, დილის თერთმეტი საათისთვის უფროსისგან ნაკურთხი და ექსტრაორდინალური ხარჯებისთვის სამი რუბლით აღჭურვილი ერასტ პეტროვიჩი მოხოვიაზე მივიდა, უნივერსიტეტის ყვითელ კორპუსთან. დავალება რთული არ იყო, მაგრამ თავისებურ გამართლებას ისიც საჭიროებდა: უნდა მოეძებნა წელში მოხრილი, როგორღაც შეუმჩნეველი, ნაწილობრივ სახემღიერიანი სტიდენტი აბრეშუმის ლენტისანი პენსნეთი. ისიც დასაშვები იყო, რომ ეს საეჭვო ბატონი სულაც არა სწავლობდა მოხოვიაზე, არამედ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, სატყეო აკადემიაში ანთუ რომელიმე მომიჯნავე ინსტიტუტში, თუმცადა ქსავერი თეოფილაქტოვიჩი (თავის ყმაწვილ თანაშემწეს გაკირვებული სიხარულით რომ უყურებდა) სრულიად ეთანხმებოდა ფანდორინის ვარაუდს - მოსალოდნელი იყო, რომ `ცეშო მოხრილი~, ისევე, როგორც განსვენებული კოკორინი, უნივერსიტეტში სწავლობდა და სწორედ იურიდიულ ფაკულტეტზე.

პარტიკულარულ (კერძო) სამოსში გამოწყობილი ერასტ პეტროვიჩი კისრისტეხვით ავარდა მთავარი ფასადის გაპრიალებულ თუჯის საფეხურებზე, ჩაუქროლა მწვანე ლივრეიანსა და წვერიან მოსამსახურეს და მოხერხებული პოზიცია დაიკავა ფანჯრის ნახევარწრისებურ ამბრაზურასთან, საიდანაც ჩინებულად ჩანდა ვესტიბული თავისი საგარდერობოთი, ეზოც და ორთავე ფრთაში გასასვლელები. მას შემდეგ, რაც მამა გარდაეცვალა და ყმაწვილკაცის ცხოვრებამ პირდაპირი და ნათელი გზიდან გადაუხვია, უნივერსიტეტის წმინდა და ყვითელ კედლებს ერასტ პეტროვიჩი იმ მწუხარების გარეშე უყურებდა, რომ, ხომ შეიძლებოდა აქ ესწალა

და ვაირომ ვერ ისწავლა. ჯერ კიდევ არავინ უწყის, რანაირი ცხოვრება უფრო წარმტაცი და საზოგადოებისთვის სასარგებლოა - სტუდენტური ბეჯითი ზეპირობა თუ სამძებრო აგენტის პირქუში ცხოვრება, მეტად საჭირო და სახიფათო საქმე რომ მიჰყავს (კარგი, დავუშვათ, უხიფათო, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო და იდუმალი). ყურადღებამოკრებილი დამკვირვებლის მხედველობის არეში მოხვედრილი სტუდენტებიდან დაახლოებით ყოველი მეოთხე პენსნეს ატარებდა, ბევრი სწორედ აბრეშუმის ლენტით. დაახლოებით, ყოველ მეხუთეს ფიზიონომიაზე ცოტაოდენი მღიერები ჰქონდა, წელში მოხრილებიც საკმაოდ იყო. მაგრამ ერთ სუბიექტში რომ შეერთებულიყო სამივე სამძებრო გერში - ეს არაფრისდიდებით არა სურდათ თავად გერშებს. მეორე საათისთვის მოშვივებულმა ფანდორინმა ჯიბიდან ძეხვიანი სენდვიჩი ამოიღო და პოსტის მიუტოვებლად მომაგრდა. ამ დროისათვის ერასტ პეტროვიჩმა მოასწრო კეტილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება წეროსან მაკარესთან, რომელმაც უბრძანა, მიტრიჩი დაეძახნა და ისიც მოასწრო, რომ `უნივერსიტეტში~ ჩაბარებასთან დაკავშირებით რამდენიმე ფასდაუდებელი რჩევაც მიეცა. ფანდორინი, ამ ლაპარაკის მოყვარულ მოხუცს უნივერსიტეტის გერბიან ღილებზე მეოცნებე პროვინციელად რომ წარუდგა, უკვე ფიქრობდა, ვერსია შეეცვალა და პირდაპირ გამოეკითხა მიტრიჩი `ცელში მოხრილისა~ და მღიერების შესახებ, რომ მეკარე კიდევ ერთხელ დაფაცურდა, თავიდან ფურჭი მოიშვლიპა და კარი გააღო. ამ პროცედურას მიტრიჩი მაშინ ასრულებდა, როცა ვინმე პროფესორი ან მდიდარი სტუდენტი ჩაუვლიდა, რისთვისაც ხან კაპიკს ჭებულობდა და ზოგჯერ შაურთანსაც კი. ერასტ პეტროვიჩმა გაიხედა და დაინახა, რომ გასასვლელისკენ მიემართება ვიღაც სტუდენტი, ახლახანს რომ მიეღო გარდერობიდან ლომის თათების შესაკრავებიანი მდიდრული ხავერდის ლაბადა. ამ პეწენიკს ცხვირზე პენსნე უბრწყინავდა, შუბლზე კი მღიერები, გნებავთ, `რქები~ გამოფიფქვოდა. ზამბარასავით დაიძაბა ფანდორინი, ცდილობდა დაენახნა, წელში მოხრილის კვალობაზე როგორ მოჰყვებოდა სტუდენტი, მაგრამ ლაბადის დაწყვეტილი მოსასხამი და აწეული საყელო დიაგნოზის დასმაში უშლიდნენ ხელს.

-სალამო მშვიდობისა, ნიკოლაი სტეპანიჩ. მეეტლეს ხომ არ დავუძახო? - თავი დაუკრა მეკარემ.

-მითამ რაო, მიტრიჩ, წვიმამ გადაიღო? - წვრილი ხმით ჰკითხა მღიერინმა, - მაშინ გავივლი, დიდხანს ვიჯექი. - და გამოწვდილ ხელს თეთრ ხელთათმანიანი ორი თითით მონეტა ჩაუგდო.

-ვინ არის? - უჩურჩულა ერასტ პეტროვიჩმა, მიმავალი ფრანტ-კოხტაპრუწას ზურგს დამბული რომ მისჩერებოდა, - თითქო მოხრილია, არა?

-ნიკოლაი სტეპანიჩ ახტირცევი. თავადური სისხლის ერთი უპირველესი მდიდარი, - მოწიწებით გამოუცხადა მიტრიჩმა, - სამშაურინზედ ნაკლებს არ იძლევა. თითქოსდა ფანდორინი წინათგრძნობამ შუაცეცხლში ისროლა. ახტირცევი! ის ხომ არა, ანდერძში აღმასრულებლად რომ ჩაწერეს! მიტრიჩი მომდევნო ჩამვლელს, ფიზიკის მასწავლებელს უკრავდა თავს და რომ შემოტრიალდა, სიურპრიზი დაუხვდა: თავაზიანი პროვინციელისთვის თითქოსდა მიწას ექნა პირი და გადაეყლაპნა.

ხავერდის შავი ლაბადა შორიდანვე მოჩანდა და ფანდორინი ეჭვმიტანილს მალევე წამოეწია, მაგრამ დამახება ვერ გადაწყვიტა: რა უნდა უთხრას ამ ახტირცევს? დავუშვათ, დახლიდარმა კუკინმაც იცნო, შინაბერა პფულმაც (აქ ერასტ პეტროვიჩმა მძიმედ ამოიოხრა, რაკილა, ვინ იცის, უკვე მერამდენედ გაახსენდა ლიზანკა). მერე ამით რა? განა უკეთესი არ იქნება, რომ უდიადესი ფუშეს - ძიების სწორუპოვარი კორიფეს - მეცნიერების თანახმად, ობიექტს თვალ-ყური ადევნოს?

ითქვა და გაკეთდა კიდევ. მით უფრო, რომ თვალთვალი სულაც არ აღმოჩნდა ძნელი: ახტირცევი აუჩქარებლად და უკანმოუხედავად ტვერსკოის მიმართულებით მიდიოდა, ხამუშ-ხამუშ თვალსაც გაადევნებდა ხოლმე პირისახეზე დახატულ მოდისტკებს. გათამამებული

ერასტ პეტროვიჩი რამდენჯერმე მიუახლოვდა და ესმოდა, თუ როგორ უზრუნველად უფშტვენდა სტუდენტი სმიტის არიას `სპარსელი ლამაზმანიდან~. ეტყობა, შეუმდგარი თავის მკვლელი (თუ მართლა ის იყო) ჩინებულ გუნებაზე გახლდათ. კორფის თამბაქოს მაღაზიასთან სტუდენტი შედგა და დიდხანს ათვალიერა ვიტრინაზე მოთავსებული სიგარის კოლოფები, თუმცა შიგნით არ შესულა. ფანდორინს ჩამოუყალიბდა შეხედულება, რომ `ობიექტი~ დროს წელავს რომელიღაც დანიშნულ საათამდე. ეს რწმენა უფრო განმტკიცდა, როცა ახტირცევმა ოქროს საათი ამოიღო, სახურავი გააწკაპუნა და ოდნავ ფეხგაჩქარებით გასწია ტროტუარის აღმა, თანაც გადავიდა უფრო გადამწყვეტი `ბიჭების ქოროს~ შესრულებაზე ახალმოდური ოპერიდან `კარმენ~.

კამერგერსკზე რომ შეუხვია, სტუდენტმა შტვენა შეწყვიტა და ისე მკვირცხლად გასწია, რომ ერასტ პეტროვიჩი იძულებული შეიქმნა, ჩამორჩენოდა - ეს რომ არ ექნა, ძალიან საეჭვოდ გაიხდიდა თავს. საბედნიეროდ, დარზანის მანდილოსანთა სალონთან არმისულმა `ობიექტმა~ ნაბიჯი შეანელა და მალე გაჩერდა კიდეც. ფანდორინი საპირისპირო მხარეს გადავიდა და საფუნთუშის მახლობლად დაიკავა პოსტი, საიდანაც ნამცხვრების სასიამოვნო სურნელება გამოდიოდა.

თხუთმეტი და, შეიძლება, ოცი წუთიც კი, ახტირცევი უფრო და უფრო შესამჩნევ ნერვიულობას ავლენდა და მუხის ჩუქუქრობებიან კართან მიდი-მოდიოდა, სადაც შედიოდნენ მანდილოსნები და იქიდან ხელის ბიჭებს იმათთვის გამოჰქონდათ რიგიანი შეფუთულები და სხვადასხვა ყუთები. ტროტუარის სისწვრივ ეკიპაჟები იცდიდა, რომელთაგან რამდენიმე ლაკწასმულ კარზე გამოსახული გერბებითაც იყო. სამის ჩვიდმეტ წუთზე (ერასტ პეტროვიჩმა ვიტრინის საათზე შეამჩნია) სტუდენტი შეკრთა და მაღაზიიდან გამოსული კეთილადნაგი, ვუალიანი დამისკენ გაეჩქარა. მოიხადა ფურაჟი და რაღაცის ლაპარაკი დაუწყო ხელების ქნევით. მოწყენილი გამომეტყველების ფანდორინმაც გადაკვეთა მოსტოვარა - რა არის, რომ, იქნება იმასაც უნდა დარზანსთან შეიხედოს. -ახლა თქვენთვის არა მცალია, - მოესმა წკრიალა ხმა ბანოვანისა, ბოლო პარიზულ მოდაზე რომ ეცვა იისფერი, მუარის ლივლივა კაბა, თავისი შლეიფით, - მერე იყოს. რვა საათზე მოჰბრძანდით, ჩვეულებრივ, და იქ გადაწყდება ყოველისფერი. და მეტად აღარც კი შეუხედავს აღზნებული ახტირცევისთვის, ორადგილიანი, თავგადახდილი ფაეტონისკენ გაემართა.

-მაგრამ, ამალია! ამალია კაზიმიროვნა, ნება მიბოძეთ! - შეძახილი გაადენა გულამომჯდარმა სტუდენტმა, - მე გარკვეულწილათ პრივატული ახსნა-განმარტების იმედზედ ვიდექი! -მერე, მერე! - გადაუგდო დამადლებით ვუალოსანმა, - ახლა მეჩქარება! მსუბუქმა ქარმა სწორედ ის უწონო ვუალი აჰხადა სახიდან და ერასტ პეტროვიჩი კერპსავით გაქვავდა. ეს ღამეული და მიზნედილი თვალები, ეს მეგვიპტური ოვალი, ეს კაპრიზული კლავნილები ტუჩებისა უკვე ენახნა, და ასეთ სახეს ერთხელ ნახავ და ვეღარც დაივიწყებ ვერასოდეს. აი, ისიც, იდუმალი `ა. ბ.~, რომელიც იმ ბედნავს კოკორინს უბრძანებდა, სიყვარული არ უვარჰყოვო! საქმე, როგორც ჩანდა, სრულიად სხვა მიმართულების ფიქრებსა და ელფერს იდებდა.

დაბნეული ახტირცევი ტროტუარზე გაქვავდა და თავი მხრებში ჩარგო (წელში მოხრილია, სწორედ, წელში მოხრილი, დარწმუნდა ერასტ პეტროვიჩი), ამასობაში ფაეტონს აუჩქარებლად მიჰყავდა მეგვიპტის დედუფალი პეტროვიჩის მხარეს. რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო სასწრაფოდ და ფანდორინმა განსაჯა, რომ სულ ერთია, სტუდენტი ვეღარსად დაეკარგება და ხელი ჩაიქნია მასზე - წინ გაიქცა, დიმიტროვის კუთხის მიღმა, სადაც მეეტლეებს რიგი მოეწყობო.

-პოლიცია, - უჩურჩულა კარტუზიან ქუდში და დაბამბულ ხიფთანში ჩათბილულსა და წათვლემილ ვანკას, - ჩქარა, იმ ეკიპაჟს მიჰყევი! გაინძერი მეთქი! რას ცახცახებ, სრულს

გადაგიხდი!

ვანკა შეიმართა, მოჭარბებული გულმოდგინებით დასწვდა სახელურს, აღვირი მოქაჩა, შეუძახა კიდეც და აბრაშა ცხენის ფლოქვები თანმიყოლებით ახმაურდა მოსტოვოს ქვარიყულფენილზე.

კუთხეში, როჟდესტვენსკის გადაკეთაზე ფიცრით დატირებული ფორანი გამოვიდა და მთელი სავალი ნაწილი გადაფარა. უკიდურესად აღელვებული ერასტ პეტროვიჩი წამოხტა, ცერებზე შედგა და გასწრებულ ფაეტონს გააყოლა თვალი. ის მაინც კარგია, რომ დაინახა, თუ როგორ შეუხვია ბოლშაია ლუბიანკაზე.

არა უჭირს რა, ღვთის წყალობა იყოს და, სრეტენკაზე დაეწივნენ ფაეტონს, თანაც დროულად - რადგან იმან ვიწრო, კუზიან შესახვევში დაყვინთა და ბორბლებიც ოღრო-ჩოღროზე ახტუნავდა. ფანდორინმა დაინახა, რომ ფაეტონი უკვე ჩერდება და თავის ვასკა მეეტლეს მხარში უჯიკავა - მიდი, შეუბერეო რა და არ გამცეო. თავად მოსაჩვენებლად შეტრიალდა, მაგრამ თვალის კუთხით ხედავდა, თუ ქვითნაგებ სასიამოვნო სახლთან ჩამომხდარ იისფერ ბანოვანს თავისდაკვრით როგორ ხვდებოდა ვიღაც აყლაყულა ლივრეიანი. პირველსავე კუთხეში ერასტ პეტროვიჩმა მეეტლე გაუშვა და ყოვლად აურჩარებლად, თითქო მისეირნობსო, უკუ მიმართულებით გასწია. აი, ის სახლიც - ახლა კარგად შეიძლება მისი დათვალიერება: მეზონინი მწვანე სახურავით, ფანჯრებში ფარდები, მთავარი შესასვლელი წინსაფარი საჩიხით. კარზე სპილენძის დაფა რაღაც არა ჩანს.

სამაგიეროდ, კედელთან მიმდებარე ფარდულში თავისი წინსაფრიანად და დაჭმუჭნული კარტუზის ქუდიანად იჯდა მოწყენილი მეეზოვე. ერასტ პეტროვიჩმაც მისკენ გასწია. - ერთი ეს მითხარი, ოქროკაცო, - სიარულიდანვე დაიწყო მან, თანაც ჯიბიდან თავისი უწყების აბაზიანს იღებდა, - ეს ვისი სახლია?

- ვისიც არი, ცნობილი ამბავია, - პირქუშად მიუგო მეეზოვემ და ინტერესით განაგრძო ფანდორინის თითების მოძრაობის თვალთვალი.

- აჰა-და, აიღე. ეს რომელი ბანოვანი მოვიდა?

- ღენერალმა მასლოვას სახლია, მაგრამ ისინი აქ არა ცხოვრობენ, აქირავებენ. ჰოდა, დამქირავენბელი მოვიდა, ქალბატონი ბეჟეცკაია, ამალია კაზიმიროვნა.

- ვინ არის ამისთანა? - ჩამოჯდა ერასტ პეტროვიჩი, - ანთუ დიდი ხანია აქა ცხოვრობს? და ბევრნი დაიარებიან სტუმრად?

მეეზოვე ბაგემდურად უცქეროდა, ტუჩებს იკვნეტდა და ეტყობოდა, იმის ჭკუაში რაღაც გაუგებარი სამუშაო სრულდებოდა.

- იცი, რას გეტყვი, ბატონო, - თქვა მან, წამოდგა და მოულოდნელად ღონივრად ჩაეჭიდა ფანდორინს მკლავში, - ცოტა მოიცადე.

გამალიანებული ერასტ პეტროვიჩი ფასადამდე გაითრია და ბრინჯაოს ზარის ენას ჩამოჰკრა.

- რას სჩადი?! - შეეშინდა მამებარს, განთავისუფლებას რომ ცდილობდა გულმოდგინედ, - მე შენ გაჩვენებ... შენ იცი, ვის ელაპარაკები?

კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ლივრეიანი ახმახი, უშველებელი ბაკენბარდებითა და კარგად გაპარსული ნიკაპით - ზედ ეტყობოდა, რუსული სისხლის არ უნდა ყოფილიყო.

- ჰაიდა-აჰა, დაყიალობენ აქა, ამალია კაზიმიროვნას არსებით ინტერესდებიან, - დათაფლული ხმით აბეზლებდა ფლიდი მეეზოვე, - ფულსაც მთავაზობენ-სო. მაგრამ არ ვიღებსო. ჰოდა, აი, ჯონ კარლიჩ, ვიფიქრევი...

მსახურთუსუცესმა (ეს, სწორედ მოგახსენოთ, მართლა მსახურთუსუცესი გახლდათ, რაკი ანლლიელი იყო) დაკავებული მიმოზომა არაფრისმთქმელი, წვნიკი და ჩხვლეტია თვალებით, ხმისამოუღებლად მისცა იუდას ვერცხლის ათშაურიანი და სულ ოდნავ განზე გადაგა.

- აი, აქ კი, კერძოდ, სრული გაუგებრობა გახლავსო! - ჭკვაზე ვეღარ მოსულიყო ფანდორინი, - It's ridiculous! A complete misunderstanding! (ამაზე მეცინება! სრული გაუგებრობა გახლავსო!~ -

ინგლ.) - ანდლიურზე გადავიდა.

-როგორ გეკადრებასთ! მოჰბრძანდისთ! მოჰბრძანდისთ! - უკანიდან ბლაოდა მეეზოვე. უფრორე საიმედოობისთვის, მეორე მკლავშიც ჩასჭიდა ფანდორინს ხელი და შიგნით უბიძგა. ერასტ პეტროვიჩი საკმაოდ ფართო მისაღებში აღმოჩნდა, დათვის ფიტულის პირდაპირ, რომელსაც ხელში ვერცხლის ლანგარი ეჭირა - სავიზიტო ბარათების დასადებად. არასახარბიელო მდგომარეებაში ჩავარდნილ და გულატოკებულ რეგისტრატორს ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე მისჩერებოდნენ ბანჯგვლიანი მხეცის მინის თვალები.

-ვინ ხართ და რატომ? - მოკლედ, ძლიერი აქცენტით შეეკითხა მსახურთუფროსი, იღნორირება უყო ფანდორინის სავსებით რიგიან ანდლიურს.

ერასტ პეტროვიჩი კრინტს არ სძრავდა, თავისი ინკოგნიტოობის გახმაურება არ სურდა.

- -What`s the matter, John? (რაშია საქმე, ჯონ?~ - ანლლ.) - გაისმა ფანდორინისათვის უკვე ნაცნობი, წკრიალა ხმა. ხალიჩითმოგებულ კიბეზე, რომელიც მეზონინში ადიოდა, დიასახლისი იდგა, შლაპისა და ვუალის მოხსნა უკვე მოესწრო.

-ოჰო, შავგვრემანი ჭაბუკი, - დამცინავად წარმოთქვა დამამ და ფანდორინს მიუტრიალდა, რომელიც თვალებით სჭამდა, - მე თქვენ კამერგერსკზევე შეგამჩნიეთ. განა შეიძლება უცნობ ბანოვანს ასე მიაშტერდეთ? ისე, მარჯვე კია, ვერაფერს იტყვი! დამედევნა ბიჭი! სტუდენტი ხართ თუ ისე, უსაქმური?

-ფანდორინი, ერასტ პეტროვიჩი, - წარუდგა ესეც, აღარ იცოდა, მერე რა ეთქვა, მაგრამ კლეოპატრამ, ეტყობა, უკვე მოასწრო და თავისებურად ახსნა მისი გამოჩენა.

-მიყვარს მამაცები, - ნატიფ პირისახეზე გამოუცნობი სიცილი მოუვიდა, - განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ასეთი კარგები არიან. მაგრამ თვალთვალი ლამაზი არ არის. თუკი ჩემი არსება თქვენთვის აგრერიგად საინტერესოა, სადამოს მეწვიეთ - ვინ აღარ დაიარება ჩემთან. თქვენ იქ სავსებით დაიკმაყოფილებთ აფორიაქებულ ცნობისმოყვარეობას. და ფრაკი ჩაიცვით, ჩემთან თავისუფალი მოქცევა კია, მაგრამ ის მამაკაცები, ვინც აფიცრები არ არიან, ყოველმიზეზგარეშე, ფრაკებში უნდა იყვნენ - ეგეთი კანონია.

სადამოს ერასტ პეტროვიჩი სრულ აღჭურვილობაში იყო. სწორედ მოგახსენოთ, მამისეული ფრაკი მხრებში განიერი აღმოჩნდა, მაგრამ შეთავსებით დიდებულმა მკერავმა აგრაფინა კონდრატიევამ, საგუბერნიო მდივანმა, ვის ოთახშიც ფანდორინი იდგა, გული-ქინძისთავები დაუმაგრა ნაკერების გაყოლებაზე და რიგიანად გამოვიდა - განსაკუთრებით, თუკი არ შეიკრავდა. ვრცელი გარდერობი, სადაც ჯერ მარტო თეთრი ხელთათმანები ხუთი წყვილი დაიძებნებოდა, ერთადერთი მონაპოვარი იყო, შვილს რომ უანდერძა ბანკების უიღბლო მეპაიემ. ჩინებულად გამოიყურებოდა ბურგესის აბრეშუმის ჟილეტი და პირონეს ლაკის ფეხსაცმელი. არც ბალანის თითქმის ახალი ცილინდრი გახლდათ ურიგო, ერთი ეს იყო, თვალებამდე იცოდა ჩამოფხატვა. არა უჭირს რა, ლაქიას მისცემ შესასვლელში და მაგით დამთავრდება. ერასტ პეტროვიჩმა ტროსტის წაღება გადიფიქრა - მაინც-და-მაინც კარგ ტონად არ ითვლება. თავის ბნელ მისაღებში, დაბზარულ-დაკენკილი სარკის წინ დატრიალდა და საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით წელით, რომელიც სათანადოდ ეჭირა უმკაცრეს `ლორდ ბაირონს~. ჟილეტის ჯიბაკში ვერცხლის რუბლი ედო, ქსაერი თეოფილაქტოვიჩისგან თაიგულისთვის მითავაზებული (რიგიანი, მაგრამ ყოყოჩობის გარეშე~). ამ რუბლისა საყოყოჩო რა უნდა მომივიდეს, ამოიოხრა ფანდორინმა და გადაწყვიტა საკუთარი ათშაურიანიც ზედ წაემატებინა - მაშინ საკმარისი იქნება პარმის იებისთვის ამ თაიგულისთვის მეეტლის გაწირვა მოუწია და ეშმაკუნა კლეოპატრასთან (ეს მეტსახელი ყველაზე უკეთ ერგებოდა ამალია კაზიმიროვნა ბეჟეცკაიას) ერასტ პეტროვიჩმა საათის ცხრის რუპზედა, ანუ მეოთხედზე მიაღწია.

სტუმრები უკვე შეკრებილიყვნენ. მოახლის მიერ შემვებულმა მწერალ-მწარმოებელმა 23

მისაღებშივე გაიგონა მამაკაცთა საუბრების თავისებური ბუბუნნი, მაგრამ შიგა-და-შიგ ისმოდა ი მ ი ს ი ნარნარა ხმაც, ვერცხლისა და ბროლისა, ჯადოსნური. ოდნავ შეყოვნდა დირეზე, ძალა მოიკრიბა და შევიდა ერთგვარად მოშვებული, რითაც იმედი ჰქონდა, რომ გამოცდილი და მაღალ საზოგადოებაში მიღებული კაცის შთაბეჭდილებას მოახდენდა. ამოდ გაისარჯა - შემოსულისთვის არავის მიუქცევნია ყურადღება. ფანდორინმა დაინახა დარბაზი - მოხერხებული ტარსიკონის ტახტებით, ხავერდის სკამებით, დახვეწილი მაგიდებით - ყოველისფერი სტილშია და მოდურიც არის. შუაში გაფენილ ვეფხვის ტყავზე, ესპანურად გამოწყობილი დიასახლისი იდგა - წითელ კაბაში, კორსაჟით და ალისფერი კამელით თმაში. ძალიან ქალი კი გამოდგა და ერასტ პეტროვიჩს გულმა ტოკვა დაუწყო და მკლავმა კიდევ თრთოლვა. სტუმრები მყისვე არ შეუთვალაიერებია, მხოლოდ შეამჩნია, რომ მარტოოდენ მამაკაცები არიან, და ახტირცევიც აქ არის, მოშორებით ჩამომჯდარა და რაღაცა ფერი-ფური გადასდის.

-აი, კიდევ ერთი სულთქმა-უში, - წარმოთქვა ბეჟეცკაიამ და სიცილმოსულმა გახედა ფანდორინს, - ახლა უკვე ზუსტად ეშმაკის დუჟინია. ყველას ვერ წარმოგიდგენთ, დიდხანს მოგვიწევს, საკუთარი თავი დაასახელეთ. მახსოვს, რომ სტუდენტი ხართ, მაგრამ თქვენი გვარი დამავიწყდა.

-ფანდორინი, - მოღალატურად აკანკალებული ხმით წამოიკნავლა ერასტ პეტროვიჩმა და კიდევ გაიმეორა, უფრო მტიცედ, - ფანდორინი. უველა მისკენ შემოტრიალდა, თუმცა სულ ოდნავ, როგორც ჩანდა, ახალმოსულმა ყმაწვილმა ისინი არ დააინტერესა. ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ ამ საზოგადოებაში ინტერესთა გულისგული მხოლოდ ერთია. სტუმრები ერთმანეთში თითქმის არ ბაასობდნენ, მხოლოდ დიასახლისს მიმართავდნენ და ყველანი, თვით მედიდური სანახაობის მოხუციც კი, ბრილიანტის ვარსკვლავით, ერთსა და იმავესკენ მიილტვოდნენ - ბანოვანის ყურადღება მიეპყროთ და თუნდაც წუთით ჩაეჭროთ დანარჩენები. ამათგან განსხვავებით მარტოოდენ ორს ეჭირა თავი - მდუმარე ახტირცევს, მოურლელად რომ წრუპავდა ბოკალიდან შამპანურს და ჰუსართა აფიცერს, პატარა, გაბრწყინებული, ოდნავ გადმოკარკლული, მოთარეშე თვალებითა და, თეთრკბილებიანი და შავულვაშებიანი ღიმილით. ეს, ეტყობა, გვარიანად მოწყენილი იყო და ამალია კაზიმროვნას თითქმის არ უყურებდა, მხოლოდ დანარჩენ სტუმრებს ათვალაიერებდა დაუფარავი დამცინაობით. ხოლო კლეოპატრა ამ თავზედს სხვებისაგან განარჩევდა, უბრალოდ `იპოლიტს~ ეძახდა და ერთი-ორჯერ იმისკენ ისეთი თვალთა ისრები სტყორცნა, რომ ერასტ პეტროვიჩს სევდიანად აუწუწუნდა გული. ის მოულოდნელად წამოხტა. რომელიღაც მწყობრად აკრეფილმა ბატონმა კისერზე თეთრი ჯვრით პაუზით ისარგებლა და ახლახანს თქვა:

-აი, ამალია კაზიმროვნა, თქვენ ამასწინათ კოკორინზედ კი აღგვიკმაღეთ ენის ჭარტალი, მაგრამ მე ერთი ისეთი რაღაცა საინტერესო გავიგე. მიღებული ეფექტით კმაყოფილი მთქმელი გაჩუმიდა - ყველა მისკენ მიტრიალდა.

-ჰოდა, გული ნუ გაგვიწვრილეთ, ანტონ ივანოვიჩ, სთქვით, - ველარ მოითმონა ციცაბოშუბლიანმა სქელუამ, კაი გამოქექილი ადვოკატის სანახაობის პატრონმა.

-ჰო, ჰო, სული ნუ ამოგვხადეთ, - აიტაცეს დანარჩენებმაც.

-ისე, ალაოზე კი არ დაიხალა, `ამერიკული რულეტი~ ითამაშა. ღენერალ-ღუბერნატორის კანცელარიაშიდ მიჩურჩულეს, - დიდმნიშვნელოვნად თქვა გამოქექილმა, - იცით, ეს რა არის?

-ცნობილი ამბავია, - მხრები მოიმარჯვა იპოლიტმა და გაათამაშა, - აიღებ რევოლვერს, ჩადებ ვაზნას. სისულელეა, მაგრამ აგანთებს. საწყენია, რომ ჩვენებმა კი არა, ამერიკელებმა მოიფიქრეს.

-და აქ რულეტი რა შუაშია, გრაფ? - ვერ მიხვდა ვარსკვლავიანო მოხუცი. -კენტი თუ წყვილი, წითელი თუ შავი, მხოლოდ ზერო არ გამოდგეს! - წამოიძახა ახტირცევმა

და არაბუნებრივად გადიხარხარა, თან გამომწვევად უყურებდა ამალია კაზიმროვნას (ასე მოეჩვენა ფანდორინს).

-მე გაგაფრთხილეთ: ამაზე ვინც იყბედებს, აქედან მივაბრძანებ! - დიასახლისი სულაც არ ხუმრობდა, - და სახლიდანაც დავითხოვ ერთხელ და სამუდამოდ! იპოვეს საჭორაო თემა! არღუმენტებდარღვეული სიჩუმე ჩამოვარდა.

-თუმცა ჩემს დათხოვნას ვერ გაჰხედავთ სახლიდან, - იგივე მოურიდებელი ტონით გამოაცხადა ახტირცევმა, - მე მგონი, დავიმსახურე, ვილაპარაკო ყოველისფერი, რასაც კი ვჰფიქრობ -რით დაიმსახურეთ, ნება მიბოძეთ, მეც შევიტყო? - ჩაერია წამოწითლებული კაპიტანი გვარდიელის მუნდირში.

-იმით, რომ თავზე ხელი გადაუსვს ამ ძუძუმწოვარას, - საქმე სკანდალისკენ შეატრიალა იპოლიტმა, ვისაც მოხუცმა `გრაფი~ უწოდა. - ნება მომეცით, ამელიე, გარეთ გავუშვა, გულის გასადრილებლად.

-როცა თქვენი გამოსარჩლება დამჭირდება, იპოლიტ ალექსანდროვიჩ, ამას დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ, - შხამიანად მიუგო კლეოპატრამ და კონფრონტაცია ჩანასახშივე იქნა ჩახშობილი. - მოდით, იცით, რა ვქნათ, ბატონებო? რაკილა ჭკუის გამახალისებელ სჯა-ზაასს თქვენგან არ უნდა ველოდე, ისევ ფანტა ვითამაშოთ. ამასწინათ თავშესაქცევად გამოვიდა - ფლორ ლუკიჩმა ხომ წააგო და ყვავილებს რომ იხატავდა, მთელი თითები სულ ნემსით დაიჩხვლიტა!

ყველამ მხიარულად გაიცინა, გარდა მრგვლად თმაშემოკვერცხილი, წვერიანი ბატონისა, საკმაოდ ტლანქად რომ ადგა ფრაკი.

-წინეთ ისიც გამოვიდა, ჩვენო ძვირფასო ამალია კაზიმროვნა, რომ საწყალი ვაჭრით შეიქცეით თავი. ეგრეც მოუხდება ჩემისთანა სულელს, - მორჩილად თქვა მან, `ულ~-ს დააწვა განსაკუთრებით, - მაგრამ პატიოსანი ვაჭრობისას ვალი მხოლოდ გადახდით მშვენიერდება. ამას წინეთ ხომ ჩვენ ვრისკავდით თქვენს წინაშე, აი, ახლა კი, ურიგო არ იქნებოდა, თქვენც გაგერისკათ.

-მართალია, ხომ იცით, კომერციის მრჩეველი! - წამოიძახა ადვოკატმა, - ცარიელი ჭკვავა! მოდით, ახლა ამალია კაზიმროვნამ გამოავლინოს სიმამაცე. ბატონებო, მე გთავაზობთ! ჩვენიდან ის, ვინც ფანტას ამოიღებს, მოსთხოვს ჩვენ სხივთამფენს... ვთქვათ, რაღაც განსაკუთრებულს.

-სწორია! ბრავო! - გაისმა ყველა მხრიდან.

-აჯანყებაა? პუგაჩოვშინა? - სიცილი მოუვიდა თვალთა დამავსებელ დიასახლისს, - რა გინდათ ჩემგან?

-მე ვიტყვი! - გამოცოცხლდა ახტირცევი, - გულახდილი პასუხი ნებისმიერ შეკითხვაზედ. ეშმაკობა არ იყოს, კატა-თავგობანა არ ითამაშოთ. და უშუალოდ, პირისპირ გვიპასუხეთ.

-რატომ პირისპირ? - გააპროტესტა კაპიტანმა, - ყველას აინტერესებს მოსმენა.

-სადაც ყველაა, იქ გულახდილად არ გამოდის, - თვალები ააელვარა ბეჟეცკაიამ, - კეთილი, თქვენი ეშმაკი დიდი იყოს, გულახდილად ვითამაშოთ. მაგრამ არ შეეშინდება იმ ბედნიერს ჩემგან სიმართლის გაგება? სიმართლე ხომ უგემურიც შეიძლება გამოდგეს. გრაფმა ნამდვილ პარიზულ მანერაზე მოიჩლიქა ენა და დაცინვით ჩაურთო: -J'en ai le frisson que d'y penser (მხოლოდ აზრის გავლებიასაც კი ვკანკალებ~ - ფრანც.) და მართლაც, ბატონებო. ვის რაში სჭირდება ამისთანა რამე? უკეტესი არ იქნება, ამერიკული რულეტი ვითამაშოთ? როგორ, ცდუნებაში მაინც არ მოდიხართ?

-იპოლიტ, მე მგონი, გაგაფრთხილეთ! - გრაფისკენ მეხი გასტყორცნა ღმერთქალმა, - აღარ გავიმეორებ! იმაზე სიტყვა არ დამრა! იპოლიტი მყისვე გაჩუმდა და ხელებიც დაუშვა - ჰაიდა-აჰა, თევზივით მუნჯი ვარო. ამასობაში ცქაფი კაპიტანი ფურაჟ-ქუდში აგროვებდა ფანტებს. ერასტ პეტროვიჩმა მამისეული

ცხვირსახოცი ჩააგდო მონოგრამით `პ. ფ.~
 ფანტების ამოღება მიანდეს მწყობრად აკრეფილ ანტონ ივანოვიჩს.
 ხოლოთუ ამ უკანასკნელმა ფურაჟიდან თავისივე ჩადებული სიგარა ამოიღო და მოკლედ
 ჰკითხა:

-ამ ფანტას რა?
 -ბუს კვერცხები! - მიუგო კედლისკენ შებრუნებულმა კლეოპატრამ და ყველამ გადიხარხარა,
 თავად აკრეფილის გარდა.
 -ამას? - განურჩევლად ამოიღო ანტონ ივანოვიჩმა კაპიტნის მოვერცხლილი ფანქარი.
 -შარშანდელი თოვლი.

შემდეგ მოჰყვა საათი-მედალიონი (თევზის ყურები~), სათამაშო კარტი (Fmes condoleances~
 (თანავუგრძნობ~ - ფრანც.)), ფოსფორიანი ასანთი (კუტუზოვის მარჯვენა თვალი~), ქარვის
 მუნდმტუკი (ამაო ფუსფუსი~), ასრუბლიანი ასიღნაცია (სამჯერ არაფერი~), კუს სავარცხერლი
 (ოთხჯერ არაფერი~), ყურძნის მარცვალი (ორესტ კირილოვიჩის ხშირი თმა~ - გადაბმული
 სიცილი სრულიად უთმო, საღილემი ვლადიმირის ორდენიანი ბატონის მისამართით), მიხაკი
 (ამას - არასოდეს და არაფრის გულისთვის~). ფურაჟში სულ ორი ფანტა დარჩა - ერასტ
 პეტროვიჩის ცხვირსახოცი და ახტირცევის თვლიანი ბეჭედი. როცა გამომცხადებლის თითებში
 ძვირფასი თვლების ნაპერწკლებმა გაიელვა, სტუდენტი წინ წამოიწია და ფანდორინმა დაინახა,
 თუ როგორ დაასხდა მღიერიან შუბლზე ოფლის წვეთები.
 -ამას რაღა მივსცეთ? - გაწელა ამალია კაზიმიროვნამ, ეტყობა, მოსწყინდა საზოგადოების
 გართობა. ახტირცევი წამოხტა, არა სჯეროდა თავისი იღბლისა, ცხვირიდან პენსნე ჩამოუვარდა,
 - არა, სჯობს, ამას კი არა, ბოლოს, - დაასრულა მწვალებელმა.
 ყველა ერასტ პეტროვიჩისკენ შებრუნდა, პირველად შეათვალიერეს სერიოზულად. ის კი ბოლო
 რამდენიმე წუთი, შანსების მომატების კვალობაზე, გამალებული ფიქრობდა, როგორ
 მოქცეულიყო გამარჯვების შემთხვევაში. ჰოდა, ექვებიც გამართლდა. ალბათ, ბედია
 ამ დროს მასთან ადგილიდან მომწყდარმა ახტირცევმა მიიღბინა და გულ-აღტყინებულმა
 უჩურჩულა:

-დამითმეთ, გემუდარებით. თქვენ რა... თქვენ აქ პირველად ხართ, მე კი ბედიწერად
 გადამექცა... მომყიდეთ, ბოლოს-და-ბოლოს. რამდენია საჭირო? გნებავთ ხუთასი, ათასი, ჰა?
 უფრო მეტი?

თავისთვისაც საკვირვო, უყოყმანო სიმშვიდით ერასტ პეტროვიჩმა მოჩურჩულე მოიშორა,
 წამოდგა, დიასახლისს მიუახლოვდა და თავისდაკვრით ჰკითხა:

-საით მიბრძანებთ?

ის მხიარული ცნობისწადილით უცქერდა ფანდორინს. ამ დაჟინებულმა მზერამ თავბრუ
 დაახვია.

-აგერ, თუნდაც, იმ კუთხეში. თქვენ იმისთანა მამაცი ხართ, სხვაგან განმარტოებას მოვერიდები.
 დანარჩენ მამაკაცთა დამცინავ ხორხოცს ყური არ ათხოვა, ერასტ პეტროვიჩი დარბაზის
 შორეულ კუთხეში გაჰყვა დიასახლისს და გაყოფილზურგიან ტახტზე დაეშვა. ამალია
 კაზიმიროვნამ დარდიმოსწი ჩაარჭო მუნდმტუკში, კელაპტრიდან მოუკიდა და ტკბილად
 მოქაჩა.

-რამდენი შემოგთავაზათ ნიკოლაი სტეპანიჩმა ჩემში? მე ხომ ვიცი, რასაც გეჩურჩულეობდათ.

-ათასი რუბლი, - პატიოსნად მიუგო ფანდორინმა, - მეტსაც მთავაზობდა.
 კლეოპატრას აქატის თვალებმა ბოროტად გაიკვესა:

-ოჰო, ვეღარ მოუთმენია. თქვემ რა, მილიონერი ხართ?

-არა, მდიდარი არ გახლავართ, - თავმდაბლად წარმოსთქვა ერასტ პეტროვიჩმა, - მაგრამ
 იღბლით ვაჭრობას დამამცირებლად მივიჩნევ!
 სტუმრებს მოსწყინდათ მათი ბაასის დაყურადება - მაინც არა ისმოდა რა, - და ბოლუქ-

ბოლუქად მდგარნი თავიანთთვის მასლაათობდნენ, თუმცა თითოეული, მითამ აქ არაფერიაო, მაინც გააპარებდა ხოლმე ქურდულ მზერას შორეულ კუთხეში. ხოლოთუ კლეოპატრა დაუფარავის დაცინვით შეისწავლიდა თავის მოკლევადიან მბრძანებელს.

-რისი კითხვა გვსურთ?
ერასტ პეტროვიჩი ჭოჭმანობდა.

-პასუხი პატიოსანი იქნება? ალალი?

-პატიოსნება პატიოსნებს დაუტოვებთ, ხოლოთუ ჩვენს თამაშობებში პატიოსნება ცოტა გახლავსთ, - ძლივს დამორჩილებული სიმწრის ტანხლებით გაიცინა ბეჟეცკაიამ, - მაგრამ გულახდილობას გპირდებით. მხოლოდ, არ გამაწბილოთ და რაიმე ყუყრობა არ შემეკითხოთ. მე თქვენ საინტერესო ეგზორმპლიარად შემეგულელებიხართ.

და ფანდორინი საკუთარი თავის წყევლით (გამბედაობისთვის) შეტევაზე გადავიდა. -თქვენთვის რა არის ცნობილი პეტრე ალექსანდროვიჩ კოკორინის სიკვდილის გარემოებების შესახებ?

დიასახლისს არ შეშინებია, არც კი შერხეულა, მაგრამ ერასტ პეტროვიჩს მოეჩვენა, რომ თითქო თვალეზი ოდნავ მოეწკურა.

-სარაოდ გაინტერესებთ?

-მერე აგიხსნით. ჯერ მიპასუხეთ.

-მაშინ, გეტყვით. კოკორინი ერთმა სასტიკმა ბანივანმა მოჰკლა. - ბეჟეცკაიამ წამით გახსნა სქელი, ხშირი წამწამები და იმათ ქვემოდან სწრაფი, ხმლის დარტყმასავით მზერით დაწვა. - და ამ ბანოვანს 'სიყვარული~ ჰქვია.

-სიყვარული თქვენდამი? ის ხომ აქ იარებოდა?

-დიაღ. ჩემს გარდა აქ, ჩემის აზრით, შესაყვარებრელი არც არავინაა, რაღა თქმა უნდა, თუკი ორესტ კირილოვიჩს არ ვიგულისხმებთ. - სიცილი მოუვიდა პირისახეზე.

-ყველა-ყველა და, თქვენ კოკორინი იოტისოდენადაც არ გაცოდებათ? - ასეთმა გულქვაობამ გააოცა ფანდორინი.

მეგვიპტელმა დედუფალმა გულგრილად აიჭიმა მხრები:

-ყველა საკუთარი ბედის გამგებელია. მაგრამ ხომ არ ვიკმაროთ შეკითხვები?

-ჯერ არა! - ერასტ პეტროვიჩი აჩქარდა, - რა კავშირი ჰქონდა ამ საქმესთან ახტირცევს? და რას მიგვანიშნებს ლედი ესტერზე გაცემული ანდერძი?

საზოგადოების ხმათა გუგუნმა მოიმატა და ფანდორინი წყენით შემოტრიალდა.

-ახხ, ჩემი ტონი არ მოგწონთ? - იპოლიტი ჭეჟა-ქუხილისებური ღრიალით ავიწროვებდა არაფხიზელ ახტირცევს. - აი, ეს კი მოგეწონება, შე ბუკნაჰოვ შენა? - და ხელისგულით თითქო ძალიანაც არ უბიძგია სტუდენტისთვის, მაგრამ სახედაკარგული ახტირცევი სავარძლისკენ გაფრინდა, შიგ მოადინა ზღართან და იქვე დარჩა თვალეზის დაბნეული ცეცებით.

-ნება მომეცით, გრაფ. ასე როგორ შეიძლება! - წინ გაუხტა ერასტ პეტროვიჩი, - თქვენ თუ ღონიერი ჰბრძანდებით, ეს სულაც არ გამღვეთ უფლებას...

თუმცა მისი წყვეტილი ლაპარაკი, რაზედაც გრაფმა ოდნავ შეხედა, ჩაახშო დიასახლისის ზარივით წვრიალა ხმამ:

-იპოლიტ, გაეთრიე! და შენი ფეხი აღარ ვნახო აქ, სანამ არ გამოფხიზლდები! გრაფი წყევლა-კრულვით წაგრუხუნდა გასასვლელისკენ. სხვა სტუმრები ინტერესით ათვალიერებდნენ მოღვენთილ ახტირცევს. მთლად რომ გასაცოდავებულიყო და ოდნავადაც არ ცდილობდა წამოდგომას.

-ამათგან მარტო თქვენდა მიაგავხართ ადამიანს, - დერეფნისკენ მიმავალმა ამელია კაზიმრონამ ასე უჩურჩულა ფანდორინს. - წაიყვანეთ, და არ მიატოვოთ. თითქმის მაშინათვე გამოჩნდა ახმახი ჯონი, თავისი ლივრეა უკვე შავ სერთუკზე და გახამებულ

გულისპირზე შეეცვალა, კარამდე მიიყვანა სტუდენტი და თავზე ცილინდრი ჩამოაფხატა. ბეჟეცკაია გამოსასალმებლად არ გამოსულა და როგორც კი შეხედა მსახუთუფროსის კუმტ სახეს, ერასტ პეტროვიჩმა უმაღ იაზრა, რომ უნდა წასულიყო.

მეხუთე თავი,
სადაც გმირს სერიოზული უსიამოვნებები ჩასდარაჯებიან

თავისი თავი ქუჩაში რომ ჰნახა და სუფთა ჰაერი ჩაყლაპა, ახტირცევი ცოტაზე გამოცოცხლდა - ფეხზედაც მყარად იდგა, არ ბარგანაობდა და ერასტ პეტროვიჩმა შესაძლებლად ჩათვალა, ხელმკლავით აღარ სჭეროდა.

-სრეტენკამდე გავიაროთ, - თქვა ფანდორინმა, - იქ კი ეტლზე დაგსვამთ. სახლამდე შორი გზა გაქვთ?

-სახლამდინ? - ნავთის ფარნის უთანაბრო შუქზე ნიღაბივით სჩანდა სტუდენტის ფერწასული პირისახე, - არა, სახლში არაფრისდიდებით! წამო, საითმე გავწიოთ, ჰა? თქვენთან სჯა-ბაასი მომწყურდა. თქვენ ხომ ჰნახეთ... რას მიშვრებიან. თქვენ რა გქვიანთ? ფანდორინი კი მახსოვს, სასაცილო გვარია. მე ახტირცევი გახლავარსთ. ნიკოლაი ახტირცევი. ერასტ პეტროვიჩმა მსუბუქად დაუკრა თავი, რაკილა მეტად რთული ზნეობრივი საკითხის გადაწყვეტილებაში შესულიყო: ნუთუ რიგიანი იქნება, რომ ახტირცევის მოფამფალეებული მდგომარეობით ვისარგებლო და აუცილებელი საგამომძიებლო გერშები და ნიშნები გამოვსტყუო, თანაც ეტყობა, ეს `ცელში მოხრილი~ ყოჩალი თავადაც არ არის გულახდილობის წინააღმდეგი.

გადასწყვიტა, რომ, არა უჭირს რა, შეიძლება. ძან აიყვანა მაძებრულმა აზარტმა. -აქ ახლოს `კრიმია~, - უცხად მოისაზრა ახტირცევმა, - ბორბლიანი არაფერი გვინდა, ფეხითაც მალე მივალთ. ეგეც `მღვიმე~ გახლავსთ, მაგრამ ღვინო უვარგათ. წავიდეთ რა, მე გეპატიჟებით. ფანდორინი დიდ ყოყმანში აღარ შესულა და ორთავემ მძიმე-მძიმედ (სტუდენტი მაინც მსუბუქად ქანაობდა) იქითკენ გასწიეს, საითაც სრეტენკის შუქები ბრდღვიალებდა შორიდან.

-ფანდორინ, თქვენ მე, ეტყობა, ლაჩრად მსთვლით? - ოდნავ დაბმული ენით უთხრა ახტირცევმა, - რახან გრაფი არ გავიწვიე, წყენა გადავყლაპე და თავიც მოიმთვრალოუნე? მე მშიშარა როდი გახლავარსთ. მე თქვენ, შესაძლოა, ისეთი რაღაც გაიმბოთ, რომ თავადვე დარწმუნდეთ... განზრახ წამოვიდა პროვოკაციაზედ. ეს იმ ქალბატონმა დაარიგა წინდაწინ, რათა ჩემგან დაეღწია თავი და ვალი აღარ დაებრუნებინა... ოჰ, ეს რა ქალია, თქვენ ხომ არ იცით!.. და ზუროვს რაღა კაცი მოუკლავს და რაღა ბუზი გაუსრისავს. ეგ ხომ ყოველ დილით პისტოლეტიდან სროლაში ვარჯიშობს. ამბობენ, ოცი ნაბიჯიდან ტყვიას შაურთანში არტყამსო. განა ეს დუელი იქნებოდა? ის ხომ არაფერს რისკავს. ეს მკვლელობა გახლავსთ, მხოლოდ ლამაზი სახელი ჰქიან. და რაც მთავარია, არაფერიც არ მოუვა, გამომძვრება. ჯერ არ გამომძვრალა თუ რა? დავუშვათ, საზღვარგარეთ გასწევს სასეირნოდ. მე კი დღეის ამას იქით სიცოცხლე მწურთან, მე ეს დავიმსახურე.

სრეტენკიდან სხვა შესახვევში შეუხვიეს, თითქო უჩინარში, მაგრამ მაინც უკვე ნავთის კი არა, გაზის ფანარებიანში და წინ წამოიმართა სამსართულიანი სახლი გაბრდღვიალებული ფანჯრებით. როგორც ჩანს, ეს არის `კრიმი~, გულის ჩაკვდომით გაიფიქრა ერასტ პეტროვიჩმა, ბევრი სმენოდა მთელ მოსკოში სახელგანთმულ ამ დროის სატარებელ ალაგზე. ლამპებით გაჩირადდნებულ, ფართო პარმაღზე არავინ გამოეგებათ. ახტირცევმა შეჩვეული ჟესტით უბიძგა მაღალ, მოჩუქურთმებულ კარს, ისიც ადვილად დაჰყვა და ჯერ სამზარეულოს და სპირტიანის სურნელებით გაზავებული სითბო შემოეგებათ, მერე სტუმართა ხმაური და ვიოლინოების მოწუწუნე მოთქმა.

გარდერობში ცილინდრები დატოვეს და ყმაწვილები ერთ მეტად მკვირცხლ, წითელპერანგა პატარკაცს ჩაუვარდნენ ხელში, რომელმაც ახტირცევს `ბრწყინვალეებით~ მიმართა და

დაპირდა ყველაზე საუკეთესო, საგანგებოდ შემონახულ სტოლს. ეს მაგიდა კედელთან აღმოჩნდა და, ღმერთსა მადლი, სცენიდან მოშორებით, სადაც მობჟღერიალე დაირებით ციგნების ხორო გაჰკვივოდა და თანაც ტანციობდა კიდეც. ერასტ პეტროვიჩი, რომელიც პირველად მოხვედრილიყო ნამდვილ უწყნაურ, გარყვნილ `მღვიმეში~, აქეთ-იქით მიმოიხედებოდა. საზოგადოება აქ მეტად ჭრელი გახლდათ, მადრამ ფიზიკები, ეტყობა, სრულიად არ შეიმჩნეოდნენ. ამას ყოველისფერს ტონს აძლევდნენ ვაჭრები და ბირჟის კაცები შუაზედ გაყოფილი, პომადა წასმული თმებით - განა ცნობილი არ არის, ეხლა ფული ვის ხელში სტრიალებს? მაგრამ იყვნენ ბატონკაცური სანახაობის პერსონებიც, საიდანღაც ფლიგელ-ადიუტანტის სამხრედან ვენზელმაც გაიბრჭყვიალა ოქროფერად. მაგრამ კოლეგიის რეგისტრატორის ცხოველი ინტერესი იმ ქალებმა გამოიწვიეს, პირველივე ჟესტზე ნებისმიერ სტოლს რომ მიუსხდებოდნენ ხოლმე. იმათ ისეთი დეკოლტეები ჰქონდათ, რომ ერასტ პეტროვიჩი გაწითლდა, ხოლო იუბკები ისეთი ზომისა ეცვათ, რომ დაჯდომისას უსირცხვილოდ მოუჩანდათ აჟურულს, ნაჭვრეტებიანს ჩულქებში გამოყვანილი მრგვალი მუხლისთავები.

-მითამ რაო, ქალებს მივაშრტერდით? - ჩაიცინა ახტირცევმა, ოფიციატს ღვინო და რაიმე ცხელი რომ შეუკვეთა, - აი, მე კი ამალიას იქით მდედრობითი სქესის არსებებადაც აღარ მიმაჩნია არავინ. რამდენის წლისა ხართ, ფანდორინ?

-ოცდაერთისა, - მიუგო ერასტ პეტროვიჩმა და თან წელიწადიც წაიმატა.

-მე კი ოცდასამისა და ბევრის ნახვაც მოვასწარი. თვალებს ნუ უჭყიტავთ მაგ უნამუსოებს, არც ფულად ჰღირან და არცა დროდ. თან მერე გეზიზღება. თუ შეიყვარებ, დედუფალი უნდა შეიყვარო! თუმცა, მითამ რას გიხსნი... თქვენ ხონ ცუდუბრალოდ არ გამოჩნდებოდით ამალიასთან? მოგაჯადოვათ, განა? კოლეკციის შეკრეფა უყვარს და ეკსპონატების მეყვსეულ განახლებაზედაც ჰზრუნავს. როგორც ოპერეტაში imRereba, elle ne pense qu`a exciter les hommes. (ის მარტო კაცებს ახვევს თავრეტსა~ - ფრანც...)... მაგრამ ყოველისფერს თავისი ფასი აქვს, მე კი ჩემი ფასი გადავიხადე. გნებავსთ, ერთი ისტორია გაიმბოთ? რაღაც მომეწონეთ კიდეც, ძაან კარგად სდუმხართ. თქვენთვის სასარგებლო იქნება, უწყოდეთ, თუ ეს როგორი ბუნების ქალია. შესაძლოა, ჰკუაზედაც მოხვიდეთ, სანამ ჩემსავით ჩაუთრევიხართ. თუ უკვე ჩაგითრიათ, ჰა, ფანდორინ? მაშ, აბა-და, იქ, ცალკე რაზედ ეჩურჩულებოდით? ერასტ პეტროვიჩმა თავი ისე დაიჭირა, მითამ ვერა გაიგო რა.

-მაშინ მისმინეთ, - თხრობას შეუდგა ახტირცევი. - აი, თქვენ წელან ჩემს ქალაჩუნობაზედ მოგქონდათ იჭვი, რაკი იპოლიტი გავუშვი და ორთაბრძოლაში არ გავიწვიე. მე კი იმისთანა დუელი მქონდა, რომ ემაგ თქვენს იპოლიტს არც დასიზმრებია. გაიგეთ, როგორ ჰბრძანა ქალბატონმა, კოკორინის გამო კრინტი არ დაგვეძრა? აბა, რა? მაგის ნამუსზედ გახლავსთ იმისი სისხლი, მაგის ნამუსზედ. და, ჩემსაზედაც, რა საკვირველია. მხოლოდ, ჩემი ცოდვა სასიკვდილო შიშით გამოვისყიდე. კოკორინი ჩემი კურსელი იყო, ისიც ამალიასთან იარებოდა. ადრე ვმეგობრობდით კიდეც, მაგრამ მაგის გულისთვის მტრები გავხდით. კოკორინი ჩემზე უფრო მოურიდებელი, თამამი იყო, პირისახეზედ გაცილებით სანდომიანი, მაგრამ enter nous (ჩვენს შორის დარჩეს~ - ფრანც.), ვაჭარი სულ ვაჭრად დარჩება, პლებეი კაცად, რაც გინდა უნივერსიტეტში ასწავლე. ამალიამ ჩვენით კარგად იჯერა გული - ხან ერთს დაიახლოვებს, ხანაც მეორეს. `ნიკოლას~ გეძახის და შენობით მომართვაზედაც გადმოდის, თითქო ფავორიტივით ხარ იმასთან მოხვედრილი, მერე კი რაიმე სისულელის გულისთვის შეგრისხავს: ერთი კვირით დაგიძვირებს თავისთან გამოჩენას და კვლავაც თქვენობითი, კვლავაც `ნიკოლაი სტეპანიჩი~. საპოლიტიკო ქცევა აქვს ამისთანა, ვინაც ნემსკავზე წამოეგო, ველარ გაეშვება.

-და ეს იპოლიტი ვიღად ერგება? - ფრთხილად ჩაეკითხა ფანდორინი.

-გრაფი ზუროვი? დაბეჯითებით ვერც რას მოგახსენებთ, მარამ მათ შუა რაღაც განსაკუთრებული უნდა იყოს... ან პირველს აქვს ძალაუფლება მეორეზედ, ანთუ, პირუკუ,

მეორეს პირველზედ... არა, იპოლიტი იჭვიანი სულაც არ არის, და არც იპოლიტიმია საქმე. ეგ ისეთი ქალი გახლავსთ, თავის თავზე არავის მისცემს იჭვიანობის უფლებას. ერთის სიტყვით - დედუფალია!

იგი გაჩუმდა, რაკი მეზობელ სტოლზე ხმაურიანად აყაყანდა მთვრალი კომმერსანტების კამპანია - წასვლას ეპირებოდნენ და იმ ნიადაგზე მოუხდათ ცილობა, თუ ვის უნდა გადაეხადა ფული. ოფიციალტებმა უმალ გააქცუნეს დასვრილი სუფრა, ახალი გადაჭვინეს და წუთსაც არ გაუვლია, რომ იმ განთავისუფლებულ მაგიდასთან უკვე იჯდა ძაან განავარდებული მოხელე გამობუნებული, თითქო გამჭვირვალო (როგორც სჩანს, სმის მეოხებით) თვალებით. ამ მოქეფეს მალე ჩამოუსკუპდა წაბლისფერთმიანი, ნაზუქივით ქალი, მხარზე მოჭვია ხელი და სასურათედ გადაიდო ფეხი ფეხზედ - ერასტ პეტროვიჩი მეტად მიაშტერდა წითელ ფილდეპერსის, გნებავთ სპარსულ ნართის ჩულქებში გამომაგრულ, მოჭიმულ მუხლისთავებს. ხოლოთუ სტუდენტმა ჯერ რეინულით გალიცლიცებული ბოკალი გამოსცლა უსვენებლივ, მერე კი ჩანგლით დალახვრა სისხლის ბივსტექსი და განაგრძო: -თქვენ ჰფიქრობთ, რომ პეტრე კოკრინმა გაუხარელი ტრფიალების ნიადაგზედ დაიკრიფა გულხელი? გეგონოთ. ის მე მოვკალი!

-რა სთქვით? - ყურებს არ დაუჯერა ფანდორინმა.

-რაც გაიგონეთ, - თავი ამაყად დაუკრა ახტირცევმა, - ყოველისფერს გიამბობთ, მხოლოდ წყნარად იჯექით და შეკითხვებით ტვინი არ წაიღოთ. დიად, მე მოვკალი და ერთი წუთითაც არა ვნანობ. ჰალალად მოკალი, დუელში. დიად, ჰალალად და პატიოსნად! იმიტომ, რომ ამ ჩვენს დუელზე უპატიოსნესი დუელი ათადან და ბაბდან არ ყოფილა. ორნი რომ დგანან ბარიერთან, ყოველთვის მოტყუება არის - ერთი კარგად ისვრის, მეორე უხეიროდ, ანთუ ერთი მსუქანია და ადვილად მიაწვდენ ტყვიას, ანდა თეთრად ათია ღამე და ხელები უკანკალებს. ჩემს და პიერს შორის კი ყოველისფერი სიცრუის გარეშე იყო. დედუფალი გვეუბნება - ეს სოკოლნიკებში, წრეზე, სამთავენი ეკიპაჟით ვსეირნობთ - და იძახის: `აბეზარს მომიყვანეთ ორივემ, თქვე მდიდარო, გაფუჭებულო ბიჭუკელებო, ერთმანეთი უნდა ამოჭხოცოთ თუ რა გვეშველება?~ და კოკორინი, ეს პირუტყვი, ეუბნება: `მოვჰკლავ კიდევაც, თუკი ამისთვის დამაჯილდოვებთ~. და მეც სთქვი: `ჯილოსთვის მეც მოვკლავ. ჯილდო ისეთი გახლავთ მეთქი, რომ ორში ვერ განაწილდება. ჰოდა, ისე მოხდება, რომ ერთი-ერთი პირდაპირი გზით სველ მიწაში წავა, თუ თავისით არ დაიხვეს უკან~. ჰაიდა-აჰა, სადამდინ მივიდა ამ ქალისადმი ჩემი და კოკორინის მარქაფა სიყვარულის გარემოება. `მითამ-და, რაო, ესოდენ გიყვარვართ?~ ის გვეკითხება. კოკორინი მიუგებს: `სიცოცხლეზედ მეტად~. და მეც დასტური დავეცი. `კეთილი, - ისა ჰბრძანებს, - მე ადამიანებში მარტოკა გულადობას ვაფასებ, სხვა ყოველისფერი შეიძლება გაითამაშო. თუკი ერთი თქვენგანი მართლაც მოჰკლავს მეორეს, სიმამაცისთვის ნამდვილად მიიღებს ჯილდოს. თავად უწყის, რა ჯილდოსაც~. და სიცილი მოსდის. `მხოლოდ ეგ არის, - ამბობს, - რომ ყბედები ხართ ორთავე. არავისი მომკვლელი თქვენ არა ჰბრძანდებით. მამიკოების ფულების გარდა, არც არაფერია თქვენში საინტერესო~. და ვიფეთქე. `კოკორინზედ მეთქი, მივუგე, თავს ვერ გამოვიდებ, ხოლო მე თავად ასეთი ჯილდოს გულისთვის არც საკუთარ და არცა სხვის სიცოცხლეს არ დავზოგავ~. ის კი, ბრაზიანად: `იცით, რა, ყელში ამომიხვედით თქვენი მამლაყინწური ყვილით. გადაწყდა, დაახლით, თუმცა დუელში არა, მერე რომ სკანდალს გადავურჩეთ. და მართებულებიც არ არის ეს დუელი. ერთი მეორეს ხელს გაუკაწრის და გამომეცხადება გამარჯვებულის სახით. არა, ერთი მართლაც მოჰკვდეს, მეორეს კი სიყვარული ერგოს. როგორც წერა-მწერალი განსჯის. ვისაც კენჭი ამოუვა, დეე, იმან დაიხალოს. დეე, ჩანაწერიც დატოვოს წინდაწინ იმისთანა, რომ მერე იმის ფიქრი არ გაჩნდეს, თითქო ჩემს გამო... მითამ რაო, შეჰშინდით? თუკი შეჰშინდით, ჩემთან სიარულსაც დაამკვირებთ სირცხვილისგან - ესეც ჩემი სარგებელია~. პიერმა შემომხედა და ამბობს: `ახტირცევისა რა მოგახსენოთ, მე კი არ ვილაჩრებ~... ასე გადავწყვიტეთ...

სტუდენტი გაჩუმდა, თავი ჩაჰკიდა. მერე გამოცოცხლდა, ბოკალი ისევ გაიპიპინა და კვლავაც უსვენებლად შესვა. მეზობელ სტოლზე წამლეკავად გადაიკისკისა წითელ ჩულქებიანმა ქალმა - თეთრ თვალებიანი რალაცას ეჭურჩულეობდა ყურში - მაგრამ ანდერძი საიდან? - ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა და ენაზე იკბინა, რადგან ამაზე თითქო არაფერი არ უნდა სცოდნოდა. თუმცა მოგონებებში ჩაძირულმა ახტირცევმა მხოლოდ უხალისოდ

Dდაუქნია

თავი:

-ხოლო ანდერძები... ესეც იმ არსების მოფიქრებული გახლავსთ. `თქვენ ჩემი ფულით ყიდვა გასურდათ?-ამბობს,-კეთილი, დეე, იყოს ფული, ოღონდ ასიათსი კი არა, როგორც ნიკოლაი სტეპანიჩი მპირდებოდა, (მოხდა, ერთხელ შევთავაზე და კინაღამ სახლიდან გამომაბუნძულა) და არც ორასი, არამედ ყოვლისფერი, რაც გაგაჩნიათ. ვისაც სიკვდილი შეხვდება, დეე, იმქვეყნად შიშველი წარდგეს. მხოლოდ მეო,-ამბობს, თქვენი ფული არ მჭირდება, მე თვით, ვისაც გინდათ, იმას მივცემ. დეე, ფული რომელიმე კეთილ საქმეზე წავიდეს - წმინდანთა სავანეში, ანდა სადმე. ლოცვით რომ მოინანიონ სასიკვდილო ცოდვა. ასე რომ, ჩემო პეტრიკულავ, მსხვილი კელაპტარი გამოვა შენი მილიონიდან?~ კოკორინი კიდევ ათეისტი იყო, თანაც მოპაექრე. ეგრევე შემოაგდო: `მხოლოდ ბერებს არა, იმახის. სჯობს დაცემულ გოგოებს ვუანდერძო, დეე, თითოეულმა თითო საკერავი მაშინა იყიდოს და ხელობა გამოიცვალოს. მოსკოვში არცერთი უსირცხვილო აღარ დარჩება და ეგეც შენი პეტრე კოკორინის ხსოვნა-მოსაგონარი~. კარგი-და, ამალია ეუბნება: `ვინაც ნამუსდამხობილი შეიქმნა, იმას ვედარ გამოაწორებ. ადრე იყო საჭირო, უცოველს ჰასაკში~. კოკორინმა ხელი ჩაიქნია: `მაშინ ვინმე... ობლებისთვის... აღსაზრდელთა სახლისთვის~. იმას პირდაპირ ნათელი გარდაეფინა: `აი, ამისთვის, ჩემო პეტრიკულა, ბევრი რამ მოგეტევებოდა. მოდი, გაკოცო~. მე კი ბოროტებამ ამიტანა. `მოიპარავენ იმ შენს მილიონს აღსაზრდელთა სახლში, გეუბნები. წაიკითხე, სახელმწიფო თავშესაფრებზე რეებს სწერენ გაზეთები? ბევრი ხარვეზები აქვთ, სჯობს ანდლიელს მივცეთ, ბარონესა ესტერს. ის არ მოიპარავს~. ამალიამ მეც გადაძკოცნა - მიდით, მიდით და ჩვენს პატრიოტებს ცხვირები მოუგრინებთ. ეს თერთმტში იყო, შაბათს. კვირას მე და კოკორინი შევხვდით და ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. საოცარი ბაასი გამოგვივიდა. ის სულ როხროხებდა, მასულელებდა, მე უფრო ჩუმათ ვიყავი და თვალებში არ ვუყურებდით ერთიმეორეს. მე თითქო დავჩლუნგდი. სტრაფჩები, გნებავს, ვექილები გამოვიძახებთ, მთელი თავისი წესების დაცვით შევადგინეთ ანდერძები. პიერი ჩემი მოწმე და ნება-სურვილის აღმასრულებელია, მე კი-მისი. სტრაფჩებს თითოს ხუთ-ხუთი ათასი მივეცით, რომ ენისთვის კბილები დაეჭირათ. იმისთვისაც ხომ წამგებიანია ყბედობა. და აგრეთვე, პიერთან ასე მოვილაპარაკეთ - თავად შემომთავაზა. ვხვდებით დილის ცხრაზე ჩემთან, ტაგანკაზე (მე ხომ გონჩანროიზე ვცხოვრობ). თითოეულს ჯიბეში უნდა ჰქონდეს ექვსვაზნიანი რევოლვერი ბარაბანში ერთი ვაზნით. მივდივართ ცალ-ცალკე, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთს ვხედავდეთ. ვისაც კენჭი ერგება - პირველი ცდის. კოკორინმა სადღაც ამერიკულ რულეტზე წაიკითხა, ჭკვაში მოუვიდა და მეუბნება, აი, ნახავ, კოლია, თუ ჩვენი გულისთვის რუსულ რულეტკას არ დაარქმევენ. კიდევ იმახის, ტყვიის შინ დახლას რა ლაზათი აქვს, მოვიწყობ ჩვენთვის საბოლოო მოციონი, გნებავს გასეირნება თავისი ატრაქციონით. დასტური მივეცი, ჩემთვის სულერთი იყო. ვაღიარებ, გვარიანად დავმჟავდი, ვფიქრობდი, წავაგებ მეთქი. და ჭკვაში მირაკუნებს: ორშაბათი, ცამეტი, ორშაბათი, ცამეტი. მთელი ღამე რული არ მომკარებია, საზღვარგარეთ მიხდოდა წასვლა, მაგრამ როგორც კი გამიელვებს, რომ ეს იმასთან დარჩება და ჩემზე

სიცილი

მოუვათ...

მოკლედ,

დავრჩი.

დილით კი ესერიგად მოხდა. პიერი მოვიდა-ხახვის ფრანტივით, თეთრ ჟილეტში, მოჭარბებულად მხიარული. უმართლებდა ხოლმე და, ჩანდა, იმედი გასჩენოდა, რომ ამაშიც გაუმართლებდა. ძვლები ვყარეთ, ჩემს კაბინეტში. იმას ფანჯი ჩარი, მე დუ იაქე. ამისთვის მზად ვიყავი. `არსად არ წამოვალ,- ვთქვი,-უმჯობესია აქ მოვკვდე~. დავატტიალე დოღურა, ლულა

გულზე მივიდე. `შესდექ!-მეუბნება,-გულში არ დაიხალო. ტყვია რომ აღმაცერად წავიდეს, კიდეც დიდხანს დაიტანჯები. საფეთქელში სჯობს ანდა პირში~. `გმადლობ, ჩემზე მზრუნველობისთვის~,-ვუთხარი და ამ წუთას ისე ვერ გადავიტანე, რომ, მეგონა, ყოვლისფერი დუელის გარშემო დავახლიდი. მაგრამ რჩევას დავუჯერე. რა დამავიწყებს იმ ჩხაკუნს, ყველაზე პირველს. ისეთი ზაპანი გამოიღო ყურის მახლობლად, რომ.

ახტირცევს ჟრჟოლვამ მოუარა და კიდეც ჩამოისხა. მომღერალი, ოქროსფერ შალში გახვეული მსუქანი ციგანი ქალი სულის და გულის ამფორიაქებლად ამოსთქვამდა რაღაც გაწელილს. -...პიერის ხმა მესმის: `კაი, ახლა ჩემი ჯერია. ჰაერზე გავიდე~. მაშინდა მივხვდი, რომ ცოცხალი ვარ. შვივის გორაზე წავედით, იქიდან ხომ ქალაქის გადახედვა შეიძლება. კოკორინის წინ, ოცი ნაბიჯით უკან კიდეც მე. ცოტა ხანს იდგა ხრამის ქეჩოზე, იმის პირისახეს ვერ ვხედავდი. მერე ჩემ დასანახად ასწია რევოლვერიანი ხელი, დაატრიალა დოღურა და საფეთქელთან - ჩხაკ! მე ხომ ვუწყოდი, რომ არაფერიც არ მოუვა და ჩემზე კი იმედი მქონდა გადაწურული. ისევ ვყარეთ ძვლები - კვლავაც მე შემხვდა. დავეშვი იაუზისკენ, კაცისშვილი არ ჭაჭანებს. ხიდთან, ბიძკონტზე ავძვერი, მერე რომ პირდაპირ წყალში გადავვარდნილიყავი... ისევ ჩამიარა. გავედით გვერდზე, და პიერიც ამბობს: `რაღაცა მოსაწყენი ხდება. დავაშინოთ ობივატელები?` ბარაქალა, ყოჩაღად ეჭირა თავი. შევედით მოსახვევში, იქ ხალხია, ეკიპაჟები დადიან. მე მეორე მხარეს დავდექი. კოკორინმა შლიაპა მოიშვლია, აქეთ-იქით დაუკრა თავი, ხელი ზემოთ, დააბზრიალა ბარაბანი - არაფერი. იქიდან გამოქცევა მოგვიწია. ჭიშკარში შევვარდით, ეს უკვე მაროსეიკაზე. ძვლები ვყარეთ და, როგორ ჰფიქრობთ? ისევ - მე! იმას დუ-შაში, მე დუ-ბარა, ჰალალ სიტყვას ვამბობ! გათავდა, ვფიქრობ, ფინიტო (`დასრულდა~ - იტალიურად), ამაზედ უფრორე სიმბოლოურად აღარ შეიძლება. ერთს ყოვლისფერი, მეორეს არაფრისფერი. მესამეთ კოზმასა და დამიანეს ტამართან დავიხალე, მანდ ვარ მონათლული. სტოვაზე, ანუ კარიბჭზე დავდექი, სადაც მდაბიონი არიან ხოლმე, რუბლ-რუბლი ჩამოვურიგე და ფურაჟკა მოვიხადე... გავახილე თვალები - ცოცხალი ვარ. ერთი თავმოსულელებული სალოსი მეუბნება: `სული გიწრიალებს - უფალი ღმერთი შეგინდობს~. სული გიწრიალებს - უფალი ღმერთი შეგინდობს, დავიმახსოვრე. კარგი-და, გავიქეცით იქიდანაც. კოკორინმა უფრო მდიდრული ალაგი შეირჩია თავისთვის - გალოფტეევსკის პასაჟის მახლობლად. ნეგლინნიზე შევედი საკონდიტროში, დავჯექი, მინის შიგნიდან ვდგავარ. რაღაცა უთხრა დამას მეზობლი სტოლიდან, იმას სიცილი მოუვიდა. იგი რევოლვერს იღებს, ჩახმახს მოწევს - ვხედავ. დამას უარესად მოსდის სიცილი. იმან რევოლვერი შეინახა, კიდეც რაღაცაზე იბაასეს, ყავას შეექცნენ. მე უკვე გაშტერებული ვარ, ვედარაფერს ვგრძნობ. ჭკვაში მარტო ის მაქვს, რომ ეხლა კიდეც ძვლები

უნდა

ვყაროთ.

ოხოტნისკენ ვყარეთ, სასტუმრო `ლოსკურტნაიას~ მახლობლად, და პირველი ამჯერად იმას ერგო. მე ჩარი-სე, იმას ჩარი-დუ. ჩარი-სე და ჩარი-დუ - სულ ერთ იაქემია სხვაობა. გუროვის ტრაქტირამდე ერთად მივედით, ისტორიულ მუზეუმთან გავიყარენით - ის ალექსანდრეს ბაღში შევიდა და ხეივანში გასწია, მე ტროტუარიდან, ზღუდის გაღმიდან წავყევი. მისი ბოლო სიტყვები ეს იყო: `ბრიყვები ვართ მე და შენ, კოლია. ეხლაც თუ ისე ჩაიარა - ეშმაკთან გავუშვებ ყოვლიფერს~. მინდოდა შემეჩერებინა, ღმერთი-რჯული, მართლა მინდოდა, მაგრამ არ შევაჩერე. რატომ - თავადაც არ ვიცი. ვგრუობ, ვიცი... გაიმვეული ფიქრი მომივიდა. დეე, კიდეც ერთხელ დაატრიალოს ბაბრაბანი და მერე გამოჩნდება. შეიძლება, ვთქვათ კიდეც, რომ - `შაბაშ!~ გათავდა. . . მარტოკა თქვენს წინაშე ვაღიარებ, ფანდორინო. ეხლა ეგეთ გუნებაზე გახლავართ..

ახტირცევმა კიდეც დალია. პენსნეს ქვემოდან წითელი და ამღვრეული თვალები მოუჩანდა. სუნთქვაშეკრული ფანდორინი უცდიდა, თუმცა ზედმოყოლებული გარემოებანი მისთვის უკვე ცნობილი გახდათ. ნიკოლაი სტეპანოვიჩმა ჯიბიდან სიგარა ამოიღო და აძიგმიგებულის თითებით ასანთს გაჰკრა. გრძელი, მსხვილი სიგარა გასაოცრად არ უხდებოდა მის ულამაზო,

ბიჭ-ბუჭურ პირისახეს. თვალთა წინ ჩამომდგარი კვამლის ქულები ახტირცევმა ხელის ქნევით
 გაჰფანტა და უცაბედად წამოდგა ზეზე.
 -ოფიციატ, ანგარიში! აქ მეტი აღარ შემიძლია, ხმაურია. სული მეხუთება. -ყელიდან აბრეშუმის
 ჰალსტუხი მოიძრო.-წავიდეთ კიდევ სადმე ანდა ისე გავიაროთ.

პარმალზე შედგნენ. შესახვევი მოღუშული და ცარიელი იყო, `კრიმის~ გარდა, ყველა სახლის
 ფანჯრები ჩაექროთ. უახლოეს ფარანთან ბარბაცებდა და ციმციმებდა გაზი.
 -თუ მაინც შინიშკენ, ჰა?- კბილებში გაჩრილი სიგარის მეოხებით ამრიგად ამოიღადანა
 ახტირცევმა,- აქ მომახვევში ცხენმალ მეთლეები უნდა იყვნენ.
 კარი გაიხსნა, პარმალზე წელანდელი მეზობელი გამოვიდა, თეთრთვალა მოხელე გვერდზე
 მოგდებული ფურაჟკით. ხმამაღლა წამოასლოკინა, ვიცმუნდირის ჯიბეში ჩაძვრა, სიგარა
 გააძრო.

-ნებას დამრთავთ, რომ ცეცხლი გსთხოვოთ? – იკითხა მან და ყმაწვილკაცებს მიუახლოვდა.
 ფანდორინს შემოესმა მსუბუქი აქცენტი, ან ოსტზეისკური, ანდა კიდევ ჩუხონსკური.
 ახტირცევმა ჯერ ერთ ჯიბეზე დაირტყა ხელი, მერე მეორეზე – ასანთმა გაიჩხაკუნა. ერასტ
 პეტროვიჩი მოთმინებით ელოდა. მოულოდნელად თეთრთვალას გარეგნობამ გაუგებარი
 ცვლილება განიცადა. თითქო უფრორე დადაბლდა და მსუბუქად გადაიხარა გვერდზე. თვალის
 მომდევნო დახამებამი მის მარცხენა ხელში, გეგონებოდათ თავისითო, ამოიზარდა განიერი და
 მოკლე დანის პირი და, ჩინოვნიკმა გამოზომილი, გუტაფისის სათამაშო თოჯინის მოძრაობით
 ცივი იარაღის ფხა ასანთის მიმწოდებელს მარჯვენა გვერდში უგმირა.
 ზედმოყოლებული მოვლენები ძაან ჩქარა მოხდა, ორ-სამ სეკუნდში, მაგრამ ერასტ პეტროვიჩს
 მოეჩვენა, რომ დრო დადგა. ბევრის შემჩნევა მოასწრო, ბევრის გაფიქრება მოასწრო, მაგრამ
 განძრევის შესაძლებლობა არ იყო, თითქო ფოლადის ზოლზე შუქის ბრჭყვიალებამ ჰიპნოზი
 მოჰგვარა.

პირველ რიგში ერასტ პეტროვიჩმა გაიფიქრა: ღვიძლში უმარჯვა. და მეხსიერებაში საიდანღაც
 გადმოხტა წინადადება გიმნაზიის ბიოლოგიის სახელმძღვანელოდან: - `ღვიძლი - ცხოველის
 ორგანიზმის მუცელშია, სისხლს ნაღველისგან განაცალკევებს~. მერე დაინახა, როგორ კვდება
 ახტირცევი. ერასტ პეტროვიჩს ადრე არასდროს ენახა როგორ კვდებიან, მაგრამ რაღატომაც
 უმაღ მიხვდა, რომ ახტირცევი სწორედ რომ მოკვდა. თვალეები თითქო მინისა გაუხდა, ტუჩები
 კრუნჩხვით გამოებურცა და იმათზე გადმოვიდა მუქი ალუბლისფერი სისხლის ნაკადული.
 ძაან ნელიად და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც ფანდორინს მოეჩვენა, მოხდენილად გამოაძრო
 მოხელემ ცივი იარაღის პირი, რომელიც უკვე აღარ ბრჭყვინავდა, ნელ-ნელა შემოტრიალდა
 ერასტ პეტროვიჩისკენ და მისი პირისახე სულ ახლოს აღმოჩნდა: ნათელი თვალეები შავი
 წერტილებით, წვრილი უსისხლო ტუჩები. ბაგეები შეირხნენ და კარგად გასაგონად
 წარმოსთქვეს: `აზაზელი~. და აქ დროის გაწეწილობას ბოლო მოეღო, დრო ზამბარასავით
 შეიკუმშა და რომ გამოიშალა, ერასტ პეტროვიჩს მარჯვენა გვერდში დაჰკრა, თან ისე ძლიერად,
 რომ მსხვერპლი უკუვარდა და მტკივნეულად დაარტყა კეფა პარმალის პარაპეტს. ეს რა არის?
 რომელი `აზაზელი~? - იფიქრა ფანდორინმა. მძინავს თუ რა ხდება? და კიდევ იფიქრა: `იმან
 დანა `ლორდ ბაირონს~ მოახვედრა. ვეშაპის ულვაში. წელი დუიმში~.
 ძლიერი ბიძგით კარი გაიღო და პარმალზე ხარხარით გამოიშალა ხმაურიანი კამპანია.
 -ოჰო, ბატონებო, აქ მთელი ბოროდინო გაუმართავთ!-მხიარულად შესძახა არაფხიზელმა
 ვაჭრულმა ხმამ.-დასუსტდით, გულითადებო! სმაც აღარ შეუძლიანთ!
 ერასტ პეტროვიჩი წამოიწია, ხელით ეჭირა ცხელი და სველი გვერდი, რათა თეთრთვალასთვის
 შეეხედა.

მაგრამ ესეც უცნაური ამბავი, არავითარი თეთრთვალა აღარ იყო, ახტირცევი იქვე ეგდო, სადაც
 დავარდა - პირქვე, საფეხურების გასწვრივ. შორს მოჩანდა მიმქროლავი ცილინდარი, მოხელე კი
 უკვალოდ გაჰქრა, ჰაერში გაიფანტა. და მთელ ქუჩაში კაციშვილი არა ჭაჭანებდა, მარტოკა

ფარანები ანათებდნენ უღიმღამოდ.
 მოულოდნელად ფარანებიც საოცრად მოიქცნენ – დაბზრიალდნენ, დატრიალდნენ და ჯერ კი
 ძალიან განათდა, მერე კი მთლად ჩაბნელდა.

მეექვსე თავი,
 სადაც გამოჩნდება მერმისის კაცი

- იწექით, გენაცვალე, იწექით, - კარის ზღურბლზევე სთქვა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა, როცა
 დარცხვენილმა ფანდორინმა უხეში ტახტიდან ფეხები გადმოუშვა წამოსადგომად. - რა
 გიბრძანათ აქიმმა? ყოვლისფერი ვიცი, ცნობები მოვკრიფე. სასწაულოდამ გამოწერის შემდეგ
 მწოლიარე განაწესი, რომ როგორც საჭირო გახლავსთ, ისე შეიკრას იარა და შერყეული ჭკუა
 თავისს კალაპოტში ჩადგეს, თქვენ კი ჯერ ათი დღე არა სწოლილხართ.
 სტუმარი ჩამოჯდა და კუბოკრული ხელსახოცით წამოჭარხლებული, მოტვლეპილი თავის
 მშრალეხას მიჰყო ხელი.

-უჰ, გვახურებს მზე, გვახურებს. აი, გახეხილის ნუშისგან, ნიგვზისგან და, ეგებ, გარგარის
 გულისგან მომზადებული ნამცხვარი მოგართვით, მარციპანს რომ უხმობენ ჰიტალიელნი და
 ცინცხლათ მოკრეფილი ბალი, მიირთვით. სად დავაწყო?
 ბოქოულმა ჭვინტისებური ფორმის მომცრო ოთახს გადახედა, სადაც კოლეგის
 რეგისტრატორი იდგა. მოსაკითხიანი ფუთის დასადები არსად იყო: ტახტზე მასპინძელი იწვა,
 სკამზე თვით ქსავერი თეოფილაქტოვიჩი იჯდა, სტოლზედ კი წიგნები წამოხობოლავებულიყო.
 სხვა რამ ავეჯეული სადგომში არ არსებობდა, შკაფიც კი - გარდერობის მრავალნი ნივთნი
 კედელში ჩარჭობილ ლურსმნებზე ეკიდა.

-როგორა გაქვსთ, გსტკივათ?
 -სრულიადაც არა, - ცოტათი იცრუა ერესტ პეტროვიჩმა,- ხვალ გაკერილიდამ ძაფები უნდა
 ამომადრონ, მხოლოდ ნეკნების გასწვრივ გაიარა მსუბუქათ, ისე რა უჭირს, თავიც რიგიანად
 მაქვს.

-იავადმყოფეთ, მერე რა, ჯამაგირი რომ მოდის,-ქსავერი თეოფილაქტოვიჩი დანაშაულის
 შეგრძნებით შეიჭმუხნა,- არ გეწყინოსთ, ჩემო კეთილო, აქამდისინ რომ ვერ მოგინახულევით.
 ალბათ, მოხუცის პირშავობაზედ ჰფიქრობდით,- ღმერთმა ხომ იცის, როგორც კი რაპორტი
 ჩავიწერევი, ეგრევე სასწაულოში გავქუსლე, მერე კი დაუჭირვებელი შევიქმენ, ცხვირიც ვერ
 გამოვყავი. ექიმის გასაგზავნს კი ვუძღვებოდი, თქვენთან ვერ გამოვალწივე. ჩვენ
 სამმართველოში ისეთი ამბავია, ვათენებსთ და ვაღამებთ, სწორეთ მოგახსენოთ. - ბოქოულმა
 თავი გადააქნია და მიმდობლურად დაიდაბლა ხმა,- ეს თქვენი ახტირცევი ვინმე უბრალო კი
 არ აღმოჩნდა, არამედ მისის ბრწყინვალეების კანცლერ კორჩაკოვის ჰალალი შვილიშვილი, არც
 მეტი, არც ნაკლები.

-რას ჰბრძანებთ?- წამოიძახა ფანდორინმა.

-იმისი მშობელი მამა ჰოლანდიაში ელჩათ გახლავსთ, მეორე ქორწინებიდაშია, ხოლო თქვენი
 ნაცნობი მოსკოვში დეიდასთან ცხოვრობდა, კნეინა კორჩაკოვასთან, საკუთარს პალაცოში
 გონჩარნის ქუჩაზედ. კნეინა გასულს წელს წარსდგა უზენაესთან, მთელი ქონება ამას დაუწერა,
 არადა განსვენებულს დედის-მამისგანაც ისედაც საკმაოდ ჰქონდა. ოჰ, და, დაიწყო ჩვენთან
 სტვირებზედ ტანციობა, სწორედ მოგახსენოთ. ყველაზედ პირველს რიგში საქმე პირადს
 კონტროლზედ აიყვანეს გენერალ-ლუბერნატორთან, თვით კნიაზ დოლოგორუკთან. რამე კარგათ
 ვერ გავაკეთოთ და ბრეს გაგვადენენ. არადა, საქმეშიც არაფერია, გეშების და ნიშნების
 საპოვნელათ. რას და ვის დავეყრდნოსთ? თქვენ გარდა, მკვლელი არავის დაუნახავს.
 ბეჟეცკაიამ, როგორც ამას წინებზედ გითხარით, კვალი მოსპო. სახლი ცარიელია. არც
 მსახურები, აღარც ქაღალდები. წადი და დასძებნე მინდორში ქარი. ვინ არის – გაუგებელია,
 საიდან მოეთრია –არა ვუწყით რა. პაშპორტით ვილნელი კნეინა გახლავსთ. გავაგზავნეთ

შეკითხვა ვილნოში – იქ ამისთანა ვინმე აღნიშნული არ არის. კეთილი, ერთის კვირის წინეთ მისი აღმატებულება მიბარებს. ჩემს განსჯასო, მეუბნება, სახეში ნუ იქონიებ, ქსავერი, მე დიდი ხანია გიცნობ და შენ კეთილს სინდისიერებასაც შორს ვაფასებ, მაგრამ ეს საქმე შენის თვალსაწიერის მაშსტაბისა არ გახლავსთ. ჩამოვა პეტერბურლიდამ ჟანდარმერიის შეფთან და მესამე განყოფილების უფროსთან, მის მაღალაღმატებულება ღენერალ-ადიუტანტ მიზინოვ ლავრენტი არკადიევიჩთან არსებული სპეციალური გამომძიებელი, განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე. ჰგონობ, როგორი ფრინველია? ახლებიდამ გახლავსთ, რაზნოჩინელი – უაზნოთაგან შობილი და ისეთი ჩინოვანი, ღვთის წყალობა თქვენ გქონდესთ, მერმისის კაცი. ყოვლისფერს მეცნიერულათ აკეთებს. ეშმაკურს საქმეების ჰოსტატი გახლავსთ, მე და შენ კი არა გვგამს.”,- ქსავერი თელოფილაქტოვიჩმა განაწყენებით ამოიზმულია,- ესე იგი, ის მერმისის კაცი გახლავსთ, ხოლო თუ გრუშინი – უწინდელი კაცი. კეთილი. მესამე დღის დილაზედ ჩამოდის. ეს უნდა ყოფილიყო ოთხშაბათს, ოცდაორში. ივან ფრანცევიჩ ბრილლინგი ჰქვიან, სამოქალაქო მრჩეველი. სულ ოცდაათის წლისა გახლავსთ! და დაიწყო და რა დაიწყო. აი, დღეს შაბათია და დილის ცხრიდან სამსახურში ვარ. გუშინ საღამოს თერთმეტ საათამდინ ვითათბირეთ, სქემებსა ვხაზავდით. საბუფეტე გახსომთ, ჩაის რომ შევექცეოდით? იმ ალაგას ეხლა სამოვარის მაგიერში ტელეგრაფის აპარატი მორიგეობს, თავისი ტელეგრაფისტიანად. თუ გსურთ ვლადივასტოკში, ან თუ გნებავთ ბერლინში აფრინეთ დეკემა და უმაღლ კასუხიც მოვა. ნახევარი აგენტები დაიფრინა, ნახევარი თავისები ჩამორეკა პიდერიდამ, მარტო იმას უჯერებენ. მე ყოვლისფერი ჩაკირკიტებით გამომიკითხა და დიდი ყურადღებით მომისმინა. იმის ფიქრში ვიყავი შესული, გადამდგარობაში გამიშვებს მეთქი, მაგრამ არა, ბოქოული გრუშინი ჯერ კიდევ საჭირო გახლავსთ. მე, თავათ, გენცვალე, რატომ მოვედი და, - გაახსენდა ქსავერი თეოფილაქტოვიჩს,- უნდა გაგაფრთხილოთ. ახლა უკვე თავათვე აპირებს მოსვლას, პირადად უნდა დაგკითხოთ. თქვენ ნუ მოიქრუშებით, დანაშაული თქვენზედ არაფერია. აღსრულებისას ჭრილობაც კი მიიღეთ. და კიდევ ისიც, რომ ბერიკაცი არ უნდა დააღალატოთ. ვინ მიხვდებოდა, რომ საქმე ასე შემობრუნდებოდა?

ერასტ პეტროვიჩმა ნაღვლიანად მოათვალიერა თავისი ღარიბული საცხოვრებელი. კარგ წარმოდგენას კი Eშეუქმნის იმ პეტერბურლელ დიდს კაცს. -ხომ არ აჯობებდა, თავად მოვსულიყავ სამმართველოში? პატიოსან სიტყვას გამღევთ, უკვე კარგათ გახლავართ.

-არც კი იფიქრო! – ხელები გაასავსავა ბოქოულმა,- გინდათ გამცეთ, რომ წინდაწინ შემოვიარე? არა, იწექით. თქვენი ადრესი ჩაიწერა., დღეს ყოველმიზეზგარეშე მოვა. `მერმისის კაცი~ საღამოს მოვიდა, მეშვიდე საათზე და ერასტ პეტროვიჩმაც საგანგებოდ მომზადება მოასწრო. აგრაფენე კონდრატიევენას უთხრა, რომ გენერალი უნდა ეწვიოთ და დეე, მაღაშკამ შემოსასვლელის იატაკი მოწმინდოს, ფუტური სკივრი აილოს და, რაც მთავარია, შჩის მოხარშვაზე არც კი იფიქროს. ხოლო თავის ოთახში დაჭრილმა კაპიტალური დალაგება-დასუფთავება გამართა: უფრორე ავანტაჟურად, ანუ, სანდომიანად დაჰკიდა ლურსმნებზე ტანისამოსი, წიგნები საწოლის ქვემოთ გადამალა, სტოლზე მხოლოდ ფრანციცული რომანი დატოვა, დევიდ იუმის “ფილოსოფიური ესეები” ანლიურ ენაზედ და ჟან დებრეს `პარიზელი მაძებრის ჩანაწერები~. მერე დებრე აილო და მაგიერში დადო `სწორი სუნთქვის დარიგებები ნამდვილი ინდოელის ბრაჰმინის, ბატონ ჩანდრა ჯონსონის მიხედვით”, რომლის მიხედვითაც ყოველ სისხამზედ გიმნასტიკას აკეთებდა სულის გასამაგრებლად. დეე, ჰნახოს ეშმაკურ საქმეთა ჰოსტატმა, რომ აქ ღარიბი კაცი ცხოვრობს და არა გამოცარიელებული. თავისი იარის სიმძიმისთვის რომ გაუსვა ხაზი, ერასტ პეტროვიჩმა სკამზე, ტახტის მახლობლად ბუშტურა შუშა დადგა რაღაც მიქსტურით (აგრაფენა კონდრატიევენას სთხოვა), თავად კი დაწვა და თავი თეთრი კაშნეთი შეიხვია. სჩანს, ის გამოვიდა, რაც საჭირო იყო – თანაგრძნობის გამომწვევად და ვაჟკაცურად.

ბოლოს, როცა წოლა ძან მოსწყინდა, კარზე მოკლედ დაარაკუნეს და მაშინათვე, ანაზდეული გამობმურების დაულოდნელათ, შემოვიდა მეტისმეტი ენერჯის მქონე ბატონი, ჩაცმული მსუბუქ, მოხერხებულ პიჯაკში, ნათელ შალვარ-პანტალონში და მთლად თავსარქველის გარეშე. რიგიანად დავარცხნილი ქერა თმა თეატრის ფარდისებრ გახსნილიყო მაღალ შუბლზე, ნებისყოფიანი პირის კუთხეში გაწოლილიყო ორი დამცინავი ნაოჭი, გაპარსული, ღრმულიანი ნიკაპიდან საკუთარ თავში დაჯერებულობა იგრძნობოდა. გამჭირიანმა ნაცრისფერმა თვალებმა ელვის უმაღლეს მიმოიხილეს ოთახი და ფანდორინზე შეჩერდნენ. - ვხედავ, წარდგენა აღარ მჭირდება, - მხიარულად აღნიშნა სტუმარმა, - ჩემს შესახებ მთავარი უკვე იცით, თუმცაღა A წამგებიანი კუთხით. ტელეგრაფზე თუ იწუწუნა გრუმინმა? ერასტ პეტროვიჩმა თვალები დაახამხამა და ამაზე არაფერი უთქვამს. - ეს დედუქციური მეთოდი გახლავსთ, უძვირფასესო ფანდორინო. საერთო სურათის აღდგენა ზოგიერთი მცირე გეშით. აქ მთავარია, არ ავფეთქდეთ და არაკორექტულ დასკვნამდე არ მივიდეთ, თუკი ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაცია სხვადასხვანაირი ახსნის საშუალებას გვაძლევს. თუმცა ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ, დრო გვექნება. გრუმინის შესახებ კი ყოვლისფერი მეტად მარტივი გახლავსთ. თქვენმა დიასახლისმა, ლამის იყო და იატაკამდე დამიკრა თავი და `აღმატებულობით` მომმართა - ეს ერთი. მე, როგორც ხედავთ, `აღმატებულებას` არაფრით ვგავარ, ჯერ-ჯერობით არც გახლავარსთ, რამეთუ ჩემი ჩინი განეკუთვნება მარტოკა `მაღალკეთილშობილობის` თანრიგს - ეს ორი. გრუმინის გარდა, თქვენთან მოსვლას რომ ვაპირებდი, არავისთვის მითქვამს - ეს სამი. ცხადია, ჩემს მოღვაწეობაზე ბატონი საგამომძიებლო ბოქოული სათაკილოდ იტყოდა - ეს ოთხი. ხოლო თუ ტელეგრაფზე, ურომლისოდაც თანამედროვე ძიებაში, დამეთანხმებით, სრულიად შეუძლებელია და თქვენი სამმართველოს პირად შემადგენლობაზე არცთუ ხელიხელსაგომანებელი შთაბეჭდილება მოახდინა, ჩვენი მძინარა ქსავერი თეოფილაქტოვიჩი ვერაფრით შესძლებდა გაჩუმებას - ეს ხუთი. ასეა? - ასეა, - უსირცხვილოდ გასცა უკეთილესი ქსავერი თეოფილაქტოვიჩი განცვიფრებას მოსულმა ფანდორინმა.

- თქვენ რა, ასეთ ახალგაზრდულ ასაკში უკვე ჰემონია, ანუ ბუასილიც გაქვთ? - შეეკითხა მკვირცხლი სტუმარი, სკამიდან აღებული მიქსტურა სტოლზედ გადადგა და ჩამოჯდა. - არა! - ქარიშხალისებურად გაწითლდა ერასტ პეტროვიჩი და აგრაფენა კონდრატიევნას დაუსწრებლად ბუასილისგან განზე გადაგა, - ეს... ეს დიასახლისმა აურია. ის სულ ასერიგად ურევს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. ასეთი დაულაგებელი დედაკაცი გახლავსთ. - გასაგებია. ივან ფრანცევიჩი დამიძახეთ, ანდა უბრალოდ `შეფი`, რაღა ერთად მოგვიწევს მუშაობა. წავიკითხე თქვენი მოხსენება, - ყოველგვარი მცირე გადასვლის გარეშე განაგრძობდა ბრილინგი. - ჰკვიანურია. დაკვირვებით არის შედგენილი. რეზულტატურია. სასიამოვნო გაოცებაში მოვდივარ თქვენი ინტუიციით - ეს ჩვენს საქმეში ყველაზე ძვირად ფასობს. ჯერ კიდევ არ იცი, როგორ განვითარდება სიტუაცია, გრძნობა კი გკარნახობს, ესა და ეს ღონისძიებები მიიღეო. როგორ ჩახვდით, რომ ბუჟეცკაიასთან ვიზიტი სახიფათო შეიძლებოდა გამომდგარიყო? რატომ ჩათვალეთ აუცილებლად დამცავი კორსეტის ჩაცმა? ბრავო! ერასტ პეტროვიჩი წინანდელზედ უარესად აჭარხლდა. - დიდებულადაა მოფიქრებული. ტყვიას, რასაკვირველია, ვერ წაუხვალ, მაგრამ ცივი იარაღისგან თავის დასაცავად ურიგო არ არის. მე განკარგულებას გავცემ, რომ იმ აგენტებისთვის, ვინც სახიფათო დავალებებზე მიდიან, ასეთი კორსეტების პარტია შეიძინონ. რომელი სავაჭრო ტვიფრი აქვს? ფანდორინმა მორცხვად მიუგო: - ლორდ ბარონი~, - ლორდ ბარონი~, - გაიმეორა ბრილინგმა, ტყავის წიგნაკში ჩაწერისას, - ახლა კი მითხარით,

როდის შეძლებთ სამუშაოს დაწყებას? მე თქვენზე განსაკუთრებული შეხედულებები მაქვს. -დმერთო, თუ გნებავთ, ხვალვე! – გულ-მხურვალედ წამოიძახა ფანდორინმა, სიყვარულით რომ უყურებდა ახალ უფროსს, ანუ შეფს. – დილაზე ექიმთან შევირბენ, ძაფებს მოვიხსნი და უკვე შეგიძლიათ განკარგულებაც მომცეთ.

-ჰოდა, დიდებულია. ბეჟეცკაიას თქვენეული დახასიათება? ერასტ პეტროვიჩმა დაირცხვინა და საკმაოდ დაუწყობლად დაიწყო, თან საკუთარ თავს მდიდრული შესტიკულაციით ეშველებოდა:

-ეს... ეს იშვიათი ქალია. კლეოპატრაა. კარმენი... აღუწერელი სილამაზისა გახლავთ, მაგრამ არც სილამაზეშია საქმე... მაგნეტური შემოხედვა აქვს. არა, შემოხედვაც არ არის მთავარი... აი, ძირითადი: მასში განუზომელი ძალა იგრძნობა, ისეთი ძალა, რომ, თითქოს ყველასთან თამაშობს. და ეს თამაშიც რაღაც გაუგებარი წესებით მიდის, მაგრამ მეტად სასტიკი თამაშია. ეს ქალი, ჩემი ჭკუით, ძალზე ბიწიერია და იმავდროულად... აბსოლუტურად უდანაშაულო. თითქოს ბავშვობისას არ უსწავლებიათ, როგორც ხამს. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ. . . – ფანდორინმა ვარდისფერი მიიღო, რაკი ესმოდა, რომ ბევრ სისულელეს ლაყბობს, თუმცა მაინც დააბოლოვა.-მეჩვენება, რომ არც ისეთი ცუდია, როგორაც თავს გვაჩვენებს. სამოქალაქო მრჩეველმა გამომცდელად შეხედა ახალგაზრდა კაცს და ცელქად დაუფშტვინა: -აი, თურმე რა ყოფილა... ასეც ვიფიქრე. ახლა კი ვხედავ, რომ ამალია ბეჟეცკაია – არსებაა და მეტად სახიფათო არსება... განსაკუთრებით ყმაწვილი რომანტიკოსებისთვის სქესობრივი მომწიფების ასაკში.

ამ ხუმრობისგან თანამოსაუბრეზე მოხდენილი ეფექტით კმაყოფილი ივან ფრანცევიჩი წამოდგა და ერთხელ კიდევ მიმოიხედა გარშემო.

-ამ სენაკში ათს რუბლს უხდით?

-თორმეტს,-ღირსებით მიუგო ერასტ პეტროვიჩმა

-ცნობილი დეკორაციაა. მეც ამგვარად ვცხოვრობდი ერთ დროს. გიმნაზიელი რომ ვიყავი დიდებულ ქალაქ ხარკოვში. მე, იცით, თქვენსავით ადრეულ ასაკში დავრჩი უმშობლებოდ. თუმცა ეს პიროვნების ფორმირებისას უკეთესიც კია. ჯამაგირი ხომ ოცდათხუთმეტი გაუტეხელი გაქვთ, რანგების ტაბლის მიხედვით? -კვლავაც უმცირესი გადასვლის გარეშე დაინტერესდა სამოქალაქო მრჩეველი.

-და ბინის დამატება დაწესებულზე დართულად.

-მე განკარგულებას გავცემ, რომ თქვენ განსაკუთრებული ფონდიდან პრემია მოგცენ, ხუთასი რუბლი. სიბეჯითისა და გადატანილი ფათერაკისთვის. მაშ ასე, ხვალამდე. მობრძანდით, ვერსიებზე ვიმუშაოთ.

სამძებრო პოლიციის სამმართველო მართლა აღარ იცნობდა. დერეფნებში საქმიანად დაჭენაობდნენ ვიღაც უცნობი ბატონები ილღიებში ამოდებული საქალაქდებებით და უწინდელი თანამოსამსახურენი მოღვენთილად კი არა, ფხიზლად, დამაბულად დადიოდნენ. თამბაქოს მოსაწევ ოთახში - ო, საკვირველებავ - სულიერი არ ჭაჭანებდა. ერასტ პეტროვიჩმა ცნობისმოყვარეობით შეიხედა ყოფილ საბუფეტეში და ნამდვილად - სამოვარის და ფინჯან-ლამბაქების მაგივრად სტოლზე ბოდოს აპარატი იდგა, ხოლო ფორმის კურტაკიანმა ტელეგრაფისტმა შემოსულს მკაცრად და კითხვის თანხლებით შეხედა. საგამომძიებლო შტაბი სამმართველოს უფროსის კაბინეტში მოთავსებულიყო, რაკილა ბატონი პოლკოვნიკი გუშინდილიდან საქმეს ჩამომორებულ იქნა. ძაფების ამოდების პროცედურისგან ჯერ კიდევ გაფითრებული პირისახის ერასტ პეტროვიჩმა დაარაკუნა და შიგნით შეიხედა. კაბინეტიც შეცვლილიყო: დასასველებელი ტყავის სავარძლები გაქრა, მათ მაგივრად სამრიგად გამოჩნდა უბრალო სკამები, ხოლო კედელთან ორი სასაკოლო

დაფა იდგა, სულერთიანად დახაზული რაღაც სქემებით. ჩანდა, ახლახან დასრულებულიყო თათბირი - ბრილიინგი ცარცით დასვრილ ხელებს მჩვრით იწმენდავდა, ხოლო მოხელეები და აგენტები, საქმიანი ბაასით გასასვლელისკენ მიდიოდნენ.

-შემოდით, ფანდორინო, შემოდით. დირეზე ნუ აიტუზებით, - ააჩქარა შემკრთალი ერასტ პეტროვიჩი კაბინეტის ახალმა პატრონმა,-ნაკერები აგხსნეს? ჰოდა, ბარაქალა! თქვენ უშუალოდ ჩემთან იმუშავებთ. სტოლს არ გამოგიყოფთ- სულ ერთია, ჯდომა არ მოგიხდებათ. სამწუხაროდ, გვიან მოხვედით, ჩვენ აქ მეტად საინტერესო დისკუსია გვქონდა თქვენი რაპორტის, აზაზელის- შესახებ.

-არსებობს ამგვარიც? მე მართლა გავიგონე? - ყურები სცქვიტა ერასტ პეტროვიჩმა, - მე კი ვშიშობდი, რომ მომეჩვენა.

-არ მოგჩვენებიათ. აზაზელი - ეს დაცემული ანგელოსია. საღვთო სჯულში რა ნიშანი გქონდათ? განტევების ვაცზე გახსოვთ? ჰოდა, თუკი დაგამახსოვრდათ, ისინი ორნი იყვნენ. ერთი ცოდვათა გამოსასყიდად ღმერთისთვის იყო დანიშნული, მეორე - აზაზელისთვის, რომ არ განრისხებულყო. ებრაელებთან, ენოქის წიგნში~ აზაზელი ადამიანებს ყოვლისფერ ფინთობას ასწავლის: კაცებს ომს და იარაღის კეთებას, დედაკაცებს - სახის შეღებვას და ნაყოფის მოწამვლას. ერთის სიტყვით, მოჯანყე დემონი გახლავთ, განდევნილი სული.

-მაგრამ ეს რას უნდა ნიშნავდეს?

-კოლეგის ერთმა ასესორმა თქვენებიდან, მოსკოველებიდან აქ მთელი ჰიპოთეზა განავითარა. საიდუმლო იუდეურ ორღანიზაციაზე. ურიების სინედრიონზეც მოჰყვა, ქრისტიანი ყრმების სისხლზეც. იმან ბეჟეცკაია ისრაელის ასულად დაგვისახა, ხოლოთუ ახტირცევი - კრავად, ებრაული ღმერთის სამსხვერპლო საკურთხეველზე რომ მოუყვანიათ. საზოგადოდ, ჩმახვან და აბდაუბდა. მე ეს იუდოფობიური ბოდვები პეტერბურლიდან ძალიან კარგად ვიცი. თუ უბედურება შეგემთხვა, ხოლო მიზეზები გაურკვეველია - მაშინათვე სინედრიონი უნდა ახსენოთ.

- მერე, თქვენ რას ფიქრობთ... შეფ? - ვერცთუ შინაგანის ყოყმანის გარეშე წარმოსთქვა ფენდორინმა უჩვეულო მიმართვა.

-მაშინ აქვთ გამოხედვა ინებეთ, - ბრილიინგი ერთ-ერთი დაფასთან მივიდა, - ზემოთ ეს ოთხი წრე - ოთხი ვერსია გახლავთ. პირველი წრე, როგორც ხედავთ, კითვის ნიშნით გახლავთ. ეს ყველაზე უიმედო ვერსიაა: მკვლელი მარტოკა მოქმედებდა, და თქვენ ახტირცევთან ერთად ანაზღეული მსხვერპლი იყავით. შეიძლება მანიაკია, დემონიზმშია გარეული. აქ ჩიხში ვართ, სანამდე ახალი და მსგავსი დანაშაული არ მოხდება. მე ტელეგრაფით ყოველ გუბერნიაში გავაგზავნე შეკითხვები, ხომ არ ყოფილა ასეთივე მკვლელობანი. წარმატებაზე ეჭვი მიმაქვს - ამ მანიაკს რომ ადრე გამოევილინა თავი, უსათუოდ მეცოდიებოდა. მეორე წრე ასო-ნიშნებით "აბ" - ეს ამალია ბეჟეცკაია გახლავთ. ლაპარაკი არ უნდა, საეჭვოა. მისი სახლიდან თქვენთვის და ახტირცევისთვის მარტივად შეეძლოთ კრიმამდე~ მოგყოლოდნენ. კვლავაც გაქცევა, თუმცა გაუგებარია მკვლელობის მოტივი.

-გაიქცა, ესე იგი, გარეულია, - გულ-ალტკინებით თქვა ფანდორინმა,- და გამოდის, რომ თეთრთვალა არანაირი მარტოკა არ არის.

-ფაქტი არ არის, არამც და არამც არ არის ფაქტი. ვიცით, რომ ბეჟეცკაია ცრუ-თვითმარქვიაა და ყალბი პაშპორტით ცხოვრობდა. ნამდვილად, ავანტურისტია. ნამდვილად მდიდარი მფარველების ხარჯზე ცხოვრობდა. მაგრამ მკვლელობა, თანაც ასეთი მარჯვე ბატონის ხელით? თქვენი მოხსენების მიხედვით თუ განვსჯით, ეს ვიღაც დილეტანტი კი არ იყო, არამედ სრულიად პროფესიონალი მკვლელი. როგორი დარტყმაა ღვიძლში - იუველირის ნამუშევარია. მე ხომ მორგში ვიყავი, ახტირცევი დავათვალიერე. ის კორსეტი რომ არა, თქვენც იქ იწვებოდით, ხოლო პოლიცია კი ჩათვლიდა მარცვად ან მთვრალეების ჩხუბად. მაგრამ დავუბრუნდეთ ბეჟეცკაიას.. მომხდარზე მას შეეძლო გაეგო რომელიმე შინამოსამსახურისგან -

„კრიმი~ მისი სახლიდან რამდენიმე წუთის სავალზეა. დიდი ხმაური იყო – პოლიცია, ალტყინებული ბუზიყლაპიები. ვინმემ მსახურებიდან ანდა, ვთქვათ, მეეზოვემ მოკლულში ბეჭეცკაიას სტუმერი ამოიციხო და ენა მიურბენინა. იმას მართებულად შეეშინდა პოლიციის წინდაწინ მოკვლევისა და გარდაუვალი გამოაშკარავებისა, ამიტომ დაუყოვნებლივ მიიმალა. დრო ამისთვის საკმარისად ჰქონდა – თქვენმა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა მხოლოდ მეორე დღეს მოაკითხა ორდერით, შუადღეგადასულზე. ვიცი-ვიცი, თქვენ ჭკუაშერყეული იყავით, ანაზდეულად არ მოსულხართ ცნობაზე. სანამ მოხსენებას კარნახობდით, ვიდრე ხელმძღვანელობა კევას იქეჟავდა... საზოგადოდ, ბეჭეცკაიაზე ძებნა გამოვაცხადე. მოსკოვში, უპირველეს-ყოვლისა, ის, ალბათ, აღარ იმყოფება. ვფიქრობ, არც რუსეთშია - სამასხრო ამბავი ხომ არ არის, ათი დღე გავიდა. ვადგენთ მასთან ნამყოფთა სიას, მაგრამ მათი მეტი- წილი სოლიდური ხალხია, აქ დელიკატურობა უნდა. ჩემ სერიოზულ ეჭვს მხოლოდ ერთი იწვევს. ივან ფრანცევიჩმა საჩვენებელი მესამე წრეს ატაკა, რომელზედაც ეწერა `გზ~. -გრაფი ზუროვი, იპოლიტ ალექსანდროვიჩი. ჩანს, ბეჭეცკაიას საყვარელი. კაცი, რომელიმე ზნეობრივი საფუძველის გარშე, მოთამაშე, ბრეტერ-მოდულე, თავგუნება. მსუქანი-ამერიკელის ტიპი. მის შესახებ გაგვაჩნია ირიბი გეშები. მეტად განრისხებული წავიდა მკვლელთან კამათის შემდგომ – ეს ერთი. შესაძლებლობა ჰქონდა ჩასაფრებისაც, თვალ-ყურის დევნებისაც და მკვლელის მოგზავნისაც - ეს ორი. მეეზოვემ უჩვენა, რომ მხოლოდ გამთენიისას დაბრუნდა ზუროვი სახლში – ეს სამი. მოტივი, თუმცა კი უძლური, არსებობს კიდევ: ეჭვი ანდა სნეულებრივი შურისმაძიებლობა. შესაძლოა, კიდევ იყო სხვა რამეც. მთავარი ეჭვია: ზუროვი ის კაცი არ არის, სხვისი ხელით მოკლას. სხვათაშორის, აგენტურული მონაცემებით, მაგის გარშემო მუდამ ტრიალებენ ყველანაირი ბნელი პიროვნებები, ასე რომ, ვერსია პერსპექტიული გახლავთ. თქვენ, ფანდორინ, სწორედ ამით დაკავდებით. ზუროვს აგენტების მთელი ჯგუფი ამუშავებს, მაგრამ თქვენ მარტოკა იმოქმედებთ, კარგად გამოგდით. დავალების გარემოებაზე მოგვიანებით მოვილაპარაკებთ, ახლა კი ბოლო წრეზე გადავიდეთ. ამას მე თვითონ ვამუშავებ. ერასტ პეტროვიჩმა შუბლი შეიჭმუნა, ცდილობდა წარმოედგინა, რას შეიძლება აღნიშნავდეს ასო-ნიშნები

„ნილილისტების ორდანიზაცია,-აუხსნა შეფმა,-აქ არსებობს შეთქმულების ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ არა იუდეური, არამედ უფრო სერიოზული. ამის თაობაზე, კერძოდ, გამომგზავნეს კიდევ. ანუ, რასაკვირველია, კნიაზმა კორჩაკოვმა მთხოვა – როგორც თქვენთვის ცნობილია, ნიკოლოზ ახტირცევი მისი განსვენებული ქალიშვილის შვილია. თუმცა, შესაძლოა, აქ ყველაფერი არცთუ უბრალო აღმოჩენდეს. ჩვენი რუსეთის რევოლუციონერები განხეთქილების ზღვრამდე არიან. ნაკლებად მოყოყმანებებსა და მოუთმენლებს ამ რობერსპიერებიდან მოსწყინდათ გლეხუქას განათლება – დაუსრულებელი საქმეა, საკირკიტო, ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. ბომბა, ხანჯალი და რევოლვერი უფრო საინტერესოა. უახლოეს ხანებში დიდ სისხლისღვრას ველი. ის, რაც აქამდე იყო – ყვავილება. მმართველი კლასის მიმართ ტერორი შეიძლება მასსიური გახდეს. გარკვეული დროიდან მესამე განყოფილებაში მე ვაწარმოებ საქმეებს ყველაზე აღვირახსნილ და კონსპირირებულ ტერორისტების ჯგუფებთან. ჩემმა პატრონმა, ლავრენტი არკადიევიჩ მიზინოვმა, მესამე განყოფილებაში ჟანდარმთა კორპუსს რომ ხელმძღვანელობს, დავალება მომცა, გავრკვეულიყავი, თუ მოსკოვში ეს რა `აზაზელი~ გამოჩნდა. დემონი – ერთობ რევოლუციური სიმბოლოა. აქ ხომ, ფანდორინო, რუსეთის ბედია კარტში ჩასული.-ბრილინგის ჩვეულებრივი დამცინაობიდან კვალზე აღარ დარჩა, მისი ხმიდან კი მძვინვარება მოისმა.-თუკი სიმსივნე ჩანასახშივე არ მოვეთეთ, ეს რომანტიკოსები ოცდაათი, და შესაძლოა უფრო ადრეც, ისეთ რევოლუციონს მოიყვანენ, რომ ფრანგული გილიოტინა ძვირფას ცულლუტობად მოგვეჩვენება. მე და თქვენ წყნარად დაბერებას არ გვაცდიან, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ. წაიკითხეთ რომანი `ემმაკნი~ ბატონი დოსტოევსკისა? ამაოდ. იქ ლამაზად არის პროგნოზირებული.

-ესე იგი, სულ ოთხი ვერსია? – ყოყმანით ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა. -ცოტაა? რაიმე გამოგვრჩა მხედველობიდან? ბრძანეთ-ბრძანეთ, მე მუშაობაში ჩინებს არ ვაღიარებ,- გაამხნევა შეფმა,-და ნუ გეშინიათ სასაცილო გამოჩნდეთ- ეს ახალგაზრდული ასაკით მოგდით. სჯობს სისულელე თქვათ, ვიდრე მნიშვნელოვანი გამოგვრჩეთ. ფანდორინმა ჯერ მორიდებულად დაიწყო, მერე უფრო გულმხურვალედ ალაპარაკდა: -მე მეჩვენება, თქვენი მაღალ... ესე იგი, შეფ, რომ თქვენ ამაოდ სტოვებთ გვერდზე ლედი ესტერს. იგი, რასაკვირველია, ძალზე ღირსეული და პატივსაცემი არსებაა, მაგრამ... ის მილიონიანი ანდერძი! ბუჟეცკაიას აქედან არანაირი სარგებელი არ გააჩნია, არც გრაფ ზუროვს, ნილილისტებს - მხოლოდთუ საზოგადო კეთილდღეობის აზრით. . . მე არ ვიცი, რა შუაშია აქ ლედი ესტერი, შესაძლოა, არც არაფერში, მაგრამ თანამიმდევრული რიგიანობისთვის კარგი იქნებოდა... ხომ არსებობს საგამომიებო პრინციპი – ცუდი პროდესტ, `მოძებნე, ვისთვისაც სასარგებლოა`-.

-მელსი თარგმანისთვის,-თავი დაუკრა ივან ფრანცევიჩმა და ფანდორინი აირია. -შენიშვნა სავსებით მართებულია, თუმცა ახტირცევის მონათხრობში, რომელიც თქვენს მოხსენებაშია აღნიშნული, ყველაფერი ამომწურავად არის ახსნილი. ბარონესა ესტერის სახელი შემთხვევით გამოჩნდა. მე ის არ ჩავრთე ექვმიტანილთა სიაში, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დრო ძვირფასია, მეორეც, კიდევ იმიტომაც, რომ მე ამ დამას ცოტათი ვიცნობ, მქონდა ბედნიერება, შევხვედროდი. -ბრილლინგმა კეთილად გაიღიმა.-სხვათაშორის, ფანდორინო, თქვენ ფორმალურად მართალი ხართ. არ მინდა, ჩემი დასკვნები მოგახვიოთ თავზე. თქვენ თავად იფიქრეთ, არავის სიტყვას არ ენდოთ. შეხვდით ბარონესას, გამოკითხეთ, რაზედაც საჭიროდ ჩათვლით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნაცნობობა, ბევრი სხვა რამის გარდა, სიამოვნებასაც მოგანიჭებთ. საქალაქო მორიგის სამსახურში გამოგიცხადებენ ლედი ესტერის მოსკოვურ ადრესს. და აი, კიდევ რა, გასვლის წინ საკოსტიუმოში შებრძანდით, ზომა აგიღონ. სამსახურში მუნდირით აღარ გამოცხადდეთ. ბარონესას ჩემი მდაბალი სალაში, და როცა დაჭკვიანებული დაბრუნდებით, საქმეს მივხედოთ, ესე იგი, გრაფ ზუროვს.

მეშიდღე			თავი,
რომელშიც			მტკიცდება,
რომ	პედაგოგიკა	მეცნიერებებიდან	უმთავრესია

მორიგის მოცემულ მისამართზე მისულმა ერასტ პეტროვიჩმა კაპიტალური, სამსართულიანი სახლი დაინახა, ერთი შეხედვით ყაზარმას რომ მოგაგონებდათ, მაგრამ ბალით გარშემორტყმული და სტუმართმოყვარედ გაღებული ჭიშკრით. სწორედ ეს გახლდათ ანდლიელი ბარონესას ახლადგახსნილი ესტერნატი. შავ-თეთრ ზოლიანი ჯიხურიდან ვერცხლისფერ ბუზმენტებიან, რიგიან ლურჯ სერთუკში გამოწყობილმა მოსამსახურემ გამოიხედა და ხალისიანად აუხსნა, რომ ქალბატონი მილედი აქ კი არა, ფლიგელში ცხოვრობს, მარჯვენა კუთხეში მოუხვევთ და იმ შესახვევთან არის შესასვლელი. ფანდორინმა დაინახა, რომ შენობის კარიდან ლურჯსავე მუნდირებში ჩაცმული ბიჭების გუნდი გამოიშალა და ველური ყვირილით დაიწყეს გაზონზე სირბილი, კენჭობანას თამაშობდნენ. მოსამსახურეს არც უფიქრია ამ ცელქებისთვის წესრიგისკენ მოეწოდებინა. ფანდორინის გაკვირვებული მხერა რომ დაიჭირა, აუხსნა: -აკრძალული არ არის. შესვენებაზე, თუ გინდა, ბორბლებით იარე, მარტო ქონება არ გააფუჭო. ესეთი წესებია.

ვერაფერს იტყვი, როგორც ჩანს, ობლები აქ თავის ნებაზე იყვნენ, გუბერნიის გიმნაზიის მოსწავლეებივით კი არა, რომელთა რიცხვშიც არცთუ ისე ადრე ჩვენი კოლეგიის

რეგისტრატორიც შედიოდა. იმ საწყლების მაგივრად გახარებულმა ერასტ პეტროვიჩმა მითითებული მიმართულებით, მესერის სისწვრივ გასწია. მოსახვევიდან ჩრდილებიანი შესახვევი იწყებოდა. ასეთები აქ, ხამოვნიკებში უთვალავი იყო: მტვრიანი ქვაფენილი, მთვლემარე სახლები ბაღჩებით და მესერებით, ტოტებგაშლილი ალვები, რომლებიდანაც მალე ფრენას დაიწყებენ თეთრი ბუმბულები. ორსართულიანი ფლიგელი, სადაც ლედი ესტერი იდგა, გრძელი გალერეით უერთდებოდა ძირითად კორპუსს. მარმარილოს დაფაზე, ეწერა `პირველი მოსკოვური ესტერნატი. დირექცია~. მის მახლობლად მზეზე თბებოდა მედიდური შვეიცარი - ერთიანად აბრწყვიალებული, დავარცხნილი ბაკენბარდებით. ასეთი სადიდკაცო შვეიცარები, თეთრ წინდებში და ოქროს კოკარდიან სამკუთხა შლაპებში ფანდორინს გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციის მახლობლადაც კი არ ენახა.

-ახლა მიღება არ არის, - შლაგბაუმივით დაუყენა ხელი იმ იანიჩარმა,- ხვალ მობრძანდით. სახელმწიფო საქმეებზე ათიდან თორმეტამდე, პირადზე კი ორიდან ოთხამდე. მოკლედ, კარგი ურთიერთობა ვერ ააწყო ამ შვეიცარების ჯილაგთან. ან გარეგნობა ჰქონდა არასოლიდური, ანდა მის პირისახეზე რაღაც ვერ იყო წესრიგში. -სამძებრო პოლიცია. ლედი ესტერთან ვარ, სასწრაფო საქმეზე, - გამოსცრა მან, შურისძიებით გაივლო, როგორ მოიხრის ქედს ეს ოქროს სირმებიანი, გაქვავებული კერპი. მაგრამ გაქვავებულ კერპს ყურიც არ შეუბერტყავს. -მეტი საქმე არა აქვს მის ბრწყინვალეობას, არ შეგიშვებთ. თუ ისურვებთ, შემიდლია მისტერ კანინგემს მოვახსენო.

-არავითარი კანინგემი არ მჭირდება,-განრისხდა ერასტ პეტროვიჩი,-ეხლავე მოახსენე ბარონესას, შე საქონელო, თორემ უბნის დილეგში მოგიწევს ღამის გათენება! და ეგრე უთხარი – სამძებრო სამმართველოდან არის სასწრაფო, სახელწიფო საქმეზე თქო! შვეიცარმა საეჭვო მზერით გაზომა გაბრაზებული ჩინოვნიკი, თუმცა მაინც გაქრა კარს მიღმა. თუმცა შესვლა არ შეუთავაზებია ამ არამზადას. დიდხანს მოუხდა ცდა, ფანდორინი შეუპატიჟებლად აპირებდა შეჭრას, როცა კარის მიღმიდან კიდევ გამოიხედა ბაკენბარდებიანმა მოლუშულმა სიფათმა.

-მიღებით მიგიღებენ, მაგრამ ჩვენებურად არცთუ კარგად ბაასობენ, მისტერ კანინგემს სათარგმნელად არა სცალია, დაკავებულია. აი, თუკი ფრანგულად აუხსნით...-ხმის მიხედვით გასაგები იყო, რომ ამგვარი შესაძლებლობისა შვეიცარს ნაკლებად სჯერა.

-ინგლისურადაც შემიდლია,-ცივად დაუკრა თავი ერასტ პეტროვიჩმა,-საით? -გაგაცილებთ, მე მომყევით.

სუფთა, შტოფგაკრული შემოსასვლელი. მერე ნათელი, მზით სავსე დერეფანი გაიარეს, მონაცვლეობით რომ გასდევდა მაღალი, ჰოლანდიური ფანჯრები, ფანდორინი იანიჩარს მიჰყვებოდა თეთრი, მოოქროვილი კარისკენ.

ინგლისურად საუბრისა ერასტ პეტროვიჩს არ ეშინოდა. ის ნენნი ლისბეტის (მკაცრ წუთებში – მისის ჯეისონი) ზედამხედველობით გაიზარდა, ნამდვილი ინგლისელი გადიისა. ეს იყო გულითადი და მზრუნველი, მაგრამ მეტისმეტად თავდაჭერილი გაუთხოვარი ქალი, რომლისთვისაც მით უმეტეს `მის~ კი არა, `მისის~ უნდა დაეძახა – მისი საპატიო პროფესიის პატივისცემით. ლისბეტმა თავის აღსაზრდელს ასწავლა, რომ შვიდის ნახევარზე ამდგარიყო ზაფხულში, ევარჯიშა ოფლის გამოსვლამდე და მერე ცივი წყლით ებანავა, ორასამდე დათვლამდე ეხეხა კბილები, არასოდეს ეჭამა მამღრად და კიდევ უამრავი, ჯენლტმენისთვის აუცილებელი რამეები.

კარზე	რაკუნს	ქალის	ნაზი	ხმა	გამოეპასუხა:
-Come	in!	Entrez!	(`შემოდით!~-ანდლ.,	`მობრძანდით!~-ფრანც.).	
ერასტ	პეტროვიჩმა	შვეიცარს	ქუდი	მისცა	და შევიდა.

-აჰა, მაინც ყველაში არა ყოფილა! - ზეიმით ასწია თითი ფანდორინმა -ყველაშია, ჩემო ბიჭიკო, აბსოლუტურად ყველაში, უბრალოდ, ჩვენ, პედაგოგები საკმაოდ დახელოვნებული არა ვართ. ანდა ბავშვში ჩადებულია ტალანტი, რომელსაც თანამედროვე სამყაროში გამოყენება ჯერ არა აქვს. შესაძლოა, ეს ადამიანი პირველყოფილ საზოგადოებაში იყო აუცილებელი ანდა მისი გენია შორეულ მომავალში გახდება საჭირო - ისეთ სფეროში, რომლის წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია დღეს.

-მომავალზე - კეთილი, განსჯას ვერ შევუდგები,-გატაცებული კამათი დაიწყო ფანდორინმა,- მაგრამ პირველყოფილ საზოგადოებაზე რაღაც გაუგებარია, რა ტალანტები გაქვთ მხედველობაში?

-თავდაც არ ვიცი, ჩემო ბიჭო, - ფარ-ხმალის დამყრელად გაიღიმა ლედი ესტერმა, - მაგალითად, დავუშვათ, მიწის ქვეშ წყლის პოვნის ნიჭი ანდა ტყეში ცხოველის შეგრძნების უნარი. შესაძლოა, საჭმელი ფესვების გარჩევა არასაჭმლისაგან. მხოლოდ ერთი ვიცი, რომ იმ შორეულ ხანაში სწორედ ასეთი ადამიანები იყვნენ მთავარი გენიები, ხოლო მისტერ დარვინი ან ჰერრ შოპენჰაუერი, გამოქვაბულში რომ დაბადებულიყვნენ, თავ-თავიანთ ტომებში ბრიყვების მდგომარეობაში იქნებოდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ იმ ბავშვებს, რომლებსაც დღეს გონებრივად განუვითარებლად სთვლიან, აგრეთვე აქვთ ნიჭი. ეს, რასაკვირველია, რაციონალური თვისებების ტალანტი არ გახლავსთ, მაგრამ ამის გამო არანაკლებად ძვირფასია. მე შეფიქრებდები მაქვს სპეციალური ინტერნეტი იმათთვის, ვისაც ტრადიციულმა პედაგოგიკამ შესაქცია ზურგი. ღმერთო, გენიალურების რა საოცრებებს ამჟღავნებენ ეს ბიჭუნები! იქ არის ბავშვი, ცამეტი წლისამ ძლივს რომ აიდგა ენა, მაგრამ ხელისგულის მიდებით ნებისმიერ შაკიკს არჩენს. მეორეს - ის, საერთოდ, ხმას ვერ იღებს - სუნთქვის შეჩერება შეუძლია მთელი ოთხ-ნახევარი წუთით. მესამე შეხედვით ათბობს წყლიან ჭიქას, წარმოგიდგენიათ?

-დაუჯერებელია! მაგრამ... რატომ მხოლოდ ბიჭები? გოგონები? ლედი ესტერმა ამოიოხრა, ხელები გაშალა.

-თქვენ მართალი ხართ, ჩემო მეგობარო. რა თქმა უნდა, გოგონებთანაც უნდა ვიმუშაოთ. თუმცა გამოცდილება მკარნახობს, რომ ქალის ნატურაში ჩადებული ტალანტი ხშირად ისეთი თვისებისაა, რომ თანამედროვე საზოგადოების მორალს სათანადოდ არ შეუძლია მისი მიღება. ჩვენ მამაკაცების საუკუნეში ვცხოვრობთ და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. საზოგადოებაში, სადაც კაცები მართავენ, არაჩვეულებრივი, ნიჭიერი ქალი ეჭვებს და მტრობას იწვევს. მე არ ვისურვებდი, ჩემი აღზრდილები უბედურები ყოფილიყვნენ.

-მაგრამ როგორ არის მოწყობილი თქვენი სისტემა? როგორ აწარმოებს, ასე ვთქვათ, ბავშვების დახარისხება?- ცხოველი ინტერესით შეეკითხა ერასტ პეტროვიჩი.

-მართლა გაინტერესებთ? - გაუხარდა ბარონესას. - წამოზრდით სასწავლო კორპუსში და თავად ნახავთ.

ის თავისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმარდით წამოხტა, მზადყოფი, წაეყვანა და ეჩვენებინა. ფანდორინმა თავი დაუკრა და მიღედიმ ახალგაზრდა კაცი ჯერ დერეფნით წაიყვანა, მერე კი გრძელი გალერეით პირითად ნაგებობაში. გზაში უამბობდა:

-აქაური დაწესებულება სულ ახალია, სამი კვირაა გავხსენით და მუშაობას ჯერ კიდევ ახლა ვიწყებთ. ჩემმა ხალხმა თავშესაფრებიდან და ზოგჯერ პირდაპირ ქუჩიდანაც კი აიყვანა ასოცი ობოლი ბიჭი, ოთხიდან თორმეტი წლის ასაკამდე. თუ ბავშვი უკვე დიდია, მასთან ძნელია რამის გაკეთება – პიროვნება ჩამოყალიბდა. თავიდან ბიჭები გავყავით ასაკობრივ ჯგუფებად, თითოეულს თავისი მასწავლებელი ჰყავს, მოცემული ასაკის სპეციალისტი. მასწავლებლის მთავარი მოვალეობაა, დააკვირდეს ბავშვებს და თანდათან მისცეს სხვადასხვა მარტივი დავალებები. ეს დავალებები თამაშს ჰგავს, მაგრამ მათი მეოხებით ადვილი გასაგებია ბავშვის ბუნების საერთო მიმართულება. პირველ ეტაპზე უნდა გამოვიცნოთ, რა უფრო ტალანტიანია

მოცემულ ბავშვში – სხეული, თავი თუ ინტუიცია. მერე ბავშვები დაიყოფიან არა ასაკობრივ, არამედ პროფილურ ჯგუფებად: რაციონალისტები, არტისტები, ხელმარჯვეები, ლიდერები, სპორტსმენები და ასე შემდეგ. ეს პროფილი თანდათან ვიწროვდება და უფროსი ასაკის ბიჭებს ხშირად ინდივიდუალურად ამზადებენ. მე ბავშვებთან ორმოცი წელი ვმუშაობ და ვერ წარმოიდგენთ, რა ბევრს მიაღწიეს ჩემმა აღზრდილებმა - სულ სხვადასხვა სფეროებში. -ეს გრანდიოზულია, მილედო!-აღფრთოვანდა ერასტ პეტროვიჩი,-მაგრამ საიდან უნდა მოვუყვანოთ ასეთი ჩინებული პედაგოგები?

-მე ძალიან კარგად ვუხდი ჩემს მასწავლებლებს, რაღაი პედაგოგიკა – მეცნიერებათაგან უმთავრესია,-ღრმა რწმენით თქვა ბარონესამ,-ამას გარდა, ბევრი ჩემი ყოფილი აღზრდილი გამოთქვამს სურვილს ესტერნატებში დარჩეს აღმზრდელად. ეს ხომ ბუნებრივიც არის, ესტერნატი ხომ ის ერთადერთი ოჯახია, რაც მათ იციან. ისინი ფართო, რეკრეაციულ დარბაზში შევიდნენ, სადაც რამდენიმე საკლასო ოთახის კარი გამოდიოდა.

-სად მიგიყვანოთ? – ჩაფიქრდა ლედი ესტერი - აი, თუნდაც ფიზიკურში. იქ საჩვენებელი გაკვეთილი აქვს ჩემ დიდებულ დოქტორ ბლანკს, ციურხის ესტერნატის კურსდამთავრებულს, გენიალურ ფიზიკოსს. მე მოსკოვში გადმოვიტყუე, რადგან აქ ელექტრობაზე ცდების ჩასატარებელი ლაბორატორია მოვუწყვე. ამასთან ერთად მან ბავშვებს უნდა უჩვენოს ყოველგვარი ემპირიული ფოკუსები, რათა ამ გზით მათი ინტერესი გააღვიძოს ამ მეცნიერებისკენ.

ბარონესამ ერთ-ერთ კარზე დააკაკუნა და მათ კლასში შეიხედეს. მერხებს თხუთმეტამდე თერთმეტი წლის ბიჭი უჯდა, ლურჯ მუნდირებში, რომელთა საყელოებზე ოქროს ლიტერა ე-ამოქარგათ. ყველა ისინი, სუნთქვა შეკრულნი უყურებდნენ, თუ პირქუში, ახალგაზრდა ბატონი უშველებელი ბაკენბარდებით, საკმაოდ უწესრიგო სერთუკში და არცთუ სუფთა პერანგში, როგორ ატრიალებს რაღაც მინის ბორბალს, რომელიც ლურჯ ნაპერწკლებს ისვრის. -Ich binsehr beschäftigt, milady! ვ(მე ძალიან დაკავებული ვარ, მილედო!~-ნემენც.) - წყენით დაიყვირა დოქტორმა ბლანკმა, - Später, später! (მერე, მერე!~-ნემენც.) - და დამტვრეულ რუსულზე გადასულმა ბავშვებს მიმართა: - ახლა კი, ჩემო ბატონებო, თვევ ნახოტ ნამდვილი პატარა ცისარტყელა! მას ჰკვია – ბლანკ ბეგენბოგენ, ბლანკის ცისარტყელა~. ეს მე მოვიფიქრო, როცა ისეტი ახალგაზრდა ვიკო, როგორც ტკვენ. უცნაური ბორბლიდან მაგიდამდე, რომელზედაც ყველანაირი ფიზიკური მოწყობილობები იყო დადგმული, მოულოდნელად პატარა, დაუჯერებლად ნათელი შვიდფერა ცისარტყელა გაიჭიმა და ბიჭებმაც აღტაცებით დაიგუგუნეს.

-ცოტა შეშლილია, მაგრამ ნამდვილი გენიაა,-ფანდორინს უჩურჩულა ლედი ესტერმა. ამ წამში მეზობელი კლასიდან მოისმა ბავშვის ხმამაღალი ყვირილი. -ღმერთო!-გულზე ხელი იტაცა მილედომ.-ეს გიმნასტიკურიდან იყო! ჩქარა, იქით! დერეფანში გაიქცა, ფანდორინიც მიჰყვა. მათ ერთად შეირბინეს ცარიელ, ნათელ აუდიტორიაში, რომლის იატაკიც თითქმის ბოლომდე გადაჭრელებული იყო ტყავის ჭილოებით, ხოლო კედლების გაყოლებაზე განლაგებული იყო სხვადასხვაგვარი გიმნასტიკური იარაღები: შვედური კედლები, რგოლები, მსხვილი ბაგირები, ტრამპლინები. რაპირები და საფარიკაო ნიღბები დამეზობლებოდნენ ბოქსიორის ხელთათმანებს და ასაწევ გირებს. შვიდი-რვა წლის პატარების გუნდი ერთ-ერთი ჭილობის გარშემო შეკრებილიყო. ბავშვები რომ გასწია, ერასტ პეტროვიჩმა ტკივილისგან დაკრუნჩხული ბიჭი დაინახა, რომელთანაც დახრილიყო გიმნასტიკურ ტრიკოში გამოწყობილი ოცდაათიოდე წლის კაცი. ცეცხლისფერ-ქალაი კულულები ჰქონდა, მწვანე თვალები და ნებისყოფიანი, ძლიერ ჭორფლიანი პირისახე. -კაი-კაი, ვაშკაც,-რუსულად, მსუბუქი აქცენტით ლაპარაკობდა,-ნუ გემინია, ფეხი მაჩვენე. არ გატკენ. ვაჟკაცურად გაუძელი. Fell from the rings, m'lady,-auxsna baronesas,-Weak hands. I am afraid,

the ankle is broken. Would you please tell Mr. Izyumoff? (რგოლებიდან ჩამოვარდა მილედი. სუსტი ხელები აქვს. ვშიშობ, კოჭი აქვს მოტეხილი. თუ შეიძლება, უთხარით ბატონ იზიუმოვს~ - ანდლიური).

მილედიმ უხმოდ დაუქნია თავი, ერასტ პეტროვიჩს ხელის გაქნევით გააყოლა ანიშნა და სწრაფად გავიდა კლასიდან.

-ექიმთან შევივლი, მისტერ იზიუმოვთან,-ჩქარი ლაპარაკით გამოუცხადა მან,- ასეთი უსიამოვნება ხშირად ხდება – ბიჭები მაინც ბიჭები არიან... ეს ჯერალდ კანინჰემი იყო, ჩემი მარჯვენა ხელი. ლონდონის ესტერნატის კურსდამთავრებული. ბრწყინვალე პედაგოგია. მთელი რუსეთის ფილიალს ხელმძღვანელობს. ნახევარ წელიწადში შეისწავლა თქვენი რთული ენა, რომელიც მე ვერაფრით შემითვისებია. ჩავლილ შემოდგომაზე ჯერალდმა პეტერბურღში გახსნა ესტერნატი, ახლა აქ დროებითაა, საქმის აწყობაში გვეხმარება. უმაგისოდ ხელმოჭრილივით ვარ.

ის შეჩერდა კართან, რომელზედაც ექიმი~ ეწერა.

-გთხოვთ, მაპატიოთ, სერ, ჩვენი საუბრის შეწყვეტა მოგვიწევს. სხვა დროს იყოს, კარგი? ხვალ მობრძნდით და ვილაპარაკოთ. თქვენ ხომ ჩემთან რაღაც საქმე გქონდათ?

-ისეთი არაფერი, მილედი,-გაწითლდა ფანდორინი,-ისე, მართლა... მერე, როდისმე. წარმატებას გისურვებთ თქვენს კეთილშობილურ ასპარეზზე.

მოუხერხებლად დაუკრა თავი და აჩქარებით წამოვიდა. ერასტ პეტროვიჩს ძალიან რცხვენოდა.

-აბა, რა ქენით, აიყვანეთ ბოროტმოქმედი სამხილებით?-უფროსმა რაღაც ბრძნული დიაგრამებიდან ასწია თავი და მხიარულად მიესალმა დარცხვენილ ფანდორინს. კაბინეტის ფარდები გაწეული იყო, მაგიდაზე ლამაზ ენთო, რაკი სარკმლებს მიღმა ბინდებოდა.-მოდით, გამოვიცნობ. მისტერ კოკორინ-ის შესახებ მილედის თავის სიცოცხლეში არაფერი სმენია, მისს ბეზჰეტსკაყა-ზე მით უფრო, თვითმკვლელის ანდერძზე ცნობამ იგი საშინლად გააბრაზა. ასეა? ერასტ პეტროვიჩმა მხოლოდ ამოიოხრა.

-მე ეს პიროვნება პეტერბურღში ვნახე. მისი თხოვნა რუსეთში პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ ჩვენთან, მესამეში განიხილებოდა. გენიალურ დებილებზე მოგიყვათ? კეთილი, ახლა საქმეზე. მაგიდას მოუჯექით,-ფანდორინს სკამისკენ მიუთითა შეფმა,-თქვენ წინ წარმტაცი ღამე გელოდებათ.

ერასტ პეტროვიჩმა სასიამოვნო შემაშფოთებელი წკმენტა იგრძნო მკერდში – ასეთ ზემოქმედებას ახდენდა მასზე ბატონ სამოქალაქო მრჩეველთან ურთიერთობა. -თქვენი სამიზნე - ზუროვია. თქვენ ის უკვე ნახეთ. გარკვეული წარმოდგენაც გაქვთ. გრაფთან მოხვედრა ადვილია, რეკომენდაციები საჭირო არ არის. მაგას სახლში რაღაც სათამაშო ბუნაგი აქვს, არმცთუ უმტკივნეულოდ კონსპირირებული. იქ ერთგვარი ჰუსარულ-გვარდიული ტონია მიღებული, მაგრამ საკმაოდ დაწანწალებს ყველანაირი ვიგინდარა. ასეთივე სახლი ზუროვს პეტერბურღშიც ჰქონდა, ხოლო პოლიციის ვიზიტის შემდეგ მოსკოვში გადმობარგდა. თავისუფალი ბატონი გახლავსთ, პოლკში უკვე მესამე წელია უვადო შვებულებაში ითვლება. გადმოგცემთ თქვენს ამოცანას. ეცადეთ მის სიახლოვეს მიაღწიოთ, დააკვირდით მის გარემოცვას. იქ ხომ არ არის თქვენი თეთრთვალა ნაცნობი? ოღონდ თვითმოქმედების გარეშე, თქვენ მაგას მარტოკა ვერ გაუმკლავდებით. სხვათაშორის, საექვოა იქ იყოს... არ გამოვრიცხავ, რომ გრაფი თავადვე დაინტერესდება თქვენით - ხომ უკვე გნახათ ბეჟეცკაიასთან, რომლის მიმართ, ზუროვი, როგორც ჩანს, გულგრილი არ არის. სიტუაციის მიხედვით იმოქმედეთ. ნუ ჩაეფლობით. ამ ბატონთან ხუმრობა საშიშია. უპატიოსნოდ თამაშობს, როგორც იმათ საზოგადოებაში ამბობენ, `ოხიერზე აჰყავხარ~, და თუ გამოააშკარავებენ - სკანდალს ატეხავს. იმის ანგარიშზეა ათზე მეტი დუელი, თან ყველა დუელზე ცნობილი არ არის. შეიძლება, უდუელოდაც გადავიხსნას თავის ქალა. მაგალითად, სამოცდათორმეტში ნიჟეგოროდის

ბაზარში კარტის თამაშისას ვაჭარ სვიშჩოვს წაეკინკლავა და მერე ფანჯრიდან ისროლა თავისი წვერიანად. მეორე სართულიდან. ვაჭარი დაიმტვრა, ერთი თვე ხმისამოუღებლად იწვა, მხოლოდ ანიშნებდა. გრაფს კი არაფერი, გამოძვრა. გავლენიანი ნათესავები ჰყავს სხვადასხვა სფეროებში. ეს რა არის? – ჩვეულებრივ, გადასვლის გარშე შეეკითხა ივან ფრანცევიჩი, მაგიდაზე კი სათამაშო კარტის დასტა დადო.
 -კარტი, -გაოცდა ფანდორინი
 -თამაშობთ?

-საერთოდ არა ვთამაშობ. მამა ხელში აღებასაც მიკრძალავდა, ამბობდა რომ თავის მაგივრადც ითამაშა, ჩემს მაგივრადც და კიდევ ფანდორინების მომდევნო სამი თაობის მაგივრადც.
 -სამწუხაროა,- შეწუხდა ბრილლინგი.-უამისოდ გრაფთან საქმე არა გაქვთ. კეთილი, აიღეთ ქალაქი, ჩაიწერეთ...

მეოთხედი საათის შემდეგ ერასტ პეტროვიჩს შეეძლო წაუბორძიკებლად გაერჩია კარტის ფერები და იცოდა, რომელი კარტია მაღალი, რომელი - დაბალი, მხოლოდ სურათები ერეოდა – სულ ავიწყდებოდა, უფროსი რომელია, დამა თუ ვალეტი.
 -უიმედო ხართ,-დაასვენა შეფმა,-მაგრამ ეს საშიში არაა. პრეფერანსს და სხვა გონებრივ თამაშებს გრაფთან მაინც არა სწყალობენ. იქ უფრო პრიმიტიულები უყვართ, ჩქარა რომ წავიდეს და ფულიც ბევრი მოვიდეს. აგენტები გვაცნობებენ, ზუროვს შტოსსი ურჩევნია, თანაც გამარტივებული. გიხსნით წესებს. ვინც კარტს არიგებს, ბანკომეტი, ანუ ბანქოს დამრიგებელი ჰქვია. მეორეს – პონტერი, ანუ მეფსონე. ამასაც და იმასაც თავისი დასტა აქვთ. პონტერი თავისი დასტიდან ირჩევს კარტს - ვთქვათ, ათიანს. თავისთვის დაიგდებს პერანგით მაღლა.
 -პერანგი - ეს ხომ მოხატულობაა კარტის მეორე მხარეს? – დააზუსტა ფანდორინმა.
 -დიაღ. ახლა პონტერი ჩამოდის ბანკში - დავუშვათ, ათ რუბლს. მაშინვე იწყებს `დარიგებას~: ხსნის დასტიდან ზედა კარტს მარჯვნივ (ამას ჰქვია `შუბლი~), მეორეს – მარცხნივ (ამას ჰქვია `მძინარა~).

`შუბლი~ - მარჯვ., `მძინარა~ - მარცხნ.~ - სწრაფად იწერდა ბლოკნოტში ერასტ პეტროვიჩი.
 -ეხლა პონტერი ხსნის თავის ათიანს. თუკი `შუბლიც~ ათიანი აღმოჩნდა, ფერს მნიშვნელობა არა აქვს, - მებანკეს დადებული თავისთვის მიაქვს. ამას ჰქვია `ათიანის გაჭრა~. მაშინ ბანკი, ანუ თანხა, რაზედაც თამაშობენ, ორმაგდება. თუკი ათიანი აღმოჩნდება `მძინარა~, ანუ მეორე კარტი, - ეს პონტერის მოგებაა, მან `იპოვა ათიანი~.
 -თუკი წყვილში ათიანი არ აღმოჩნდა, ბანკომეტი კარტის მომდევნო წყვილს არიგებს.

-და ასე, იქამდე, სანამ ათიანი არ გამოხტება. ესეც მთალი თამაში. ელემენტარულია, მაგრამ შეიძლება გაუგონრად წააგო, განსაკუთრებით მაშინ, თუ თქვენ პონტერი ხართ და მთელ დროს სულ გაორმაგებაზე თამაშობთ. ამიტომ დაიმახსოვრეთ, ფანდორინ: თქვენ მხოლოდ ბანკომეტად უნდა ითამაშოთ. ეს ადვილია – დააგდებთ კარტს მარჯვნივ, კარტს - მარცხნივ, კარტს მარჯვნივ, კარტს მარცხნივ. ბანკომეტი თავიდან დადებულზე მეტს არ წააგებს. პონტერად არ დაჯდეთ. თუკი კენჭისყრით შეგხვდათ, მოკლე თამაში დანიშნეთ. შტოსსში ხუთზე ნაკლები შესვლის გაკეთება არ შეიძლება, მერე მთელი ბანკის ნარჩენი ბანკომეტთან გადადის. ახლა სალაროში ორას მანეთს მიიღებთ წასაგებად.
 -მთელი ორასი?- ჩამოიძახა ფანდორინმა.

-`მთელი ორასი~ კი არა, `მხოლოდ ორასი~. ეცადეთ, ეს თანხა მთელი ღამე იმყოფინოთ. თუ მალე წააგეთ, მაშინვე წასვლა აუცილებელი არ არის, შეგიძლიათ რაღაც დრო იქ ილაპარაკოთ. მაგრამ ეჭვი არ უნდა გამოიწვიოთ, გასაგებია? ითამაშებთ ყოველ საღამოს, სანამ შედეგს არ მიაღწევთ. თუნდაც გამომქვავდეს, რომ ზუროვი გარეული არ არის, - რას ვიზამთ, ესეც რეზულტატია. ერთი ვერსიით ნაკლები იქნება.
 ერასტ პეტროვიჩი ტუჩებს აცმაცუნებდა და შპარგალკაში იყურებოდა.

-`გული~-
 -დიახ, მაგათ ხანდახან ეძახიან `ემმაკებს~ ანდა `კიორებს~ ფრანგული `coeur” (`გული~-
 ფრანციცული)-იდან. მიბრძანდით საკოსტიუმოში. თქვენი ზომების მიხედვით მოგიმზადეს
 ჩაცმულობა, ხოლო ხვალ კი სადილისთვის გახსნიან მთელ გარდერობს ცხოვრების ნებისმიერი
 შემთხვევისთვის. მარშ-მარშ, ფანდორინო, უთქვენოდაც ბევრი საქმე მაქვს. ზუროვის მერე
 მაშინვე აქ მოხვალთ. ნებისმიერ დროს. დღეს სამმართველოში ვათენებ.
 და ბრილლინგმა თავის ქალაქებში ჩაყო ცხვირი.

მერვე
 სადაც უადგილოდ გამოხტება ყვავის ვალეტი
 თავი,

გაბოლილ დარბაზში ექვს მწვანე ლომბერის მაგიდასთან თამაშობდნენ – სად ჯგუფად, ოთხი
 კაცი, სად კიდევ ორ-ორნი. თითოეულ მაგიდასთან მაყურებლები ინაცვლებდნენ ფეხებს: სად
 მოკლე თამაში მიდიოდა,-ნაკლებზე, სად კიდევ მალა ადიოდა `შპილი~ - უფრო მსხვილად.
 ღვინო და მისატანებელი გრაფთან არ მიჰქონდათ, მსურველებს შეეძლოთ სასტუმრო ოთახში
 გასულიყვენ და ლაქია გაეგზავნათ ტრაქტირში, მაგრამ მხოლოდ შამპანურისთვის
 აგზავნიდნენ, რომელიმეს ძალიან თუ გაუმართლებდა, იმ შემთხვევაში. ყველა მხრიდან
 ისმოდა წყვეტილი, არამოთამაშისთვის გაუგებარი წამოძახილები:
 -Je coup!
 -Je passe.
 -მეორე აბცუგი. (ნემენცური სიტყვიდან `აბზუგ -- დაკლება).
 -Retournez la carte! (`გახსენით კარტი”! – ფრანც.).
 -თუმცა, ბატონებო, ჩასულია.
 -`შუსტოჩკა~ მკვდარია!-და სხვა.

ყველაზე მეტი იმ მაგიდასთან შეკერებილიყო, სადაც მსხვილი თამაში მიდიოდა, ერთი ერთზე.
 თავად მასპინძელი არიგებდა. მსუქანი, ოფლში გაწურული ბატონი კი, ერთობ ვიწრო
 სერთუკში, ფსონს ჩადიოდა. ამ პონტერს, ჩანდა, არ უმართლებდა - ტუჩებს იკვნიტდა,
 ფიცხობდა. სამაგიეროდ, გრაფი თავად ცივსისხლანობა იყო და მხოლოდ ტკბილად იღიმოდა
 შავი უღვაშებიდან, მოხრილი თურქული ჩიბუხის კვამლში ეხვეოდა. ნაპატივები, ბრჭყვიალა
 ბეჭდებიანი, ძლიერი თითები მარჯვედ ხსნიდნენ კარტებს – ერთი მარჯვნივ, ერთი მარცხნივ.
 მაყურებელთა შორის, ცოტა უკან რომ იდგნენ მოკრძალებით, იმყოფებოდა შავთმიანი
 ახალგაზრდა კაცი აწითლებული, სრულიად არამოთამაშის ფიზიონომიით. გამოცდილი
 კაცისთვის მაშინვე ცხადი გახდებოდა, რომ ყმაწვილი კარგი ოჯახიდანაა, თამაშზე პირველად
 მოვიდა და აქ ყველაფერი ეუცხოება. ბრილიანტებით აღჭურვილმა თაღლითმა ბატონებმა
 რამდენჯერმე შესთავაზეს `კარტი ავჭრათო~, მაგრამ გაწბილდნენ – ყმაწვილი მხოლოდ
 ხუთიანებს ჩამოდიოდა ფსონში და `გახურებას~ არ აპირებდა. ყოფილმა შპილმეისტერმა
 გრომოვმა, რომელსაც მთელი მოთამაშე მოსკოვი იცნობდა, ბიჭუნას `ანკესი~ გადაუგდო – ასი
 რუბლი წააგო იმასთან, მაგრამ ფული ამაოდ დაკარგა. აწითლებულ ყმაწვილს თვალები არ
 ანთებია და არც ხელები აკანკალებია. მოკლედ, უპერსპექტივო კლიენტი გამოდიოდა,
 ნამდვილი `ხლიუზდა~, რაც მოთამაშეთა ჟარგონზე `არასერიოზულ კაცს~ ნიშნავს.
 ამასობაში ფანდორინი (ანუ ეს `ხლიუზდა~, რა თქმა უნდა, სწორედ ის იყო) თვლიდა, რომ
 დარბაზში უჩინარი ჩრდილივით დაცურავს და არავის ყურადღებას არ იქცევს. ჯერ მაინც
 ბევრი ვერ `იცურა~, მართალია. ერთხელ დაინახა, თუ როგორ აიღო მაგიდიდან ძალიან
 საპატიო გარეგნობის ბატონმა ნახევარიმპერიული და დიდი ღირსებით გვერდზე გაიწია. ორი
 ოფიცერი ხმამაღლი ყვირილით კამათობდა დერეფანში, მაგრამ ერასტ პეტროვიჩმა ვერაფერი
 გაიგო მათი ლაპარაკიდან: დარგუნების პორუჩიკი აღტკინებული არწმუნებდა, რომ ვიღაცა
 ბზრიალა არ არის და არაპის მეგობრების არ მართავს, ხოლო პუსართა კორნეტი

საყვედურობდა რაღაც ზიხერობას~.

ზუროვი, რომლის მახლობლად ფანდორინი ჰა და ჰა, აღმოჩნდებოდა, ამ საზოგადოებაში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, თანაც ერთი უბრალო თევზი კი არა, კარგა მოზრდილი. ერთი მისი სიტყვა საკმარისი იყო, რომ ჩანასახშივე მოესპო ნებისმიერი სკანდალი, ხოლო ერთხელ მასპინძლის ჟესტზე ორმა ყოჩაღ-ლაქიამ იღლიებით დაიჭირეს ერთი დაწყნარების არამსურველი მყვირალა და ორ წამში გააბრძანეს კარის გარეთ. ერასტ პეტროვიჩს გრაფი შეგნებულად არ სცნობდა, თუმცა რამდენჯერმე ფანდორინმა დაიჭირა მისი სწრაფი, არცთუ კეთილი შემოხედვა.

-მეხუთე, ჩემო ბატონო,- გამოაცხადა ზუროვმა და ამ განცხადებამ რატომღაც უკიდურესად ააღელვა პონტერ-მეფსონე.

-იხვს ვკეცავ! – მთლთორვარე ხმით წამოიძახა მან და თავის კარტზე ორი კუთხე ჩაკეცა. მაყურებელთა შორის ჩურჩულმა გადაირბინა, ხოლო ოფლიანმა, შუბლიდან თმის კულული მოიშორა და მაგიდაზე მთელი გროვა ცისარტყელისებური ქაღალდები დაყარა.

-რა არის იხვი~?-ნახევარხმაზე მორცხვად შეეკითხა ერასტ პეტროვიჩი წითელცხვირა მოხუცს, ყველაზე უწყინრად რომ ჩათვალა.

-ეს ნიშნავს შესასვლელი ფსონის გაოთხმაგებას,-ხალისით აუხსნა. მეზობელმა.-უნდა, რომ ბოლო აბცუგზე სრული რევანში აიღოს. გრაფმა გულგრილად გამოუშვა კვამლის ღრუბელი და მარჯვნივ კაროლი გახსნა, მარცხნივ - ექვსიანი.

პონტერმა გულის ტუზი აჩვენა. ზუროვმა თავი დაუქნია და იქვე დაარიგა შავი ტუზი მარჯვნივ, წითელი კაროლი მარცხნივ. ფინდორინმა გაიგონა, როგორ დაიჩურჩულა ვილაცამ:

-იუველირია!

ოფლიანი ბატონი საცოდავი შესახედავი იყო. მან თვალთ გააცილა ასიგნაციების დასტა, გრაფის იდაყვეკვეშ რომ აღმოჩნდა და ფრთხილად იკითხა:

-ვალთ ხომ არ ინებებდით?

-არ ვინებებდი,- ზარმაცად მიუგო ზუროვმა, - კიდევ ვის სერს, ბატონებო? მოულოდნელად მისი მზერა ერასტ პეტროვიჩზე შეჩერდა.

-ჩვენ, მგონი, შევხვედრილვართ?-უსიამოვნო ღიმილით შეეკითხა მასპინძელი,- ბატონო ფედორინი, თუ არა ვცდები, ხომ?

-ფანდორინი, - გაუსწორა ერასტ პეტროვიჩმა, თან ტანჯვით გაწითლდა.

-პარდონ. თქვენ აქ ყველას ალორნეტებთ? აქ თეატრი კი არ არის. თუ მოხვედით - ითამაშეთ კიდევ. სულით და გულით გთხოვთ.-გათავისუფლებულ სკამზე ანიშნა.

-დასტები თქვენ თვითონ აირჩიეთ,- ფანდორინს ყურში ჩასჩურჩულა კეთილმა მოხუცმა. ერასტ პეტროვიჩი დაჯდა და ინსტრუქციის თანახმად, ძალიან გადაჭრით თქვა:

-მაგრამ ნება მიბოძეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მე თავად მეჭიროს ბანქო ახალბედას უფლებით. ხოლო დასტებიდან მე ვარჩევდი... აი, იმას და ამას.-და მან ლანგრიდან აიღო ორი ყველაზე ქვედა, გაუხსნელი დასტა.

კიდევ უფრო უსიამოვნოდ გაიცინა ზუროვმა:

-რა ვიზამთ, ბატონო ახალბედავ, თქვენი პირობები მიღებულია, მხოლოდ ერთი პირობით: ბანკს თუ მოვხსნი - არ გამექცეთ. მეც მომეცით დარიგების საშუალება. აბა, მაშ, რა თანხაა? ფანდორინს სიტყვა გაუწყდა, გაბედულებამ ისევე ჩქარა მიატოვა, როგორც ეწვია.

-ასი რუბლი?- მფრთხალად იკითხა მან.

-ხუმრობთ? აქ თქვენ ტრაქტირი ხომ არ გგონიათ?

-კარგი, სამასი.-და ერასტ პეტროვიჩმა მთელი თავისი ფული დადო მაგიდაზე, ადრე მოგებული ასი რუბლის ჩათვლით.

- Le jeu n'en pas la chandlle ('თამაში კელაპტრებადაც არა ღირს--ფრანც.)-მხრები აიჩეჩა გრაფმა,-
მაგრამ დასაწყისისთვის არა უშავს.
მან ამოიღო თავისი დასტიდან კარტი, ზედ გაუფრთხილებლად დაყარა სამი ასიანი ქალაღდის
ფული.

-პირდაპირ მოვდივარ.
`შუბლი~ მარჯვნივ, გაიხსენა ერასტ პეტროვიჩმა და წესიერად დაღო მარჯვნივ დამა წითელი
გულებით, ხოლო მარცხნივ - ყვავის შვიდიანი.
იპოლიტ ალექსანდროვიჩმა ორი თითით გადააბრუნა თავისი კარტი და მსუბუქად დაიჯღანა.
აგურის დამა იყო.

-ჰაიდა, ახალბედავ,-წაუსტვინა ვილაცამ.-დამა მარჯვედ დავარცხნა.
ფანდორინმა უსუსურად აჭრა დასტა.
-მთლიანად,-დაცინვით თქვა გრაფმა, მაგიდაზე ექვსი ასიგნაცია გადმოღო,- ცეცხლს ნუ
ეთამაშები და არც დამარცხდები.

მარცხენა კარტს რა ერქვა?-ვეღარ გაიხსენა ერასტ პეტროვიჩმა. ეს არის `შუბლი~, ხოლო მეორე...
ფუ, ეშმაკს. უხერხულია. აბა, როგორ იკითხოს? შპარგალკაში ჩახედვა არასოლიდური იქნება.
-ბრავო!-ახმაურდნენ მაყურებლები.-გრაფ, c'est un jeu interessant ('თამაში საინტერესოა--ფრანც.),
ატყობთ?

ერასტ პეტროვიჩმა დაინახა, რომ კიდევ მოიგო.
-კეთილი ინებეთ და ნუ მეფრანგულებით! მართლაცდა, რა სულელური ჩვეულებაა რუსულ
ლაპარაკში ნახევრად ფრანგული ფრაზების ჩართვა,- გაღიზიანებთ მიუბრუნდა ზუროვი
მოლაპარაკეს, თუმცა თავადაც სვამდა ფრანგულ სიტყვა-თქმებს.-დაარიგეთ, ფანდორინო,
დაარიგეთ. კარტი ცხენი არ არის, დილას გამიმართლებს. მთლიანად.
მარჯვნივ - ვალეტი, ეს `შუბლი~, მარცხნივ - რვიანი, ეს...
იპოლიტ ალექსანდროვიჩს ცხრიანი გაუხსნა, რომელიც ფანდორინმა მეოთხე შესვლაზე მოკლა.
მაგიდას ყველა მხრიდან შემოერთყენენ და ერასტ პეტროვიჩის წარმატება დამსახურებულად
დაფასდა.

-ფანდორინ, ფანდორინ, - დაბნეული ბუტბუტებდა იპოლიტ ალექსანდროვიჩი და თითებს
აკაკუნებდა დასტაზე. ბოლოს გამოადრო კარტი, ორიათას ოთხასი გადათვალა.
ექვსიანის ყვავი პირველ აბცუგზევე დაწვა `შუბლის~ ქვეშ.
-ეს რა გვარია ამისთანა!-წამოიყვირა გაფითრებულმა გრაფმა,- ფანდორინი! ბერძნებიდან ხომ
არა ხართ? ფანდორანი, ფანდოროპულო!

-რატომ ბერძნებიდან?- ეწყინა ერასტ პეტროვიჩს, რომლის მეხსიერებაში კიდევ დარჩენილიყო
ცულლუტი თანაკლასელების დაცინვა თავისი ძველისძველი გვარის გამო (ერასტ პეტროვიჩის
გიმნაზიური მეტსახელი - `ფუნდუკი~).-ჩვენი ჯიში, გრაფ, ისეთივე რუსულია, როგორიც
თქვენი. ფანდორინები ჯერ კიდევ ალექსეი მიხაილოვიჩს ემსახურებოდნენ.
-აბა როგორ,-გამოცოცხლდა წელანდელი ცხვირწითელა მოხუცი, ერასტ პეტროვიჩის
კეთილისმსურველი.-ეკატერინე დიდის დროს ერთი ფანდორინი იყო, ძალზე საინტერესო
ჩანაწერები დატოვა.

-ნაწერები, ნაწერები, დღეს მთლიანად ვიწირები.-მოღუშულად გართმა ზუროვმა,
კუპიურების მთელი გროვა გადმოიღო.-მთელ ბანკზე! კარტი აჭერთ, ეშმაკმაც წაგიღოთ!

- Le dernier cour, messieurs! (ბოლო ჩამორიგებაა, ბატონებო!~-ფრანც.)-გაისმა შემოკრებილებში.
ყველა ხარბად უყურებდა დაჭმუჭნულიკრედიტების ორ თანაბრად დიდ გროვას: ერთი
ბანკირის წინ იდგა, მეორე კი ფსონის ჩამსვლელი პონტერისა.
სრულ სიჩუმეში ფანდორინმა ორი ახალი დასტა გახსნა, ისევ იმაზე ფიქრობდა. მტირალა?
მცივანა?

მარჯვნივ ტუზი, მარცხნივ ტუზი. ზუროვს კაროლი. მარჯვნივ დამა, მარცხნივ ათიანი.

მარჯვნივ ვალეტი, მარცხნივ დამა. (ისე, რომელი უფრო დიდია-ვალეტი თუ დამა?). მარჯვნივ შვიდიანი, მარცხნივ ექვსიანი. -კეფაში არ მიმღეროთ! - მძვინვარედ დასჭექა გრაფმა და მისგან გაიწივნენ. მარჯვნივ რვიანი, მარცხნივ ცხრიანი. მარჯვნივ კაროლი, მარცხნივ ათიანი. კაროლი! გარშემო ყვიროდნენ და ხარხარებდნენ, იპოლიტ ალექსანდროვიჩი გახევებული იჯდა. მძინარა!-გაიხსენა ერასტ პეტროვიჩმა და გახარებულმა გაიღიმა. კარტი მარცხნივ-ეს მძინარაა. ეგეთი უცნაური სახელი აქვს. -ჩაცინება არ გაბედოთ! თანხა ხომ გაჭერთ, ახლა ზრდილობა იქონიეთ და ცივილურად გეჭიროთ თავი!-ცოფიანი ხმით დაისისინა გრაფმა, ახლოს მოიწია. მისი სისხლით ავსებული თვალები საშინელი იყო. მომდევნო წამს მან ფანდორინს ნიკაპზე უბიძგა, სკამის ზურგს მიეყრდნო და გულზე ხელები დაიკრიფა. -ეს მეტისმეტია, გრაფ!-წამოიყვირა ერთმა ოფიცერმა. -მე მგონი, არ გავრბივარ!-გამოცრა ზუროვმა, ფანდორინისთვის არ მოუშორებია თვალი,-თუკი ვინმე გამწარებულად გრძნობს თავს, მზად გახლავარსთ, შევესაბამებოდე. ნამდვილად სასაფლაოსებრი სიჩუმე ჩამოვარდა. ერასტ პეტროვიჩმა საზარლად უგუგუნებდა ყურებში და, ეხლა მხოლოდ ერთი რამის ეშინოდა-სილაჩრე არ გამოეჩინა. თან იმისაც ეშინოდა, რომ მოღალატურად შეუთრთოლდებოდა ხმა. -თქვენ უპატიოსნო არამზადა ხართ. თქვენ, უბრალოდ, გადახდა არ გინდათ, - თქვა ფანდორინმა და ხმა მაინც აუთრთოლდა, მაგრამ ეს უკვე სულ ერთი იყო.- მე თქვენ გიწვევთ. -საზოგადოების დასანახად ვაჟკაცობთ?-ტუჩები დაღრიცა ზუროვმა, - ვნახოთ, ლულის ქვეშ როგორ იცეკვებთ. ოც ნაბიჯზე, ბარიერებით. ვისაც როდის მოუნდება, მაშინ ისვრის, მაგრამ მერე დაუყოვნებლივ მობრძანდით ბარონთან. არ გეშინიათ? მეშინია, იფიქრა ერასტ პეტროვიჩმა. ახტირცევი ამბობდა, რომ ოცი ნაბიჯიდან შაურიანს არტყამს, შუბლში მოხვედრა ამისთვის რა ბედენაა, ანდა, მით უარესი, მუცელში. ფანდორინს შეაჟრჟოლა. არასოდეს სჭერია ხელში სადღეულო პისტოლეტი. ერთხელ ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა წაიყვანა პოლიციის ტირში `კოლტიდან~ სასროლად, მაგრამ ეს ხომ სულ სხვაა. მომკლავს, ერთ მწიკვ თამბაქოდაც მომკლავს. თან სუფთად მუშაობს. ვერ ჩაუსაფრდები. მოწმეები - რამდენადაც გინდა. კამათი კარტთან, ჩვეულებრივი საქმეა. გრაფი ერთი თვე იჯდება ჰაუპტვახტში და გამოვა, გავლენიანი ნათესავები ჰყავს, ერასტ პეტროვიჩს კი არავინ. ჩადებენ კოლეგიის რეგისტრატორს მოთრეულ კუბოში, ჩაფლავენ მიწაში, და არავინ მოვა დასაფლავებაზე. შესაძლოა, მხოლოდ გრუშინი და აგრაფენა კონდრატიენა. ხოლო ლიზანკა გაზეთში წაიკითხავს და იქვე გაიფიქრებს: ცოდოა, ასეთი დელიკატური პოლიციელი იყო და სრულიად ახალგაზრდა. არა, არ წაიკითხავს - იმას, ალბათ, ეძმა გაზეთებს არ აძლევს. შეფი კი, რასაკვირველია, იტყვის: მე იმ სულელს ვანდე, ის კი გაება, როგორც ჩურჩუტი ლეკვი. სროლა მოინდომა, თავადური `მერიქლიუნდიები~, ანუ წარჩინებულთა მელანქოლია მოეძალა. და გადააფურთხებს კიდევ. -რატომ გაჩუმდით?-სასტიკი ღიმილით შეეკითხა ზუროვი.-თუ სროლა გადაიფიქრეთ? ერასტ პეტროვიჩს სწორედ ახლა გაუჩნდა ერთი გადამრჩენელი იდეა. სროლა ახლა კი არა, ყველაზე ადრე - ხვალ დილას მოუწევთ. გაიქცეს და შეფს შესჩივლოს - რასაკვირველია, სისაძაგლე და ყოვლად უღირსი საქციელია. მაგრამ ივან ფრანცევიჩი ამბობდა, რომ ზუროვზე სხვა აგენტებიც მუშაობდნენ. ისიც კი შესაძლებელია, რომ აქაც, ამ დარბაზში ვირაცა არის შეფის ხალხიდან. გამოწვევა შეიძლება მივიღო, პატივი დავიცვათ, და თუკი, მაგალითად, ხვალ განთიადზე აქ პოლიციელი მოუსწრებს და გრაფ ზეროვს დააპატიმრებს სათამაშო ბუნაგის მოწყობისთვის, მაშინ ფანდორინი ამაში დამნაშავე სულაც არ იქნება. მას ხომ არც არაფერი ეცოდინება - ივან ფრანცევიჩი უმისოდაც მიხვდება, როგორც უნდა მოიქცეს. გადარჩენა, შესაძლებელია თქმულიყო, ჯიბეში ჰქონდა, მაგრამ უცებ ერასტ პეტროვიჩის ხმამ

სულ სხვა, პატრონის ნებისგან დამოუკიდებელი სიცოცხლე შეიძინა, რაღაც ბუნდოვანი დაიწყო და, საკვირველი ამბავი, აღარ კანკალებდა: -არ გადამიფიქრებია. მაგრამ რატომ ხვალ? მოდით, პირდაპირ ახლავე. თქვენ, გრაფ, ამბობენ, დილიდან საღამომდე შაურთანებზე ვარჯიშობთ, და თანაც სწორედ ოცი ნაბიჯიდან, არა? (ზუროვი აჭარხლდა). მოდით, მე და თქვენ სხვანაირად მოვიქცეთ, თუკი არ ილაჩრებთ.-აი, ზუსტად მაშინ გამოადგა ახტირცევის მონათხრობი! არც არაფერი იყო მოსაფიქრებელი. ყველაფერი მოფიქრებულია.-კენჭი ვყაროთ და ვისაც შეხვდება – გავა ეზოში და დაიხლის. ყოველგვარი ბარიერების გარეშე. უსიამოვნებებიც ყველაზე მინიმალური იქნება. წააგო კაცმა და ტყვია შუბლში - ჩვეულებრივი ამბავია. ხოლო ბატონები პატიოსან სიტყვას მოგცემენ, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩება. მართალია, ბატონებო? ბატონები ახმაურდნენ, თანაც მათი აზრი გაიყო: ერთნი დაუყოვნებლივ მზად იყვნენ პატიოსანი სიტყვა მიეცათ, სხვები სთავაზობდნენ ეს კამათი დავიწყებისთვის მიეცათ და შესარიგებელი შეესვათ. ერთმა დიდცხვირა მაიორმა წამოიძახა კიდეც: `ბიჭუნა-ყოჩაღ!~ - ამან უფრო მეტი მგზნებარება მისცა ერასტ პეტროვიჩს. -რა ექნათ, გრაფ?-წამოიძახა მან სასოწარკვეთილის კადნიერებით და საბოლოოდ ამოვარდა უზანგებიდან,-ნუთუ შაურთანს უფრო ადვილად მოახვედრებთ, ვიდრე საკუთარ შუბლს? თუ აცდენისა გეშინიათ? ზუროვი დუმდა, ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ამ მამაცს და ისეთი შეხედულება ჰქონდა, თითქოს რაღაცას ითვლიდა. უნდა გაეთვალა. -რას ვიზამთ,-ბოლოსდაბოლოს, არაჩვეულებრივი სიმშვიდით წარმოთქვა მან.- პირობები მიღებულია. ჟან! გრაფთან წაში გაჩნდა მკვირცხლი ლაქია. იპოლიტ ალექსანდროვიჩმა თქვა: -რევოლვერი, ახალი დასტა და შამპანურის ბოთლი.-და კიდეც რაღაც უჩუჩუღა ყურში. ორ წუთში ჟანი ლანგრით დაბრუნდა. გაძვრომა-გამოძვრომა მოუწია, რადგან ახლა მაგიდის გარშემო სალონის ყველა დამსწრე მოგროვილიყო. ზუროვმა მარჯვე, ელვისებური მოძრაობით გადახსნა თორმეტტყვიანი `ლეფომეს~ ბარაბანი და უჩვენა, რომ ყველა ტყვია ადგილზეა. -აი, დასტა.-მისმა თითებმა გაბმული ჭრაჭუნით გახსნეს მჭიდრო სათავსო.- ახლა ჩემი რიგია, მე უნდა ავჭრა.-მან გაიცინა, ეტყობა, ბრწყინვალე გუნებაზე იყო,-წესები მარტივია: ვინც პირველი გამოიღებს შავი ფერის კარტს, ის დაიხლის ტყვიას თავში. თავის ქალაში. თანახმა ხართ? ფანდორინმა მდუმარედ დაუქნია თავი. უკვე ხვდებოდა, რომ მოატყუეს, თავის დაკრულზე აცეკვეს და, შეიძლება ითქვას, მოკლეს - უფრო საიმედოდ, ვიდრე ოცი ნაბიჯიდან. მოუგო მარჯვე იპოლიტმა, სუფთად მოუგო. რატომღაც, რომ ამისთანა მოხერხებულს საჭირო კარტი არ გამოედო, თანაც თავისავე დასტიდან. მაგას ხომ მთელი საწყობი აქვს დანიშნული კარტისა. ამასობაში ზუროვმა, სასურათედ გადაიწერა პირჯვარი, ზედა კარტი ამოატრიალა. აგურის დამა გადმოვარდა. -ეს ვენერაა,-თავხედურად გაიღიმა გრაფმა.-ყოველთვის მშველის. თქვენი რიგია, ფანდორინო. პროტესტის გამოცხადება და ვაჭრობა დამამცირებელი იქნებოდა. სხვა დასტის მოთხოვნა – გვიანი იყო. აუჩქარებლობა კი სირცხვილი. ერასტ პეტროვიჩმა ხელი გასწია და ყვავის ვალეტის გახსნა.

მეცხრე თავი,
სადაც ფანდორინს კარგი სანახები ეხსნება კარიერისთვის

-ესე არს მომუსი, ანუ სულელუკა,-ახსნა იპოლიტმა და ნებიერად გაიზმორა.- თუმცა გვიანია. სიმამაცისთვის შამპანურს დაღევთ თუ პირდაპირ ეზოსკენ? ერასტ პეტროვიჩი მთლად წითელი იჯდა....გაბოროტება აღრჩობდა - გრაფზე კი არა, საკუთარ

თავზე, დასრულებულ იდიოტზე. ეგეთმა არც უნდა იცხოვროს. -აქვე ვიზამ,-გულში წაიბუტბუტა მან, გადაწყვიტა, რომ პატრონს დარბაზს მაინც მოსვრის საბოლოოდ.-თქვენი ცქვიტი ლაქია მერე იატაკს მოწმინდავს. შამპანურისგან კი გამანთავისუფლეთ - მაგისგან თავი მტკივდება. ისევე გაბრაზებულმა, ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, ფანდორინი მძიმე რევოლვერს მისწვდა, ჩახმახი შეაყენა და წამით შეყოყმანდა – სად დაიხალოს – თუმც, სულ ერთია, ლულა პირში ჩადო, გონებაში დათვალა `სამი, ორი, ერთი~ და ტყვიის გამშვებ ენას ისე ძლიერ მოქაჩა, რომ ლულით ენა მოიძეკვა. გასროლა, სხვათაშორის, არ მომხდარა, მხოლოდ ცივად გაიჩხაკუნა. ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ერასტ პეტროვიჩმა კიდევ ერთხელ მოსწია – ისევ გაიჩხაკუნა, მხოლოდ ამჯერად მეტალმა უსიამოვნოდ გაიღრჭიალა კბილზე. -მოასწრებ, მოასწრებ!-ზუროვმა პისტოლეტი წაართვა და მხარზე დაჰკრა ხელი.-ბარაქალა! შეუზარხოშებლად დაიხალა, ისტერიკის გარეშე. კარგი თაობა მოდის, ჰა, ბატონებო? ჟან, შამპანური დაასხი, მე და ბატონი ფანდორინი ბრუდენშაფტზე დავლევთ. უცნაური მდუმარებით მოცული ერასტ პეტროვიჩი დამყოლი გახდა: უხალისოდ შესვა ბუშტულაკებიანი სითხე ფსკერამდე, დუნედ გადაკოცნა გრაფი, რომელმაც ნება დართო, ამის შემდეგ უბრალოდ იპპოლიტი დაეძახა. ირგვლივ ყველა ყაყანებდა და იცინოდა, მაგრამ მათი ხმები ფანდორინამდე როგორღაც განურჩევლად აღწევდა. შამპანურისგან ცხვირში თითქოს ნემსები შეერჭო და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა. -ჟანიც როგორია, ჰა?-ხარხარებდა გრაფი,- წუთში ყველა ნემსი ამოიღო. თქვი, ფანდორინო, არ არის მარჯვე? -მარჯვეა,- სულერთია გუნებაზე მყოფი ერასტ პეტროვიჩი დაეთანხმა. -აბა-აბა. შენ რა გქვია? -ერასტი. -წამო, ერასტ როტერდამელო, ჩემ კაბინეტში დავსხდეთ, კონიაკი დავლიოთ, მომწყინდა ეს სიფათები. -ერაზმი, - მექანიკურად შეუსწორა ფანდორინმა როტერდამელის სახელი. -რა? -ერასტი კი არა, ერაზმი. -ბოდიშს ვიხდი, ვერ გავიგე. წავიდეთ, ერაზმ ფანდორინი დამჯერედ ადგა და მასპინძელს მიჰყვა. ბნელი ანფილადა გაიარეს და მრგვალი ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც Eშესამჩნევი უწესრიგობა სუფევდა - აქეთ-იქეთ მიმოფანტულიყვნენ ჩილიმები და ჩიბუხები, ცარიელი ბოთლები, მაგიდაზე კრიალებდნენ ვერცხლის დეზები, კუთხეში რატომღაც იდო კოხტა ინგლისური უნაგირი. რატომ ერქვა ამ სადგომს კაბინეტი, ფანდორინმა ვერ გაიგო – არც წიგნები შეინიშნებოდა სადმე და არც საწერი მოწყობილობა. -დიდებული უნაგირია, ხომ?-დაიტრაბახა ზუროვმა,-გუშინ სანამღლეოში მოვიგე. მან მომრგვალებული ბოთლიდან ჭიქები შეავსო მუქი ღვინით, ერასტ პეტროვიჩის გვერდით დაჯდა და ძალიან სერიოზულად, თითქმის გულითადად თქვა: -საქონელი ვარ და შემინდე ეს ხუმრობა. მოწყენილი ვარ, ერაზმ. გარშემო ბევრი ხალხია, ადამიანები კი არ არიან. ოცადარვა წლის ვარ, ფანდორინო და თითქოს სამოცისააო. განსაკუთრებით, დილით რომ ვიღვიძებ. საღამოს, ღამით კიდევ გასაგებია - ვხმაურობ, ვსულელეობ. საძაგლად ვარ მხოლოდ. ადრე რა უჭირდა, ახლა კი ყველაფერი უფრო და უფრო საზიზღარი გახდა. თუ დამიჯერებ, წელან, კენჭს რომ ვყრიდით, უცებ ვიფიქრე – ნამდვილად ხომ არ დავიხალო? და ეგრე, იცი, მაცდური გახდა... შენ რას გაჩუმებულხარ? მორჩი, ფანდორინო, ნულარ ბრაზობ. მე ძალიან მინდა, რომ ჩემზე არ გაბოროტდე. კარგი, რა ვქნა, რომ მაპატიო, ჰა, ერაზმ?

და აქ ერასტ პეტროვიჩმა წრიპინა, სრულიად განურჩეველი ხმით წარმოთქვა:
 -იმაზე მომიყევი, ბეჟეცკაიაზე.
 ზუროვმა შუბლიდან მსხვლილი კულული გადაიგდო.
 -აჰ, დამავიწყდა, შენ ხომ `შლეიფიდან~ ხარ.
 -საიდან?

-ეგრე ვეძახი. ამალია ხომ დედოფალია და მამაკაცებისგან შლეიფი სჭირდება. რაც უფრო გრძელი, მით უკეთესი. კეთილ რჩევას მოუსმინე, თავიდან ამოიგდე, არადა, დაიკარგები. დაივიწყე.

-არ შემიძლია,- პატიოსნად მიუგო ერასტ პეტროვიჩმა.
 -შენ ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა ხარ, ამალია აუცილებლად მორევში ჩაგითრევს, როგორც უკვე ბევრი ჩაითრია. შეიძლება, ჩემზეც გაბრაზდა, რადგან მაგის გულისთვის მორევში არ წავედი. არაფერში მჭირდება, ჩემი მორევიც მყოფნის. მთლად ისეთი ღრმა არა, როგორც იმას აქვს, მაგრამ, რა უჭირს, მე თავფეხიანად მყოფნის.
 -გიყვარს? – პირდაპირ შეეკითხა ფანდორინი, ნაწყენის უფლებით.
 -მე მაგისი უფრო მეშინია, -კუმტად გაიცინა იპოლიტმა.- ვიდრე მოყვარს და ეს სულაც არ არის სიყვარული.
 ფანდორინმა თავი მოგიწევია?
 გააქნია.

-ერთხელ გასინჯავ და მთელი ცხოვრება მიგიზიდავს. ისიც ეგეთია, არ მიშვებს! და ხომ ვხედავ – დამცინის, გროშად არ ვუღირვარ, მაგრამ რაღაცა დაინახა ჩემში. ჩემდა ბედად კი არა, ჩემდა უბედურებად! იცი, მიხარია, რომ წავიდა. ღმერთი, რჯული. ზოგჯერ ვფიქრობდი – მომეკლა ეს კუდიანი. საკუთარი ხელებით დავახრჩობ, რომ არა მტანჯოს. ის ამას მშვენივრად გრძნობდა. ო, ძმაო, იგი ჭკვიანია! და იმით ვიყავი მაგისთვის ძვირფასი, რომ ჩემთან ისე თამაშობდაა, როგორც ცეცხლთან - ხან ჩააქრობს, ხან შეუბერავს, თან სულ ახსოვს, რომ შეიძლება ხანძარი აბრიალდეს და ისიც ჩანთქას. აბა, სხვა რამისთვის რად ვუნდოდი? ერასტ პეტროვიჩმა შურით იფიქრა, რომ ამ კოხტა იპოლიტს, დარდიმანდს და თავზეხელაღებულს, ყოველგვარი ხანძრის გარეშეც, ბევრი რამ აქვს შესაყვარებელი. ასეთ ყოჩაღს, ნამდვილად, ქალებისგან მოსვენება არა აქვს. საიდან უვარდებათ ადამიანებს ასეთი ბედნიერება? თუმცა ეს მოსაზრება საქმეს არ უკავშირდება. საქმეზე უნდა ეკითხა.

-ვინ არის, და საიდან?
 -არ ვიცი. საკუთარ თავზე არ უყვარს ლაპარაკი. მხოლოდ ვიცი, რომ სადღაც საზღვარგარეთ იზრდებოდა. მგონი, შვეიცარიაში, რომელიღაც პანსიონში.

-ახლა სად არის?-ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა, სხვათაშორის, წარმატების დიდი იმედიც არ ჰქონდა

თუმცა ზუროვი პასუხს აყოვნებდა და ფანდორინი შინაგანად გაირინდა.
 -რაო, ესე შეგვავიწროვა? – დაინტერესდა მოღრუბლული გრაფი და უცაბედმა უსიამოვნო გრიმასამ დაამახინჯა მისი კოხტა, კაპრიზული სახე.
 -დიაღ.

-მ-დაა, ფარვანა ალისკენ მიიწევს, მაინც დაიწვება...
 იპოლიტმა მაგიდაზე დაიწყო ფათური კარტის დასტების, დაჭმუჭნული ხელახოცებისა და მაღაზიის ანგარიშებს შორის.

-სად ჯანდაბაშია? ჰო, გამახსენდა.- ლაკირებული, იაპონური ზარდახმა გახსნა, სადაფის პეპელა რომ ეხატა სახურავზე.-აჰა, ქალაქის ფოშტით მოვიდა.
 ერასტ პეტროვიჩმა თითების კანაკალით აიღო ვიწრო კონვერტი, რომელზეც აღმაცერი, ჩქარი ხელით ეწერა: `მის ბრწყინვალეებას, გრაფ იპოლიტ ზუროვს, იაკობ-აპოსტოლის შესახვევი, საკუთარი სახლი“. შტემპლის მიხედვით, წერილი გამოგზავნილი იყო 16 მაისს – იმ დღეს, როცა ბეჟეცკაია

შიგნით აღმოჩნდა მოკლე, ხელმოუწერელი ბარათი ფრანგულად. `დაუმშვიდობებლად მიხდება წასვლა. მომძებნე ლონდონში, გრანდ შტრეეტ, ოტელი ჭინტერ Qუენ, Ms. ოლსენ-ისტვის.გელოდები. და არ გაბედო ჩემი დავიწყება~. -მე კი გავბედავ, - დაიმუქრა გაცხარებულმა იპოლიტმა, მაგრამ მალე დაცხრა.-ყოველ შემთხვევაში, ვცდი... წაიღე, ერაზმ. რაც გინდა, ის უქენი... სად მიხვალ? -წავალ, - უთხრა ფანდორინმა, კონვერტი ჯიბეში დამალა,- უნდა ვიჩქარო. -კაი-კაი,-სიბრალოდით დაუქნია თავი გრაფმა.-გაქროლდი, მიფრინდი ცეცხლთან. სიცოცხლე შენია, ჩემი ხომ არა...

ეზოში ერასტ პეტროვიჩს ჟანი წამოეწია რაღაც გამონასკვულით ხელში. -აი, ბატონო, დაგავიწყდათ. -ეს რა არის? – წყენით შემობრუნდა გაჩქარებული ფანდორინი. -ხუმრობსთ? თქვენი მოგება. მათმა ბრწყინვალეებებმა მიბრძანეს დაუყოვნებლივ დაგწოდით და გადმომეცა.

ერასტ პეტროვიჩს საოცარი სიზმარი ესიზმრებოდა. თავისი გუბერნიის გიმნაზიაში, ლამაზ ოთახში იჯდა მერხთან. ასეთი სიზმრები, როგორც წესი, მშფოთვარე და უსიამოვნო, ხშირად ესიზმრებოდა – თითქოს ისევ გიმნაზისტია და დაფასთან `დაცურავს~ ფიზიკის თუ ალგებრის გაკვეთილზე, მაგრამ ამჯერად უბრალოდ სევდიანი კი არ იყო, არამედ ნემდვილად საშიში. ფანდორინმა ვერაფრით გაიგო ამ შიშის მიზეზი. დაფასთან კი არ იდგა, მერხთან იჯდა, გარშემო თანაკლასელები ისხდნენ: ივან ფრანცევიჩი, ახტირცევი, ვილაც სანდომიანი ყოჩალი - მაღალი, ფერმკრთალი შუბლით და თავხედური ყავისფერი თვალებით (ამაზე ერასტ პეტროვიჩმა იცოდა, რომ კოკორინია), ორი გიმნაზისტკა თეთრ წინსაფრებში და კიდევ ვილაც, ზურგით შებრუნებული. ამ შებრუნებულსა ფანდორინს ეშინოდა და ცდილობდა არ შეეხედა, თანაც სულ კისერს იგრძელებდა, კარგად რომ დაენახა გოგონები – ერთი მოშავო, მეორე მოთეთრო. მერხთან ისხდნენ, თხელი ხელები მიეტყუპებინათ წინ. ერთი ამაღლია აღმოჩნდა, მეორე - ლიზანკა. პირველმა მწველად შეხედა შავი თვალებით და ენა გამოუყო, სამაგიეროდ, მეორემ მორცხვად გაუღიმა და გრძლი წამწამები დახარა. აქ ერასტ პეტროვიჩმა დაინახა, რომ დაფასთან ლედი ესტერი დგას საჩვენებელი ჯოხით და ყველაფერი ცხადი გახდა: ეს ანდლიური აღზრდის უახლესი მეთოდია, რომლის მიხედვით ბიჭებსა და გოგონებს ერთად ასწავლიან. და ეს ძალიან კარგია. თითქოს მისი აზრი გაიგო, ლედი ესტერმა სევდიანად გაიღიმა და გამოაცხადა: `ეს ერთობლივი სწავლება არ არის, ეს ჩემი კლასია, ობლების კლასი. თქვენ ყველანი ობლები ხართ და მე თქვენ გზაზე უნდა დაგაყენოთ~. `ნება მიბოძეთ, მიღედი, - გაოცდა ფანდორინი,- ჩემთვის დამატებით ცნობილია, რომ ლიზანკა ობოლი არ გახლავთ, არამედ ნამდვილი საიდუმლო მრჩეველის ქალიშვილია~. `ah, my sweet boy (ჩემო ძვირფასო ბიჭო~ანდლ.), – ისევ ნაღვლიანად გაიღიმა მიღედმა. – ის უმანკო მსხვერპლია, ეს კი იგივე ობლობაა~. ის საშიში, წინ რომ იჯდა, ნელნელა შემობრუნდა და მოთეთრო, გამქვირვალე თვალებით შეათვალიერა, თანაც დაილაპარაკა: `მე აზაზელი ვარ, აგრეთვე ობოლი,-შეთქმულივით თვალი ჩაუკრა და საბოლოო ახსნა-განმარტების სახით ივან ფრანცევიჩის სიტყვებით თქვა. – ამიტომ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მე თქვენი მოკვლა მომიწევს, რასაც გულწრფელად ვნანობ... ჰეი, ფანდორინო, გამოშტერებული კერპივით ნუ ზიხართ, ფანდორინო!~ -ფანდორინო! – ვილაც მხარში ანჯღრევდა კომმარით დატანჯულ ერასტ პეტროვიჩს,- გაიღვიძეთ ბოლოსდაბოლოს, დილაა უკვე! ის შეტოვდა, წამოიწია და თავი აქეთ-იქით მიმოაბრუნა. აღმოჩნდა, რომ შეფის კაბინეტში ეძინა,

მაგიდასთან ჩათვლიდა. გაწეულ ფარდებზეა სარკმლიდან დილის ხალისიანი შუქი იღვრებოდა, გვერდით კი ივან ფრანცევიჩი იდგა, რატომღაც მემჩანინივით ეცვა: კარტუზი ეხურა ნაჭრის საჩიხით, წელზე აკრეფილი ხიფთანი ეცვა და ტალახით დასვრილი, გარმონივით ჩაკეცილი ჩექმები.

-რაო, ჩასთვლიმეთ? – მხიარულად ჰკითხა შეფმა. – პარდონ მარკარადისთვის, აქედან ღამით გასვლა მომიწია გადაუდებელი საქმის გამო. დაიბანეთ, ბოლოსდაბოლოს, გეყოფათ თვალების ფახული. მარშით! მარშით!

სანამ ფანდორინი დასაბანად იყო, გაახსენდა ჩავლილი ღამის მოვლენები, მოაგონდა, როგორი თავისმტვრევით მოდიოდა იპოლიტის სახლიდან, როგორ შეუხტა ეტლში ჩათვლემილ ვანკას და უბრძანა მიახსნიცკისკენ გაერეკა. როგორ უნდოდა, თავის წარმატებაზე შეფისთვის მოეყოლა, მაგრამ ბრილლინგი ადგილზე არ აღმოჩნდა. ერასტ პეტროვიჩმა ჯერ ერთი სასწრაფო საქმე გააკეთა, მერე კაბინეტში დაჯდა მოსაცდელად და ვერ შეამჩნია, როგორ ჩაითრია ძილმა. როცა კაბინეტში დაბრუნდა, ივან ფრანცევიჩს უკვე გადაეცვა წითელი პიჯაკის წყვილი და ჩაის შეექცეოდა ლიმონით. ვერცხლის ლამბაქზე მდგარ კიდევ ერთ ჭიქას ასდიოდა ორთქლი, ხოლო ლანგარზე ბლითები და საიკები ეწყო.

-ვისაუზმობთ,- შესთავაზა შეფმა, - ბარემ ვილაპარაკებთ კიდევ. თქვენი ღამის მთელი თავგადასავალი ჩემთვის ცნობილია, მაგრამ შეკითხვები მაქვს.

-საიდან არის ცნობილი?-ეწყინა ერასტ პეტროვიჩს, წინასწარ რომ ტკბებოდა თხრობით მიღებული სიამოვნებით, და, სწორი მოგახსენოთ, ზოგიერთი დეტალის გამოტოვებასაც აპირებდა.

-ზუროვთან ჩემი აგენტიც იყო. მე უკვე საათია დავბრუნდი, თქვენ გასაღვიძებლად შემებრალეთ. ვიჯექი, ანგარიშს ვკითხულობდი. წარმტაცი საკითხავია, გამოცვლაც კი ვერ მოვასწარი.

მან ხელი დაჰკრა წვრილად ნაწერ ფურცლებს.

-საზრიანი აგენტია, მაგრამ ძალიან ფერად-ფერადად წერს. საკუთარი თავი ლიტერატურულ ტალანტად წარმოუდგენია, გაზეთებში წერს ფსევდონიმით `მაქსიმუს გამჭრიახი~, ცენზორის კარიერაზე ოცნებობს. აი, მოუსმინეთ, თქვენ დაგაინტერესებთ... სად არის... ჰო, აი. `ობიექტის აღწერილობა. სახელი – ერაზმ ფონ დორნი ანდა ფონ დორენი (განსაზღვრულია სმენის მიხედვით). ასაკი – არაუმეტეს ოცი წლისა. სიტყვიერი პორტრეტი: სიმაღლე ორი არშინი და რვა გოჯი; სხეულის აგებულება მოგამხდრო. თმა - შავი, სწორი; წვერი და უღვაშები არა აქვს და არც მოუპარსავს; თვალები ნათელ-ლაჟვარდისფერი, ახლო-ახლო ჩასმული, კუთხეებში ცოტა ირიბად; კანი თეთრი, სუფთა; ცხვირი დახვეწილი, სწორი; ყურები მიკრული, მომცრო, მოკლე ბიბილოებით; განსაკუთრებული ნიშანი – დაწვებიდან არ უქრება სიწითლე. პირადი შთაბეჭდილება: ტიპიური წარმომადგენელი გაფუჭებული და აღვირახსნილი ოქროს ახალგაზრდობისა არცთუ ჩვეულებრივი დუელიანტის მონაცემებით. ზემოთგადმოცემული მოვლენების შემდეგ მოთამაშესთან ერთად ამ უკანასკნელის კაბინეტში გადავიდა. ლაპარაკობდნენ ოცდაორი წუთი. წყნარად, პაუზებით. კარებთან არაფერი ისმოდა, მაგრამ გარკვევით გავარჩიე სიტყვა `ოპიუმი~ და კიდევ რაღაც ცეცხლის შესახებ. აუცილებლად ჩავთვალე, თვალთვალი ფონ დორენზე გადამეტანა, თუმცა მან, ეტყობა, გამიგო – ძალიან მარჯვედ გამიძვრა და მეეტლეს წაჰყვა. გთავაზობთ...“ მერე საინტერესო აღარ არის. – შეფმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ერასტ პეტროვიჩს. – მაშ ასე, რას მსჯელობდით ოპიუმის შესახებ? ნუ მაწვალებთ, თქვენი პასუხის გაგების ინტერესით ვიწვი. ფანდორინმა მოკლედ მოახსენა იპოლიტთან საუბრის არსი და წერილიც აჩვენა. ბრილლინგმა დიდი ყურადღებით მოუსმინა, რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვა მისცა და გაჩუმდა, ფანჯარას მიაჩერდა. პაუზა დიდხანს გაგრძელდა, წუთზე მეტ ხანს. ერასტ პეტროვიჩი წყნარად იჯდა, ეშინოდა სააზროვნო პროცესისთვის არ შეეშალა ხელი, თუმცა საკუთარი

მოსაზრებებიც

გააჩნდა.

-მე თქვენით ძალიან კმაყოფილი ვარ, ფანდორინო,- წარმოთქვა სინამდვილეში დაბრუნებულმა შეფმა,-თქვენ ბრწყინვალე რეზულტატიურობის დემონსტრირება მოახდინეთ. ჯერ - ერთი, სრულიად ნათელია, რომ ზუროვს მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია და თქვენს მოღვაწეობაზე წარმოდგენა არ აქვს. სხვანაირად განა ამალიას მისამართს მოგცემდათ? ეს გვანთავისუფლებს მესამე ვერსიიდან. ახლა მეორე - თქვენ ძალიან წაიწიეთ წინ ბეჟეცკაიას ვერსიაში. ახლა კი ვიცით, სად ვემებოთ ეს დამა. ბრავო. მე ვაპირებ ყველა განთავისუფლებული აგენტი, მათ შორის თქვენც, მეოთხე ვერსიაში ჩავრთო, რომელიც მე ძირითადად წარმომიდგენია, - მან თითო გაიქნია დაფის მხარეს, სადაც მეოთხე წრეში თეთრად ჩანდა

ცარცის

ასონიშნები

ნო~

-ეს როგორ? - აღელდა ფანდორინი. - მაგრამ, ნება მიბოძეთ, შეფ... -წუხელ დამეს საშუალება მომეცა გავსულიყავი ძალიან მიმზიდველ კვალზე, რომელსაც ერთ მოსკოვის მიმდებარე აგარაკზე მივყევართ, - დასანახი კმაყოფილებით გამოცხადა ივან ფრანცევიჩმა (აი, თურმე, საიდან დასვრილი ჩექმები). - იქ რევოლუციონერები იქნებიან, თანაც უკიდურესად საშიში. მგონი, ახტირცევთან იბმება ძაფი. ვიმუშავებთ. აქ მე ყველა დამჭირდება. ხოლო ბეჟეცკაიას ვერსია, ჩემი აზრით, უპერსპექტივოა. დიპლომატიური არხებით ინგლისელებს შეკითხვას გავუგზავნით, ამ მისის ოლსენის დაკავებას ვთხოვთ, გამოაშკარავდება, ვინც არის და საქმე მორჩება. -აი ამის გაკეთება კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! - წამოიყვირა ფანდორინმა, ისე ფეთქებადად, რომ ივან ფრანცევიჩი სახტად დარჩა. -რატომ?

-ნუთუ ვერ ხედავთ, რომ აქ ყველაფერი ერთი ერთზე ჯდება! - ერასტ პეტროვიჩი ძალიან ჩქარა ალაპარაკდა, ეშინოდა, შემაწყვეტინებსო. - ნილილისტებზე არ ვიცი, მართლაც შესაძლებელია, მნიშვნელობაც მესმის, მაგრამ ესეც მნიშვნელოვანია და თანაც სახელმწიფო! ნახეთ, ივან ფრანცევიჩ, როგორი სურათი გამოდის. ბეჟეცკაია ლონდონში მიიმალა - ეს ერთი (თავადაც ვერ შეამჩნია, როგორ გადაიღო შეფის მეტყველების მანერა). მსახურთუფროსი ანლიელი ჰყავს და ძალიან საეჭვო, ესეთი დაგჭრის - არც კი შეიჭმუხნება. ეს ორი. თეთრთვალა, ვინც ახტირცევი მოკლა, აქცენტით ლაპარაკობს და ისიც ინგლისელს ჰგავს - ეს სამი. ახლა მეოთხე: ლედი ესტერი, რა თქმა უნდა, უკეთილშობილესი არსებაა, მაგრამ ისეც ინგლისელია, ხოლო კოკორინის მემკვიდრეობა, რაც გნებავთ თქვით და, მას დარჩა! ისიც ხომ ცხადზე ცხადია, რომ ბეჟეცკაიას საგანგებოდ, წინასწარგანზრახულად მიჰყავდა თავისი თაყვანიმცემლები იქამდე, რომ მათ თავიანთი ანდერძები ანლიელზე შეედგინათ.

-სტოპ, სტოპ, - შეიჭმუხნა ბრილინგი, - თქვენ, პირადად, საითკენ იხრებით? შპიონაჟისკენ? -მაგრამ ეს ხომ თვალნათელია? - ხელები გაშალა ერასტ პეტროვიჩმა,-ანლიური ხრიკებია. თავადაც მოგეხსენებათ, დღეისთვის ანლიასთან როგორი დამოკიდებულება არსებობს. მე ლედი ესტერის შესახებ არაფერი ისეთის თქმა არ მსურს, მან, ალბათ, ცოდნაც არფერი უწყის, მაგრამ მისი დაწესებულება შეუძლიათ გამოიყენონ როგორც საფარველი, როგორც ტროას ცხენი,

რათა

რუსეთში

შემოაღწიონ!

-აჰა, გასაგებია, - ირონიულად გაიცინა შეფმა. - დედოფალ ვიქტორიას და ბატონ დიზრაელის აფრიკის ოქრო და ინდოეთის ალმასი აღარ ჰყოფნით, უნდა მივართვათ პეტრუშკა კოკორინის მაუდის ფაბრიკა და ნიკოლენკა ახტირცევის სამი ათასი დესენტინა მიწა. და აი, აქ გასცა ფანდორინმა თავისიმთავარი კოზირი: -არც ფაბრიკა და არც ფული! თქვენ მათი ქონების აღწერა გახსოვთ? მეც მაშინვე არ მიმიქცევია ყურადღება! კოკორინს სხვა საშუალებებთან ერთად ლიბავაში აქვს გემთმშენებელი ქარხანა, იქ კი სამხედრო შეკვეთები მიაქვთ - მე გავიგე. -ეს როდისღა მოასწროთ?

-სანამ თქვენ გელოდით. შეკითხვა გავაგზავნე ტელეგრაფით სამხედრო-საზღვაო სამინისტროში. იქაც ღამით მორიგეობენ. -გასაგებია, კარგია. მერე?

-მერე ის, რომ ახტირცევს დესეტინების, სახლების და კაპიტალის გარდა ჰქონდა ნავთობის საბადო ბაქოში, დეიდისგან დარჩა. მე გაზეთებში წამიკითხავს, რომ ანდლიელები ოცნებობენ ბაქოს ნავთობამდე მიღწევას. აქ კი, ინებეთ – თანაც ყველაზე კანონიერი წესით! და თან ეს წაუგებლად არის ჩაფიქრებული: ან ქარხანა ლიბავაში, ან ნავთობი, ნებისმიერ შემთხვევაში ანდლიელებს რაღაც მაინც შეხვდებათ! თქვენ, როგორც გენებოთ, ივან ფრანცევიჩი,-აღელდა ფანდორინი,-მაგრამ მე ამას ასე არ დავტოვებ. ყველა თქვენს დავალებას შევასრულებ, მაგრამ სამსახურს მერე მე თვითონ გამოვთხრი ხოლმე. და მაინც ვიპოვი! შეფი ისევ ფანჯარას მიაჩერდა, და ამჯერად წინანდელზე დიდხანს დუმდა. ერასტ პეტროვიჩს გული გაუსივდა ნერვიულობისგან, მაგრამ ხასიათმა გაუძლო. ბოლოს ბრილინგმა ამოიოხრა და ალაპარაკდა - მდორედ, ბორძიკით, გზადაგზა კიდევ მოიფიქრებდა ხოლმე.

-ეს, ყველაზე უწინ, ჩმახვავა, ედგარ პო. ეჟენ სიუ. ცარიელი დამთხვევები. თუმცა ერთში თქვენ მართალი ბრძანდებით - ანდლიელებს არ მივმართავთ. ლონდონის საელჩოში ჩვენი რეზიდენტურის დახმარებით - აგრეთვე არ შეიძლება. თუკი თქვენ სცდებით – თქვენ კი ნამდვილად სცდებით - სრულ სულელებად გამოვიყვანთ თავს. თუკი დავუშვებთ, რომ თქვენ მართალი ხართ, საელჩო მაინც ვერაფრის გაკეთებას შეძლებს - ანდლიელები ბეჟეცკაიას დამალავენ ანდა რაღაცას მოგვატყუებენ... ჩვენ საელჩოს თანამშრომლებსაც ხელები აქვთ შეკრული – ისინი ძალიან მტკივნეულად... გადაწყდა,-ივან ფრანცევიჩმა ენერგიულად მოიქნია მუშტი. – რათქმა უნდა, ფანდორინო, თქვენ მე აქაც გამომადგებოდით, მაგრამ, როგორც ხალხში იტყვიან, ძალით კეთილი ვერ იქნები. წავიკითხე თქვენი საქმე, ვიცი, რომ არა მხოლოდ ფრანციცულს და ნემენცურს ფლობთ, ანდლიურსაც. ღმერთი თქვენთან, გაემგზავრეთ ლონდონში იმ თქვენ femme fatale (‘საბედისწერო ქალი--ფრანც.). ინსტრუქციებს თავს არ მოგახვევთ – მჯერა თქვენი ინტუიციისა. საელჩოდან ერთ კაცს მოგცემთ, გვარად – პიჟოვს. მსახურობს მოკრძალებულ მწერალ-მწარმოებლად, თქვენსავით, მაგრამ სხვა საქმეებს აკეთებს. გარეშე საქმეთა სამინისტროში ირიცხება საგუბერნიო მდივნად, მაგრამ ჩვენი ხაზით აქვს სხვა, უფრო მაღალი წოდება. მრავალნაირი ტალანტის ბატონია. ჩახვალთ და მაშინვე იმასთან მიხვალთ. ძალიან ჩაუქია. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ თქვენ ჩახვალთ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, შეცდომის უფლება დაიმსახურეთ. ნახეთ ევროპა, გაისეირნეთ სახელმწიფოს ხარჯზე. თუმცა, თქვენ ახლა, თქვენი ანგარიშიც გაქვთ? – შეფი შეკვრას შეეხო, უწესრიგოდ რომ იდო მაგიდაზე. მოსმენილისგან დაჩქარებული ერასტ პეტროვიჩი შეირხა: -დამნაშავე ვარ, ეს ჩემი მოგებულია. ცხრა ათას ექვსასი მანეთი, დავითვალე. მინდოდა, სალაროში ჩამებარებინა, მაგრამ დაკეტილი იყო. -ემმაკსაც წაუღიხართ,-ხელი ჩაიქნია ბრილინგმა.-თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ? რა გგონიათ, მოლარე შემოსავლების წიგნში ჩაიწერს? კოლეგიის რეგისტრატორ ფანდორინის მიერ შტოსის თამაშიდან შემოსული?.. ჰმ, მოიცადეთ. ისე როგორღაც არასოლიდურია, რეგისტრატორი საზღვარგარეთ მივლინებაში მიდიოდეს. მაგიდას მიუჯდა, კალამი სამელნეში ჩააწო და წერა დაიწყო, თან ხმამაღლა ამბობდა: -მაშ-ს. `სასწრაფო დეპეშა. კნიაზ მიხაილ ალექსანდროვიჩ კორჩაკოვს, პირადად. ასლი გენერალ-ადიუტანტ ლავრენტი არკადიევიჩ მიზინოვს. თქვენო მაღალადმატებულეზავ, თქვენთვის საინტერესო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე განსაკუთრებული დამსახურების აღიარების გამო, გთხოვთ, ყოელგვარი რიგის გარეშე და ნამსახურების ვადის გაუთვალისწინებლად, კოლეგიის რეგისტრატორი ერასტ პეტროვიჩ ფანდორინი

გადაიყვანოთ...~ ეჰ, აქეთ იყოს თუ იქით, პირდაპირ ტიტულიანებში ვცქაფოთ. ეგეც, რა თქმა უნდა, დიდი ჩიტი არ არის, მაგრამ მაინც. `...ტიტულიან მრჩევლად. აგრეთვე გასთხოვთ, დროებით ჩაპრიცხოთ ფანდორინი გარეშე საქმეთა სამინისტროში პირველი კატეგორიის დიპლომატიურ კურიერად~. ეს იმიტომ, რომ საზღვარზე არ გაგაჩერონ, - აუხსნა ბრილინგმა. – მაშ-ს. რიცხვი. ხელმოწერა - ამასთან, დიპლომატიურ ფოსტას გზად გაიყოლებთ - ბერლინში, ვენაში, პარიზში. კონსპირაციისთვის, ზედმეტი ეჭვები რომ არ გამოიწვიოთ. წინააღმდეგი ხომ არა ხართ?-ივან ფრანცევიჩის თვალემა ცელქად გაიკვესეს. -არაფრით არა,-თავისი წვლილი შეიტანა ერასტ პეტროვიჩმა, აზრით რომ ვეღარ დასწეოდა მოვლენებს.

-ხოლო პარიზიდან ინკოგნიტოს სახით, ლონდონს გაემგზავრებით. რაო, სასტუმროს რა ჰქვიაო?

-`უინტერ ქვინი~, `ზამთრის დედოფალი~.

მეთე თავი,
რომელშიც ფიგურირებს ცისფერი პორტფელი

დასავლეთის სტილით 28, ხოლო რუსულით 16 ივნისს, საღამოსკენ, გრეი-სტრიტზე მდებარე სასტუმრო `უინტერ ქუინთან~ დაქირავებული კარეტა გაჩერდა. ცილინდრიანი და თეთრი ხელთათმანებიანი მეეტლე თავისი სათავსოდან გადმოხტა, საფეხური გადმოშალა და თავდაკვრით გახსნა შავი, ლაკიანი კარი წარწერით: `dunster&dunster.

Since 1848.
London Regal Tours~
(`დანსტერი და დანსტერი.1848 წლიდან.
ლონდონის სამეფო ტურები~-ანლლ.)

ჯერ კარებში გამოჩნდა ტარსიკონის საგზაო ჩექმა, შემოჭედილი ვერცხლის ლურსმნუკებით, მერე ტროტუარზე მსუბუქად გადმოხტა დაქაფა ახალგაზრდა ჯენტლმენი მსხვილი უღვაშით, გასაკვირველად რომ არ უხდებოდა მის ხასხასა სახეს. ტიროლური, ბუმბულიანი შლაპით და განიერი, ალპური ლაბადით. ახალგაზრდა კაცმა მიიხედ-მოიხედა, დაინახა წყნარი, არაფრით გამორჩეული ქუჩა და მღელვარებით დააკვირდა ოტელის შენობას. ეს იყო საკმაოდ შეუხედავი, ოთხსართულიანი ნაგებოდა გეორგიანულ სტილში, უკეთესი დროების შემსწრეც რომ ჩანდა ნამდვილად.

ცოტა დაყოვნდა და ჯენტლმენმა რუსულად ჩაილაპარაკა:
-ეჰ, იყო და არა იყო რა.

ამ გამოუცნობი ფრაზის შემდეგ ის საფეხურებზე ავიდა და ვესტიბიულში შეაბიჯა. ზუსტად რამდენიმე წამში საპირისპიროდ მდებარე პაზიდან ვიღაც შავლაბადიანი გამოვიდა, თვალემაზე ბრჭყვიალა კარტუზიანი ქუდი ჩამოიფხატა და სასტუმროს შესასვლელთან დაიწყო გავლა-გამოვლა.

თუმცა ეს აღსანიშნავი გარემოება მოსულის ყურადღებიდან გასხლტა, რომელიც დახლის მახლობლად შეჩერებულიყო და შუასაუკუნეების რომელიღაც ფუმფულა ჟაბოიანი დამის დაბინდულ პორტრეტს უყურებდა - ეს, ალბათ, სწორედ ის `ზამთრის დედოფალი~ იყო. დგარის გადაღმა მთვლემარე პორტიე საკმაოდ ცივად მიესალმა უცხოელს, მაგრამ რაკი დაინახა, თუ როგორ აძლევს მხოლოდ საკვოიაჟის შემომტან `ბოის~ მთელ შილინგს, კიდევ ერთხელ მიესალმა, გაცილებით სტუმართმოყვარედ, თანაც მოსულს უბრალოდ შირ კი არა, armed your honor (`თქვენო ღირსებავ~-ანლლ.) უწოდა. ახალგაზრდა კაცმა ჰკითხა, არის თუ არა თავისუფალი ნომრები, მოითხოვა ყველაზე

საუკეთესო, ცხელი წყლით და გაზეთებით, და იქ მდგომთა წიგნში ჩაეწერა ერაზმუს ფონ დორნად ჰელსინგფორსიდან. ამის მერე პორტიემ სულ არაფრისთვის მიიღო ნახევარი სოვერენი და ნახევრად სულელ უცხოელს უკვე your lordship-ით (თქვენო ბრწყინვალეზავ~ ანდლ.) მიმართა.

ამასობაში ბატონი ფონ დორნი~ არცთუ სახუმარო ეჭვებში გაიბლანდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ბრწყინვალე ამალია კაზიმიროვნა ამ მესამე თანრიგის სასტუმროში ჩამომხტარიყო. აქ რაღაც მთლად ისე არ იყო. გულმოდგინებისგან წელში მოხრილი პორტიეს დაბნეულმა ისიც კი ჰკითხა, ხომ არა არის ლონდონში ამავე სახელწოდების მეორე სასტუმრო, და და ფიცით დამოწმებული რწმუნება მიიღო, რომ არათუ მხოლოდ არ არის, არც არასოდეს ყოფილა, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ იმ უინტერ ქუინს~, რომელიც აქ, ამავე ადგილას იყო და მთლად დაიწვა ასის წლის წინათ.

ნუთუ სულ ტყუილად ჩაიარა ყველაფერმა - თორმეტდღიანმა წრიულმა მოგზაურობამ ევროპაში, მიწებებულმა ულვაშმა, ვატერლოოს ვოგზალზე ჩვეულებრივი კების მაგივრად ნაქირავებმა მდიდრულმა ეკიპაჟმა, და, ბოლოს, ამაოდ დახარჯულმა ნახევარმა სოვერენმა? აი, ეხლა კი, გენაცვალე, ბუს კვერცხებს გამოიმუშავე ჩემგან,-გაიფიქრა ერასტ პეტროვიჩმა (მიუხედავად ინკოგნიტობისა, მაინც ასე დავარქვათ). -ერთი მიბრძანეთ, გეთატყვა, აქ ერთი არსება ხომ არ გაჩერებულა, ვინმე მის ოლსენი?-ყალბი დაუდევრობით იკითხა მან, თან დგარზე დაყრდნობილი გაქანავდა. თუმცა სრულიად მოულოდნელმა პასუხმა ფანდორინს სევდიანად შეუკუმშა გული: -არა, მილორდ, ლედი ასეთი სახელით ჩვენთან არა ცხოვრობს და არც უცხოვრია. მოსულის თვალეებში შფოთვა რომ ამოიკითხა, პორტიემ ეფექტური პაუზა გააკეთა და ბრძნულად გამოუცხადა:

-თუმცა თქვენი ბრწყინვალეებისგან დასახელებული გვარი ჩემთვის მთლად უცნობი არ გახლავსთ. ერასტ პეტროვიჩი შეირხა და ჯიბიდან კიდევ ერთი ოქრო ამოიღო. -თქვით.

პორტიე წინ გადმოიხარა, იაფფასიანი კელნის წყლის სუნი შემოაფრქვია და უჩურჩულა: -ამ პიროვნების სახელზე ჩვენთან ფოსტა მოდის, ყოველ საღამოს ათი საათისთვის მოდის ვინმე მისტერ მორბიდი, შეხედულებით მსახურია ან მსახურთუფროსი და იმას მიაქვს წერილები. -უშველებელი სიმადლისაა, დიდი ღია ბაკენბარდებით და ისეთი შეგრძნება გაჩნდება, რომ თავის სიცოცხლეში არ გაუღიმიან?-სწრაფად ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა. -დიაღ, მილორდ, ეს ის გახლავსთ. -და ხშირად მოდის წერილები? -ხშირად, მილორდ, თითქმის ყოველდღე, ხდება ხოლმე, რომ არაერთი. დღეს, მაგალითად, - პორტიე მარავლმნიშვნელოვნად მიაჩერდა დანაყოფებიან შკაფს, - მთელი სამი ცალი მოვიდა. მინიშნება მაშინვე გაგებული იქნა.

-კონვერტებს შევხედავდი - ისე, ცნობისმოსყვარეობისთვის,-შენიშნა ფანდორინმა და დგამზე მომდევნო მახევარსოვერენი ააკაკუნა. პორტიეს თვალები ციებ-ცხელებიანის ელვარებით აენტო: რაღაც დაუჯერებელი ხდებოდა, განსჯისთვის მიუწვდომელი, მაგრამ მეტისმეტად სასიამოვნო კი. -საზოგადოდ, ეს უსასტიკესად აკრძალულია, მილორდ, მაგრამ... თუკი მხოლოდ შეხედავთ კონვერტებს...

ერასტ პეტროვიჩი ხარბად მისწვდა წერილებს, მარამ გულის გატეხვა ელოდა - კონვერტები უკუ-მისამართის გარეშე იყო გამოგზავნილი. ეტყობა, მესამე ოქროც ტყუილად დაიკარგა. თუმცა, სწორი მოგახსენოთ, შეფმა სანქცია მისცა ნებისმიერ ხარჯებს გონიერების საზღვრებში

და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე...~ და, ნეტავ, რა არის შტემპელებზე? შტემპელებმა ფანდორინი აიძულეს, ჩაფიქრებულიყო: ერთი წერილი შტუტგარტიდან იყო, მეორე ვაშინგტონიდან, ხოლო მესამე კი თვით რიო-დე-ჟანეიროდან. და მაინც! -და დიდი ხანია, მის ოლსენი აქ კორესპონდენციებს იღებს? – ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა, თან აზრობრივად ითვლიდა, რამდენი ხანი მოცურავენ წერილები ოკეანეზე და თან ხომ საჭირო იყო, აქაური მისამართი ჩასულიყო ბრაზილიაში! ძალიან უცნაურად გამოდიოდა. ბეჟეცკაიას შეედლო ინგლისში ჩამოსულიყო ყველაზე ადრე - სამი კვირის წინ.

პასუხი მოულოდნელი იყო:

-დიდი, მილორდ. მე რომ აქ სამსახური დავიწყე – ოთხი წლის წინ, წერილები უკვე მოდიოდა.

-ეს როგორ?! ხომ არ გემლებათ?

-გარწმუნებთ, მილორდ. მართალია, მისტერ მორბიდი მის ოლსენთან დიდი ხანი არ არის, რაც მსახურობს, თითქმის ზაფხულის დასაწყისიდან. ყოველ შემთხვევაში, მორბიდამდე კორესპონდენციებისთვის მისტერ მებუისი მოდიოდა, კიდევ უფრო ადრე მისტერ... მ-მ, ბოდიშს ვიხდი, მეხსიერებიდან გადამივარდა, რა ერქვა. ესეთი, უმნიშვნელო ჯენტლმენი იყო და ისიც ნაკლებად მოლაპარაკე.

ძალიან უნდოდა კონვერტებში ჩახედვა. ერასტ პეტროვიჩმა გამომცდელად შეხედა ინფორმატორს. ალბათ, ვერ გაუძლებს. თუმცა აქ ახალგამომცხვარ ტიტულიან მრჩეველს და პირველი კატეგორიის დიპლომატიურ კურიერს უკეთესი იდეა მოუვიდა ჭკვაში.

-როგორც ამბობთ, ეს მისტერ მობიდი ყოველ საღამოს ათზე მოდის ხოლმე?

-საათს ვასწორებთ იმის მოსვლაზე, მილორდ.

ერასტ პეტროვიჩმა დგამზე მეოთხე ნახევარსოვერენი დადო, გადაიხარა და გაბედნიერებულ პორტიეს რაღაც უჩურჩულა ყურში.

ათ საათამდე დარჩენილი დრო მეტად პროდუქტიულად იქნა გამოყენებული. პირველ რიგში ერასტ პეტროვიჩმა დაზეთა და დატენა თავისი საკურიერო `კოლტი~. მერე ტულეტის ოთახისკენ გასწია, და რიგრიგობით აჭერდა ცხელი და ცივი წყლის პედლებს, სულ რაღაც თხუთმეტ წუთში შეავსო აბაზანა. ნახევარი საათი ინებივრა, ხოლო როცა წყალი გაცივდა, შემდგომი მოქმედების გეგმა უკვე შედგენილი იყო. კიდევ მიიწება ულვაში და სარკეში ცოტა ხანი საკუთარი თავით დატკობის შემდეგ, ფანდორინმა შეუმჩნეველ ანდლიელად გადაიცვა: შავი ქვაბუნა ქუდი, შავი პიჯაკი, შავი შარვალი, შავი პალსტუხი. მოსკოვში მესაფლავედ მიიღებდნენ, მაგრამ ლონდონში, უნდა ვივარაუდოთ, მათლად შეუმჩნეველი იქნებოდა. ღამითაც სწორედ ის იქნება – ლაცკანებით დაფარე პერანგი მკერდზე, მანჟეტები აიწიე და სიბნელის ალერსში გადნები, ეს კი გეგმისთვის უკიდურესად საჭიროა. კიდევ ნახევარი საათი დარჩა შემოგარენის გასაცნობი გასეირნებისთვის. ერასტ პეტროვიჩმა გრეი-სტრიტიდან ფართო ქუჩაზე გაუხვია, მთლიანად ეკიპაჟებს რომ გაევისო და თითქმის მაშინვე აღმოჩნდა ცნობილ თეატრ `ოლდ-ვიკთან~, დაწვრილებით რომ აღეწერათ გზამკვლევაში. კიდევ ცოტა გაიარა და – ო, საოცრება! – დაინახა მოხაზულობა ვატერლოოს ვაგზლისა, საიდანაც `ზამთრის დედოფლამდე~ კარეტას მთელი ორმოცი წუთი მოჰყავდა – გაიძვერა მეეტლემ ხუთი შილინგი აიღო. ხოლო შემდეგ გამოჩნდა საღამოს უსიამოო ჩრდილებში ჩაფლული ტემზა. იმის ჭუჭყიან წყალს რომ უცქერდა, მოიბუზა და რატომღაც მოიცვა პირქუშმა წინათგრძნობამ. ამ უცხო ქალაქში, საზოგადოდ, თავს მოუხერხებლად გრძნობდა. შემხვედრნი თვალს არიდებდნენ, ერთს არ შეუხედავს სახეში, რაც, დამეთანხმებით, მოსკოვში შეუძლებელია. ამასთან, ფანდორინს არ ეხსნებოდა უცნაური გრძნობა, რომ თითქოს ზურგში მიბჯენია ვიღაცის უკეთური მზერა. რამდენჯერმე მობრუნდა ახალგაზრდა კაცი და თითქო ერთხელ შეამჩნია, თუ თეატრალურ ტუმბას ამოეფარა ფიგურა შავებში. აქ ერასტ პეტროვიჩმა თავი ხელში აიყვანა, იჭვნეულობისთვის კარგადაც გამოლანძღა და მეტად აღარ შემოტრიალებულა უკან გასახედად. სულ წყეული ნერვების ბრალია. შეყოყმანდა კიდევ –

ხვალამდე ხომ არ მოეცადა თავისი გეგმის განსახორციელებლად? მაშინ შესაძლებელი იქნება დილით საელჩოში გამოჩნდეს და შეხვდეს საიდუმლო მწერალ-მწარმოებელ პიჟოვს, რომელზეც შეფი ლაპარაკობდა. მაგრამ ლაჩრული სიფრთხილე – სამარცხვინო გრძნობაა, თან დროის დაკარგვაც არა სურს. ისედაც, სულ მცირე, სამი კვირა წვრილმანებზე დაკარგა. ევროპაში მოგზაურობა ნაკლებად სასიამოვნო აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან წარმოედგინა ფრთებშესხმულ ფანდორინს. ვერუბოლოვას სასაზღვრო ჯაჭვების იქითა მხარეს გადაშლილმა ტერიტორიამ გული დაუმძიმა მშობლიური, ღარიბული სივრცისგან განსხვავებულობის გამო. ერასტ პეტროვიჩი ვაგონის სარკმელში იცქირებოდა და სულ ელოდა, რომ კოპჩია სოფლები და სათამაშო ქალაქები დამთავრდება და დაიწყება ჩვეულებრივი პეიზაჟი, მაგრამ რაც უფრო შორს მიდიოდა რუსეთის საზღვრიდან მატარებელი, მით უფრო თეთრი ხდებოდა სახლები, ხოლო ქალაქები – ფერწერული. ფანდორინი სულ იღუშებოდა და იღუშებოდა, მაგრამ თავის თავს სლუკუნის უფლებას არ მისცემდა, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ანათებს, საკუთარ თავს ეუბნებოდა, მაგრამ სულში მაინც ხუთვას გრძნობდა. მერე არა უჭირდა რა, შეეგუა და უკვე ეჩვენებოდა, რომ მოსკოვში არც ისე ძალიან არის ჭუჭყი, ვიდრე ბერლინში, ხოლო კრემლი და ეკლესიების ოქროს გუმბათები ჩვენ ისეთი გვაქვს, ნემენცებს არც კი დასიზმრებიათ. სხვა რამ აწუხებდა – რუსული საელჩოს სამხედრო აგენტმა, რომელსაც ფანდორინმა დაბეჭდილი პაკეტი გადასცა, უბრძანა, ჯერ მომდევნო პუნქტში არ წასულიყო და დალოდებოდა საიდუმლო კორესპონდენციას, რათა ვენაში გადაეცა დანიშნულებისამებრ. ლოდინმა ერთი კვირა გასტანა და ერასტ პეტროვიჩს მოსწყინდა ჩრდილებიან უნტერ-დენ-ლინდენზე ხეტიალი, მობეზრდა გულის აჩუყება ბერლინის პარკების კარგად ნაკვებ გედებით. იგივე განემეორდა ვენაში, ოღონდ აქ ხუთი დღე მოუწია პაკეტის ლოდინი, რომელიც სამხედრო აგენტისთვის უნდა გადაეცა პარიზში. ერასტ პეტროვიჩი ნერვიულობდა, როცა წარმოიდგენდა, რომ `მის ოლსენი~ თავისი იპოლიტიდან ცნობას არ დაელოდა, ოტელიდან გადავიდა და ეხლა საუკუნე ვეღარ იპოვნი. ნერვების გამო იყო, ფენდორინი დიდხანს რომ იჯდა კაფეში, ბევრ ღვეზელს შეექცეოდა ნუმისას და ლიტრობით სვამდა კრემ-სოდას. სამაგიეროდ, პარიზში თავად აიღო ინიციატივა: რუსეთის წარმომადგენლობაში ხუთი წუთით შეიხედა, საელჩოს პოლკოვნიკს ქალაქები ჩააბარა და უაპელაციოდ გამოუცხადდა, რომ აქვს განსაკუთრებული დავალება და ერთი საათიც კი არ შეუძლია გაჩერება. დაკარგული დროისთვის საკუთარი თავის დასჯის მიზნით პარიზის დათვალიერებაც არ დაუწყია, მხოლოდ ფიაკრით გაიარა ახალ, სწორედ მაშინ ბარონ ოსმანის მიერ გაყვანილი ბულვარებით და მერე ჩრდილოეთის ვაგზლისკენ გაუტია. უკან რომ გამობრუნდება, დრო კიდევ ექნება.

ათს რუპი, ანუ საათის მეოთხედი აკლდა, როცა `ტაიმის~ გამოსაჭვრეტად გახვრეტილი ნომერი აეფარებინა და ერასტ პეტროვიჩი `ზამთრის დედოფალის~ ფოიეში იჯდა. ქუჩაში წინასწარ დაქირავებული კები უცდიდა. მიღებული ინსტრუქციის თანახმად, პორტიე დემონსტრაციულად არ იყურებოდა საზაფხულოდ ჩაცმული ჩამომხმარი კაცისკენ და საპირისპირო მხარეს მიტრიალებას ცდილობდა. თერთმეტის სამ წუთზე ზარმა დაიწვარუნა, კარი გაიღო და შემოვიდა წყლისფერ ლივრეაში გამოწყობილი, ვეება მამაკაცი შემოვიდა. ეს `ჯონ კარლიჩია~! ფანდორინმა ახლოს მისწია გვერდი პრინც უელსელის წვეულების აღწერილობით. პორტიე ქურდულად შეეხო უდროოდ დროს კითხვით გატაცებულ მისტერ ფონ დორინს და თანაც, იმ გაიძვერამ, თავისი დაფანჩული წარბები ზემოთ-ქვემოთ აათამაშა, მაგრამ ობიექტმა, საბედნიეროდ, ეს ვერ შეამჩნია ანდა თავის ღირსების ქვემოთ მდგომ ქმედობად ჩათვალა შემოტრიალება.

კები კი გამოადგა. აღმოჩნდა, რომ მსახურთუხუცესი ფეხით არ მოსულა, `ეგოისტი~ მოვიდა – ერთადგილიანი ეტლით, რომელშიც შებმული იყო ძალიან ყავისფერი ცხენი. ეს მხაპუნა წვიმაც

დროულად წამოვიდა – ჯონ კარლიჩმა~ ტყავის გადასახური ასწია და ეხლა რაც უნდა მოენდომებინა, თვალთვალს ვერ აღმოაჩენდა. ნაცრისფერ ლივრეაში გამოწყობილი კაცის უკან გაყოლის ბრძანებას კებმენი ოდნავადაც არ გაუკვირვებია, გრძელი მატრახი გაატკაცუნა და გეგმა თავის პირველ ფაზაში შევიდა. დაღამდა, ქუჩაში ფარნები ენთო, მაგრამ ლონდონი არ იცოდა და ფანდორინმა მალე დაკარგა გაგნების შნო, მუქარით დადუმებული ქალაქის ერთნაირი ქვის კვარტალებში აებნა გზა. რამდენიმე ხნის შემდეგ სახლები დადაბლდა და გაიშვიათდა, სიბნელეში თითქოს ხეთა მოხაზულობები მოცურავდნენ, კიდევ თხუთმეტი წუთის მერე გაიჭიმნენ ბაღებით გარსშემორტყმული, განცალკევებული სახლები. ერთ მათგანთან `ეგოისტი~ შეჩერდა, მისგან გამოიყო გიგანტური სილუეტი და გაიხსნა მაღალი, გისოსებიანი ჭიშკარი. კებიდან გადმოწეულმა ფანდორინმა დაინახა, როგორ შედის ეტლი გალავანში, რის შემდგომაც ჭიშკარი კვლავ დაიკეტა.

გულმიხვედრილმა კებმენმა თავად გააჩერა ცხენი, შემოატრიალა და შეეკითხა: -ამ მეზავრობის შესახებ მოვალე ვარ, პოლიციას გამოვუცხადო? -აი, თქვენ კრონი და ეგ საკითხი თავადვე გადაწყვიტეთ.-მიუგო ერასტ პეტროვიჩმა, გადაწყვიტა, რომ მეეტლესთვის დაცდა არ ეთხოვა – ძალიან მკვირცხლი და ჯომარდი ვიღაცა ჩანს. თან ხომ არც იცის, როდის წავა უკან. წინ სრული უცოდინრობა ელოდა.

ზღუდეზე გადახტომა მნელი არ აღმოჩნდა, გიმნაზიის წლებში ამისთანები უნახავს? ბალი ჩრდილებით აშინებდა და არასტუმართმოყვრულად ურტყამდა სახეში როკებს. წინ, ხეების მიღმა, მოღუშულ სითეთრედ ჩანდა დახრილ სახურავიანი, ორსართულიანი სახლი. ფანდორინი ცდილობდა ნაკლებად ეშარიშურა და ასე მიაღწია ყველაზე ბოლო ბუჩქთან (იასამნის სუნი უდიოდა - ნამდვილად, ეს იყო რომელიღაც ინგლისური იასამანი) და რეკოგნისცირება ჩაატარა. უბრალო სახლი კი არა, ვილაა. შესასვლელთან ფარანია. პირველ სართულზე ფანჯრები განათებულია, მაგრამ იქ, ეტყობა, მოსამსახურეები არიან განთავსებულნი. გაცილებით საინტერესოა მეორე სართულზე გაკაშკაშებული ფანჯარა (აქ გაახსენდა, რომ ამ სართულს რატომღაც ანლლიელები `პირველს~ უწოდებენ), მაგრამ როგორ მიაღწიოს იქამდე? საბედნიეროდ, იქვე თუნუქის წვიმასავალი მილი ჩამოდის, ხოლო კედელი რაღაც ხვიარით გადმოყუდებულა და შესახედად საკმაოდ ჩამოსაკონწიალებლებიც აქვს. არცთუ შორეული ბავშვობის ჩვევები კიდევ გამოსადეგი იქნებოდა. ერასტ პეტროვიჩმა შავ აჩრდილად გადაირბინა კედლამდე და წყალსადენი შეანჯღრია. თითქოს მაგარია და არც ყანყალებს. რაღაი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, არ ეხუმრა, ასვლა უფრო ნელ-ნელა წარმოებდა, ვიდრე თავად სურდა. ბოლოს ფეხმა საყრდენი იგრძნო, ძალიან იღბლიანად რომ უვლიდა მთელ მეორე სართულს და ფანდორინი, ფრთხილად ჩაეჭიდა სუროს, ველურ ვაზს, ლიანებს – ეშმაკმა უწყის, რა ერქვა ამ გველებივით ტოტებს – დაიწყო მოკლე ნაბიჯით აღთქმულ ფანჯარასთან მიახლოება. პირველ წუთში მწველმა იმედგაცრუებამ მოიცვა – ოთახში არავინ იყო, ვარდისფერ აბაჟურიანი ლამპა რაღაც ქალღმერთით დაფარულ ნატიფ ბიუროს ანათებდა. კუთხეში, ეტყობა, საწოლი მოჩანდა თეთრად. ვერ მიხვდები – კაბინეტია თუ საძინებელი. ერასტ პეტროვიჩმა ხუთი წუთი მოიცადა, მაგრამ არაფერი ხდებოდა, მარტო ეს იყო, დახატული ფრთების ქნევით ლამპაზე დაჯდა სქელი ღამის პეპელა. ნუთუ უკან მოუწევს ჩამვრომა? თუ გარისკოს და შიგნით შეაღწიოს? ხელი მსუბუქად უბიძგა ჩარჩოს და ფანჯარა გაიხსნა. ფანდორინი შეეყოყმანდა, საკუთარი თავი დაადანაშაულა ყოყმანისთვის და დაყოვნებისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სწორედ შეყოვნდა –კარი გაიღო და ოთახში ორნი შემოვიდნენ, ქალი და კაცი. ქალის სანახაობაზე ერასტ პეტროვიჩმა კინაღამ წამოიყვირა –ეს ბეჟეცკაია იყო! მწყობრად დავარცხნილი, ალისფერი ბაფთით შეკრული შავი თმით, მაქმანიანი თუ არშიიანი პენუარით, რომლის ზემოდან ჭყეტელა ბოშური შალი შემოეხურა, დამაბრმაველად ლამაზი მოეჩვენა. ო,

ასეთ ქალს შეიძლება ნებისმიერი შეცოდება აპატიო!
 მამაკაცისკენ შემოტრიალებულმა – მისი სახე მაინც ჩრდილში რჩებოდა, მაგრამ სიმაღლით თუ
 განვსჯით, ეს მისტერ მორბილია, - ამალია კაზიმროვნამ გამართულ ანლიურზედ სთქვა
 (ჯაშუშია, ნამდვილად ჯაშუში!):
 -მაშ, ალბათ, ნამდვილად ის არის?
 -დიალ, მემ. ყოველგვარი ეჭვის გარეშე.
 -რატომ ხართ ასე დარწმუნებული? თქვენ რა, ნახეთ კიდეც?
 -არა, მემ. დღეს იქ ფრანცი მორიგეობდა. მან მოგვახსენა, რომ ბიჭუნა მეშვიდე საათზე
 ჩამოვიდა. აღწერილობა ზუსტად დაემთხვა, თქვენ მისი ულვაშიც კი გამოიცანით.
 ბეჟეცკაიამ წკრიალით გაიცინა.
 -თუმცა, მისი შეუფასებლობაც არ შეიძლება, ჯონ. ბიჭი იღბლიანების ჯიშიდანაა, მე კი ამ
 ტიპის ადამიანებს კარგად ვიცნობ - ისინი გამოუცნობნი და ძალიან საშიშები არიან.
 ერასტ პეტროვიჩს გულის კოვზთან რომელიღაც გრძნობა აუფრთხილდა. ნეტავი, თავად
 მასზედ ხომ არ მუსაიფობენ? არა, ეს შეუძლებელია.
 -არაფერია, მემ. თქვენ მხოლოდ ბრძანება გაეცით... ფრანცთან ერთად შევივლით და ერთხელ
 და სამუდამოდ დავაბოლოვებთ. ნომერი თხუთმეტი, მეორე სართული.
 სწორედ ასეა! ზუსტად მეთხუთმეტე ნომერში, მესამე სართულზე (ანლიურად - მეორეზე)
 გაჩერდა ერასტ პეტროვიჩი, მაგრამ როგორ შეიტყვეს?! საიდან?! ფანდორინმა მოწყვეტილად,
 მიუხედავად ტკივილისა, აიძრო თავისი სამარცხვინო, გამოუსადეგარი ულვაში.
 ამალია კაზიმროვნა, თუ რაც ერქვა სინამდვილეში, შეიჭმუნა და ხმაში მეტალი გაურია:
 -არ გაბედოთ! თავად ვარ დამნაშავე, თავადვე გამოვასწორებ ჩემ შეცდომას. ცხოვრებაში
 ერთხელ ვენდე მამაკაცს... მარტო ის მაკვირვებს, რატომ საელჩოდან არ შეგვატყობინეს იმისი
 ჩამოსვლა?
 ფანდორინი მთლად სმენად იქცა. ესე იგი, რუსულ საელჩოშიც ჰყავთ თავისი ხალხი! ჰო და
 კვლავაც ჰო! ივან ფრანცევიჩი კიდეც, ეჭვობდა! თქვი, რომელია, ბარელამ თქვი!
 მაგრამ ბეჟეცკაია სხვა საგანზედ ალაპარაკდა:
 -წერილები არის?
 -დღეს სრული სამია, მემ.- და მსახურთუფროსმა თავის დაკვრით გადასცა კონვერტები.
 -კეთილი, ჯონ, შეგიძლიათ დასაძინებლად წახვიდეთ. დღეს აღარ დამჭირდებით, - მან
 მთქნარება ჩაახშო.
 როცა მისტერ მობიდის გასვლის შემდეგ კარი მიიხურა, ამალია კაზიმროვნამ დაუდევრად
 მიყარა წერილები ბიუროზე, თავად კი ფანჯარასთან მივიდა. ფანდორინი გამოშვერილს
 მოეფარა და გულმა გამალებული ტოკვა დაუწყო. ჯერ დიდი თვალებით დაუნახავად
 უყურებდა ცივ სიბნელეს, მერე ბეჟეცკაიამ (მინა რომ არა, ხელით შეიძლება მისწვდომოდა)
 ფიქრიანად წაიჩურჩულა რუსულად:
 -აი, მოწყენილობაც ეს არის, ღმერთო შემინდე. იჯექი აქ და დაობდი...
 შემდეგ უცნაურად მოიქცა: გიჟმაჟი ამურის კედელის ბრასთან მივიდა და მცირეწლოვან
 სიყვარულის ღმერთს ბრინჯაოს ჭიპზე თითი დააჭირა. იქვე ჩამოვიდებულ გრივიურა
 (როგორც ჩანს, რაღაც სანადირო თემაზე) უხმაუროდ გავიდა განზე და სპილენძის კარი
 გამოაჩინა მრგვალი სახელურით. ბეჟეცკაიამ ჰაეროვანი სახელურიდან დახვეწილი, შიშველი
 ხელი გაითავისუფლა, სახელური აქეთ-იქეთ მოატრიალა და მელოდიურად აჟღერებული კარი
 გაიღო. იმის შიშით, ყველაზე მთავარი არ გამომრჩესო, ერასტ პეტროვიჩმა ცხვირი მიაჭყლიტა
 სარკმელს.
 ამალია კაზიმროვნა, ისე დამგვანებული ეგვიპტის დედოფალს, როგორც არასოდეს,
 გრაციოზულად გადაიხარა, რაღაც ამოიღო სეიფიდან და შემოტრიალდა. ხელში ცისფერი
 ხავერდის პორტფელი ეჭირა.

ბიუროსთან დაჯდა, პორტფელიდან დიდი, ყვითელი კონვერტი ამოიღო, იქიდან კი რაღაც წვრილად ნაწერი ფურცელი. დანით გაჭრა მიღებული წერილები და იმათგან რაღაც გადაწერა ფურცელზე. ამან ორ წუთზე მეტი არ დაიჭირა. მერე უკან ჩააწყო წერილები და ფურცლები პორტფელში, ბეჟეცკაიამ `პახიტოსკას~, ანუ პაპიროსების გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს მოუკიდა, ძალიან გავრცელებული რომ იყო მეცხრამეტე საუკუნეში და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა, თანაც ჩაფიქრებული იყურებოდა სადღაც სივრცეში. ერასტ პეტროვიჩის ის ხელი დაუბუჟდა, რომელითაც ტოტებს ეკიდა, ფერდში მტკივნეულად ერჭობოდა `კოლტის~ სახელური, თან უხერხულად გამოწეულამა სარტყელმაც დაუწყო წუწუნი, დიდხანს ამ მდგომარეობაში ვერ იდგებოდა. ბოლოსდაბოლოს კლეოპატრამ `პახიტოსკა~ ჩააქრო, ადგა და გავიდა შორეულ, ოთახის სუსტად განათებულ კუთხეში. რომელიღაც არცთუ მაღალი კარი გაიხსნა, კვლავ დაიხურა და მოისმა წყლის ჩქაფუნი. ცხადი იყო, იქ აბაზანა იყო. ბიუროზე მაცდურად იდო ცისფერი კონვერტი, ხოლო ქალები, როგორც ცნობილია, სადამოს ტუალეტით დიდხანს არიან დაკავებულები... ფანდორინმა ფანჯრის გასაწევს უბიძგა, მუხლი რაფაზე დადგა და ორამდე დათვლაში აღმოჩნდა ოთახში. აბაზანის მხარეს იყურებოდა, სადაც ძველებურად თანაბრად ხმაურობდა წყალი და მან დაიწყო პორტფელის გახსნა. შიგნით აღმოჩნდა წერილების დიდი დასტა და წელანდელი ყვითელი კონვერტი. ზედ მისამართი: mr. bicolas m. Croog, foste restant, l'Hotel des pastes, S.-Peterbourg, Russie. (ზატონ ნიკოლას მ. კროოგს, მოკითხვამდე. მთავარი ფომტა, ს.-პეტერბურდი, რუსეთი~ – ფრანც.).

ეს უკვე კარგია. შიგნით ეწყო გრაფებად დაყოფილი ფურცლები, ანლიურად დაწერილი ერასტ პეტროვიჩისთვის კარგად ნაცნობი ალმაცერი ხელით. პირველ სვეტში რაღაც ნომერია, მეორეში ქვეყნის დასახელება, მესამეში წოდება ან თანამდებობა, მეოთხეში - თარიღი, მეხუთეშიც თარიღი – ივნისის ზრდადი რიცხვები. მაგალითად, ყველაზე ბოლო სამი ჩანაწერი, მელნის მიხედვით თუ განსჯიდა, ახლახანს შესრულებული, ასე გამოიყურებოდა:

- #1053F ბრაზილია იმპერატორის პირადი დაცვის უფროსი გაგზავნილია 30 მაისს მიღებულია 28 ივნისს 1876
- #852F ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატები სენატის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გაგზავნილია 10 ივნისს მიღებულია 28 ივნისს 1876
- #354F გერმანია საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გაგზავნილია 25 ივნისს მიღებულია 28 ივნისს 1876

სდექ! დღეს მის ოლსენის სახლზე სასტუმროში მიღებული წერილები რიო-დე-ჟანეიროდან, ვაშინგტონიდან და შტუდგარტიდან იყო. ერასტ პეტროვიჩმა წერილების დასტაში დაიწყო ფათური, ბრაზილიური მოძებნა. შიგ იყო ფურცელი მიმართვისა და ხელმოწერის გარეშე, სულ ერთი სტრიქონი.

30 მაისი, იმპერატორის პირადი დაცვის უფროსი, #1053FF. მაშ, ასე. ბეჟეცკაია რატომღაც იწერს მიღებული წერილების შინაარსს ფურცლებზე, რომლებსაც მერე პეტერბურდში უგზავნიან ვიღაც მუსიე ნიკოლა კროოგს, ანუფრო, მისტერ ნიკოლას კროოგს. რისთვის? რატომ პეტერბურდში? რას ნიშნავს ეს ყველაფერი, საზოგადოდ? ერთი მეორის ქეჩობზედ გადმომძვრალი შეკითხვები აყალ-მაცალით მოდიოდნენ, მაგრამ იმათში გარკვევის დრო არ იყო - აბაზანაში წყალმა შეწყვიტა ჩქაფუნი. ფანდორინმა სასწრაფოდ ჩატენა ქალაღები და წერილები უკან პორტფელში, მაგრამ ფანჯრისკენ უკუქცევა ვერ მოასწრო. კარის ჭრილში იდგა ნარნარი, თეთრი ფიგურა. ერასტ პეტროვიჩმა სარტყლიდან რევოლვერი გამოაძრო და სისინა ჩურჩულით უბრძანა: -ქალბატონო ბეჟეცკაია, ერთი ბგერა და დაგახლით! მობრძანდით და დაბრძანდით! ცოცხლად!

ქალი მდუმარედ მიუახლოვდა, მომაჯადოვებლად უყურებდა უფსკერო, ციმციმა თვალებით და ბიუროს მახლობლად დაჯდა.
-რაო, მითამ არ მელოდით?-გესლიანად დაინტერესდა ერასტ პეტროვიჩი,-სულელად მთვლიდით?

ამალია კაზიმროვნა დადუმდა, მისი გამოხედვა ყურადღებიანი და ცოტათი გაკვირვებული იყო, თითქო ფანდორინს პირველად ხედავდა.

-რას ნიშნავს ეს სიები? – ჰკითხა მან, `კოლტის~ პორტფელისკენ გაქნევით,-რა შუაშია აქ ბრაზილია? ვინ იმალება ნომრების მიღმა? აბა-და, ჰოდა, მიპასუხეთ!
-გაზრდილხარ,-წყნარი, ფიქრიანი ხმით მოულოდნელად თქვა ბეჟეცკაიამ,-და, ეტყობა, დავაჟუცადი.

ხელი ჩამოუშვა და პენუარი მრგვალი მხრიდან ჩამოაცოცდა, ისეთი თეთრიდან, რომ ერასტ პეტროვიჩმა ნერწყვი გადაყლაპა.

-მამაცო, ჩხუბისთავო და ჩურჩუტო,-თქვა ქალმა ხმადაბლა და თვალი თვალში გაუყარა,-და ძალიან, ძალიან კარგო.

-თუ ჩემი შეცდენა გადაწყვიტეთ, მაშინ ტყუილად ჰკარგავთ დროს,- წაიბურტყუნა გაწითლებულმა ერასტ პეტროვიჩმა,- არც ისეთი ჩურჩუტი გახლავარსო, როგორც თქვენ წარმოგიდგენივართ.

ამალია კაზიმროვნა ნაღვლიანად წარმოთქვამდა:
-თქვენ ბედკრული ბიჭი ხართ, რომელსაც არც ესმის, რაში გაება. უბედური ლამაზი ბიჭი. ახლა კი ვეღარ გადაგარჩენთ...

-ჯერ საკუთარ გადარჩენაზე გეფიქრასთ!-ერასტ პეტროვიჩი გამწარებით ცდილობდა კიდევ უფრო მოშიშვლებული მხრისკენ არ გაჰქცეოდა თვალი. ნუთუ არსებობს ასეთი მანათობელი, რმეთოვლივით კანი?

ბეჟეცკაია უცაბედად წამოდგა და სტუმარი შეხტა, ლულა წინ გამოსწია.
-იჯექით!

-ნუ გეშინიათ, სულელო. როგორ გაწითლდით. შეიძლება შეგეხოთ? ხელი გამოსწია და თითებით მსუბუქად შეეხო ფანდორინის ლოყებს.
-ცხელია... რა ვქნა, რა გიყოთ?

მეორე ხელი ნაზად შეეხო ჭაბუკის რევოლვერზე ჩაჭიდებულ თითებს. მქრქალი, აუციმციმებელი თვალები ისე ახლოს იყო, რომ ფანდორინმა მათში ორი პაწაწკინტელა, ვარდისფერი ლამპის გამოსახულებაც კი დაინახა. ახალგაზრდა კაცს საკვირველმა პასიურობამ დარია ხელი, მან გაიხსენა, როგორ აფრთხლებდა იპოლიტი მორევეზე, მაგრამ როგორღაც გაუცხოებულად გაახსენდა, თითქო თავად არ ეხებოდა. მერე კი მოხდა აი, რა. მარცხენა ხელით ბეჟეცკაიამ `კოლტი~ განზე გასწია, მარჯვენათი ერასტ პეტროვიჩს საყელოს მისწვდა, თავისკენ მოქაჩა, და, იმავდროულად, შუბლი დაჰკრა ცხვირში. ტკივილისგან ფანდორინი დაბრმავდა, ისედაც ვერაფერს დაინახავდა მაინც, რადგან ლამპა ბრაზუნით გადმოვარდა იატაკზე და უკუნი სიბნელე გამეფდა. შემდგომი დარტყმისგან - მუხლით მუცელში - ახალგაზრდა კაცი მოიკუნტა, მისი თითები კრუნჩხვით შეიკუმშნენ და ოთახი ჯერ უცხო ნათებამ გაანათა, მერე გასროლამ გააყრუა. ამალიამ კრუნჩხვით ჩაისუნთქა ჰაერი, ამოიოხრ-წამოიკვივლასავით და აღარავინ ურტყამდა ერასტ პეტროვიჩს, აღარავინ უქაჩავდა მაჯას. გაისმა დაცემული სხეულის ხმა. ყურები უგუგუნებდა, ნიკაპზე ორ ნაკადულად ჩაიმოსდიოდა სისხლი, თვალებიდან ცრემლები ეღვრებოდა და მუცელის ქვემოთ ისე საძაგლად იყო, რომ მხოლოდ ისღა სურდა – მოკუნტულიყო და დაეცადა, გადაეტანა, ბღავილით გადაეგორებინა ეს აუტანელი ტკივილი. მაგრამ ბღავილის დრო სადღა იყო – დაბლიდან მაღალი ხმები და ნაბიჯების ბრაგუნნი ამოდიოდა. ფანდორინმა მაგიდიდან პორტფელი აიღო, ფანჯარაში ისროლა, გადაძვრა რაფაზე და კინაღამ

მოწყდა, რადგან ხელში ისევ პისტოლეტი ეჭირა. აღარ ახსოვდა, როგორ მიძვრებოდა მილსავალზე, ძალიან ეშინოდა სიბნელეში რომ ვერ ეპოვნა პორტფელი, თუმცა კარგად ჩანდა თეთრ ხრეშზე. ერასტ პეტროვიჩმა ხელი სტაცა და პირდაპირ ბუჩქებზე გავარდა, თან გაჩქარებით ლულულუღებდა ცხვირქვეშ: `კარგი დიპლომატიური კურიერი კი გამოვდექ... ქალი მოვკალ... ღმერთო, რა ვქნა, რა ვქნა... სულ იმისი ბრალია... მე სულაც არ მინდოდა... ახლა საით... პოლიცია დამიწყებს ძებნას... ანდა ესენი... მკვლელი... საელჩოში არ შეიძლება... ამ ღვეყნიდან უნდა გავიქცე, საჩქაროდ... ესეც არ შეიძლება... ვოკზალებზე, პორტებში დამზებნიან... თავიანთი პორტფელისთვის დედამიწას გადაატრიალებენ... დავიმალები... ღმერთო, ივან ფრანცევიჩ, რა ვქნა?...~ ფანდორინმა სირბილისას გაიხედა და ისეთი ვინმე დაინახა, რომ შეხტა და კინაღამ იქვე გაიშლართა. ბუჩქებში უძრავად იდგა შავი ფიგურა გრძელი ლაბადით. მთვარის შუქზე ანათებდა გაყინული, საკვირველად ნაცნობი სახე. გრაფი ზუროვი!

ჭკუადაკარგულმა ერასტ პეტროვიჩმა დაიღრიალა და გალავანს გადაახტა. ჯერ დააპირა მარჯვნივ, ახლა მარცხნივ (საიდან მოვიდა წელან ის კები?), მერე გადაწყვიტა, რომ სულ ერთია და, მარჯვენა მიმართულებას მისცა გადარეული და ჭკუარეული თავი.

მეთერთმეტე				თავი,
რომელშიც	აღწერილია	ძალიან	გრძელი	ღამე

ძალღა კუნძულზე, მილუოლის დოკების მიღმა, ვიწრო ქუჩაბინდებში ღამე მალე დგება. გახედ-გამოხედვას ვერ მოასწრებ, რომ ნაცრისფერი ჩრდილები უკვე ყავისფერი გამხდარა და ისედაც იშვიათი ფანარები თითოჩაგდებით ანათებენ. ჭუჭყია, დაღვრემილობაა, ტემზიდან ნესტი მოიძურწება, ნარეცხისგან. მყაყე სუნი დგას. ქუჩები ცარიელია, მხოლოდ საეჭვო პირებთან და იაფფასიან პატარა სასტუმროებთან ფუთფუთობს უვარგისი, სახიფათო ცხოვრება. `ფერონ-როუდის` ნომრებში ცხოვრობენ საწყლისპიროზე ჩამოწერილი მატროსები, წვრილმანი აფერისტ-ყალთაბანდები და პორტის ბებერი კახპები. გადაიხადე ექვსი პენსი დღეში და იცხოვრე შენთვის ცალკე, საწოლიან ოთახში – არავინ ჩაყოფს ცხვირს შენ საქმეში. მაგრამ ეგეთი მოლაპარაკებაა: ავეჯის გაფუჭებისთვის, ჩხუბისთვის ანდა ღამით აყალმაყალისა და ყვირილისთვის, პატრონი, მსუქანი ჰიუ, შილინგით დაგაჯარიმებს, ვინც უარს იტყვის გადახდაზე – კინწისკვრით გააგდებს. მსუქანი ჰიუ დილიდან საღამომდე კანტორულას დგარს მიღმა დგას, შემოსასვლელში. სტრატეგიული ადგილია - ჩანს, ვინ მოვიდა, ვინ გავიდა, ვინ რა მოიტანა, ან პირიქით, ვის რისი გატანა უნდა. საზოგადოება ჭრელია, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ეგერ, მაგალითად, მწითურა და მარმელადა, ფათალა ფრანციელი მხატვარი, ახლახანს რომ გასხლტა პატრონის წინ და თავის ოთახში შეძვრა. ამ ბაყაყიჭამიას ფული აქვს – უკამათოდ გადაიხადა ერთი კვირისა, არც სვამს, ზის ჩაკეტილი, მთელის ეს დრო მხოლოდ ეხლა გამოვიდა. ჰიუმ, რასაკვირველია, ისარგებლა შემთხვევით და იმასთან შეიხედა, და როგორ გგონიათ? მხატვარი ხომ არი და ნომერში არც საღებავები აქვს, არცა ტილოები. შეიძლება ვიღაც მკვლელია, ვინ იცის – აბა, რატომ მალავს თვალებს შავ სათვალეში? კონსტებლისთვის ხომ არ ეთქვა, ნეტავ? ფული მაინც წინდაწინ არის გადახდილი... ხოლო მწითურმა მხატვარმა, არც იცოდა, თუ რა სახიფათო მიმართულება მიიღო მსუქანი ჰიუს აზრებმა, გასალებით ჩაკეტა კარი და ისე მოიქცა, რომ სინამდვილეში, საეჭვოზე მეტიც იყო. პირველ რიგში ბოლომდე ჩამოაფარა ფარდები. მერე მაგიდაზე ნასყიდები დაალაგა – ფუნთუშა, ყველი, პორტერის ბოთლი, სარეცელიდან რევოლვერი ამოიღო და ბალიშქვეშ შეაცურა. ამით უცნაური ფრანგის განიარაღება არ დასრულებულა. წადის ყელიდან დერინჯერი ამოიღო –

მართალია, სავსებით დასაშვებია, რომ ეს ბოლო ძალიან ახლოსაა. ზუროვმა იცის, მკვლელი ვინ არის, დაინახა. ნადირობა მთელ ლონდონში მიდის ნამდვილად, სრულიად ანგლიაში. მაგრამ მაშინ, ღამით რატომ გაუშვა ზუროვმა და გაქცევის საშუალება მისცა? ხელში რომ პისტოლეტი ეჭირა, ამის შეეშინდა? გამოცანა არის... თუმცა უფრო მეტად საფიქრებელი გამოცანაც იყო – პორტფელის შიგთავსი. დიდხანს ვერ მიხვდა ფანდორინი, თუ რას ნიშნავდა საიდუმლო სია. შეჯერებამ უჩვენა, რომ ფურცლებზე ჩანაწერი იმდენია, რამდენიც წერილი და ყველა მონაცემი ემთხვევა. მხოლოდ წერილში ნაჩვენები თარიღის გარდა ბეჟეცკაია იწერდა მიღების დროსაც. სულ ორმოცდა ხუთი ჩანაწერი იყო. ყველაზე ადრეული პირველი ივნისით არის დათარიღებული, ბოლო სამი ერასტ პეტროვიჩის დროს მოგვევლინა. წერილებში რიგობითი ნუმრები სულ სხვადასხვანაირი იყო აღნიშნული; უმცირესი - #47 FF (ბელგიის სამეფო, დეპარტამენტის დირექტორი, მიღებულია 15 ივნისს), უმაღლესი - #2347 F (იტალია, დრაგუნთა ლეიტენანტი, მიღებულია 9 ივნისს). გამომგზავნი ქვეყნები ცხრა დაითვლებოდა. უფრო ხშირი იყო ანდლია და ფრანცია. რუსეთი მარტოკა ერთხელ (# 994FF, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, მიღებულია 26 ივნისს, კონვერტზე პეტერბურღის შტემპელია 7 ივნისის. უკ, კალენდრები არ აერიოს: 7 ივნისი – ეს ევროპულად იქნება 19. ასეც იქნებოდა, ერთ კვირაში მოვიდოდა). თანამდებობები და წოდებები ძირითადად მაღალი იყო მოხსენიებული – ღენერლები, უფროსი ოფიცრები, ერთი ადმირალი, ერთი სენატორი, ერთი პორტუგალიელი მინისტრიც, მაგრამ გვხვდებოდა პატარ-პატარა ოქოქა კაცუნებიც - ამ იტალიელი ლეიტენანტივით, სასამართლოს აღმასრულებელი ფრანციიდან ანთუ სამხედრო დაცვის კაპიტანი ავსტრო-ვენდრიიდან. საზოგადოდ, ეს ისე გამოიყურებოდა, თითქოს ბეჟეცკაია შუამავალი იყო, დამაკავშირებელი რგოლი, ცოცხალი საფოტო ყუთი, რომლის მოვალეობებშიც შედიოდა აღენუსხა მოსული ცნობები და შემდეგ გაეშვა – როგორც ჩანს, მისტერ ნიკოლას კროოგთან პეტერბურღში. მართებულია ვივარაუდოთ, რომ სიები იგზავნებოდა თვეში ერთხელ. ისიც ნათელია, რომ ბეჟეცკაიამდე `მისის ოლსენის~ როლს ვიღაც სხვა არსება ასრულებდა, რაზედაც სასტუმროს პორტიეს ეჭვი არ აუღია. ამაზე ცხადი ამოიწურებოდა და წარმოიქმნებოდა დედუქციური მეთოდის მწველი აუცილებლობა. ეკ, ნეტავ შეფი აქ ყოფილიყო, მომენტალურად ჩამოსთვლიდა ყველა შესაძლო ვერსიას და ყოველისფერი თავისით დაეწყობოდა თითებზე. მაგრამ შეფი შორს იყო, ხოლო დასკვნა ამგვარი გამოდიოდა: ბრილიინგი სწორია, ათასგზის სწორი. სახეზეა განტოტვილი საიდუმლო ორღანიზაცია წევრებით მრავალ ქვეყნებში – ეს ერთი. დედოფალი ვიქტორია და დიზრაელი აქ არაფერ შუაში არიან (სხვაფრივ, რატომ გადაგზავნიდნენ მოხსენებებს პეტერბურღში?) – ეს ორი. ანდლიელი ჯამუშების ანგარიშში ერასტ პეტროვიჩი გუბეში მოჯდა და, სწორედ მოგახსენოთ, აქ ნილილსტების სუნი სდგას – ეს სამი და ძაფები სადმე სხვაგან კი არა, რუსეთშია გაბმული, სადაც ყველაზე საშიში და შეურიგებელი ნილილისტები იცის – ეს ოთხი და მათ შორის არის ეს გათახსირებული და მაქცია ზუროვი. დეე, შეფი მართალი იყოს, არც ფანდორინი დაყილობდა ამოდ გზებზე. ივან ფრანცევიჩს, ალბათ, კოშმარულ ძილშიც არ დაესიზმრება, რა ძლიერ ჰიდრასთან აწარმოებს ომს. აქ სტუდენტები ანდა ისტერიული ქალები კი არ არიან ბომბებით და პისტოლეტებით, აქ მთელი საიდუმლო ორდენია, რომელშიც მონაწილეობენ მინისტრები, ღენერლები, პროკურორები და ვიღაც ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველიც კი სანკტ-პეტერბურღიდან! ო, მაშინ კი ერასტ პეტროვიჩზე შინაგანი განათება გარდამოვიდა (ეს შუადღის შემდეგ იყო). ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი და ნილილისტი? რაღაც ჭკუაში არა ჯდება. ბრაზილიის იმპერატორის დაცვის უფროსს კიდევ არა უჭირს რა – ბრაზილიაში ერასტ პეტროვიჩი დაბადებიდან არა ყოფილა და იქაური წეს-ჩვეულებანი ვერ წარმოედგინა, მაგრამ თავისთვის რომ წარმოედგინა

ბომბიანი რუსი სამოქალაქო დენერალი, წარმოსახვა გადაწყვეტილად ეუარებოდა. ერთ ნამდვილ სამოქალაქოს ფანდორინი საკმაოდ ახლოს იცნობდა – ფიოდორ ტრიფონოვიჩ სვეერიუგინს, სალუბერნიო გიმნაზიის დირექტორს, სადაც არანაკლებ შვიდი წელიწადი სწავლობდა და ის რომ ტერორისტი ყოფილიყო? სისულელეა! და ერასტ პეტროვიჩს უცებ გული შეეკუმშა. ესენი არავითარი ტერორისტები არ არიან, არამედ სოლიდური და რესპექტაბელური ბატონები! ისინი ტერორის მსხვერპლნი არიან! ეს სხვადასხვა ქვეყნების ნილილისტები, თითოეული საკუთარი ნუმერით დაშიფრული, მოახსენებენ ცენტრალურ რევოლუციონერულ შტაბს ჩადენილ ტერორისტულ აქტებზე! თუმცა არა, ივნისში პორტუგალიაში მგონი მინისტრები არ ამოუწყვეტიათ – ამაზე დაუყოვნებლივ დაწერდნენ გაზეთები... აბა, მაშინ, სამსხვერპლო კანდიდატები ყოფილან, აი ვინ! `ნუმერები~ თავიანთ შტაბისაგან ითხოვენ ტერორისტული აქტების ჩატარების ნებართვას. სახელები ნაჩვენები არაა კონსპირაციის გამო. და ყოველისფერი თავის ადგილზე დადგა, ყველაფერი ნათელი გახდა. ხომ ლაპარაკობდა ივან ფრანცევიჩი რაღაც ძაფზე, რომელიც ახტირცევიდან რომელიღაც მოსკოვს მიმდებარე აგარაკამდე იყო გაბმული, მაგრამ შეფს ბოლომდე არ მოუსმინა ფანდორინმა, რაკი თავისი ჯაშუშური ბოდვებით გაცხარებულიყო. სდექ! დრაგუნთა ლეიტენანტი რაღაში დასჭირდათ? მეტად ოქოქა კაცუნაა. ძალიან მარტივად, იქვე მიუგო საკუთარ თავს ერასტ პეტროვიჩმა. ნახეს, გზა გადაუღობათ უცნობმა იტალიელმა. ისევე, როგორც ერთი ახალგაზრდა კოლეგიის რეგისტრატორი მოსკოვის სამმებრო პოლიციიდან წინ აღუდგა თეთრთვალეზიან კაცისმკვლელს. რა უნდა ვქნათ? თავად აქა ზის და ზის, და რამდენი ღირსეული ადამიანი დადის სიკვდილის საფრთხის ქვეშ! ფანდორინს განსაკუთრებულად ებრალებოდა უცნობი პეტერბურღელი დენერალი. ალბათ, ღირსეული კაცია, ხნიერი, დამსახურებული, პატარა შვილები... და როგორც ჩანს, ეს კარბონარები ყოველთვე თავის საბოროტმოქმედო რელაციებს აგზავნიან. იმიტომაც მოედო მთელ ევროპას, რომ სისხლი არ დაიღვაროს! ხოლო ძაფები სადმე სხვაგან კი არა, პიტერში მიდის. და ერასტ პეტროვიჩს გაახსენდა სიტყვები, ოდესღაც რომ უთხრა შეფმა: `აქ კარტში რუსეთის ბედია დადებული~. ეჰ, ივან ფრანცევიჩ, ეჰ, ბატონო სამოქალაქო მრჩეველო, არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს ბედი. აცნობოს მწერალ-მწარმოებელ პიჟოვს. ჩუმად, რათა საელჩოს გამცემმა სუნი არ იკრას. მაგრამ როგორ? მოლაღატე ხომ ვინც გინდა, ის შეიძლება იყოს, თან ფანდორინისთვის საელჩოს სიახლოვეს გამოჩენა საშიშოა, გინდაც მწითური ფრანცუცი იყავი მხატვრის ხალათში... გარისკვა მოუწევს. საქალაქო ფოშტით ბარათი გააგზავნოს საგუბერნიო მდივან პიჟოვის სახელზე და მიაწეროს `პირადად ხელში~. არაფერი ზედმეტი – მხოლოდ თავისი მისამართი და ივან ფრანცევიჩის თავის დაკვრა. ჭკვიანი კაცია, თავად მიხვდება ყოველისფერს. ხოლო საქალაქო ფოშტას აქ, როგორც ამბობენ, თითქმის ორ საათში მიაქვს ადრესატთან წერილი... ასეც მოიქცა ფანდორინი და აი, შემდეგ საღამოს, უცდის – ხომ არ გაისმება ფრთხილი რაკუნის კარზე.

რაკუნის არ ყოფილა. ყოველისფერი სულ სხვანაირად მოხდა.

გვიან საღამოს, შუალამე გადასულს, ივან პეტროვიჩი იჯდა ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილ სავარძელში, სადაც ცისფერი პორტფელი იყო დამალული და ცხვირით სანახევრო მთვლემარებას ქათამივით ჰკენკავდა. მაგიდაზე თითქმის ჩამწვარიყო კელაპტარი, ოთახის კუთხეებში ბოროტ ჩრდილებს თამაშობა გაემართნათ, ხოლო ფანჯრის მიღმა მშფოთვარედ მოგრუხუნებდა მოახლოებული ჭექა-ქუხილი გაავდრების მიზნით. ჰაერი ნაღველს და სულისხუთვას გაევსო, თითქო ვიღაცა მძიმე, უხილავი შემოგაჯდა მკერდზე და ჰაერს არ გაძლევსო. ფანდორინი მიმოიქცეოდა სადღაც, ცხადისა და ძილის დაუდგენელ სამძღვარზე.

მნიშვნელოვანმა, საქმიანმა ფიქრებმა უცებ რომელიღაც არასაჭირო სისულელისაკენ გასწიეს და მაშინ ახალგაზრდა კაცი შეხტა, თავი გაანჯღრია, ძილის ჩუმჩუმელა მორევში რომ არ ჩათრეულიყო.

ერთი ამგვარი განათების ჟამს უცნაურობა მოხდა. თავიდან გაისმა გაუგებარი, წვრილი წრიპინი. შემდეგ საკუთარი თვალების დაუჯერებლად ერასტ პეტროვიჩმა დაინახა, რომ კარის საკეტის ჭუჭრუტანაში მოთავსებულმა გასაღებმა თავის ჭკუაზე დაიწყო შემოტრიალება. გაძლიანებულად დაიჭრიალა კარმა, შიგნით შემოხსნით შემოდვრა და დირეზე გამოჩნდა ველური ხილვა: პატარა, სუსტი ბატონი განუსაზღვრელი ასაკით, გაპარსული, მრგვალი პირისახით და მოკლენაოჭა სხივებში მოქცეული თვალებით. წამომხტარმა ფანდორინმა მაგიდაზე დერინჯერს სტაცა ხელი, ხოლო მოჩვენებამ, ტკბილად რომ გაუღიმა და კმაყოფილებით დაუქნია თავი, განსაკუთრებულად სასიამოვნო, თაფლიანი ტენორით დაიღულუნა:

-აი, მეც აქა ვარ, ძვირფასო განდეგილო. პორფირი მარტინის ძე პიჟოვი, მონა ღვთისა და მდივანი საგუბერნიოსი. პირველსავე ნიშანზედ მოვჭფრინდი, როგორაც ქარი ეოლოსის ძახილზედ.

-როგორ გახსენით კარი? – შიშით წარმოთქვა ერასტ პეტროვიჩმა. – მე ხომ მახსოვს, რომ გასაღები ორჯერ გადავატრიალე.

-ეს გახლავსთ მაგნიტური გამღები, - ხალისიანად აუხსნა დიდხანს ნალოდინარმა სტუმარმა და უჩვენა წაგრძელებული პატარა ძელი, სხვათაშორის, მალევე რომ გაქრა მის ჯიბეში.- მოხერხებული საგანი გახლავსთ. ერთი აქაური მმარცველისგან ავითვისე. საქმიანობის ხასიათის მეოხებით მიწევს საშინელ სუბიექტებთან, საზოგადოების ფსკერის მაცხოვრებლებთან შევიდე ურთიერთობაში. უსრულყოფილესი კნინ-უზადრუკები არიან, გარწმუნებსთ. ბატონ ჰიუგოს ასეთები არც მოჰლანდებია. მაგრამ იმათაც ხომ ადამიანის სული უდგასთ და იმათაც დაეძებნებათ მისადგომები: მე ეგ მტარვალები მიყვარან კიდევაც და ნაწილობრივათ ვაგროვებ კიდევ საკოლექციით. ხომ გახლავსთ ნათქვამი პოვეტთან: ყველა ერთობა, ვით შეუძლიან, თუმც ყველას ერთი სიკვდილი ფეხგამალებით დასდევნებია. ანთუ, როგორც ჰბრძანებს ნემენცი – იედეს ტირჰენ ხატ ზაინ პლეზირხენ – თითოეულს ცხოველს თავისი სათამაშლოები აქვს.

ყველაფრით სჩანდა, რომ ეს საკვირველი ადამიანი ფლობდა უნარს - უმცირესი გართულებების გარეშე, ნებისმიერ თემაზე წამოეროშა და წამოეროშა, მაგრამ მისი გამჭრიახი თვალები დროს უქმად არა ჰკარგავდნენ – საფუძვლიანად მიმოუვლიდნენ თავად ერასტ პეტროვიჩსაც და მისი ლატაკი სენაკის გამართულობასაც.

-მე ერასტ პეტროვიჩ ფანდორინი ვარ, ბატონ ბრილინგისგან გეახელით. უკიდურესად მნიშვნელოვან საქმეზე, - თქვა ახალგაზრდა კაცმა, თუმცკი პირველიცა და მეორეც მის წერილშიც იყო აღნიშნული, ხოლო მესამეს პიჟოვი უეჭველად თვითონვე მიხვდა, - მხოლოდ იმას ჩემთვის არავითარი პაროლი არ მოუცია, დაავიწყდა ნამდვილად. ერასტ პეტროვიჩმა განგაშით შეხედა პიჟოვს, რომელზეც ამიერიდან მისი გადარჩენა იყო დამოკიდებული, მაგრამ იმან მხოლოდ გაატკაცუნა კოტიტა თითებიანი ხელები: - და არც არანაირი პაროლი არ არის საჭირო, ჩმახვა გახლავსთ და ბავშვური გასართობი. მითამდა რაო, რუსი რუსს ვერ იცნობს? ჩემთვის ისიც საკმარისია, თქვენ ნათელ თვალებს ჩემი თვალები რომ შევახვედრო (პორფირი მარტინოვიჩმა ახლოს მოიწია), და ყოველისფერსა ვჰხედამ, ვით ხელისგულსა. სუფთა ყვაწვილი ხარ, მამაცი, კეთილშობილის მისწრაფებებისა და მამულის პატრიოტი, აზა-და, როგორ, ჩვენს უწყებაში სხვანაირები არც არიან. ფანდორინს ყელში ამოუვიდა – მოეჩვენა, რომ საგუბერნიო მდივანი ასულელებს, მასხარად იგდებს. ამიტომ თავისი ამბავი მოკლედ და ცივად უამბო, უემოციოდ. აქ გამოირკვა, რომ პორფირი მარტინოვიჩს მარტო ლაქლაქი კი არა, ყურადღებით მოსმენაც შეუძლია – ამ მხრივ

უთუოდ ტალანტი ჰქონდა. პიჟოვი საწოლზე ჩამოჯდა, ხელები მუცელზე დაიკრიფა, ისედაც ჭუტალა თვალები უფრო მოჭუტა და თითქოს გაქრა. ესე იგი, პირდაპირი აზრით, სმენად იქცა. არც ერთხელ არ გაუწყვეტინებია პიჟოვს მოლაპარაკისთვის, ერთხელ არ შერხეულა. თუმცა შიგადაშიგ, ამბის გარდამტეხ მომენტებში დახურული ქუთუთოებიდან მახვილი ნაპერწკლები სცვიოდა.

წერილების თაობაზე თავისი ჰიპოთეზა ერასტ პეტროვიჩს არ გაუზიარებია – ბრილინგისთვის შემოინახა, ბოლოს კი დასძინა: -და აი, პორფირი მატრონოვიჩ, თქვენს წინაშე ლტოლვილი და უნებური მკვლეელია. მე სასწრაფოდ მჭირდება კონტინენტზე გადასვლა. მოსკოვში უნდა მივიდე, ივან ფრანცევიჩთან. პიჟოვმა ტუჩები გაღეჭა, დაიცადა, კიდევ ხომ არ ითქმება რამე, მერე წყნარად დაეკითხა: -პორტფელუკა? დიპლომატიური ხაზით ხომ გაგვეშვა? ესე უფრო წესიერად გამოვა. ჩვენი და მტრის ძალები არათანაბარია... ბატონები, ყველაფრიდან სჩანს, სერიოზულები არიან, ევროპაშიდაც დაგიწყებენ ძებნას. ამ ყურეზედ, ჩემო ანგელოზო, რასაკვირველია, გაგამგზავრებ – ძნელი არ არის. თუკი არ ითაკილებთ დანჯღრეულის ნავს მეთევზეებისას, ხვალვე გასცურავთ ღვთის წყალობით, და იალქანთა ქვეშ ღრიალა ქარებს დაიჭერთ. რა არის სულ ეს `ქარი~ და `ქარი~, გაიფიქრა გაბრაზებულმა ერასტ პეტროვიჩმა, რომელსაც, სწორედ მოგახსენოთ, საშინლად არ სურდა პორტფელთან გამოთხოვება, ასე ძვირად რომ ჩაეგდო ხელში.

ხოლოთუ პორფირი მარტინოვიჩმა, თითქოს ვერ შეამჩნია მოსაუბრის ყოყმანი, განაგრძო: -მე საქმეებში არ მივძვრები. ანუ მოკრძალებული და უცნობისმაცყარო გახლავართ. მაინც ვხედავ, რომ ბევრ რამეს არ მიმხელთ და სწორიცაა, ჩემო ვაშლ-ატამავ, სიტყვა ვერცხლია, სიჩუმე კიდენა ოქრო. ბრილინგი, ივან ფრანცევიჩი – მაღალა-მაღლა გაფრენის ფრინველია. შეიძლება ითქვას, მედიდური არწივი გახლავსთ შაშვთა შორის, მუნთქვესვე რომელს მნიშვნელოვანი საქმე არ მივანდოსთ?.. აბა-და, მაშ, როგორ, რამეთუ? -რა მიმართულებით ბრძანეთ?

-პორტფელიკოზედ? მე ხომ მაგას ყოველის მხრიდან სიასამურის ბეწვებს შემოვუფუთნიდი, უსაზრიანეს კურიერს მივსცემდი, წამში მოსკოვშიდ ჩაჭვრინდებოდა, როგორც რომ სამცხენიანი ტროიკა ეჟენებით. ხოლოთუ თავად კი დამიფრულ დეკემას ვაფრენიდი – შეჭხვდით მექთი ცათა მფლობელის ფასდაუდებელს რამ საჩუქარსა. ღმერთია მოწამე, არცა პატივი სწყუროდა ერასტ პეტროვიჩს, არცა ტემლაკები და არც თვით დიდება. საქმის სამარგებლოდ მისცემდა პიჟოვს პორტფელს, კურიერის შემწეობით ხომ უფრორე საიმედოა. მაგრამ წარმოსახვა უკვე იმდენჯერ უსურათხატებდა შეფთან ტრიუმფალურის დაბრუნების, ძვირფასი პორტფელის ეფექტურ გადაცემისა და გადამხდარი თავგადასავლის წარმტაც თხრობის სურათს... ნუთუ ამისთანა არაფერი იქნება? და დიდსულოვნება ვერ გამოიჩინა ფანდორინმა. თქვა მკაცრად:

-პორტფელი საიმედო ალაგას არის დამალული. მე თავიდევი მივიტან, ჩემი თავით ვაგებ მაგაზე პასუხს. თქვენ კი, პორფირი მარტინოვიჩ, ნუ გეწყინებათ.

-რას ვიზამსთ, რას ვიზამსთ, - აღარ დაიბეჯითა პიჟოვმა, - ნება თქვენი გახლავსთ. მეც კიდენა წყნარად ვიქნები. უცხო საიდუმლოებები იქით იყო, ჩემიცა მწყოფნის. სამალავშია და სამალავშიდ იყოს. – ის წამოდგა, ოთახის შიშველ კედლებზე გააცურა მზერა. – თქვენ კი მანმადე მოისვენეთ, მეგობარო. ახალგაზრდობა ძილს ითხოვს. აი, მე კი, ბერიკაცს, უძილობა მჭირს, ჰოდა, მანამდისინ ნავუკას თაობაზედ ვიზრუნებ. ხვალე (გამოდის, რომ უკვე დღეს) პატარა ნათელზედ თქვენთან ვიქნები. საზღვისპიროში მიგიყვანთ, გადაგკოცნით გამოთხოვებისას და ჯვარსაც გადაგსწერსთ. მე კი, თავად უცხოობაშიდ დავშთები უსახლკარო ობლობის დასაჩივლებლათ. ეჰ, ვერა ხარობს აფონიუშკა უცხო მხარეშიდ. აჟ პორფირი მარტინოვიჩმა, ეტყობა, თავადვე მიხვდა, რომ გადამლაშა და დამნაშევასავით

გაშალა

ხელები:

-უნდა გამოვტყდე, ვინანიებ, ბევრი ვილაპარაკე. მომენატრა ცოცხალი რუსული ლაპარაკი, იცით, სულ გაწეწილობისკენ მიბიძგებს. ჩვენის საელოზო ჭკვიანები უფრო ფრანგულად მეტყველებენ, სული ვერავისთვის გამინდვია. ფანჯრის მიღმა არცთუ სახუმაროდ დაიგრუხუნა, ეტყობა, წვიმა წამოვიდა. პიჟოვი დაფაცურდა, მოიკრიბა. -გავსწევ. ოი-ოი-ოი, უამინდობა ქარისშპხლით ჰსუნთქამს. კარში გასვლისას შემობრუნდა, ფანდორინს საბოლოოდ მოეფერა მზერით და მდაბლად თავის დაკვრის შემდეგ დერეფნის სიბნელეში გაქრა. ერასტ პეტროვიჩმა კარი ურდულით გადარაზა და შეცივებულმა აჭიმა მხრები – ელვამ ლამის სახლის სახურავზე დაჰკრა ქუხილი.

ბნელია და შემზარავი ლატაკი ოთახი, რომლის ერთადერთი ფანჯარაც მოტიტვლებულ, უბალახო ქვის ეზოში გადის. იქ ავდარია, იქ ქარი და წვიმაა, მაგრამ შავ-რუხ, დაფლეთილ ღრუბლებში დასწანწალ-ტანტალებს მთოვარე. მკრთალი ნათელი სხივი ფარდებსშუა ღრეჩოდან სენაკს ორად სჭრის, საწოლამდე ვრცელდება, სადაც ბორგავს ცივ ოფლდასხმული, კომმარდაუფლებული ფანდორინი. მთლიანად ჩაცმულია, ფეხსაცმლიანი და შეიარაღებული, მხოლოდ რევოლვერი ძველებურად ბალიშქვეშ არის. მკვლევლობით დამძიმებული სინდისი ერასტ პეტროვიჩს საზარელ ჩვენებას უგზავნის. საწოლისკენ გადმოხრილა მკვდარი ამალია. თვალები ნახევრად უხუჭია, ქუთუთოებიდან სისხლის წვეთები სდის, შიშველ ხელში შავი ვარდი უჭირავს. -რა დაგიშავე? – საბრალოდ ოხრავს მოკლული.-ახალგაზრდა ვიყავი და ლამაზი, უბედური ვიყავი და მარტოსული. ქსელში გამაბეს, მომატყუეს და შემაცდინეს. ერთადერთმა ადამიანმა, ვინც მიყვარდა, გამყიდა. შენ საშინელი ცოდვა ჩაიდინე, ერასტ, შენ მშვენიერება მოკალი, ხოლო მშვენიერება – ეს ღვთის საოცრებაა. შენ ღვთის საოცრება გადათელე. რატომ, რისი გულისთვის? სისხლიანი წვეთი იმის ლოყიდან სწყდება და პირდაპირ გაწამებული ფანდორინის შუბლზე მოადენს ტყაპანს, ის სიცივისგან შეხტება და თვალებს ახელს. ხედავს, რომ არავითარი ამალია, მადლი უფალს, არ არის. სიზმარია, მხოლოდ სიზმარი. მაგრამ შუბლზე ისევ ეცემა რაღაც გაყინული.

რა არის, შიშისგან შეხტება ერასტ პეტროვიჩი, საბოლოოდ იღვიძებს, და ესმის ქარის ღმუილი, წვიმის ხმაური, ჭექა-ქუხილის პირველყოფილი გრიალი. რა წვეთებია? არაფერი ზებუნებრივი. ჭერიდან წვეთავს. დაწყნარდი, ჩერჩეტო გულო, ჩადექ შენს ალაგსა. თუმცა აქ კარის იქიდან წყნარად, მაგრამ გასარჩევად ესმის: -რატომ? რისი გულისთვის? და კიდევ ერთხელ: -რატომ? რისი გულისთვის?

ეს უსუფთაო სინდისია, საკუთარ თავს ეუბნება ფანდორინი. უწმინდური სინდისისგან მაქვს ჰალუცინაცია. მაგრამ ჯანმრთელმა, რაციონალურმა აზრმა არ გაანთავისუფლა ბილწი, მწებარე შიშისგან, რომელიც ისევ მოძვრებოდა მთელი სხეულის პორებიდან. თითქო სიჩუმეა. ელვარებამ გაანათა შიშველი, რუხი კედლები და კვლავ ჩამოხნელდა. წუთგამოშვებით ფანჯარაზე გაისმა ხმადაბალი კაკუნი. ტუკ-ტუკ. და ისევ: ტუკ-ტუკ-ტუკ. მშვიდად! ეს ქარია. ხე. ტოტი მინაზე. ჩვეულებრივი ამბავია. ტუკ-ტუკ. ტუკ-ტუკ-ტუკ.

ხეა? რომელი ხე? ფანდორინი უცბად წამოსკუპდა. იქ, ფანჯრის იქით არავითარი ხე არ არის. იქ ცარიელი ეზოა. ღმერთო, ეს რა არის? ყვითელი ღრიჩო ფარდებს შორის ჩაქრა, გარუხდა – სჩანს, მთოვარე ღრუბლებს ამოეფარა, ხოლო მომდევნო წამში იქ რაღაც შავი, ბილწი, უნახავი გაქანავდა.

რაც გინდა, ოღონდ ესე არ იწვეს და არა გრძნობდეს, როგორ უტოკავს თმის ძირები. ოღონდ
 ჭკუიდან არ გადავიდეს.
 ერასტ პეტროვიჩი ადგა და არადაამყოლი ფეხებით გასწია ფანჯრისკენ, თვალს არ აცილებდა
 საზარელ მუქ ლაქას. იმ გაელვებაში, როცა ფარდები გასწია, ცა გაანათა ელვის აფეთქებამ და
 ფანდორინმა სარკმლის მიღმა დაინახა, პირდაპირ ცხვირწინ, მკვდრულად გათეთრებული სახე
 თვალების შავი ღრმულებით. არამქვეყნიური შუქით მოციმციმე ხელმა სხვისებურად
 გაფარჩხული თითები ნელა წაუსო მინას, და ერასტ პეტროვიჩი სულელურად მოიქცა,
 ბავშვურად: კრუნჩხვით შეხტა, გადმოხტა და უკან გამოვარდნილი, საწოლის დაეცა ზედ
 პირქვე, თავზე ხელები წაიფარა.
 გაიღვიძოს! მალე გაიღვიძოს! მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი,
 მოვედინ სუფევა შენი...
 მინაზე კაკუნი შეწყდა. ბალიშიდნ ასწია სახე, ფრთხილად გაიხედა ფანჯრისკენ, მაგრამ
 საზარელი არაფერი დაუნახავს – ღამე, წვიმა, ელვის ნათებები შიგადაშიგ. მოეჩვენა. სწორედ
 რომ მოეჩვენა.

საბედნიეროდ ერასტ პეტროვიჩს გაახსენდა ინდოელი ბრაჰმინის, ჩანდარა ჯონსონის
 დარიგება, სწორ სუნთქვას და მართებულ ცხოვრებას რომ ასწავლიდა. ბრძენი წიგნი
 დაღაღებდა:

სწორი სუნთქვა – მართებული სიცოცხლის საფუძველია. ის გაგამაგრებს ყოფიერების რთულ
 წუთებში, მასში იპოვი გადარჩენას, დაწყნარებასა და გასხივოსნებას. სიცოცხლის ძალას, პრანას
 რომ შეისუნთქავ, ნუ იჩქრებ მის ამოსუნთქვას, შენს ფილტვებში შეიკავე. რაც უფრო გრძელი და
 თანაბარია შენი სუნთქვა, მით მეტია შენში სიცოცხლის ძალა. მან მიაღწია გასხივოსნებასა, ვინც
 პრანა ჩაისუნთქა საღამოს და არ ამოისუნთქავს რიჟრაჟამდე.
 ჰოდა, გასხივოსნებამდე ერასტ პეტროვიჩს ბევრი რჩებოდა, მაგრამ ყოველდღიით ვარჯიშების
 მეოხებით მან უკვე ისწავლა სუნთქვის შეკავება ას წამამდე. ამ უებარ საშუალებას მიმართა
 ახლაც. მთელი მკერდით ჰაერი დაიმარაგა და გაისუსა, `გადაიქცა ხედ, ქვად, ბალახად~ და
 უშველა – გულის ბაგა-ბუგი ოდნავ გათანაბრდა, შიშმა უკან დაიხია. მეასე თვლაზე
 ფანდორინმა ხმაურით ამოისუნთქა, დამშვიდებულმა სულის გამარჯვებით
 ცრუმორწმუნეობაზე.

და მაშინ გაისმა ხმა, რომლისგანაც ხმამალა აუკაწკაწდა კბილები. ვიღაცა კარს მოსდგომოდა,
 აწვებოდა:

- შემომიშვი, - ჩურჩულებდა ხმა, - შემომხედე. მცია. შემომიშვი...
 ეს უკვე მეტისმეტია, სიამაყის ბოლო ნარჩენებისგან აღშფოთდა ფანდორინი. ეხლა კარს გავაღებ
 და გამეღვიძება. თუ... თუ ვნახავ, რომ ეს სიზმარი არ არის.
 ორი ნახტომით გაჩნდა კართან, ურდულის რაზა ახსნა და სახელური თავისკენ მისწია. ამით
 მისი თავდადებული გარღვევა ჩაქრა. ამოიწურა.
 ზღურბლზე ამაღია იდგა. თეთრ შლეიფიან პენუარში იყო, როგორც მაშინ, მხოლოდ თმა
 აწეწვოდა წვიმისგან, გულზე კი სისხლიანი ლაქა გადაფურჩქვნოდა. ყველაზე საშიში იყო მისი
 არამქვეყნიური ნათებით მოშუქარი პირისახე, გაშეშებული, ჩამქრალი თვალებით. თეთრი,
 ნაპერწკლებსროლია ხელი ერასტ პეტროვიჩის სახისკენ გამოსწია და მის ლოყას შეეხო –
 როგორც ამასწინათ, მხოლოდ თითებიდან ისეთი სიცივე მოდიოდა, რომ უბედური, ჭკუიდან
 გადამავლი ფანდორინი უკან გადაიწია ქუსლებზე.
 -სადაა პორტფელი? – მფშტვინავი ჩურჩულით შეეკითხა მოჩვენება, - სადაა ჩემი პორტფელი?
 მაგის გულისთვის სული გავყიდე.

-არ მოგცემ! – მოსწყდა ერასტ პეტროვიჩს გამშრალ ბაგეებს. სავარძლამდე უკან-უკან მიაღწია,
 რომლის წიაღშიც პორტფელი იყო დამალული, საჯდომზე დაეზღვერთა და საიმედოობისთვის
 ხელებიც შემოხვია.

მოჩვენება მაგიდასთან მოვიდა. ასანთი გააჩხაკუნა, სანთელი ანთო და უცებ წკრიალით დაიყვირა:

- Your turn now! He's all yours! (ახლა თქვენი რიგია! თქვენთვის გადმომილოცნია!~ – ანლლ.).
ოთახში ორნი შემოვიდნენ – თხემით ტერფამდე სველი მორბიდი და კიდევ ერთი პატარა, მკვირცხლი.

საბოლოოდ დაბნეული ფანდორინი არც შეტოკებულა, როცა მსახურთუფროსმა ყელზე დანა მიადო, ხოლო მეორემ მარჯვედ გაუჩხრიკა გვერდები და წალის ყელში დერინჯერი უპოვა.
-რევოლვერი მოძებნე, - უბრძანა მორბიდმა ანლლიურად, მაგრამ ცქვიტს არ უწვალნია – უმაღლესადმოაჩინა ბალიშქვეშ გადამალული `კოლტი~. მთელი ეს ხანი ამაღია ფანჯარასთან იდგა, ხელსახოცით სახეს და ხელებს იწმენდა.
-აბა, მორჩა? – მოუთმენლად იკითხა მან, - რა საზიზღრობაა ეს ფოსფორი. და, რაც მთავარია, მთელმა მასკარადმა ამაოდ ჩაიარა. ტვინიც კი არ ეყო, პორტფელი ისე დაემალა, როგორც საჭირო იყო. ჯონ, სავარძელში დაძებნეთ. ფანდორინს არ უყურებდა, თითქო მოულოდნელად უსულო საგნად გადაქცეულიყო. მორბიდმა ადვილად წამოაგდო ერასტ პეტროვიჩი სავარძლიდან, ისევ ისე აჯერდა ყელზე ხანჯალს, ხოლო მკვირცხლმა ხელი საჯდომში შეაცურა და იქიდან ცისფერი პორტფელი გამოიღო.

-აქ მომეცით. – ბეჟეცკაია მაგიდასთან მოვიდა, შიგთავსი შეამოწმა. – ყველაფერი ადგილზეა. გაგზავნა ვერ მოასწრო. მადლობა ღმერთს. ფრანც, ლაბადა მომიტანე, მაკანკალებს.
-მაშ, ეს სპექტაკლი იყო? – არამტკიცე ხმით წარმოთქვა გამამაცებულმა ფანდორინმა. – ბრავო! თქვენ დიდი არტისტი ხართ. მიხარია, რომ ჩემმა ტყვიამ გვერდი აგიარათ. აბა-და, ისეთი ტალანტი დაიკარგობდა...

-ალიკაპის ამოდება არ დაგავიწყდეთ, - უთხრა ამაღიამ მსახურთუფროსს და ფრანცის მოტანილი ლაბადა მოიხურა მხრებზე, ოთახიდან გავიდა – საბოლოოდ არც კი შეხედა თავლაფდასხმულ ერასტ პეტროვიჩს.
ცქვიტმა ჯუჯამ – აი, ვინ უთვალთვალეზდა სასტუმროსთან, და სულაც არა ზუროვი – ჯიბიდან თხელი თოკის შულო ამოიღო და მჭიდროდ მიაბა ტყვეს ხელები გვერდებზე. მერე ფანდორინს თითები სტაცა ცხვირში და როცა უჰაეროდ დარჩენილმა ერასტ პეტროვიჩმა პირი დაალო, შიგ კაუჩუკის მსხალი ჩაუტენა.
-საქმე დამშია, - მსუბუქი ნემენცური აქცენტით გამოაცხადა შედეგით კმაყოფილმა ფრანცმა. – ტომარას მოვიტან.

ის დერეფანში გავარდა და ძალიან ჩქარა დაბრუნდა. ბოლო, რაც დაინახა ერასტ პეტროვიჩმა, მანმადე, სანამ მხრებზე, თითქმის მუხლებამდე უხემ ტომარას ჩამოაფარებდნენ – იყო უგრძნობი, აბსოლუტურად გაქვავებული ფიზიონომია ჯონ მორბიდისა. საწყენია, რომ სამზეომ გამოთხოვებისას სწორედ ეს, არცთუ მომაჯადოებელი ხმა აჩვენა, თუმცა ტომარის მტვრიან სიბნელეში უფრო უარესი აღმოჩნდა.

-მოიტა, ზემოდანაც გადავუჭერ თოკს, - მოაღწია ფრანცის ხმამ, - სასიარულოდ შორი არაა, მაგრამ ასე უფრო საიმედოდ იქნება.

-სად წავა? – ბასით მიუგო მორბიდმა. – პატარაზე გაინძრევა და ფაშვში დანას გავუყრი. -ჩვენ კი მაინც გადავუჭერთ, - წაიღიღინა ფრანცმა და ისე მაგრად გაუჭირა ტომარის ზემოდან, რომ ერასტ პეტროვიჩს ფრჩხილებში ლამის სისხლმა გასწვეთა.

-მიდი! – უჯიკავა ტყვეს მსახურთუფროსმა და ფანდორინი ბრმად დაიდრა წინ, მთლად ვერ გაეგო, რატომ აქვე, ოთახში არ გამოჭრეს ყელი. ერთი-ორჯერ წაიოფორხილა, სასტუმროს ზღურბლზე კინაღამ წაიქცა, მაგრამ ჯონის ხელმა დროულად დაიჭირა მხარში. წვიმის სუნი იყო, ცხენები ფრუტუნებდნენ.

-თქვენ ორნი, როგორც კი მორჩებით, იქ დაბრუნდებით და ყველაფერს ალაგებთ, - გაისმა ბეჟეცკაიას ხმა. - ჩვენ კი ვბრუნდებით.
 -არ იდარდოთ, მემ, - ამოიგუგუნა მსახურთუფროსმა, - თქვენ თქვენი ჰქენით, ჩვენ ჩვენსას ვიზამთ.

ო, როგორ სურდა ერასტ პეტროვიჩს ამალიასათვის საბოლოოდ რაღაც იმისთანა ეთქვა, რაიმე განსაკუთრებული, რომ სულელ შეშინებულ ბიჭუკელად კი არ დაემახსოვრებინა თავი, არამედ იმ მამაცად, სახელოვნად რომ დაეცა ნილილისტების მთელ არმიასთან უთანაბრო ბრძოლაში. მაგრამ წყეულმა მსხალმა ეს უკანასკნელი სიამოვნება მოუსპო. და აქ საწყალ ყმაწვილს კიდევ ერთი დარტყმა ელოდა, თუმცა, მკითხველო, გეგონებოდა, ყოველისფერ გადატანილის მერე რაღა დარტყმა უნდა ყოფილიყო?
 -ამალია კაზომიროვნა, სულიკო, - რუსულად თქვა ნაცნობმა მყუდრო ტენორმა, - ნება მიეცით ბერიკაცს, თქვენთან ერთად კარეტიტ გამოისეირნოს. ამაზედ ვიტყვით, იმაზედ, თანაც მშრალად ვიქნები, თავადაც ჰხედავთ, დავსველდი სუმთლად. ხოლოთუ ეს თქვენი პატრიკი კიდენა ჩემს მსუბუქ ეტლში, დროჟკაში ჩაჯდეს და ისე მოგვყვეს. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თათუნები?

-დაჯექით, - ცივად მიუგო ბეჟეცკაიამ, - მაგრამ მე თქვენთვის, პიჟოვო, არავითარი სულიკო და მით უმეტეს თათუნები არა ვარ. ერასტ პეტროვიჩმა ყრუდ ამოიკნავლა, სხვანაირად პირში გაჩრილი მსხლით რომ ექვითინა, სრულიად შეუძლებელი იყო. მთელი სამყარო აუმხედრდა ბედკრულ ფანდორინს. სად მოეკრიბა იმდენი ძალა, რომ ღონივრად დამდგარიყო ბოროტმოქმედთა ხროვასთან ბრძოლაში. გარშემო მხოლოდ გამყიდველები არიან, შხამიანი ასპიტები (ფუჰ, იმ წყეული პორფირი მარტინოვიჩისგან მოიწამლა სიტყვების ცუდლუტობით!). ბეჟეცკაიაც თავისი თავზეხელაღებულობით, ზუროვიც, და თვით პიჟოვიც, მერყევი კაცი – ყველა მტერია. ამ წამს სიცოცხლევ აღარ უნდოდა ერასტ პეტროვიჩს – ისეთი ზიზღი და ისეთი დაღლილობა იგრძნო. სხვათაშორის, კიდევ იცოცხლეო, არავინ უბეჯითებდა. როგორც სჩანდა, ბადრაგს მის მიმართ სავსებით სხვა ხასიათის გეგმა ჰქონდა. ძლიერმა ხელებმა აიყვანეს ტყვე და სავარძელზე დასვეს. მარჯვნივ დაჯდა მძიმე მორბიდი, მარცხნივ მსუბუქი ფრანცი, გაიტკაცუნა მათრახმა და ერასტ პეტროვიჩი უკან გადააგდო.

-საით? - იკითხა მსახურთუფროსმა.

-მეექვსე გემთმისადგომთან გვიბრძანეს. იქ ღრმაა და თან დინებაც არის. შენ როგორ ფიქრობ?
 -ჩემთვის სულ ერთია. მეექვსეო და იყოს მეექვსე. მაშასადამე, ერასტ პეტროვიჩს შემდგომი ხვედრი საკმაოდ ნათლად წარმოუდგა. მიიყვანენ რომელიმე ყრუ პრიჩალზე, გამოაბამენ ქვას და ტემზის ფსკერისაკენ ჩაუშვებენ, დაქანგებული ღუზების ჯაჭვებსა და ბოთლის ნამსხვრევებს შორს რომ ჩალპეს. უკვალოდ გაქრება ტიტულიანი მრჩეველი ფანდორინი, რამეთუ გამოვა, რომ არცერთ სულიერს აღარ უნახავს პარიზელი სამხედრო აგენტის შემდეგ. მიხვდება ივან ფრანცევიჩი, რომ სადღაც წაიბორძიკა მისმა აღსაზრდელმა, სიმართლეს კი ვერასოდეს გაიგებს. აზრადაც არ მოუვათ იქ, მოსკოვში და პიტერში, რომ თავიანთ სამსახურში გაიძვერა გველი შემოსცოცებიათ. აი, ვინ არის გამოსააშკარავებელი.

შესაძლოა, კიდევ გამოვაშკარავოთ. თუნდაც შეკრული და ჩამძვრალი იყოს გრძელს, მტვრიანს ტომარაში, ერასტ პეტროვიჩი შეუდარებლად უკეთესად გრძნობდა თავს, ვიდრე ოცი წუთით ადრე, როცა ფანჯარაში ილანდებოდა ფოსფორესცენციიანი მოჩვენება და შიშისგან განსჯის პარალიზება დაჰმართა. საქმე ის გახლავს, რომ ტყვეს გადარჩენის შანსი ჰქონდა. მარჯვეა ფრანცი, მაგრამ მარჯვენა სახელურის აფათურებას ვერ მიხვდა. იმ სახელოში სტილეტია, იმაზე კი იმედი. თუკი იმარჯვებს, თითებით სახელურს მისწვდება. ოჰ, ეს ადვილი არ არის, როცა ხელი ფერდზე

გაქვთ აკრული. რამდენია იქამდე სასიარულო, იმ მეექვსე გემთმისადგომამდე? მოვასწრებ ნეტავ?

-წყნარად იჯექი. – მორბიდმა იდაყვი დაჰკრა ფერდში შემშუშვილ (ნამდვილად, შიშისგან) ტყვეს.

-კარგი ერთი, ძმაკაც, აქ გინდა იტრიალე და გინდა არა, სულ ერთი არ არის?- ფილოსოფიურად შენიშნა ფრანცმა.

კაცი ტომარაში კიდევ წუთამდე ინძრეოდა, მერე ყრუდ და მოკლედ `უჰ-- თქვა და გაჩუმდა, ბედს შეურიგდა (წყეულ სტილეთს სანამ ამოაძრობდა, მტკივნეულად გაუჭრა მაჯა).

-მოვედით, - გამოაცხადა ჯონმა და წამოდგა, აქეთ-იქით მიმოიხედა, - არავინაა.

-და ვინ უნდა ყოფილიყო აქ შუალამისას? – მხრები აიჩეჩა ფრანცმა, - მიდი რა, გაინძერი. უკანაც უნდა დავბრუნდეთ.

-ფეხებში წაავლე.

აიღეს თოკებგადაჭრილი შეკრული და წაიღეს ფიცრითმოგებული ნავების მისადგომზე, ისარივით რომ დაკიდულიყო შავის წყლის თავზედ.

ერასტ პეტროვიჩმა გაიგონა ფიცრების ჭრიალი ფეხებქვეშ, მდინარის დუღუნი. გადარჩენა ახლოს იყო. როგორც კი ტემზის წყლები გადაეფარებინათ თავზე, ხანჯლით დასერავს ზოლებს, ტომარას გამოჭრის და წყნარად ამოყვანთეს პრიჩალის ქვეშ. იქ იქნება, სანამ ეს ორნი წავლენ და მორჩა – გადარჩენა, სიცოცხლე, თავისუფლება. ისე ადვილად და მარჯვედ წარმოედგინა ეს, რომ შინაგანმა ხმამ უცებ უჩურჩულა ფანდორინს: არა, ერასტ, ცხოვრებაში ასე არა ხდება, აუცილებლად გადაგხდება რომელიმე სისამაგლე, მთელ შენს დიდებულ გეგმას რომ ჩაგიშლის, გააფუჭებს.

სამწუხაროდ, დასჩხავლა შინაგანმა ხმამ, უბედურება დასძახა. სისამაგლეებმაც არ დააყოვნა გამოხდომა – კომმარული მისტერ მორბიდის მხრიდან კი არა, არამედ გულკეთილი ფრანციდან.

-დაიცა, ჯონ, - თქვა მან, როცა ისინი პირსის ბოლოს გაჩერდნენ და ტვირთი ფიცარნაგზე დადეს. – არ გამოდის, რომ ცოცხალი კაცი კატის კნუტივით წყალში ჩავაგდოთ. შენ ინდომებდი მაგის ალაგას ყოფნას?

-არა, - მიუგო ჯონმ

-ჰოდა, ეგე! – გაუხარდა ფრანცს – მეც მაგას ვამბობ. როგორია, აყროლებულ და საძაგელ, უწმინდურ ჭყაპში ჩაიძირო – ბრ-რ-რ. ეგეთს არავის ვუსურვებ. მოდი, ღვთიურად მოვიქცეთ: ყელი გამოსჭერ ჯერ, რომ მერე არ დაიტანჯოს. ერთი ჩხლუმპ! – და მზად არის, ჰა? ასეთი კაცთმოყვარეობისგან ერასტ პეტროვიჩმა საძაგლად იგრძნო თავი, მაგრამ ძვირფასმა, საოცარმა მისტერ მორბიდმა დაიღრიალა:

-აბა-და, ჰო, სწორედ დანას გავასისხლიანებ. სახელოსაც ამოიწუწავ. ისედაც ცოტა გვაწვალა ამ ლეკვმა? არა უჭირს რა, ეგრეც ამოსძვრება სული. თუ ამისთანა კეთილი ხარ, თოკით დაახრჩე, შენ ამ მხრივ ოსტატი ხარ, მე კი წავალ, რამე რკინას მოვძებნი. მისი მძიმე ნაბიჯები მოშორდათ და ფანდორინი პირისპირ დარჩა კაცთმოყვარე ფრანცთან.

-ტომარის ზემოთ აღარ უნდა შემომეჭირა, - ფიქრიანად თქვა მან, - მთელი თოკი შემოვახვიე. ერასტ პეტროვიჩმა გამამართლებლად ამოიზმუვლა – არა უშავსო, ნუ განიცდი, იოლას გავალ როგორმე. გავძლებ.

-ეხ შე საბრალო, - ამოიოხრა ფრანცმა, - ნახე, კვენესის, გული უსკდება. კარგი, ბიჭო, ნუ შიშობ. ბიძია ფრანცი შენთვის თავის ქამარსაც კი არ დაინანებს. მოისმა მოახლოებული ნაბიჯები.

-აჰა-და, რელსის ნაჭერი. სწორედ ეს გვინდოდა, - დაიგუგუნა მსახურთუფროსმა, - თოკებქვეშ შეუძვრინე. ერთ თვეზე ადრე არ ამოტივტივდება.

-ერთი წუთით მოიცადე, მხოლოდ ყულფს ჩამოვაცმევ.

-წადი რა, დაიკარგე მაგ შენი გულჩვილობით! დრო აღარ იცდის, მალე რიჟრაჟი იქნება.
-ბოდინი, ბიჭო, - სიბრალულთ თქვა ფრანცმა – ხომ ხედავ, ეგეთი ბედი გქონია. Das hast du dir selbst zu verdanken. (შენი ბრალია~ – ნემენც.).
ერასტ პეტროვიჩი ხელახლა ასწიეს, გააქან-გამოაქანეს.

-Aზაზელ!- მკაცრი, საზეიმო ხმით შეჰყვირა ფრანცმა დ მომდევნო წაშში გათოკილი სხეული მხლავსუნით ჩავარდა აყროლებულ წყალში.
არცა სიცივეს, არც თვით წყლის ჯავშანის ზეთოვან სიმძიმეს ვერა ჰგრძნობდა ფანდორინი, სტილეთით სჭრიდა სველ თოვს. ყველაზე მეტი საწვალელებელი მარჯვენა ხელთან იყო, როცა ის გაინთავისუფლ, საქმე წავიდა ბარაქიანად: ერრთი! – და მარცხენა ხელმა მარჯვენის მიშველება დაიწყო; ორი! – და ტომარა გადაიხსნა ზემოდან ძირამდე; სამი! – და მძიმე რელსი საფლობ შლამში ჩაერჭო.

ახლა დროზე ადრე არ უნდა ამოცურებულიყო. ერასტ პეტროვიჩმა ფეხები დაჰკრა ფსკერს, ხელები წინ გასწია და ააფათურა მღვრიე წყვილიადში. სადღაც აქ, სულ ახლოს, საყრდენები უნდა იყოს, რაზეც პირსი დგას. აი, თითები შეეხნენ მოლიპულ წყალმცენარეებში ამოსულ ძელს. წყნარად. აუჩქარებლად აუყვა ბოდს ზემოთ, უხმოდ, უკრინტოდ. პირსის ფიცარანგის ქვეშ სიბნელეზე სიბნელეა. უცებ შავმა წყალმა უხმოდ ამოუტევა თავისი წიალიდან თეთრი, მგრვალი ლაქა. თეთრ წრეში მაშინვე გაჩნდა კიდევ ერთი, შავი და პატარა რგოლი – ეს ტიტულიანმა მრჩეველმა ფანდორინმა ხარბად გადაყლაპა მდინარის ჰაერი. მყრალის და ნავთის სუნი იდგა. ეს სიცოცხლის ჯადოსნური სურნელი გახლდასთ. ამასობაში ზემოთ, ნავმისადგომზე, აუჩქარებელი ლაპარაკი მიდიოდა. ქვემოთ დამალული ყველა სიტყვას ისმენდა. ხდებოდა ხოლმე, ერასტ პეტროვიჩს საკუთარი თავი ცრემლებამდე მიჰყავდა, როცა წარმოიდგენდა, რა სიტყვებით მოიგონებენ, უდროოდ წასულ გმირს, მეგობრები და მტრები, როგორი სიტყვები აჟღერდება გაჭრილ საფლავთან. შეიძლება ითქვას, მთელი სიჭაბუკე ამ ოცნებებში გავიდა. როგორი იყო ახალგაზრდა კაცის გულისწყრომა, როცა მოისმინა, რა წვრილმანებზე ლაპარაკობენ ისინი, ვინც პატივი სცეს მოკვლით! ერთი სიტყვა არ უთქვამთ იმაზე, ვის თავზეც ნაღვლიანი წყალი შეიკრა – ადამიანზე თავისი ჰკუით და გულით, კეთილშობილი სულით და მალალი მოწოდებებით!
-ოჰ, ეს გასეირნება რევმატიზმის შემოტევადა დამიჯდება, - ამოიოხრა ფრანცმა, - აი, როგორი გამწევი ნესტი მოდის. რაღას ვუდგავართ? არ წავიდეთ?
-ადრეა.

-მისმინე, მე ამ სირბილში და გაწამაწიაში უვახშმოდ დავრჩი. როგორა გგონია, გვაჭმევენ რამეს თუ კიდევ რამე სამუშაოს მოგვიფიქრებენ?
-რა ჩვენი ჰკუის საქმეა. როგორც გვეტყვიან, ისე მოვიქცევით. ხბოს ცივი ხორცი მაინც აგველო. მუცელი მიემუის... ნუთუ ნაჯდომი ადგილიდან მოვწყდებით? ძლივს დავსახლდით, შევეჩვიეთ. რატომ? ყოველისფერმა ხომ ჩაიარა?
-ქალბატონმა იცის, რატომაც. რაკილა გვითხრა, ესე იგი, საჭიროა.
-ეს კი მართალია. ის არა სცდება. მაგის გულისთვის, რაც გინდა – მშობელ მამილოს არ დავანდობდი. თუკი მეყოლებოდა. მშობელ დედას ჩვენთვის ამდენი არ გაუკეთებია, რაც მაგან გაგვიკეთა.

-თავისთავად... მორჩა, წავედით.
ერასტ პეტროვიჩმა დაიცადა, სანამ შორს მიჩუმდება ნაბიჯების ხმა, უფრო მეტი გამართლებისთვის კიდევ სამასამდე დაითვალა და მხოლოდ მაშინლა დაიდრა ნაპირისკენ. როცა დიდის წვალეებით, რამდენჯერმე მომწყდარი, აძვრა დაბალ, მაგრამ თითქმის შვეულ საპირწყლოს პარაპეტზე, განთიადისგან შევიწროვებული სიბნელე უკვე დნებოდა. შეუძღვარ დამხრჩვალს წვიმა ურტყამდა, კბილები უკაწკაწებდა, და ამას კიდევ სლოკინიც ზედდაერთო. – ეტყობა, მდინარის ბინძური წყალი ყლურწა. მაგრამ სიცოცხლე მაინც შესანიშნავი იყო. ერასტ

პეტროვიჩმა სიყვარულიანი მზერა შემოატარა ნაცრისფერი მდინარის სივრცეს (იქით ნაპირზე დიდის მოფერებით ენთო შუქები), დატკბა საერო პაკჰაუზის, მცირე ხნით ტვირთის შესანახი ადგილის სიკეთით; გაამართლა ზომიერი რწევა ბუქსირებისა და ბარკასებისა, მისადგომის გაყოლებაზე რომ გაშლილიყვნენ. აუჯანყებელმა ღიმილმა გაანათა სველი, შუბლზე მაზუთის ზოლიანი სახე მკდრეთით აღმდგარისა. გემრიელად გაიზმორა და ასევე გაქვავდა ამ არასახარბიელო პოზაში – პაკჰაუზის კუთხეს გამოეყო და ჩქარ-ჩქარა გამოსწია დაბალმა, ცქაფმა სილუეტმა.

-აი, იროდები, აი, გაიძვერები, - წარმოთვამდა სილუეტი წვნიკი, შორიდან გასაგონი ხმით. – არაფრის დავალება არ შეიძლება, ყველაფერს დახედვა უნდა. სად წახვალთ უპიჟოვოდ, სად? დაიკარგებით, ბრმა ლეკვებით დაიკარგებით. მართებული მრისხანებით აღვსილი ფანდორინი წინ გაიჭრა. ეტყობა, მოლალატეს წარმოედგინა, რომ მისი სატანური გამოხტომა გაუხსნელი დარჩებოდა. თუმცა საგუბერნიო მდივანის ხელში ცუდი ელვარებით გაანათა რაღაც მეტალისამ და ერასტ პეტროვიჩი ჯერ შეჩერდა, მერე უკანაც დაიწია. -ეს თქვენ მართებულად განსაჯეთ, ჩემო მარწყვო, - გაამართლა პიჟოვმა და დასანახი შეიქმნა, როგორი დრეკადი, კატისებური მოძრაობა აქვს. - თქვენ ჭკუიანი ყრმა გვახლავართ, მაშინვე განვსაზღვრე. ეს, ხომ იცით, რაც მაქვს? – მან თავისი რკინა გაიქნია და ფანდორინმა დაინახა უჩვეულოდ დიდი კალიბრის ორლულიანი პისტოლეტი, - შემადრწუნებელი ნივთი გახლავსთ. აქაურს ავაზაკურს ჟარგონზედ `სმეშერი~ ჰქვია. თუკი შეხედვას ინებებთ, აიდა აი, აქ ორი ფეთქებადი ვაზნა ისმება – სწორედ ისინი, რომელნიც რომა სამოცდარვა წლის სანკტ-პეტერბურღის კონვენციით აღკრძალული გახლავსთ. მაგრამ ქვაბ-ჰავაზაკნი ხომ, ერასტუმკავ ჩემო, ავის მომქმედნი არიან. განა რამე გახლავსთ იმათთვის კაცთმოსიყვარულე კონვენცია იგი? და ტყვია კიდენა სკდომადი გახლავსთ, როგორც კი რბილობშიდ მოხვდება, სულ პატარ-პატარა ნაბურჯღლებათ იფურჩქნება. ხორცსა, ძვლებსა და ყველანაირ ძარღვთა სულერთიან ფარშათ აქცევს. ჰოდა, ეხლა თქვენ, ჩემო მოსაფერებელო, ცოტა ფრთხილათ, ნუ წვალობთ თამაშობითა, თორენა შიშისაგან ვაჭექებ, მერე კიდენა ჩემს თავს ამგვარს მხეცობას ვითარ შევუნდობ, ავსდგები და მოვიანაიებ. ძალიან მტკივნეული გახლავსთ, მუცელში თუ მოგვხდათ ანთუ კიდენა სადმე მაგავე ოლქში. ფანდორინმა უკვე სიცივისაგან კი აღარ, შიშისგან დაასლოკინა და დაუყვირა: -ისკარიოტელო! ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდე მამული! – და ისევ უკან დაიწია ბოროტეული ლულებიდან.

-ვითარცა გამოსთქვა დიადმა დერჟავინმა, მუდმივობის უკმარობა, გნებავსთ, ცვალებადობა – მოკვდავთა ხვედრი გახლავსთ. თანაც კი სულ ამაოთ მაწყენინეთ, მეგობარო. ოცდაათ სიკლას კი არ დავხარბდი, არამედ გაცილებით უფრო სერიოზულ თანხას, წესივრათ რომ ირიცხება შვეიცარიის ბანკშიდD- სიბერისათვის, მესრის ქვეშ რომ არ ჩავღრძვე. ხოლო თქვენ კი, შტერუკანავ, საითკენ წახვედით? ვის დაუპირევით დაწკაფწკავება? ქვას რომ მშვილ-ისარს ესვრი, მხოლოდ ისრებს დაჰკარგავ. ეს ხომ ღონიერობა გახლავსთ, ხეოფსის პირამიდა. შუბლით რომ დაეჯახო, ვერაფერს ასციცქნი. ერასტ პეტროვიჩმა ამასობაში უკან-უკან სვლით საპირისწყლოს განაკიდეს მიაღწია და იძულებული შეიქმნა, შეჩერებულიყო. გრძნობდა, რა ღრმა შემოვლებული მიბჯენოდა კოჭებზე. ყველაფრის მიხედვით თუ განვსჯით, პიჟოვს სწორედ ამის მიღწევა სურდა. -ჰაი და, კეთილი, ჰაი და, დიდებული, - წაიმღერა თავისი მსხვერპლიდან ათი ნაბიჯის მოშორებით მდგარმა. – მაშ, აზადა, ადვილი იქნებოდა ჩემთვის ასეთი ნაპატივები ყრმა მერე წყლამდინ მომეთრია. თქვენ, ჩემო იაგუნდისავ, არ შეჰმფოთდეთ, პიჟოვმა თავისი საქმე იცის. ბათქი, ბუთქი და მზად გახლავსთ. წითელი პირისახის მაგივრად მეწამული ფაფა იქნება. რომც დამიჭირონ – ვერ ამოგიცნობენ. სული კი მაშინათვე ანგელოზებისკენ გაჰფრინდება. ეხლა, ჯერ

მაგას რა ცოდვის ჩადენა უნდა მოესწრო, სულ ახალგაზრდა სული გახლავსთ. ამ სიტყვებით ასწია თავისი იარაღი, მარცხენა თვალი მოჭრუტა და მადიანად გაიღიმა. სროლას არა ჩქარობდა, ეტყობა, მომენტით ტკბებოდა. ფანდორინმა იმედწამხდარი მზერა მოატარა დაცარიელებულ, უკაცრიელ სანაპიროს, მკრთალად რომ გაენათებინა განთიადს. არავინაა, ერთი კაციც კი. ეს კი ნამდვილად დასასრული იყო. პაკჰაუზის მახლობლად თითქო რაღაც გამოძრავდა, მაგრამ კარგად დასანახად დრო აღარ ეყო - იგრიალა საშინლად ხმამაღლმა, ყველაზე უფრო ხმამაღალ ქუხილზე უფრორე ხმამაღალმა გასროლამ და უკან გადაქანებული ერასტ პეტროვიჩი გულგამგმირავი ყვირილით ჩავარდა მდინარეში, რომლიდანაც ამდენი წვალეებით

ამოფორთხდა

წელან.

მეთორმეტე				თავი,
რომელშიც		გმირი		გაიგებს,
რომ	თავის	გარშემო	შარავანდედი	აქვს

თუმცა ცნობიერებას არ მიუტოვებია დახვრეტილი, თან ტკივილიც რატომღაც არ იყო. არაფერი ესმოდა. ერასტ პეტროვიჩმა ხელები მოიქნია წყალში. რა ხდება? ცოცხალია თუ მკვდარი? თუ მოკლულია, მაშინ რატომ არის ასე სველი? საწყლისპიროს ბორდიურზე ზუროვის თავი გამოჩნდა. ფანდორინს სულაც არ გაჰკვირვებია. ჯერ ერთი, მოცემულ მომენტში მეტად ძნელი იყო მისი გაცემა, და მეორეც, იმქვეყნად (თუ ეს ნამდვილად ისაა) ამისთანები შეიძლება მოხდეს? -ერაზმ! ცოცხალი ხარ? ხომ არ მოგახვედრე? – გულამომჯდარად დაჰყვირა ზუროვის თავმა. – მაიტა ხელი.

ერასტ პეტროვიჩმა წყლიდან მტევანი ამოჰყო და ერთი ღონიერი გამოქაჩვით ამომსხლტარი შეიქმნა მყარზე. პირველი, რაც მან დაინახა, ფეხზე რომ დადგა, - პატარა ფიგურა, პირქვე რომ ეგდო, წინ გამოეწია ხელი მძიმე პისტოლეტით. მის სველს, ამლავს თმებშორის, კეფაზედ შავად მოსჩანდა ნასვრეტი, ძირს მუქი გუბე დამდგარიყო. -დაჭრილი ხარ? – მზრუნველად შეეკითხა ზუროვი, სველ ერასტ პეტროვიჩს რომ ატრიალებდა და სინჯავდა. - არ მესმის, ეს როგორ გადაგხდა. უბრალოდ, `revolution dans la balistique~` (რევოლუცია ბალისტიკაში~ - ფრანც.). არა, ეს შეუძლებელია. -ზუროვ, ეს თქვენ ხართ? – ხრინწიანად თქვა ფანდორინმა, როცა ბოლოს ჰკუაზე მოვიდა, რომ ჯერჯერობით ამქვეყნას არის და არა იმქვეყნას. -`თქვენ~` კი არა, `შენ~`. ბრუდერშაფტზე დავლიეთ, დაგავიწყდა? -მაგრამ რა-რატომ? - ერასტ პეტროვიჩს ისევ აებლანდა ენა, - თავადვე გინდათ, გამათაოთ? თქვენ რა, ამაში პრემიას შეგპირდათ ეგ თქვენი აზაზელი? მესროლეთ, მესროლეთ, წყეულიმც იყავით! მანანის ფაფზედ უარესად მომბეზრდით. მანანის ფაფაზედ საიდან წამოსცდა, გაუგებარი იყო – ეტყობა, რაღაც იყო დიდი ხნის დავიწყებულს ბავშვობაში. ერასტ პეტროვიჩს პერანგის შემოხვევაც უნდოდა მკერდზე – აჰადა, მეთქი, ჩემი მკერდი, მესროლე, მაგრამ ზუროვმა უცერემონიოდ დაჰკრა მხარზე ხელი. -მორცი, ფანდორინ, ეგ ლათაიებსა და ბოდვას. რომელი აზაზელი? და რაის მანანის ფაფა? მოდი ერთი და, გრძნობაზედ მოგიყვან – და დაუყოვნებლივ გატანჯულ ერასტ პეტროვიჩს მჟღერი სილაქი უთავაზა, Athanasius ორჯერ. – ეს ხო მე ვარ, იპოლიტ ზუროვი. იოლი მისახვედრია, რომ ეგეთი დაცემების შემდეგ ტვინი გაგილაცდა. დამეყრდენი. - ახალგაზრდა კაცს მხარზე მოხვია ხელი. – ეხლა სასტუმროში წაგიყვან. აქვე ცხენი მყავს მიბმული, ამას (პიჟოვის უმოძრაო სხეულის ფეხი გაჰკრა) კიდევ – მსუბუქი ეტლი, დროჟკა. გავქროლდეთ ქარივით. გათბები, გროვს დაურტყამ და ამიხსნი, აქ რა შაპიტო გაგიმართავთ. თავის ბრეზენტის კარვითა და კლოუნებით, ანუ მოძრავი ცირკი.

ფანდორინმა	ლონივრად	ჰკრა	გრაფს	ხელი:
-ესე არა, ეს შენ ამიხსენი! შენ აქ (ჰიკ) საიდან გაჩნდი? რატომ მითვალთვალედი? შენც იმათთან				ხარ?
დარცხვენილმა	ზუროვმა	შავი	ულვაში	ამოიპრიხა:
-ამას	ორი	სიტყვით	ვერ	მოგიყვები.
-არა უშავს	რა,	დრო	აქედან	არ გავინძრევი!
-კარგი,		მაქვსთ.	არ	მისმინე.
და	აი,	რა	უამბო	იპოლიტმა.

-შენ გგონია, ტყუილუბრალოდ მოგეცი ამალიას მისამართი? არა, ძმაო ფანდორინ, აქ არის მთელი ფსიქოლოგია. მომეწონე, საშინლად მომეწონე. რაღაცა გაქვს იმისთანა... რა ვიცი, ბეჭედი რაღაცა თუ რა. ისეთებზე, როგორიც შენა ხარ, ყნოსვა მაქვს. მე თითქოს შარავანდედს ვხედავ ადამიანის თავზე, ეგეთი მსუბუქი ნათებაა. ეს განსაკუთრებული ხალხია, ვისაც შარავანდედი აქვს, ბედი იცავს, ყველა ხიფათისგან იფარავს. რისთვის იცავს, ადამიანმა თავადაც არ იცის. ეგეთებთან სროლა არ შეიძლება, მოგკლავს. კარტშიც ნუ დაუჯდები - გაგბერავს, როგორი კუნდშტუკებიც არ უნდა გამოაცოცო სახელოებიდან. მე შენ შარავანდედი დაგინახე. როცა შტოსში გამფრცქენი, მერე კი თვითმკვლელობაზე კენჭისყრა მაიძულე. იშვიათად შეხვდები შენნაირებს. აი, ჩვენ რაზმში, როცა თურქესტანის უდაბნოში მივდიოდით, ერთი პორუჩიკი იყო, გვარად ულიჩი. ყველა თონეში მიძვრებოდა და სულ არაფერი, მხოლოდ კბილებს ილესავდა. დამიჯერებ, ერთხელ ხივასთან მე საკუთარი თვალთ ვნახე, ხანის გვარდიელებმა ზაღპი დაახალეს. განაკაწრიც არ მიუღია! მერე ამჟავებული კუმისი დალია - და მორჩა, ულიჩი ქვიშაში ჩაფლეს. რატომ დაიფარა ღმერთმა ბრძოლებში? გამოცანაა! ჰოდა, ერაზმ, შენც ეგეთებიდან ხარ, შეგიძლია დამიჯერო. შემეყვარდი, სწორედ იმ წუთას შემეყვარდი, როცა უყოყმანოდ პისტოლეტი თავზე მიიდე და ჩახმახი დასხლიტე. მხოლოდ ჩემი სიყვარული, ძმაო ფანდორინ - ცბიერი მატერია არი. ვინც ჩემზე დაბლა დგას, იმათი სიყვარული არ შემიძლია, ხოლო ვინც მაღლაა, იმათი სასიკვდილოდ მშურს. შენიცა მშურდა. შენი შარავანდისა შემშურდა, არამქვეყნიური გამართლებისა. აჰა, შეხედე, დღესაც მშრალი გამოხვედი წყლიდან. ჰა-ჰა, ესე იგი გამოხვედი კი, რასაკვირველი, სველი, მაგრამ სამაგიეროდ ცოცხალი, არცერთი განაკაწრი. არადა, შეხედულებით - ბიჭუნა ხარ, ლეკვი, საყურებად არც არაფერი.

ამ მომენატამდე ერასტ პეტროვიჩი ცოცხალი ინტერესით უსმენდა და მსუბუქადაც კი წითლდებოდა სიამოვნებისგან, დროის გასვლის მერე კანკალიც შეწყვიტა, მაგრამ `ლეკვზე~ დამჟავდა და ორჯერ წყენით ამოისლოკინა.

-არ გეწყინოს, მეგობრულად გეუბნები, - მხარზე ხელი დაჰკრა ზუროვმა, - საზოგადოდ, ეგრე ვიფიქრე მაშინ: ბედი მიგზავნის მეთქი ამას. ასეთს ამალია აუცილებლად გადაყლაპავს. კარგად დააკვირდება და გადაყლაპავს. და მორჩა, ერთხელ და სამუდამოდ გადავრჩები სატანური წყალდიდობისგან. დამანებებს თავს, აღარ დამტანჯავს, ყელზე ჯაჭვგამობმულს ვედარ მატარებს, როგორც აღმაცერთათება დათუნია დაყავთ ბაზარში. გაუშვი, ამ ბიჭუკელას ამოხადოს სული თავისი ეგვიპტური სასჯელებით. ჰოდა, მოგეცი კიდეც მაფი, ვიცოდი, შენ შენსას არ დაიშლიდი... ლაზადა მოიხურე და აჰა, მათარიდან დაყლუპე. ასლოკინებ და ასლოკინებ.

სანამ კბილებაკაკუნებული ფანდორინი დიდი, ამობერილი მათარიდან ფსკერზე გაქანჭყარებულ ჯამაიკურ რომსა ყლურწავდა, იპოლიტმა მხრებზე შემოახურა თავისი პეწიანი, შავი ლაზადა ალისფერი ატლასის სარჩულით, მერე საქმიანად გადააგორა პიჟოვის გვამი სანაპიროს კიდეზე, ბორდიურზე გადაიტანა და წყალში გადაუძახა. ერთი ყრუ შხლავუნი და უსამართლო საგუბერნიო მდივნისგან მხოლოდ მუქი ადგილი დარჩა ქვის ფილაზე.

-მიიღე, უფალო, სული მონისა შენისა, მე-რა-ვიცი-რა-ერქვა, - ღირსეულად ლოცულობდა ზურავი.

-პი-პიჟოვი, - ისევ დაასლოკინა ერასტ პეტროვიჩმა, მაგრამ კბილებს - მადლობა ჯამაიკურ რომს - ალარ აკაკუნებდა, - პორფირი მარტინოვიჩ პიჟოვი.

-მაინც ვერ დავიმახსოვრებ, - უდარდელად აიქნია მხარი იპოლიტმა, - ეშმაკსაც წაუღია, ხარახურა კაცი იყო, ყველაფრით ჩანდა. უიარაღოზე პისტოლეტით მიდის – ფიე. მაგას ხო, ერაზმ, შენი მოკვლა უნდოდა. მე, სხვათაშორის, სიკვდილსგან გიხსენი, ეს მაინც გაიგე?

-გავიგე, გავიგე, შენ მერე მომიყევი.

-მერე კი ეგრე იყო. მოგეცი ამალიას მისამართი, და მეორე დღიდან მოწყენილობამ დაძრია ხელი - თანაც ისეთმა, ღმერთმა დაგიფაროს. ვსვამდი კიდეც, ქალებშიც დავდიოდი, ერთი ასორმოცდაათი ჭიქის კოტოში დავურტყი – მაინც არ მიშვებს. ვერ ვიძინებ, ვერცა ვჭამ. სმა კი, რაც მართალია – მართალია, შემძლია. სულ იმას ვხედავ, შენ და ამალია როგორ მისძვირფასებიხართ ერთმანეთს და ჩემზე იცინით. ანთუ უფრო უარესი, საერთოდ აღარ მიხსენებთ. ათი დღე უღონობის ღონით ჩამოვხმი და ვილევო. ვგრძნობ – შეიძლება ჭკუაზედ შევირყე. ჟანი გახსოვს, ჩემი ლაქია? საავადმყოფოში წევს. შემოდვრა ჩემთან თავისი დარიგებებით, ჰოდა, ცხვირი მოვუნგრე და ორი ნეკნიც გავუტეხე. მრცხვენია, ძმაო ფანდორინ. ძალიან ადუღებული ვიყავი. მეთერთმეტე დღეს ავშარდი. ყოველისფერი გადავწყვიტე: ორივეს დავხოცავ, და მერე ჩემ თავსაც მაგას გადავუწყვიტავ. ამაზე უარესი, ვიდრე ეხლაა, მაინც არ იქნება. მთელი ევროპა როგორ გადავიარე – ღმერთო მომკალი და, არ მახსოვს. ყარა-ყუმის აქლემივითა ვსვამდი. ნემენციაში რომ მივდიოდით, ვიღაცა ორი პრუსიელი ვაგონიდან გადავყარე. მოკლედ, აღარ მახსოვს. იქნებ, მომელანდა. ლონდონში მოვედი გონზე. ეგრევე სასტუმროში. არც ის არის, არც შენ. სასტუმრო მიყრუებულია, ამალია ეგეთში დაბადებიდან არა მდგარა. პორტიე, ის გაიმვერა, ფრანგულად სიტყვას ვერ ამბობს, მე კიდეც ინგლისურად ვიცი `ბატლ ვისკი~ და `მუვ იორ ასს~ – ერთმა მიჩამნმა მასწავლა. ესე იგი: მაიტა მაგარი ბოთლი და თან ცოცხლად. ჰოდა, მე მაგ ანლიელ ჩიაკაცს მის ოლსენზე ვეკითხები, ის კი რაღაცას იყეფება თავისთვის, თავს აკანტურებს, თითს კიდეც სადღაც, უკან იშვერს. გადავიდაო რა და მე რა ვიცი სადაო. მაშინ შენზე გავაკეთე შესვლა: `ფანდორინი, ვეუბნები. ფანდორინი, მუვ იორ ასს~. ამაზე კიდეც – შენ არ გეწყინოს –საერთოდ, თვალეზი გადმოკარკლა. ეტყობა, შენი გვარი ანლიურად რიგიანად ვერა ჟღერს. მოკლედ, მე და იმან გაგებამდე ვერ მივაღწიეთ. რა უნდა ვქნა – დავსახლდი ამ ვირის აბანოში, ვცხოვრობ. განაწესი ეგეთია: დილით პორტიესთან, ვეკითხები: `ფანდორინ?~ ის თავს დამიკრავს, მეუბნება: `მორნინგ, სირ~. კიდეც არ მოსულაო. გადავალ ქუჩაზე, სამიკიტნოში, იქ დაკვირვების პუნქტი მაქვს მოწყობილი. მოწყენილობაა, გარშემო დაღვრემილი სიფათები, კიდეც კარგი, `ბატლ ვისკი~ და `მუვ იორ ასს~ მშველიან. მიკიტანი თავიდან თვალეზს მიჭყეტდა, მერე შემეჩვია, ნათესავივით მხვდება. ჩემ გამო ვაჭრობა მაგრად მისდის: ხალხი იკრიბება საყურებლად, თუ როგორ ვსვამ მაგარს ორთომელებით. ახლოს მოსვლისა ეშინიანთ, შორიდან იყურებიან. ახალი სიტყვებიც ვისწავლე: `ჯინ~ – ეს ღვიისაა, `რამ~ – ეს რომი, `ბრენდი~ – კიდეც საძაგელი კონიაკი. მოკლედ, ამ დაკვირვების პუნქტში თეთრ ცხელეზამდე ვიჯდებოდი, მაგრამ მეოთხე დღეს, დიდება ალლაჰს, შენ გამოჩნდი. ეგეთი ფრანტივით მოხვედი, ლაკიან კარეტით, უღვაშებში. სხვათაშორის, ტყუილად გაიპარსე. უღვაშებში უფრო ყოჩაღად სჩანხარ. ერთი უყურე, ვფიქრობ, მამალი, კუდი გაუშლია. ეხლა შენ მის ოლსენის მაგივრად ბრანწი დაგხვდება კარაქით. მაგრამ შენთან სასტუმროს არამზადა სხვანაირად ამღერდა, ისე კი არა, როგორც ჩემთან, და გადავწყვიტე, დავიმალები, დავიცდი, სანამ კვალზე გამიყვან, მერე კიდეც როგორც კარტი მოვა. ქუჩა-ქუჩა დაგდევდი ჩუმად, როგორც სამძებროს შპიკი. ფუჰ! სულ ჭკუიდან გადავედი. ვხედავდი, მეეტლეს როგორ შეუთანხმდი, ღონისძიებებიც დავსახე: საჯინიბოდან ცხენი ავიყვანე, ფლოქვები სასტუმროს პირსახოცებით შემოვუკარი, რომ არ ეხმაურათ. ჩეჩნები

აკეთებენ ეგრე, როცა დასაცემად ემზადებიან. ჰო, სასტუმროს პირსახოცებით კი ვერა, რაიმე ნაჭრებით, ხომ გამიგე, არა? ერასტ პეტროვიჩს გუშინწინდელი ღამე გაახსენდა. ისე ეშინოდა, მოზიდი არ გაემზა, უკან გახედვაც არ უფიქრია, ხოლო თვალთვალი ასე გამოდის, ორმაგი იყო. -შენ რომ იმის ფანჯარაში გადაძვერი, ჩემ შიგნით ვულკანი აგრუხუნდა, - თავისი მოთხრობა განაგრძო იპოლიტმა, - ხელი მოვიკვნიტე დასისხლიანებამდე. აი, შეხედე – მან ცხვირთან მიუტანა ფანდორინს დამჯერი, მაგარი ხელი, - და მართლაც, დიდ და საჩვენებელ თითებს შორის ჩანდა იდეალურად სწორი ნახევარმთვარე ნაკბენისგან, - ჰოდა, მორჩა, ჩემ თავს ვეუბნები, ეხლა აქ ერთად სამი სული გაფრინდება – ერთი ზეცაში. (ამას შენზე ვამბობ), ორი კი პირდაპირ ქვაბებში მოსახარშად, თავისი მუგუზლებით და მთელი სიყვარულებით... მერე იქ ფანჯარასთან დაახანე, მერე თავხედობა მოიკრიბე და გადაძვერი. ბოლო იმედი მაქვს: იქნება გამოგადოს. არ უყვარს ეგეთი შემხტომები, თვითონ უყვარს მბრძანებლობა. ვიცდი, მუხლის მყესები მიკანკალებს. უცებ შუქი ჩაქრა, გასროლა და მისი კვილი! ოჰ, ვფიქრობ, ერაზმმა დაახალა, ჭკუა უდულს. იხტუნავა, იხტუნავა და ეგე! და უცებ, ძმაო ფანდორინ, ისეთი სევდა შემომაწვა, თითქო სრულიად მარტო ვარ მთელ ქვეყანაზე და რაღად მინდა ცხოვრება... ვიცოდი, ცუდად დაამთავრებდა, მე თვითონაც გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ მაინც... ხომ დამინახე, გვერდით რომ ჩამირბინე? მე კი გავქვავდი, თითქო პარალიჩში ვარ, არც კი დაგიძახე. გეგონება, ღრუბლებში ვიდექი... მერე საოცრება დაიწყო და რაც უფრო შემდეგ, მით უფრო საოცარია. პირველ რიგში გამოირკვა, რომ ამალია ცოცხალია. ეტყობა, სიბნელებში ააცდინე. ისე კიოდა და ისე ლანძღავდა მსახურებს, რომ კედლები ცახცახებდნენ. გასცემს რაღაცა ბრძანებას ანდლიურად, ყურმოჭრილი ყმები დარბიან, დაფათურობენ, ბაღში იქექებიან. მე - ბუჩქებში ვცვითე თავი და გავქრი. ჭკვაში სრულყოფილი დომხალი მაქვს, იარალაში კარტის ენით. ეგეთი ბრიყვი მგონია ჩემი თავი პრეფერანსში, ყველანი სვეტებში უბერავენ, ერთი მე ვზივარ წაღებაზე. მაშინ არა, იმას არ დასცემიხართ მეთქი, ვფიქრობ. ზუროვი დაბადებიდანმიამიტი კი არ იყო. იქ, ბაღში უბნის სადარაჯოა, ძაღლის ორი ფიცრულის სიმაღლისა. ფიცარი მოვამრე, საიდუმლოდ დავჯექი, ვერ შევეჩვევი. დაკვირვებას ვაწარმოვებ, თვალები გავამახვილე, ყურები კონკრიხოზე მაქვს. სატირი ვარ, ფსიქეას რომ ჩასდარაჯებია. იმათ კიდევ ერთი ჰაიტი-ბუბუ გააქვთ! ჰალაღად კორპუსის შტაბია ზემდგომთაგან დათვალაიერების წინ. მსახურები ხან სახლიდან გამორბიან, ხან შიგ შერბიან, ამალია კივის, ფოშტალიონებს დეპემები მოაქვთ. ვერაფრით გამიგია – რა დაამავა ამისთანა იქ ჩემმა ერაზმმა? თითქოსდა კარგად აღზრდილი ყმაწვილია. მაინც რა უყავი, ჰა? შრომანი ხომ არ დაუნახე მხარზე? არავითარი შრომნები არა აქვს, არც მხარზე და არც სხვა ადგლებზე. აბა, მითხარი, სული ნუ ამომხადე. ერასტ პეტროვიჩმა მხოლოდ მოუთმენლად ჩაიქნია ხელი – განაგრძე, სულელობის დრო არ არისო.

-მოკლედ, ჭიანჭველების ბუდე აშალე. ეს შენი განსვენებულიც (ზუროვმა მდინარის მხარეს გაიქნია თავი, სადაც ბოლო განსასვენებელი ჰპოვა პორფირი მარტინოვიჩმა) ორჯერ მოვიდა. მეორედ სწორედ დაღამებამდე...

-შენ რა, მთელი ღამე და მთელი დღე იქ იჯექი? – სახტად დარჩა ფანდორინი, - უსმელ-უჭმელი?

-ეხლა, უჭმელად დიდხანს შემიძლია, მთავარია დასალევი იყოს. დასალევი კი იყო. – ზუროვმა მათარას დაჰკრა ხელი, - რა თქმა უნდა, რაციონის შემოღებამ მომიწია. საათში ორი ყლუპი. ძნელია, მაგრამ მახმარის ალყისას ისეთს გავუძელი, მერე მოგიყვები. მოციონისთვის, ესე იგი, გასეირნებისთვის რამდენჯერმე გამოვედი ცხენის სანახავად. მეზობელი პარკის მესერზე მივაბი. ბალახს დავუკრიფავ, დაველაპარაკები, რომ არ მოიწყინოს და ისევ უკან, სადარაჯოში. ჩვენთან უსადგომო ფაშატს ეგრევე აგწაპნიდნენ, მაგრამ აქაური ხალხი დუნეა და აუჩქარებელი. ვერ მიხვდნენ. საღამოს ჩემი ჩალისფერი ძალიანაც გამომადგა. როგორც კი განსვენებული

მოდგრიალდა (ზურგმა ასევე მდინარისკენ გაიქნია თავი) მეორედ, შენი ბოროტის მსურველები სალაშქროდ შეიკრიბნენ. წარმოიდგინე სურათი. წინ გამოცხადებულ ბონაპარტად ამალია მიუძღვით კარეტი, სადავეებთან ორი ღონიერი მამაცი. უკან კიდევ დროჟკით განსვენებული ასდევნებიათ. მერე კიდევ მსუბუქი ეტლით ორი ლაქია. მოშორებით კი მე ჩემი ჩალისფერით, დენის დავიდოვი გეგონები, - მხოლოდ ოთხი პირსახოცი დადის აქეთ-იქით სიბნელეში, - იპოლიტმა გადაიხარხარა, უცებ შეხედა მზის ამოსვლისთვის გაწითლებული ზოლის, მდინარის სისწრივ რომ გაწოლილიყო,- შევედით რაღაცა ტარაკნების ბნელში, სუფთა ლიგოვკაა: ჩამოფხაული ქოხები, საწყობები, ჭუჭყი. განსხვავებული ამალიას კარეტაში შეძვრა – სჩანს, ბჭობას მართავენ. მე ცხენი შემოსასვლელში დავაბი, ვუყურებ, მერე რა მოხდება. განსხვავებული რაღაც აბრიან სახლში შევიდა, ნახევარი საათი დაჰყო. ამ დროს კლიმატმა გაფუჭება დაიწყო. ცაში კანონადაა, წვიმა ასხამს. ვსველდები, მაგრამ ვიცდი - მაინტერესებს. ისევ გამოჩნდა განსვენებული და ამალიასთან შეშლივინდა კარეტაში. ეტყობა, ისევ კონსილიუმს მართავენ. მე კიდევ საყელოში მასხამს, მათარაც მიცარიელდება. უკვე მინდოდა მაგათთვის `ქრისტეს გამოცხადება ხალხისთვის~ მომეწყო, მთელი ეს შატა-ბუტა სამმო დამეფანტა, ამალიასთვის პასუხი მომეთხოვა, მაგრამ უცებ კარეტის კარი გაიხსნა და ისეთი რაღაც დავინახე, ღმერთო, ის აღარ მაჩვენო.

-მოჩვენება? – ჰკითხა ფანდორინმა,- მანათობელი?

-ზუსტად. ბრ-რ, კანზე ტაომ დამკრა. უცებ ვერ მივხვდი, რომ ამალია იყო. ისევ საინტერესო გახდა. უცნაურად მოიქცა. ჯერ იმავე კარში შევიდა, მერე მეზობელ შესასვლელში გაქრა, მერე ისევ კარში გაუჩინარდა. ლაქიებიც თან დაჰყვებიან. მოკლე ხნის გამოშვებით რაღაც ტომარა გამოაქვთ, მოსიარულე. ეს მერე მივხვდი, რომ შენ გაგქაჩეს, მაშინ გამოცნობაზე იყო. მერე იმათი არმია გაიყო: ამალია და განსვენებული კარეტაში ჩასხდნენ, დროჟკაც იმათ წაყვა, ხოლო ლაქიებმა ტომრით, ესე იგი, შენით, ლანდოთი გასწიეს სხვა მხარეს. კარგი, ვფიქრობ, ტომარასთან მე რა საქმე მაქვს. ამალია უნდა გადავარჩინო, ბილწ ისტორიაში ჩატოპა. მივდეგ კარეტას და დროჟკას, ფლოქვები. ტრიამ-ტრიამ, ტრიამ-ტრიამ. ბევრი არ გვივლია – გავჩერდით. მე ავჩქარდი, ჩალისფერი სახით მიჭირავს, რომ არ დაიფრუტუნოს. კარეტიდან განსვენებული გადმოძვრა, ამბობს (დამე წყნარია, შორს ისმის): `არა, სულიკო, უმჯობესია გადავამოწმო. გული არა მაქვს რაღაც მშვიდად. წყნარად. დიდი ჯომარდი ვინმეა ეს ჩვენი ყრმა. ხოლოთუ დამისაჭიროვებსთ, - თავად უწყით, სად უნდა მომნახოსთ~. მე გავღიზიანდი: რა შენი `სულიკოა~, შე მურტალო ჭოტო. მერე დამარტყა. ერაზმზე ხომ არ არის ლაპარაკი? – იპოლიტმა თავი გადააქნია, დაუფარავად ამაყობდა თავისი მიხვედრილობით. – მერე ადვილი იყო. დროჟკის წამყვანი კარეტის ძელზე გადაჯდა. მე მიცვალელებულს გავედევნე. აგერ, იმ კუთხეს ვეფარებოდი, ყოვლისფერის გაგება მინდოდა, თუ რით გადაუმლაშე ესე. თქვენ კი წყანარად ლაპარაკობდით, არაფერი ეშმაკები არ მესმოდა. სროლა არ მიფიქრია, თან კარგი გასროლისთვის ბნელოდა, მაგამ ის ნამდვილად მოგკლავდა – იმისი ზურგიდან ვხვდებოდი. მე, ძმაო, ეგეთ რამეებზე გამჭირახი თვალი მაქვს. გასროლაც როგორი იყო! აბა მითხარი, ამოდ ხვრიტავს ზურგის შაურთანებს? ამ შემთხვევაში კი ორმოცი ნაბიჯიდან, თან განათებაც გაითვალისწინე.

-დავუშვათ, ორმოციდან არა, - დაბნეულად წარმოთქვა ერასტ პეტროვიჩმა, სხვა რამეზე ფიქრობდა.

-ორმოციდან არა? – გაფიცდა იპოლიტი, - წამო, დაითვალე! – და ნაბიჯების გადაზომვასაც აპირებდა (თუმცა, რამდენადმე მოკლე ნაბიჯით), მაგრამ ფანდორინმა შეაჩერა.

-ეხლა საით?

ზურგს გაუკვირდა.

-როგორ თუ საით? ადამიანურ სანახაობას დაგიბრუნებ, მერე შენ ამიხსნი, აქ რა მამაძაღლობა ხდება, ვისაუზმობთ, შემდეგ კი ამალიასთან წავალ. ტყვიას დავახლი იმ გველს და ეშმაკის

დედასთან გავუშვებ. ანთუ წავიყვან. შენ მხოლოდ მითხარი, მე და შენ მოკავშირეები ვართ თუ მეტოქეები?

-ესე იგი, ასე, - შეიჭმუხნა ერასტ პეტროვიჩი, დაღლილი თვალები მოიწმინდა, - დახმარება არ მინდა – ეს ერთი. ახსნით არაფერს არ აგიხსნი – ეს ორი. ამალიას თუ დაახლი – კარგი საქმეა, მხოლოდ იქ თვითონ შენ არ დაგახლონ – ეს სამი. და არავითარი შენი მეტოქე არა ვარ, მაგისგან გული მერევა – ეს ოთხი. -ალბათ, მაინც, დახლა უკეთესია, - თქვა ჩაფიქრებულმა ზუროვმა, - მშვიდობით, ერასტ, ღმერთი გადმოგვხედავს, კიდევ შეგვახვედრებს.

ლამის შერყევების შემდეგ ერასტ პეტროვიჩს დღე, თავისი სისავის მიუხედავად, მაინც როგორღაც დანაკუწებული, თითქოსდა ცალკეული, ერთმანეთთან ცუდად დაკავშირებული ფრაგმენტებით გამოუვიდა. გეგონებოდა, ფანდორინი აზროვნებდა, მოფიქრებულ გადაწყვეტილებებსაც ღებულობდა, მოქმედებდა კიდევაც, მაგრამ ეს ყოვლისფერი თითქოს თავისთვის ხდებოდა, საერთო სცენარის გარეშე. ივნისის ბოლო დღე ჩვენს გმირს დაამახსოვრდა, როგორც მონაცვლეობა ნათელი სურათებისა, რომელთა შორისაც სიცარიელე იწვა.

აი, დილა. ტემზის ნაპირი დოკების რაიონში. წყნარი, მზიანი ამინდი, ჰაერი კამკამა ჭექა-ქუხილი მერე. ერასტ პეტროვიჩი ზის საერო პაკჰაუზის თუნუქის სახურავზე დედიშობილა. გარშემო გაფენილია სველი ტანისამოსი და ჩექმები. ერთი, ჩაკეცილი გახეულია. მზეზე შრება გადაშლილი პაშპორტი და ბანკნოტები. წყლიდან გამოსულის ფიქრები ირევან, წაიფორხილებენ ხოლმე, მაგრამ შეუცვლელად ბრუნდებიან მთავარ კალაპოტში. ისინი ფიქრობენ, რომ მკვდარი ვარ, მე კი ცოცხალი ვარ – ეს ერთი. ისინი ფიქრობენ, რომ იმათზე მეტმა არავინ არაფერი იცის, მე კი ვიცი – ეს ორი. პორტფელი დაკარგულია – ეს სამი. მე არავინ დამიჯერებს – ეს ოთხი. მე ჩამსვამენ შეშლილთა სახლში – ეს ხუთი... არა, თავიდან. მათ არ იციან, რომ ცოცხალი ვარ – ეს ერთი. მე აღარ მეძებენ – ეს ორი. სანამ პიჟოვს იპოვნიან, დრო გავა, - ეს სამი. ახლა შეიძლება გამოვჩნდე საელჩოში და დაშიფრული დეპეშა გავუგზავნო შეფს – ეს ოთხი... არა. საელჩოში არ შეიძლება. ვაითუ იქ იუდად მარტო პიჟოვი არ იქცა? გაიგებს ამალია და ყოველისფერი თავიდან დაიწყება. ამ ისტორიის არავისთვის გაგებინება არ შეიძლება. მხოლოდ შეფს ეტყვის და დეპეშა აქ არ ივარგებს. გადაწყვეტს, რომ ფანდორინმა ევროპული შთაბეჭდილებისგან განსჯის უნარი დაკარგა. მოსკოვში რომ გაგზავნოს წერილი? ეს შეიძლება, მაგრამ დაიგვიანებს.

როგორ მოვიქცეთ? როგორ მოვიქცეთ? როგორ მოვიქცეთ? დღეს აქაურულად ივნისის ბოლო დღეა. დღეს ამალია თავისი ივნისის ბუღალტერიას ქვეშ ხაზს გაუსვამს და პაკეტი წავა პეტერბურღში ნიკოლას კროოგთან. პირველი მოკვდება ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, დამსახურებული, ბავშვებიანი. ის იქვეა, პეტერბურღში, მანამდე ელვისუმალ მიაღწევენ. საკმაოდ სულელურია მათი მხრიდან – პეტერბურღიდან ლონდონში მოსწერონ, რათა ისევ პეტერბურღში მიიღონ პასუხი. კონსპირაციული ხარჯები. როგორც ჩანს, საიდუმლო ორდანიზაციის ფილიალებმა არ იციან, სად მდებარეობს მთავარი შტაბი. ანდა შტაბი ქვეყნიდან ქვეყანაში გადადის? ახლა პეტერბურღშია, ერთი თვის შემდეგ სადმე სხვაგან. თუ, შტაბი კი არა, ერთი ადამიანია? ვინ, კროოგი? ეს ძალიან მარტივი იქნებოდა, მაგრამ კროოგი პაკეტით უნდა დაიჭიროს. როგორ გააჩეროს პაკეტი? ვერანაირად. ეს შეუძლებელია.

სდექ. მისი გაჩერება შეუძლებელია, მაგრამ გასწრება შეიძლება! რამდენი დღე უნდება ფოშტას

პეტერბურდამდე?

შემდგომი მოქმედება თამაშდება რამდენიმე საათის გამოშვებით, ქალაქ ლონდონის აღმოსავლეთ-ცენტრალური საფომტო ოლქი დირექტორის კაბინეტში. დირექტორი თავმოქონილი გახლავსთ – ფანდორინი რუს კნიაზად წარუდგა – და ეძახის პრინცე-ს და Your Highness (კნიაზო, თქვენო აღმატებულებაჲ - ანლლ.), ტიტულებს დაუფარავი კმაყოფილებით წარმოთქვამს. ერასტ პეტროვიჩი ელეგანტურ სავიზიტო ფორმაშია, ტროსტით, ურომლისოდაც ნამდვილი პრინცი წარმოუდგენელია.

-ძალიან ვწუხვარ პრინცე, მაგრამ თქვენი სანამლეო წაგებული იქნება, - უკვე მერამდენედ უხსნის ფომტის უფროსი მიუხვედრელ რუსს, - თქვენი ქვეყანა წევრია შარშანწინ დაფუძნებული მსოფლიო საფომტო კავშირისა, რომელიც აერთიანებს 22 სახელმწიფოს 350 მილიონზე მეტი მოსახლეობით. ამ სივრცეზე ერთიანი რეგლამენტი და ტარიფები მოქმედებს. თუკი წერილი ლონდონიდან დღეს, 30 ივნისს არის გაგზავნილი, სასწრაფო საფომტო გზავნილობით, თქვენ მაშინ იმას ვეღარ გაასწრებთ –ზუსტად ექვსი დღის მერე, 6 ივლისს ის სანკ-პეტერბურლის ფომტაში იქნება. თუმცა, ექვსი კი არა, რა რიცხვი გამოდის თქვენი კალენდრით?

-რატომ იქნება ის, და მე ვერა? – ვერ გაუგია `კნიაზს~, - ჰაერით ხომ არ მიფრინდება! დირექტორი მედიდური სახით უხსნის:

-თუ იცით, თქვენო აღმატებულებაჲ, რომ პაკეტები შტემპლით `სასწრაფოდ~ წუთის დაყოვნების გარეშე იგზავნება. დავუშვათ, თქვენ ჩაჯექით ვატერლოოს ვოკზალში იმავე მატარებელში, რომლითაც სასწრაფო წერილი იგზავნება. დუვრში იმავე ორთქლმავალზე იქნებით. პარიზში, ჩრდილოეთის ვოკზალზე თქვენ ერთდროულად მოხვდებით.

-აბა, მაშ, რაშია საქმე?

-იმაში, - იმეორებს დირექტორი, - რომ არაფერია სწრაფი საჩქარო ფომტაზე! თქვენ ჩახვედით პარიზში და უნდა გადაჯდეთ ბერლინში მიმავალ მატარებელზე. ბილეთი უნდა იყიდოთ - წინასწარ ხომ არ შეგიკვეთიათ. საჭიროა, მოძებნოთ მეეტლე და მთელი ცენტრის გავლით მეორე ვოკზალზე მიხვიდეთ. უნდა დაუცადოთ ბერლინის მატარებელს, დღეში ერთხელ რომ გადის. ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს სასწრაფო წერილს. ჩრდილოეთის ვოკზალიდან ის სპეციალური საფომტო დრეზინით, საოლქო რკინისგზით, მიეწოდება პირველივე მატარებელს, მოძრავს აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს, შეიძლება, საგზაო მატარებელი არც იყოს, არამედ საბარგო საფომტო ვაგონით.

-მაგრამ მეც შემიძლია იგივე გავაკეთო! – აღზნებული წამოიძახებს ერასტ პეტროვიჩი. საფომტო საქმის პატრიოტი ამაზედ მკაცრად მიუგებს:

-შესაძლებელია, თქვენთან რუსეთში ასეთი რამ დასაშვებია, მაგრამ არა ევროპაში. ჰმ, დავუშვათ, ფრანგის მოსყიდვა კიდევ შეიძლება, მაგრამ ბერლინში გადაჯდომისას არაფერი გამოგივათ – გერმანიის საფომტო და სარკინიგზო ჩინოვნიკ-მოხელეები თავიანთი მოუსყიდველობით არიან სახელგანთქმულნი.

-ნუთუ, ყოველისფერი დაიკარგა? – რუსულად წამოიძახებს ბოლოს გულგატეხილი ფანდორინი

-უკაცრავად, რა ჰბრძანეთ?

-ესე იგი, თქვენ თვლით, რომ სანამლეო წავაგე? – უხალისოდ ეკითხება `კნიაზი~, ისევ რომ გადადის ანლიურზე.

-რომელ საათზე წავიდა წერილი? სხვათაშორის, მნიშვნელობა არა აქვს. აქედანვე რომ გავარდეთ ვოკზალზე, უკვე გვიანია.

ანლიური სიტყვები რუს არისტოკრატზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ.

-რომელ საათზე? აბა-და, რა თქმა უნდა, დღეს ჯერ კიდევ ივნისია! მორბიდი წერილს აიღებს მხოლოდ საღამოს ათზე! სანამ ის გადაწერს... დაშიფვრაც? პირდაპირ ესე ხომ ვერ გააგზავნის,

ღია ტექსტით? აუცილებლად დაშიფრავს, აბა, როგორ! ეს კი ნიშნავს, რომ პაკეტი მხოლოდ ხვალ წავა! და მოვა არა ექვსში, არამე შვიდში! ჩვენებურად ოცდახუთ ივნისს! ერთი დღის ფორა მაქვს!

-არაფერი მესმის, პრინცი, - ხელებს შლის დირექტორი, მაგრამ ფანდორინი კაბინეტში აღარ არის - მის უკან ახლახანს დაიკეტა კარი... მის კვალზე ისმის: - Yოურ ჰიგჰნესს, თქვენი ტროსტი!.. ოჰ, ეს რუსი ბოყარს.

და ბოლოს, ამ დიდშრომიანი, თითქოს ღრუბლითმოცული, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დღის საღამო. ლა-მანშის წყალი. ზღვაზე მოჩნს ივნისის ბოლო მზის ჩასვლა. ორთქლმავალ ჰერცოგ გლოსტერს~ კურსი დიუნკერტისკენ უჭირავს. კიჩოზე ფანდორინი დგას ჭეშმარიტი ბრიტივიტით – კეპში, კუბოკრულ კოსტიუმში და შოტლანდიურ წამოსასხამში. ის მხოლოდ წინ იყურება, ფრანგული ნაპირისკენ, მტანჯველად ნელა რომ ახლოვდება. დუვრის ცარცულ კლდეებს ერასტ პეტროვიჩმა ერთხელაც არ შეხედა. მისი ბაგეები ჩურჩულებენ: -მხოლოდ ხვალამდე დააგვიანოს გაგზავნა. მხოლოდ ხვალამდე.

მეცამეტე თავი, რომელშიც აღწერილია 25 ივნისს მომხდარი მოვლენები

ზაფხულის ცხელი მზე პეტერბურღის მთავარ ფოშტამტის საოპერაციო დარბაზის იატაკს მიმქრალ კვადრატებად ხატავდა. საღამოსთვის ერთმა მათგანმა გრძელ მართკუთხედად გადაქცევა დაიწყო და მიაღწია სარკმლთან წარწერით `კორესპონდენცია მოთხოვნამდის~ და მაშინვე გაათბო დასაყრდენი. ჩაიხუთა და ძილის მომგვრელი გახდა დარბაზი, მშვიდობიანად ზუზუნებდა ბუზი და სარკმლის მიღმა მდგარი თანამშრომელი.....მოითენთა - კიდეც კარგი, მომსვლელთა ნაკადი ნელ-ნელა შეთხელდა. კიდეც ნახევარი საათი და ფოშტამტის კარი დაიკეტება, მერე აღრიცხვის წიგნს ჩააბარებს და შეიძლება შინისკენ. მოსამსახურემ (სხვათაშორის, მოვიხსენიოთ იგი სახელით კონდრატი კონდრატიევიჩ შტუკინი, ჩვიდმეტის წლის ნამსახურეობა საფოშტო უწყებაში, დიადი გზა უბრალო ფოშტალიონიდან კლასიან წოდებამდინ) მისცა რეველიდან მოსული ბანდეროლი სქელ ფინლანდიელსა თუ კურლანდიელ ქალბატონს, სასაცილო გვარით `პირვა~-ს და გაჰხედა, ისევ ზის თუ არა ანდლიელი.

იჯდა ანდლიელი, არსადაც არ დაკარგულა. აი, ჯიუტი ერი, სწორედ დილიდან გამოჩნდა, ახალგახსნილი გახლდასთ ფოშტამტი, და ისე დაჯდა გაზეთით კედელის მახლობლად, მთელი დღე ესე იჯდა, არა სვამდა, არა სჭამდა და, პარდონ, საჭირო საქმეზეც ერთხელაც არ გასულა. ჰალალად კერპია, გამომტერებული. ეტყობა, აქ ვიღაცამ შეხვედრა დაუნიშნა, მაგრამ არ მოვიდა - ჩვენთან ეს რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ ხდება, ბრიტანელი ვერ ხვდება, დიციპლინიანი ხალხია, პუნქტუალური. როცა ვინმე, განსაკუთრებით, უცხოელის შეხედულებისა, მოდის სარკმელთან, ყველა იმათთან ანდლიელი მიდიოდა და ციფერ სათვალეებს ცხვირის წვერამდე იწევდა. მაგრამ ყოველთვის სხვა გამოსდგებოდა ხოლმე. ჩვენებური აქამდის აღმოფოთდებოდა, ხელების ქნევას მოჰყვებოდა, ყველას შესჩივლებდა გარეშემო, ეს კი ჩაერგო თავის `ტაიმში~ და ზის.

ანდა, შესაძლოა, წასასვლელი არსად არა აქვს. პირდაპირ ვოკზალიდან მოვიდა - აი, კოსტიუმიც სამგზავრო აცვია, კუბოკრული, და საკვოიაჟით არის – ფიქრობდა, შემხვდებიან, თუმცა არ მოვიდნენ. რა უნდა გააკეთოს? სადილობიდან დაბრუნებული კონდრატი კონდრატიევიჩს შეებრაღა ალბიონის შვილი, შვეიცარი ტრიფონი მიუგზავნა საკითხავად – ხომ არაფერი უნდა, მაგრამ კუბოკრულმა წყენით გადაიქნია თავი და ტრიფონს აბაზიანი ჩაუდო: დამეხენიო. კარგი,

როგორც გინდოდეს.
 სარკმელთან კაცუნა გამოჩნდა, შეხედულებით მეეტლე, შეუცურა დაჭმუჭნული პაშპორტი:
 -ერთი ჰნახე, ძვირფასო ჰადამიანო, რამე ხომ არ არის კრუგის, ნიკოლ მიტროფანიჩის
 სახელზე?
 -საიღამ უცდით? – მკაცრად შეკითხა კონდრატი კონდრატიევიჩი, პაშპორტი აიღო.
 პასუხი მოულოდნელი გახლდათ:
 -ანლიიღამ, ქალაქ ლონდონიღამ.
 ყველაზე საოცარი ის იყო, რომ წერილი მოიძებნა – მხოლოდ `კ~-ზე კი არა, არამედ ლათინურ
 `ჩ~-ზე. შეხედე ერთი, `Mr. ნიკოლას M. ჩროოგ~ მოიძებნა! რას აღარ ჰნახავ მოთხოვნამდის
 წერილების გაცემისას.
 -მაგრამ ეს ნამდვილად შენა ხარ? – არა იმდენად ეჭვით, რამდენადაც ცნობისმოყვარეობით
 შეეკითხა შტუკინი.
 -მე ვარ, ეჭვიც არ შეგეპაროთ,-საკმაოდ უხეშად მიუგო მეეტლემ, სარკმელში თავისი ტორი
 შეჰყო და ყვითელ პაკეტს წასწვდა სასწრაფოს შტამპ-ბეჭდით.
 კონდრატი კონდრატიევიჩმა აღრიცხვის წიგნი გამოუცურა.
 -ხელის მოწერა შეგიძლიანთ?
 -არავისზე ნაკლებ. – და თავხედმა `მიღებულისა~ გრაფაში რაღაც ხის ტოტი დასვა.
 უსიამოვნო მომსვლელი გაბრაზებული მზერით რომ გააცილა, შტუკინი ჩვეულებრივ
 ანლიელისკენ მიტრიალდა, მაგრამ ის გამქრალიყო. ეტყობა, ლოდინით გადაიღალა.

ერასტ პეტროვიჩი გულ-გაყუჩებით ელოდა მეეტლის ქუჩაში. ესეც შენი ნიკოლას კროოგი! რაც
 უფრო წინ მივდივართ, მით უფრო გაუგებარი ხდება. მაგრამ მთავარია, რომ ექვსდღიანმა მარშ-
 გაჭრამ მთელს ევროპაზედ უქმად არ ჩაუარა! გაასწრო, დაეწია, დაიჭირა! ეხლა კი ექნება
 შეფისთვის წარსაგენი. მხოლოდ ეს კრუგი არ უნდა გაუშვას.
 ტუმბოსთან სთვლემდა მთელი დღით დაქირავებული მეეტლე. მთლანად გამოჰკოტდა
 იძულებითი უსაქმურობით და ძალიან იტანჯებოდა, რომ ამ ახირებულ ბატონს მხოლოდ
 ხუთი რუბლი გამოართვა – ესეთი წვალებისთვის შეიძლებოდა ექვსი აედო. ბოლოს, გამოსული
 მგზავრი რომ დაინახა, მეეტლე გამოცოცხლდა და სადავეები აკრიფა, მაგრამ ერასტ პეტროვიჩს
 იმის მხარეს არც გაუხედავს.
 გამოჩნდა ობიექტი. დაეშვა საფეხურებზე, დაიხურა ლურჯი ფურაჟი და შორიანლოს
 გაჩერებული კარეტისკენ გასწია. ფანდორინი აუჩქარებლად გაჰყვა. კარეტასთან ობიექტი
 გაჩერდა, ისევ მოიძრო ფურაჟი და თავის დაკვრით გაუწოდა ყვითელი პაკეტი. ფანჯრიდან
 მამაკაცის ხელი გამოიწია თეთრ ხელთათმანში და პაკეტი აიღო.
 ფანდორინი აჩქარდა, უცნობის სახე რომ დაინახა და მოასწრო.
 კარეტაში შემოსულ შუქზე სიასამურის ხელთათმანებს დასცქეროდა მწითურთმიანი, მწვანე
 თვალებიანი და გაფითრებულ სახეზე ჭორფლდაყრილი. ერასტ პეტროვიჩმა მაშინვე ამოიცილა -
 აბა, როგორ, მისტერ ჯერალდ კანინგემი საკუთარი პერსონით, ბრწყინვალე პედაგოგი,
 ობოლთა მეგობარი და ლედი ესტერის მარჯვენა ხელი.
 გამოდიოდა, რომ მეეტლე ტყუილუბრლოდ იმტვრევდა ენას – მისტერ კანინგემის მისამართის
 გაგება ძნელი არ არის. ჯერ კი უფრო მეტად საჩქარო საქმე ჰქონდა.
 კონდრატი კონდრატიევიჩს სურპრიზი ელოდა: ანლიელი დაბრუნდა. ახლა ის საშინლად
 ჩქარობდა. დეპეშების მისაღებ პუნქტთან მიიბრინა, თავი შეჰყო სარკმელში და მიხაილ
 ნიკოლაიჩს რაღაც ძალიან სასწრაფოს კარნახი დაუწყო. და მიხაილ ნიკოლაიჩიც როგროლაც
 ძან დაფაცურდა, აჩქარდა, რაც, ზოგადად, არ იყო იმისთვის დამახასიათებელი.
 შტუკინს ცნობისმოყვარეობამ შემოუტია. ადგა (კეთილი, მომსვლელები არ იყვნენ) და თითქოს
 სეირნობით, დარბაზის მეორე მხარისკენ გასწია, ტელეგრაფის აპარატისკენ. ყურადღების

მოკრეფით გასაღებით მომუშავე მიხაილ ნიკოლაიჩის შორიახლოს შეჩერდა, ცოტა გადაიწია და წაიკითხა სასწრაფოდ გაფხაჭნილი: `მოსკოვის პოლიციის სამმებრო სამმართველოს. უკიდურესად საჩქაროდ. სამოქალაქო მრჩეველს, ბატონ ბრილინგს. დავბრუნდი. გხოვთ, დაუყოვნებლივ დამიკავშირდეთ. პასუხს აპარატთან ვუცდი. ფანდორინი~. აჰა-და, აი, თურმე რა ყოფილა. ეხლა გასაგებია. შტუკინმა `ანდლიელს~ ახლებურად შეჭხედა. ჩუმათ-მამებარია, ესე იგი. ყაჩაღ-ჰავაზაკებს იჭერს. აბა. აბა. აგენტი Aათ წუთამდე დადიოდა დარბაზში, მეტი არა, ხოლო მიხაილ ნიკოლაიჩმა, აპარატთან სალოდინოთ დარჩომილმა, უკვე მისცა ხელით ნიშანი და გაუწოდა საპასუხო დეპეშის ლენტი. კონდრატი კონდრატიევიჩიც იქვე ფანდორინთან გაჩნდა და პირდაპირ ლენტიდან წაიკითხა: `ბატონ ფანდორინს, ბატონი ბრილინგი იმყოფებოდა სპბ-ში. მისამართი: კატენინის ქუჩა, სივერსის სახლი. მორიგე მოხელე ლომეიკო~. ამ განცხადებამ რატომღაც ძალიან გაახარა კუბოკრულიანი. მან ტაშიც შემოჰკრა და ინტერესით მიჩერებულ შტუკინს შეეკითხა: -კატენინის ქუჩა სადაა? შორია? -არანაირად არა-ს-თ, - თავაზიანად მიუგო კონდრატი კონდრატიევიჩმა,- აქვე მეტად მოსახერხებლად. სამარშრუტო კარეტაზედ დაბრძანდისთ, ნევსკის და ლიტეინის კუთხეში ჩამოხტისთ, მერე კი... -არაუშავს, მეეტლე მყავს, - ბოლომდე აღარ მოუსმინა აგენტმა და საკვოიაჟის ქნევით გასასვლელისკენ გაიქცა.

კატენინის ქუჩა ერასტ პეტროვიჩს ძალიან მოეწონა. იგი სწორედ ისე გამოიყურებოდა, როგორც ბერლინის და ვენის რესპექტაბელური ქუჩები: ასფალტი, უახლესი ელექტრონული ფანარები, სოლიდური სახლები - რამდენიმე სართულიანი. ერთი სიტყვით, ევროპა. სივერსის სახლი ქვის რაინდებით ფრონტონზე და კარგად განათებული, - მიუხედავად ჯერ კიდევ საღამოსი, - სადარბაზოთი განსაკუთრებულად საუცხოვო იყო. აბა, სხვაგან სად უნდა ცხოვრობდეს ისეთი კაცი, როგორც ივან ფრანცევიჩ ბრილინგია? სრულიად Eშეუძლებელი იყო წარმოგედგინა იგი მცხოვრებად რომელიმე ძველი სახლისა მტვრიანი ეზოთი და ვაშლის ბაღით.

დაუზარელმა შვეიცარმა დაამშვიდა ერასტ პეტროვიჩი, უთხრა, რომ ბატონი ბრილინგი შინ არის. `ხუთი წუთია, რაც დაბრუნდასთ~. დღეს ძან უმართლებდა ფანდორინს, ყოველისფერი გამოსდიოდა ორ-ორ საფეხურზე ახტომით აფრინდა მეორე სართულზე და ოქროს ელვარებამდე გაპრიალებული ელექტრული ზარი დარეკა. კარი თავად ივან ფრანცევიჩმა გააღო. ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გამოცვლა, მხოლოდ სერთუკი გაეხადა, მაგრამ მაღალი, გახამებული საყელოს ქვეშ უბრწყინავდა ცისარტყელისებური მინანქარი ახალმოღებული ვლადიმირის ჯვრისა. -შეგ, ეს მე ვარ! - სიხარულით გამოაცხადა ფანდორინმა, ეფექტით ტკბებოდა. ეფექტმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ივან ფრანცევიჩი პირდაპირ გაქვავდა და ხელებიც გაიქნია, თითქოს უნდა ეთქვა: `წმინდაო, წმინდაო! განვედ, სატანავ!~ ერასტ პეტროვიჩს გაეცინა: -მითამ რაო, არ მელოდით? -ფანდორინ! მაგრამ საიდან? მე აღარ ველოდი თქვენს ცოცხლად ნახვას! -რატომ? - არცთუ თავმოწონების გარეშე დაინტერესდა მოგზაური. -აბა, როგორ!.. თქვენ უკვალოდ გაჰქრით. ბოლოს პარიზში გნახეს ოცდაექვსში. ლონდონში არ

ჩასულხართ. პიჟოვი მოვითხოვე – მეუბნებიან, უგზო-უკლოდ დაიკარგა, პოლიცია ეძებს. -მე ლონდონიდან შესაბამისი წერილი გაახლეთ მოსკოვის სამმებროს მისამართზედ. იქ პიჟოვზეცაა და ყველა დანარჩენებზეც. ალბათ, დღეს-ხვალ ჩამოვა. მე ხომ არ ვიცოდი, რომ თქვენ

პეტერბურღში ხართ.
შეფი შეწუხებულად შეიჭმუნა:
-სახეზე ფერი აღარ გაძევთ, ცუდად ხომ არ ხართ?
-სწორედ მოგახსენოთ, საშინლად მშია. მთელი დღე ფოშტაში ვდარაჯობდი, პირში ხემსი არ ჩამსვლია.

-ფოშტაში სდარაჯობდით? არა-არა, არ მომიყვეთ. ჩვენ ასე მოვიქცევით. თავიდან ჩაის და ღვეზლებს მოგცემთ. ჩემმა სემიონმა, ამ გაიძვერამ, მესამე დღეა სმა გადააბა, ასე რომ მარტოკა ვმზარეულობ. ვიკვებები ძირითადად კონფეტებითა და ფილიპოვის ღვეზლებით. თქვენ ხომ გიყვართ ტკბილი?

-ძალიან, - ფიცხლად დაუდასტურა ერასტ პეტროვიჩმა.

-მეც. ეს ჩემში ობოლი ბავშვობიდან ჩამრჩა. და არაუშავს სამზარეულოში, ღარიბულად? სანამ ისინი დერეფანში მიდიოდნენ, ფანდორინმა მოასწრო შემჩნევა, რომ ბრილინგის ბინა, თუმცა ძალიან დიდი არ არის, მოწყობილია ძალზე პრაქტიკულად და რიგიანად – ყოველისფერი აუცილებელი, მაგრამ არაფერი ზედმეტი. ახალგაზრდა კაცი განსაკუთრებით დაინტერესა კედელზე დაკიდულმა ყუთმა ორი შავი მეტალური მილით.

-ეს თანამედროვე მეცნიერების ნამდვილი საოცრებაა, - აუხსნა ივან ფრანცევიჩმა – `ბელის აპარატი~ ჰქვია. ახლახანს ჩამოიტანეს ამერიკიდან, ჩვენი აგენტიდან. იქ არის ერთი გენიალური გამომგონებელი, მისტერ ბელი, რომლის მეოხებით ახლა ლაპარაკი შეიძლება მნიშვნელოვანი დაშორებით, რამდენიმე ვერსის ჩავლით. ბგერა სადენებით გადაეცემა ტელეგრაფის მსგავსად. ეს გამოსაცდელი ნიმუშია, აპარატების წარმოება ჯერ არ დაუწყიათ. მთელ ევროპაში მხოლოდ ორი ხაზია: ერთი გაყვანილია ჩემი ბინიდან მესამე განყოფილების უფროსის სამდივნომდე, მეორე დაყვენებულია ბერლინში კოზერის კაბინეტსა და ბისმარკის კანცელარიას შორის. ასე რომ, პროგრესს არ ჩამოვრჩებით.

-ბარაქალა! – აღფრთოვანდა ერასტ პეტროვიჩი, - და კარგად ისმის?

-არც ისე, მაგრამ გარჩევა შეიძლება. ხანდახან მიღში ძლიერი ხრიალია... და ჩაის მაგიერ ორინჯის წვენი ხომ არ გირჩევიან? მე არცთუ დიდი წარმატებითა ვმართავ სამოვარს.

-მირჩევია და მერე როგორ,- დაარწმუნა შეფი ერასტ პეტროვიჩმა და ბრილინგმა, როგორც კეთილმა ჯადოქარმა მის წინ, სამზარეულოს მაგიდაზედ გადმოფინა ფორთოხლის ლიმონათის ბოთლი და ლანგარი, რომელზედაც ეწყო ეკლერები, კრემიანი კალათები, ჰაეროვანი მარციპანები და ნოყიერი ნუშის ხვეულები.

-შესანსლეთ, - თქვა ივან ფრანცევიჩმა,- მე კი მანამდე ჩვენებური საქმეების ვითარებაში შეგიყვანოთ. მერე თქვენი აღსრების ჯერი დადგება.

ფანდორინმა თავი დაუქნია გავსებულ პირით, ნიკაპზე შაქრის ფხვნილი ეყარა.

-მამ, ასე, - დაიწყო შეფმა,- რამდენადაც მახსოვს, თქვენ პეტერბურღში წახვედით დიპლომატიური ფოშტისთვის ოცდაშვიდ მაისს? ამის შემდეგ, მაშინვე, აქ ჩვენთან საინტერესო მოვლენები დაიწყო. ვინანე, თქვენ რომ გაგიშვით - თითოეული კაცი აღრიცხვაზე იყო. მე შევძელი აგენტურიდან გამეგო, რომ მოსკოვში გარკვეული ხანია შეიქმნა პატარა, მაგრამ განსაკუთრებულად აქტიური ჯგუფი რევოლუციონერ-რადიკალებისა, არსებითად უგნურებისა. თუკი ჩვეულებრივი ტერორისტების ამცანაა ამოწყვეტა `სისხლში ხელებგაწითლებულთა~, რომლ არს უმაღლესი სახელმწიფო წარმოჩინებულნი, ამათ გადაწყვიტეს `მღალადებლების და საზეიმოდ მოლაყბებისთვის~ მიეხედათ.

-ვისთვის-ვისთვის? – ვერ გაერკვა უზენაესი ეკლერით გატაცებული ფანდორინი.

-ნეკრასოვის ლექსიდან: `მღალადებელთა, მოზეიმე ყბედთა, სისხლში ხელებგაწითლებულთა

წყევლას მომაცილე. მომამორე სიყვარულის დიად საქმისთვის მომაკვდავთა ქვეყნად~. ჰოდა, აი, `სიყვარულის დიად საქმისთვის~ ჩვენმა მომაკვდავებმა სპეციალობები გაიყვეს. მეთაურ ორდანიზაციას შეხვდა `გაწითლებულები~ – მინისტრები, გენერლები, გუბერნატორები. ხოლო ჩვენმა მოსკოვურმა ფრაქციამ გადაწყვიტა `მლაღდებელთათვის~ მიეხედა, ისინი ხომ `მსუქნები და გამამღარნი~ არიან. ასე შევძელით ჯგუფში ჩანერგილი აგენტით გაგვეგო, რომ ფრაქციამ დაირქვა სახელი `აზაზელი~ – ღვთისმებრძოლ მარჯვეთაგან. დაგეგმილი იყო მკვლელობათა მთელი რიგი ოქროს ახალგაზრდობას - `პარაზიტებს~ და `დარდიმანდებს~ შორის. `აზაზელს~ ემხრობოდა ბეჟეცკაიაც, ყველაფერის მიხედვით, საერთაშორისო ანარქისტული ორდანიზაციის ემისარი. მისგან ორდანიზებული პეტრე კოკორინის თვითმკვლელობა, სინამდვილეში თვითმკვლელობა `აზაზელის~ პირველი აქცია იყო. ისე, ბეჟეცკაიაზე, იმედი მაქვს, კიდევ მიაბობთ. მომდევნო მსხვერპლი ახტირცევი გახდა, რომელიც შეთქმულებას კოკორინზე მეტად აინტერესებდა, იმიტომ რომ კანცლერის შვილიშვილი იყო: კნიაზ კორჩაკოვისა. აი, ხედავთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ტერორისტთა ჩანაფიქრი უგნური იყო, მაგრამ იმავდროულად, ეშმაკისეულად გამოთვლილი. მათ იანგარიშეს, მნიშვნელოვან პირთა შთამომავლობამდე უფრო ადვილია მიღწევა, ვიდრე თვით ამ პირებამდე, ამასთან დარტყმა სახელმწიფო მონარქიაზე არანაკლები სიმძლავრისა გამოდის. კნიაზი მიხაილ ალექსანდროვიჩი, მაგალითად, ისეთი მკვდარია შვილიშვილის გარდაცვალებით, რომ თითქმის ჩამოეცალა საქმეებს და სერიოზულად ფიქრობს გადადგომაზე. ეს ხომ დამსახურებული კაცია, რომელმაც ბევრად განსაზღვრა თანამედროვე რუსეთის იერი. -რამხელა ბოროტებაა! – აღშფოთდა ერასტ პეტროვიჩი და ნახევრად შეჭმული მარციპანი გადააგდო.

-როცა მე შევძელი გამეგო, რომ `აზაზელის~ მოღვაწეობის საბოლოო მიზანს შეადგენდა უფლისწულის მოკვდინება...

-შეუძლებელია!

-სამწუხაროდ, შესაძლებელია. ჰოდა, როცა ეს გაცხადდა, მე მივიღეE მითითება, გადავსულიყავი გადამწყვეტ მოქმედებაზე. დამორჩილება მომიხდა, თუმცა მე ვირჩევდი წინასწარ მთლიანად გამენათებინა სურათი. მაგრამ, თავადაც გესმით, როცა სასწოროზე დადებულია სიცოცხლე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა... ოპერაცია ჩავატარეთ, მაგრამ არც ისე მარჯვედ გამოგვივიდა. პირველ ივლისს ტერიტორიებს შეკრება ჰქონდათ დანიშნული კუზმინკების აგარაკზე. გახსოვთ, მე მოგიყევით ამაზე? თუმცა, თქვენ, თქვენი იდეით იყავით გატაცებული. მერე, რა ჰქენით? მოსინჯეთ რამე? ერასტ პეტროვიჩმა ამოიზმუვლა გამოტენილი პირით, კრემიანი ხვეულას ლუკმა დაუღებავად ჩაყლაპა, მაგრამ ბრილლინგს მოერიდა:

-კარგი-კარგი, მერე. ჭამეთ. ჰოდა. ჩვენ შემოვერტყით აგარაკს ყოველის მხრიდან. მოქმედება მომიწია მხოლოდ ჩემს პეტერბურგელ აგენტებზე დაყრდნობით, არ ჩამირთავს მოსკოვის ჟანდარმერია და პოლიცია. –ივან ფრანცევიჩმა ბრაზით ამოისუნთქა. – აქ ჩემი დანაშაულია, მეტისმეტად ვიფრთხილე. მთლიანობაში, ხლახის უკმარისობის გამო, რიგიანი აყვანა არ გამოვიდა. სროლა ატყდა. ორი აგენტი დაიჭრა, ერთი მოკლულია. ვერასოდეს ვაპატიებ საკუთარ თავს... ცოცხალი ვერავინ ავიყვანეთ, ჩვენ ოთხი გვამი გვერგო. ერთი აღწერილობით თქვენს თეთრთვალას ჩამოჰგავს. თვალები, როგორც ასეთი, სხვათაშორის, იმას არც დარჩა – ბოლო ტყვიით თქვენმა ნაცნობმა ნახევარი თავის ქალა აიხადა. სარდაფში აღმოვაჩინეთ ლაბორატორია ჯოჯოხეთის მაშინების საწარმოებლად, რაღაცა ქაღალდები, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, `აზაზელის~ გეგმებზე და კავშირებზე ბევრი დაგვჩა გაუგებარი. ვშიშობ, გადაუჭრელიც... ამის მიუხედავად, ხელმწიფემ, კანცლერმა და ჟანდარმთა კორპუსის შეფმა დიდად შეაფასეს ჩვენი მოსკოვური ოპერაცია. მე ლავრენტი არკადიევიჩს თქვენზეც ვუამბე. მართალია, თქვენ არ მონაწილეობდით ფინალში, მაგრამ ძალიან დაგვეხმარეთ გამოძიების

მსვლელობისას. თუკი წინააღმდეგი არ იქნებით, შემდგომშიც ერთად ვიმუშავებთ. თქვენს ბედს ჩემს ხელში ვიღებ... მომაგრდით? ახლა თქვენ მოყევით. რა მოხდა ლონდონში? შეძლეთ თუ ვერა ბეჟეცკაიას კვალზე გასვლა? რა ეშმაკები დაემართა პიჟოვს? მოკლულია? და თანამიმდევრობით, მიყოლებით, არაფერი გამომიტოვოთ. რაც უფრო უახლოვდებოდა დასასრულს შეფის მოთხრობა, მით მეტი შურით იწვოდა მხერა ერასტ პეტროვიჩისა და საკუთარი თავგადასავლები, რომლებითაც ახლახანს ჯერ კიდევ ასე ამაცობდა, ელვარებას ჰკარგავდნენ და ჰქრებოდნენ მის თვალეში. ხელის აღმართვა უფლისწულზე! სროლა! ჯოჯობეთის მაშინა! ბედისწერამ ბოროტად იხუმრა ფანდორინზე, დიდებით მოხიბლა და მაგისტრალური ტრაქტიდან, ანუ მე ლათინურად `ფართო გზიდან~ მიყრუებულ დასახლებაში გადაიტყუა... და მაინც გამოწვლილვით გადასცა ივან ფრანცევიჩს თავისი ეპოპეა. მხოლოდ იმ გარემოებებზე, რომელთა დროსაც დაკარგა ცისფერი პორტფელი, რამდენადმე ბუნდოვნად მოჰყვა და ცოტა-ცოტა გაწითლდა კიდევაც, რაც, ეტყობა, ბრილინგის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, მოთხრობას მდუმარედ და პირქუშად რომ უსმენდა. კვანძის გახსნისას ერასტ პეტროვიჩი სულით აენტო, გამოცოცხლდა და ეფექტურობისგანაც ვერ შეიკავა თავი. -და მე დავინახე ეს კაცი! - წამოიყვირა მან, პეტერბურლის ფოქტამდის სცენამდე რომ მივიდა, - მე ვიცი, ვის ხელშია პორტფელის შიგთავსი, და ორდანიზაციის ყველა ძაფები! `ახაზელი~ ცოცხალია, ივან ფრანცევიჩ, მაგრამ ჩვენს ხელშია! -ჰოდა, სთქვით, ეშმაკმაც წაიღოს! - დაიყვირა შეფმა. - საკმარისია ბავშვობა! ვინ არის ეს კაცი? სად არის? -აქ, პეტერბურლში, - რევანშით სტკებოდა ფანდორინი, - ვინმე ჯერალდ კანინგემი, მთავარი თანაშემწე სწორედ იმ ლედი ესტერისა, რომელზედაც მე არაერთხელ მიმიქცევია თქვენი ყურადღება, - აქ ერასტ პეტროვიჩმა დელიკატურად ჩაახველა, - და კოკორინის ანდერმიც აიხსნება. ახლა გასაგებია, თუ რატომ მიაბრუნა ბეჟეცკაიამ თავისი თავყვანისმცემლები სწორედ ესტერნატებისკენ. და ნახეთ, როგორ მოეწყო ეს მწითური! როგორი საფარველია, ჰა? ობლები, ფილიალები მთელ მსოფლიოში, ალტრუისტი პატრონესა, რომლის წინაშე ყველა კარი ღიაა. მოხერხებლია, ვერაფერს იტყვი. -კანინგემი? - მღელვრებით ჩაეკითხა შეფი. - ჯერალდ კანინგემი? მაგრამ მე კარგად ვიცნობ ამ ბატონს, ჩვენ ერთ კლუბში ვართ. - მან ხელები გაშალა. - სინამდვილეში, მართლაც, დაკავებული სუბიექტია, თუმცა ვერ წარმომიდგენია, რომ ის დაკავშირებული იყოს ნიდილისტებთან და ნამდვილ სამოქალაქო მრჩევლებს ხოცავდეს. -ჰო, არ მოუკლავს, არ მოუკლავს! - წამოიყვირა ერასტ პეტროვიჩმა, - ეს თავიდან მეგონა, რომ სიაში მსხვერლთაA სახელებია. გითხარით, როცა ჩემს ფიქრთა მდინარებაზე მოგახსენებდით. სიჩქარეში ყველაფერს ვერ წარმოიდგენ. და გაითვალისწინებ. და მერე, როცა მატარებლებით მთელს ევროპაზედ ვინჯღრეოდი, უცებ დამარტყა! თუკი ეს მომავალ მსხვერპლთაA სიაა, მაშინ თარიღები რატომღაA უზის? თან რიცხვები ყველა ჩავლილია! არ ეწყობა! არა, ივან ფრანცევიჩ, აქ სხვაა! ფანდორინი სკამიდანაც წამოხტა - ისეთი ციებ-ცხელება მოუვიდა აზრებისგან. -სხვა? რა სხვა? - ნათელი თვალები მიაბჯინა ბრილინგმა. -ვფიქრობ, ესაა მძლავრი საერთაშორისო ორდანიზაციის წევრთა სია. ხოლო თქვენი მოსკოველი ტერორისტები - მხოლოდ პატარა, სულ ნამცევა იმათი რგოლი. - ამ სიტყვებზე შეფს ისეთი სახე გაუხდა, რომ ერასტ პეტროვიჩმა უღირსი, ნიშნის მომგები ღვარძლიანობა იგრძნო - გრძნობა, რომლისაც დაუყოვნებლივ შერცხვა. - ცენტრალური ფიგურა ორდანიზაციაში, რომლის მთავარი მიზანი ჩვენთვის ჯერ უცნობია - ჯერალდ კანინგემია. ჩვენ ის ორივემ ვნახეთ, ეს საკმაოდ ჩვეულებრივი ბატონია. `მის ოლსენი~, რომლის როლს ივნისის თთვიდან ასრულებს ამალია ბეჟეცკაია, - ეს ორდანიზაციის სარელისტრაციო ცენტრია, რაღაც მსგავსი

კადრების სამმართველოსი. იქ მთელი მსოფლიოდან იკრიბება თანამეგობრობის წევრთა სამსახურეობრივი მდგომარეობის ცვლილებები. `მის ოლსენი~ რეგულარულად, თვეში ერთხელ, ახალ ცნობებს უგზავნის კანინგემს, რომელიც გასულ წლიდან დასახელდა პეტრბურღში. უკვე გითხარით, რომ ბეჟეცკაიას საძინებელში საიდუმლო სეიფი აქვს. ნამდვილად, იქ ინახება სწორედ ამ `აზაზელის~ წევრთა სიები – ეტყობა, ორღანიზაციას მართლა ასე ჰქვია. ანდა ეს იმათი ლოზუნგია, რაღაც შელოცვის მსგავსი. მე ეს სიტყვა ორჯერ მოვისმინე და ორჯერვე იმის წინ, როცა მკვლელობა უნდა ჩაედინათ. მთლიანობაში ეს მასონურ ორღანიზაციას მიაგავს, მხოლოდ გაუგებარია, რა შუაშია აქ დაცემული ანგელოზი. გაქანება, სხვათაშორის, უფრო ფართო აქვთ, ვიდრე მასონებს, თქვენ მხოლოდ წარმოდგინეთ – ერთ თვეში ორმოცდახუთი წერილი! და როგორი ხალხი - სენატორი, მინისტრი, ღენერლები. შეფი მოთმინებით უყურებდა ერასტ პეტროვიჩს, გაგრძელებას ელოდა, რამეთუ ახალგაზრდა კაცს ნამდვილად არ დაუსრულებია თავისი სიტყვა – შუბლი შეიჭმუნა. რაღაცაზე დამაბული ფიქრობდა.

-ივან ფრანცევიჩ, მე კანინგემზე ვფიქრობ... ის ხომ ბრიტანეთის ქვეშევრდომია, იმასთან ესე, უბრალოდ, Eჩხრეკვის მიზნით ვერ შეიხედავ. სწორია?

-ვთქვათ,- გაამხნევა ფანდორინი შეფმა, - განაგრძეთ.

-სანამ თქვენ სანქციას მიიღებთ, პაკეტს ისე გადამალავს, ვერაფერს ვიპოვნით და ვერაფერს დავუმტკიცებთ. კიდევ უცნობია, რა კავშირები აქვს ზედა სფეროებში და ვინ გამოექომაგება. აქ, მგონი, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე. ჯერ იმის რუსულ ჯაჭვს უნდა ჩავეჭიდოთ, რგოლ-რგოლად უნდა გამოვარჩიოთ, არა?

-და როგორ გავაკეთოთ ეს? – ცოცხალი ინტერესით შეეკითხა ბრილლინგი,- გამოუცხადებელი თვალთვალის მეშვეობით? ჭკვიანურია.

-შეიძლება, თვალთვალის, მაგრამ, მეჩვენება, რომ უფრო მართებული საშუალებაც არის. ივან ფრანცევიჩმა ცოტა იფიქრა და ხელები გაშალა, თითქოს დანებდა. გულმოცემულმა ფანდორინმა ტაქტიკურად მიანიშნა:

-ხოლო ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ამ წოდებაზე დანიშნული შვიდ ივნისს?

-უმალესი ბრძანებების წარმოების მიხედვით შევამოწმოთ? – შუბლზე ხელი შემოირტყა ბრილლინგმა. – ვთქვათ, ივნისის პირველ დეკადაში? ბრავო, ფანდორინ, ბრავო!

-რასაკვირველია, შეფ. თან მთელი დეკადისთვის კი არა, მხოლოდ ორშაბათიდან შაბათამდე, სამიდან რვამდე. არა მგონია, ახალგამომცხვარ ღენერალს უფრო მეტად გაეწეა ეს სასიხარულო ცნობა. ბევრი სამოქალაქო მრჩეველი გვევლინება ჩვენს იმპერიაში ერთ კვირაში?

-შესაძლოა, ორი-სამი, თუ მოსავლიანი კვირაა. სხვათაშორის, არ დავინტერესებულვარ.

-ჰოდა, აი, ყველა ამათზე დავადგინოთ მეთვალყურეობა, შევამოწმოთ სამსახურეობრივი ჩანაწერები, ნაცნობთა წრე და სხვა. ჰოდა, ჩვენს ძვირფას `აზაზელს~ გამოვთვლით.

-მაშ, ამბობთ, რომ თქვენგან ამოღებული ცნობები ფოშტით არის გაგზავნილი მოსკოვის სამძებროში?- თავისი მუდმივი ჩვეულებით აცდენილად შეეკითხა ბრილლინგი.

-დიახ, შეფ. დღეს არა, ხვალ პაკეტი... დანიშნულების ადგილზე მოვა. მითამ რაო, თქვენ მოსკოვის პოლიციის ვინმე მოხელეს გულისხმობთ? მე მომეტებული მნიშვნელობისთვის კონვერტზე დავაწერე: `მის კეთილშობილებას სამოქალაქო მრჩეველს ბრილლინგს პირადად ანთუ, მისის არყოფნის შემთხვევაში, მის აღმატებულებას ბატონ ობერ-პოლიციეიმეისტერს~. ასე რომ, ბეჭდის გატეხვას ვერ გაბედავენ. ხოლო თუკი ობერ-პოლიციეიმეისტერმა წაიკითხა, ალბათ, სწორედ თქვენ დაგიკავშირდებათ.

-ჭკვიანურია, - გაამხნევა ივან ფრანცევიჩმა და კარგა ხანს გაჩუმდა, კედელს მისჩერებოდა. სახე უფრო და უფრო ეღრუბლებოდა და ექუფრებოდა. იჯდა სუნთქვაშეკრული ერასტ პეტროვიჩი, იცოდა, რომ შეფი მოსმენილის აწონ-დაწონვაშია და ეხლა იმ გადაწყვეტილებას გამოუცხადებს, რომელიც გასული დროის მიხედვით, დიდის

წვალებით მიიღო.
 ბრილინგმა ხმაურით ამოისუნთქა, მწარედ გაუცინა რაღაცას.
 -კარგი, ფანდორინ, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. არის სნეულებანი, რომელთა გამოჯანმრთელებაც მხოლოდ ქირურგიული ოპერაციით შეიძლება. ჩვენც ასე მოვიქცევით. საქმე მნიშვნელოვანია, სახელწიფო, ხოლო ასეთ შემთხვევაში უფლება მაქვს ფორმალურობებით არ დავიმძიმო თავი. კანინგემს ავიყვანო. დაუყოვნებლივ, თავისი გეშითა თუ სამხილით – ესე იგი, პაკეტით. თქვენ თვლით, რომ გზავნილობა დაშიფრულია? -თქმაც არ უნდა. ძალიან მნიშვნელოვანი ცნობებია. მაინც ჩვეულებრივი ფორმით არის გამოგზავნილი, თუმცა სასწრაფოთი. ცოტა ხომ არაა – ჩაუვარდება ვიღაცას ხელში, დაიკარგება. არა, ივან ფრანცევიჩი, ამათ ტყუილი გარისკვა არ უყვართ. -მით უმეტეს. ესე იგი, კანინგემი გაშიფრავს, კითხულობს, კარტოთეკაში ჩაწერს. უნდა ჰქონდეს კარტოთეკა? მე ვშიშობ, რომ თანდართულ წერილში ბეჭეცკაია მოახსენებს თქვენს სასიყვარულო ფათერაკებზე, ხოლო კანინგემი ჭკვიანი კაცია – უცებ მიხვდება, რომ თქვენ შეგეძლოთ ანგარიში რუსეთში გამოგეგზავნათ. ანა, ეხლავე უნდა ავიყვანოთ, დაუყოვნებლად! თან იმ თანდართული წერილის წაკითხვაც საინტერესოა. მე პიჟოვი არ მამძლევს მოსვენებას. მარტო ის ერთი ხომ არ იქნება მოსყიდული? ანლიურ საელჩოს შესახებ მერე ავუხსნით. მადლობასაც გვეტყვიან. თქვენ ხომ ამტკიცებთ, რომ სიაში დედოფალ ვიქტორიას ქვეშევრდომებიც იყვნენ?
 -დიაღ, ელამის დუჟინა, - თავი დაუქნია, ერასტ პეტროვიჩმა, სიყვარულით უყურებდა უფროსს, - რასაკვირველია, ეხლა კანინგემის აყვანა-ეს ყველაზე საუკეთესოა, მაგრამ... ვაითუ, მივიდეთ და ვერაფერიც ვერ ვიპოვნოთ? მე არასდროს ვაპატიებ საკუთარ თავს, თუ თქვენ ჩემს გამო... ესე იგი, მზად ვარ ნებისმიერ ინსტანციაში...
 -დაეხსენით სისულელების ლაპარაკს,- წყენით გაატკაცუნა ნიკაპი ბრილინგმა, - ნუთუ თქვენ ჰფიქრობთ, რომ ფიასკოს შემთხვევაში ბიჭს ავიფარებ წინ? მე თქვენი მჯერა, ფანდორინ. და ეს საკმარისია.
 -გმადლობთ, - წყენით თქვა ერასტ პეტროვიჩმა. ივან ფრანცევიჩმა სარკასტულად დაუკრა თავი: -მადლობად არც ღირს. და მორჩა, გვეყოფა თავზიანობა. საქმეზე. კანინგემის მისამართი მე ვიცი, ის აფთიაქარების კუნძულზე ცხოვრობს, პეტერბურღის ესტერნატის ფლიგელში. იარაღი გაქვთ?
 -დიაღ, ლონდონში ვიყიდე `სმიტი და ვესსონი~. საკვოიაჟში ძევს. -მაჩვენეთ.
 ფანდორინმა სასწრაფოდ მოიტანა შემოსასვლელიდან მძიმე რევოლვერი, რომელიც საშინლად მოსწონდა თავისი სიმძიმით და საფუძვლიანობით. -ხარახურაა,- გადაჭრა შეფმა, ხელში აწონა პისტოლეტი. (ავტორის განმარტებით, აქ `პისტოლეტი~ იმიტომ დაწერა, რომ მეცხრამეტე საუკუნეში, ძველი ჩვეულებით, ყველა ხელის ცეცხლსასროლ იარაღს ზოგჯერ `პისტოლეტებს~ ეძახდნენ – მთარგმნელის შენიშვნა). ეს ამერიკელი `ძროხის ბიჭებისთვის~, ანუ კოვბოებისთვის არის, დათრობისას დუქანში დასაქუხებლად. სერიოზული აგენტისთვის უვარგისია. არ გამოდგება. ამას ჩამოგართმევთ. სამაგიეროდ, უკეთესს მიიღებთ. ცოტა ხნით გავიდა და დაბრუნდა პატარა, პრიალა რევოლვერით, რომელიც თითქმის მთლიანად თავსდებოდა ხელისგულზე. -ეს ბელგიური შვიდვაზნიანი `ჰერსტალია~. სიახლე. სპეციალური შეკვეთა. უნდა ატაროთ ზურგსუკან, სერთუკის ქვეშ, პატარა ბუდით. ჩვენს ხელობაში შეუცვლელი საგანია. მსუბუქია, შორს ვერ ურტყამს მიზანში, სამაგიეროდ, თვითდამტენია, ეს კი სწრაფ სროლას უზრუნველყოფს. ჩვენც თვალის სითეთრეში ხომ არ უნდა გავარტყათ, სწორია? ხოლო

ცოცხალი, ჩვეულებრივ, ის აგენტი რჩება, რომელიც პირველი ისვრის და არაერთხელ. ჩახმახის ნაცვლად აქ დამცველია – აი, ეს ღილაკი. საკმაოდ მაგრად არის მოჭერილი, შემთხვევით რომ არ გაგივარდეთ. ესე გაატკაცუნებ და უზათქუნე თუ გინდა მთელი შვიდი ტყვია მიყოლებით. გასაგებია?

-გასაგებია. – ერასტ პეტროვიჩი ხელისგულა სათამაშოს დააცქერდა.
-მერე დასტკბით, დრო არა გვაქვს, - გასასვლელისკენ უბიძგა ბრილინგმა.
-ჩვენ ორნი დავაპატიმრებთ? – აღფრთოვანებით შეეკითხა ფანდორინი.
-სისულელეებს ნუ ყბედობთ.

ივან ფრანცევიჩი `ბედის აპარატის~ მახლობლად შეჩერდა, რქისმაგვარი მილაკი აიღო, ყურთან მიიღო და რაღაც სახელური დაატრიალა. აპარატმა დაირახრახა, შიგნით რაღაცამ გაიწკარუნა. ბრილინგმა ყური მეორე რქას მიაღო, ლაკირებული ყუთიდან რომ მოჩანდა და რქაში შიშინი ატყდა. ფანდორინს მოეჩვენა, რომ გაარჩია, თუ როგორ სასაცილოდ თქვა წვრილმა ხმამ სიტყვები `მორიგე ადიუტანტი~ და კიდევ `კანცელარია~.

-ნოვგოროდცევ, თქვენ ხართ? – მილაკს ჩაჰყვირა ბრილინგმა.- ადგილზე თუ არის მისი აღმატებულება? არა? არ მესმის! არა-არა, არ არის საჭირო. არ არის საჭირო მეტი, გეუბნებით! - უფრო მეტი ჰაერი ჩაისუნთქ-მოიძარაგა და კიდევ უფრო ხმამალა დაიყვირა,- სასწრაფო ჯგუფი დასაკავებლად! დაუყოვნებლივ გააგზავნეთ აპტეკართა კუნძულზე! აპ-ტე-კარ-თა! დიახ! ესტერნატის ფლიგელი! ეს-ტერ-ნა-ტის! მნიშვნელობა არა აქვს, ეს რას ნიშნავს, ისინი გაერკვევიან! და ჩხრეკის ჯგუფიც მოვიდეს! რა? დიახ, თავად იქ ვიქნები. მაიორო, ჩქარა! მილაკი ადგილზე დადო და შუბლი მოიწმინდა

-უჰ, იმედი მაქვს, მისტერ ბელი კონსტუქციას უფრო სრულყოფს, თუ არადა, მთელი ჩემი მეზობლები მესამე განყოფილების საიდუმლო ოპერაციების საქმის კურსში იქნებიან. ერასტ პეტროვიჩი იმ ჯადოქრობის შთაბეჭდილებაში იყო, ახლახანს რომ მოხდა მის თვალწინ.
-ეს ხომ უბრალოდ `ათასი და ერთი ღამეა~! ნამდვილი სასწაული! და კიდევ არიან ადამიანები, პროგრესს რომ ამაგებენ!

-პროგრესზე გზაში ვილაპარაკოთ. სამწუხაროდ, კარეტა გავუშვი, ასე რომ, მეეტლეს მოძებნა მოგვიხდება. და გადაადგეთ ეგ თქვენი ემმაკების საკვოიაჟი. ჰაიდა-ჰაიდა!

თუმცა პროგრესზე მსჯელობა არ მოუწიათ – აპტეკარებისკენ სრულ სიჩუმეში მიდიოდნენ. ერასტ პეტროვიჩს აკანკალებდა აღზნებისგან, რამდენჯერმე სცადა შეფის ჩათრევა საუბარში, მაგრამ ამაოდ: ბრილინგი სამაგელ გუნებაზე იყო – ეტყობა, მაინც ძალიან რისკავდა, თავის პირადული ოპერაცია რომ წამოიწყო.

გაფითრებული ჩრდილოური სადამო ძლივს იხატებოდა ნევის სივრცეზე. ფანდორინმა იფიქრა, რომ ზაფხულის ნათელი ღამე დროულია – სულ ერთია, აწი ძილი არ მოუწევს. და ჩავლილ ღამესაც, მატარებელში რომ გაატარა, თვალი არ მოუხუჭავს, სულ ღელავდა, პაკეტი არ გაუშვა... მეეტლე თაფლა ფაშატს ერეკებოდა, პატიოსნად იმუშავებდა შეპირებულ რუბლს და ადგილს დროზე მიაღწიეს.

პეტერბურგის ესტერნატი, ყვითელი ლამაზი შენობა, ადრე ინჟენერთა კორპუსს რომ ეკუთვნოდა, ზომებით მოსკოვისას ჩამორჩებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მწვანეში იხრჩობოდა. სამოთხისეული ალაგია – გარემეშო ბაღებია, მდიდრული აგარაკები.

-ეჰ, ნეტავ, ბავშვებს რა ეშველებათ,- ამოიოხრა ფანდორინმა.
-არაფერიც არ იქნება, - ზიზღით მიუგო ივან ფრანცევიჩმა,- მილედი სხვა დირექტორს დანიშნავს და ამით გათავდება საქმე.

ესტერნატის ფლიგელი ეკატერინასდროინდელი, იმპოზინტური ცალკესახლი აღმოჩნდა, წყნარ, ჩრდილებიან ქუჩაზე რომ გამოდიოდა. ერასტ პეტროვიჩმა მეხის დარტყმისგან დაკუთხული თელა დაინახა, მკვდარი ტოტები მეორე სართულის მაღალი ფანჯრებისაკენ რომ

გაემვირა. სახლში სიწყნარე სუფევდა.
 -ჩინებულისა, ჟანდარმები ჯერ არ მოსულან,- თქვა შეფმა,- ჩვენ იმათ არ ვუცდით. ჩვენთვის მთავარია, კანინგემი არ შევაშინოთ. ვლაპარაკობ მე, თქვენ ჩუმად ხართ. და მზად იყავით ნებისმიერი მოულოდნელობისთვის.

ერასტ პეტროვიჩმა პიჯაკის კალთის ქვეშ ჩაიყო ხელი, `ჰერსტალის~ დამამშვიდებელი სიცივე იგრძნო. მკერდში გული დამაგრვოდა - მაგრამ არა შიშისგან, რამეთუ ივან ფრანცევიჩთან არაფერი იყო საშიში, არამედ მოუთმენლობისგან. ახლა, ახლავე გადაწყდება ყოველისფერი. ბრილლინგმა ენერგიულად შეანჯღრია სპილენძის ზარი და გაისმა გავრცელებადი წკარაწყური. ბელეტაჟის ღია ფანჯრიდან მწითურმა თავმა გამოიხედა.

-გააღეთ, კანინგემო, - ხმამაღლა თქვა შეფმა,- თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვს!
 -ბრილლინგ, თქვენ? - გაუკვირდა ანლიელს,- რა ხდება?

-საგანგებო შემთხვევა კლუბში. უნდა გაგაფრთხილოთ.
 -ერთი წუთით და ჩამოვალ. ლაქიას გამოსასვლელი დღე აქვს. - და თავი გაქრა.
 -აჰა,- თქვა ფანდორინმა, - ლაქია ტყუილად მოიმიზეზა! ნამდვილად იმ ქალაქებს უჯდა! ბრილლინგი თითებს ძვლებით ნერვიულად აკაკუნებდა კარზე - კანინგემი რაღაც არა ჩქარობდა.

-ხომ არ გაიქცევა? - წყალი გადაესხა ერასტ პეტროვიჩს,- მეორე, შავი გასასვლელიდან, ჰა? იქნებ, სახლს შემოვურბინო და მეორე მხრიდან დავდგე? მაგრამ აქ შიგნიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. და კარი გაიღო. ზღურბლზე იდგა კანინგემი - გრძელ ხალათში, ბრანდერბურებით. მისი ჩხვლეტია, მწვანე თვალები წამით შეჩერდნენ ფანდორინზე და წარბები ოდნავშესამჩნევად შეხტნენ. იცნო!

-What's happening? (რა ჰხდება?~- ანლლ.) - ფრთხილად იკითხა ბრიტანელმა.
 -წავედით კაბინეტში,- რუსულად მიუგო ბრილლინგმა,- ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კანინგემი წამით შეყოყმანდა, მერე, შესტით ანიშნა, მიჰყოლოდნენ.

მუხის კიბეზე ასული მასპინძელი და დაუპატიჟებელი სტუმრები აღმოჩნდნენ მდიდრულ, მაგრამ ნამდვილად არასაზეიმო ოთახში. კედლებს უწყვეტად მიუყვებოდნენ თაროები წიგნებითა და რაღაც საქალაქეობით; ფანჯარათან, კარელიური არყის ხის უშველელი საწერი მაგიდის მახლობლად, ჩანდა დახლი ყუთებით, რომლებთაგან თითოეულზე ლამაზად ჩანდა ოქროს იარლიყი.

თუმცა ერასტ პეტროვიჩი ყუთებს იმდენად არ დაუინტერესებია (კანინგემი დასანახად ხომ არ შეინახავს საიდუმლო დოკუმენტებს), არამედ ქალაქებს, მაგიდაზე რომ ეწყო და სასწრაფოდ გადაეფარებინა `ბორჟევიე ნოვოსტის~ ახალი ნომერი. ივან ფრანცევიჩიც, ეტყობა, ასევე ფიქრობდა - კაბინეტი გადაკვეთა და მაგიდის მახლობლად დადგა, ზურგით ღია, დაბალრაფებიანი ფანჯრიდან. საღამოს ნიავი მსუბუქად არხევდა ტიულის ფარდას.

ჩინებულად გაიგო შეფის მანევრი, და ფანდორინი კარის მახლობლად დარჩა. ახლა კანინგემი ველარსად გაიქცეოდა.

ეტყობა, ანლიელმა რაღაც ცუდზე მიიტანა ეჭვი.
 -თქვენი უცნაურად იქცევით, ბრილლინგ,- თქვა გამართულ რუსულზე, - და რა უნდა აქ ამ კაცს? მე ის ადრეც მინახავს, ის პოლიციელია. ივან ფრანცევიჩი კანინგემს შუბლქვემოდან უყურებდა, ხელები ფართო სერთუკის ჯიბეებში ეწყო.

-დიახ, ის პოლიციელია. ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ აქ ბევრი პოლიციელი იქნება, ამიტომ მე ახსნის დრო არა მაქვს. შეფის მარჯვენა ხელი ამოიწია ჯიბიდან, ფანდორინმა თავისი `სმიტი და ვესსონი~ დაინახა, მაგრამ გაკვირვება ვერ მოასწრო, რადგან თვითონაც ამოიღო რევოლვერი - ჰაიდა-აჰა, იწყება!

-Don't... (არ გინდა!...-ანდლ.) – ხელი გაიშვირა ბრიტანელმა და იმავ წამში გასროლამ იქუხა. გასროლის ძალამ კანინგემი უკან ისროლა. გაქვავებულმა ერასტ პეტროვიჩმა დაინახა ფართოდ გახელილი, კიდეც ცოცხალი მწვანე თვალეზი და წესიერი, მუქი ნახვრეტი შუბლის შუაგულ ალაგას.

-ღმერთო ჩემო, შეფ, რატომ? ფანდორინი ფანჯრისკენ შებრუნდა. პირდაპირ პირისახეში უყრებდა შავი ლულა. -ის თქვენ დალუპეთ,- რადაც არაბუნებრივი ტონით სთქვა ბრილინგმა,- თქვენ ძალზე კარგი ჩუმათ-მაძებარი ხართ და ამიტომ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, თქვენი მოკვლა მომიწევს, რაზედაც გულით და სულით ვსწუხვარ. მეთოთხმეტე თავი, რომელშიც თხრობა სულ სხვა მხარეს შეტრიალდება

გაფითრებულმა, დაბნეულმა ერასტ პეტროვიჩმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა. -სდექ! - მრისხანედ დაუყვირა შეფმა. - და ნუ ათამაშებთ ფიშტოს, დატენილი არ არის. დოლურაში მანც ჩაგეხედათ! არ შეიძლება, ასეთი მიმნდობი იყოთ, ეშმაკსაც წაუღიხართ! მხოლოდ საკუთარ თავს შეიძლება ერწმუნო. ბრილინგმა მარცხენა ჯიბიდან ასეთივე `ჰერსტალი~ ამოიღო, ბოლადენილი `სმიტი და ვესსონი~ ფანდორინის ფეხებთან დააგდო იატაკზე. -აი, ჩემი რევოლვერი კი მთლიანად დატენილია, რაშიც ახლვე დარწმუნდებით,-ციებ-ცხელებიანივით ამბობდა ივან ფრანცევიჩი, თითოეულ მომდევნო სიტყვაზე ხელდებოდა, - ამას ხელში ჩავუდებ ბედკრულ კანინგემს და ისე გამოვა, რომ ერთმანეთი ამოხოცეთ სროლაში. საპატიო დაკრძალვა და გრძნობამოჭარბებული სიტყვები გარანტირებული გაქვსთ. მე ხომ ვიცი, რომ ეს თქვენთვის მნიშვნელოვანია და ნუ მომჩერებიხართ ასე, წყეულო ლეკვო! ფანდორინი მიხვდა, რომ შეფი სრულიად გაცეცხლებულს, შეურაცხადს მდგომარეობაშია, და სასოწარკვეთილი ცდით, გამოეცოცხლებინა მისი უცაბედად ამღვრეული განსჯა, დასძახა: -შეფ, ეს ხომ მე ვარ, ფანდორინი! ივან ფრანტევიჩ! ბატონო სამოქალაქო მრჩეველო! -ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველო, - აღმაცერად გაიღიმა ბრილინგმა, - თქვენ ცხოვრებას ჩამორჩით, ფანდორინ. დანიშნული ვარ უმაღლესი ბრძანებით შვიდ ივნისს. ტერორისტული ორდანიზაცია `აზაზელის~ განიარაღების წარმატებული ოპერაციისთვის. ასე რომ, შეგიძლიათ `თქვენო აღმატებულება~ - ასე მომმართოთ. ფანჯრის ფონზე ბრილინგის მუქი სილუეტი თითქო მაკრატლით იყო გამოჭრილი და მერე მიწეწებული ნაცრისფერ ქაღალდზე. მის ზურგსუკან თელას გაშიშვლებული ტოტები ბოროტეულ აბლაბუდას ჰქსოვდნენ. ფანდორინს გაუელვა: `ობობამ, შხამიანმა ობობამ აბლაბუდა მოქსოვა, მე კი გავები~. ბრილინგის სახე სნეულებრივად დამახინჯდა და ერასტ პეტროვიჩი მიხვდა, რომ შეფმა საკუთარი თავი სისასტიკის ზღვრამდის მიიყვანა და ახლა ესვრის. გაუგებარი იყო, საიდან გაჩნდა ელვისებური აზრი, პატარა-პატარა აზრუკებად რომ ჩამოიშალა ძაფზე: `ჰერსტალს~ ჯერ დამცველი უნდა გაუხსნა, უამისოდ ვერ გაისვრი, დამცველი მაგარია, ეს წამის ნახევარია ანდა წამის რუპი (მეთოხედი), ვერ მოასწრებს, ვერანაირად ვერ მოასწრებს... შემზარავი ღრიალით, თვალემოჭუტული ერასტ პეტროვიჩი წინ გავარდა, შეფს თავს უმიზნებდა ნიკაპში. მათ ჰყოფდა არანაკლებ ხუთი ნაბიჯი. დამცველის ჩხაკუნი ფანდორინს არ გაუგონია, ხოლო გასროლამ იქუხა უკვე ჭერში, იმიტომ რომ ორთავე - ბრილინგიც და ერასტ პეტროვიჩიც დაბალ რაფაზე გადაფრინდნენ და ფანჯარაში გადასცვივდნენ. ფანდორინი ნახტომში შეასკდა მკერდით მშრალი თელას ზროს და ტოტების მტვრევითა და სახის დაკაწვრით ქვემოთ გაქანდა. მიწაზე ხმაურიანი დაცემისგან ცნობის დაკარგვა მოესურვა, მაგრამ სიცოცხლის ფიცხელმა ინსტინქტმა ამის საშუალება არ მისცა. ერასტ პეტროვიჩი ოთხზე წამოდგა და უგნურად მიმოიხედა.

შეფი არსად იყო. სამაგიეროდ, კედელთან ეგდო პატარა, შავი `ჰერსტალი~. ფანდორინი პირდაპირ ოთხზე მდგომი დაახტა კატასავით, ჩაბლუჯა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. მაგრამ ბრილინგი გაქრა.

ზემოთ ახედვას ერასტ პეტროვიჩი მაშინლა მიხვდა, როცა იქიდან გაჭაჭული ხრიალი შემოესმა. ივან ფრანცევიჩი სულელურად, არაბუნებრივად ეკიდა მიწის ზემოთ. მისი გაპრიალებული შტიბლეტები ფანდორინის თავის ცოტა მაღლა კანკალებდნენ, ვლადიმირის ჯვრის ქვემოდან, იქიდან, სადაც გახამებულ პერანგზე გამოცოცებულიყო მეწამული ლაქა და ამოშვერილიყო წვერწამახული, გადატეხილი ხის გრჯღა, გამჭოლად რომ გაეხვრიტა ახალგამოცხობილი ღენერალი. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ განათებული თვალები პირდაპირ ფანდორინს მისჩერებოდნენ.

-სადაგლობა..., - გასაგონად წარმოთქვა შეფმა, თან იჭმუხნებოდა ან ტკვილისგან, ანდა ზიზღისგან, - სადაგლობა... - და ჩახლექილი, ამოუცნობი ხმით ამოთქვა. - ა-ზა-ზელ... ფანდორინს სხეულში ყინულის ტალღამ დაურბინა, ხოლო ბრილინგმა კიდეც იხრიალა ნახევარი წუთი და მიჩუმდა. თითქო ამ მომენტს ელოდაო, კუთხიდან ფლოქვები ათქარუნდა, ბორბლები არახრახდა. ეს კარეტები მოქროლდა ჟანდარმებით.

ღენერალ-ადიუტანტმა ლავრენტი არკადიევიჩ მიზინოვმა, მესამე განყოფილების უფროსმა და ჟანდარმთა კორპუსის შეფმა დადლილობისგან აწითლებული თვალები მოიწმინდა. სააღლუმო მუნდირზე დამაგრებულმა ოქროს აქსელბანტებმა ყრუდ გაიწვრიალეს. ჩავლილ დღე-ღამეში გამოცვლის საშუალება არ იყო, დაძინების ხომ - მით უმეტეს. გუმინ სადამოს შიკრიკმა ლავრენტი არკადიევიჩი დიდი კნიაზის, სერგეი ალექსანდროვიჩის სახელისწოდების, ანუ ხელმწიფეთ მოსახელის დღესასწაულზედ გამართული ბალიდან გამოიყვანა. და დაიწყო... ღენერალმა ზიზღით შეხედა ბიჭუკელას, გვერდით რომ ეჯდა, თმა გაბურძმვნიდა და დაკაწრული ცხვირი ქალაღებში ჩაერგო. ორი ღამე არ სძინებია და ახალია, როგორც იაროსლავის კიტრი. და თავიც ისე უჭირავს, თითქო მთელი ცხოვრება მაღალს კაბინეტებშიდ მჯდარა. კარგი, დეე, იჯადობაზოს. მაგრამ ბრილინგი როგორია! ეს, უბრალოთ, ჭკვაში ვერა თავსდება!

-მითამ რაო, ფანდორინო, ბევრი დაგრჩათ? ანთუ კვლავაც რომელიმე `იდეიამ~ გაგიტყუათ? - მკაცრად დაეკითხა ღენერალი, რომელიც გრძნობდა, რომ უძილო ღამისა და დამქანცველი დღის შემდეგ თავად არანაირი `იდეიები~ აღარ მოუვა.

-ეხლავე, თქვენო მაღალადმატებულეზავ, ეხლავე, - წაიდუდუნა ძუძუმწოვარამ, - კიდეც ხუთი ჩანაწერი დარჩა. მე ხომ გაფრთხილებდით, რომ სია შესაძლოა დაშიფრული ყოფილიყო. ხედავთ, რა ეშმაკური შიფრია, ასოების ნახევარი ვერ გამოვიცანით, მე კი ყველა, ვინც იქ იყო, არ მახსოვს... აჰა, ეს ფოშტ-დირექტორია დანიიდან, აი ვინ ყოფილა. ესე, აქ რაღაა? პირველი ასო გაშიფრული არ არის, - ჯვარი, მეორეც ჯვარი, მესამე და მეოთხე - ორი მ, მერე ისევ ჯვარი, მერე ნ, მერე დ კითხვის ნიშნით და ბოლო ორი გამოშვებულია. გამოდის ++ მმ+ ნ დ(?)++.

-ჩმახვია რაღაცა, - ამოიოხრა ლავრენტი არკადიევიჩმა, - ბრილინგი კი უცებ მიხვდებოდა. მაშ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს სიგიჟის შემოტევა არ იყო? შეუძლებელია წარმოიდგინო, რომ...

-სავსებით დარწმუნებული გახლავარსთ, თქვენო მაღალადმატებულეზავ, - მერამდენედ უთხრა ერასტ პეტროვიჩმა, - ცხადად გავიგონე, როგორ თქვა `აზაზელი~. მოიცათ! გამახსენდა! ბეჟეცკაიას სიაში იყო ვიღაც ჩომმანდერ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის იყო. -ჩომმანდერ-ი წოდებაა ბრიტანეთის და ამერიკის ფლოტილიებში, - აუხსნა ღენერალმა, - შეესატყვისება ჩვენს მეორე რანგის კაპიტანს. - გაბრაზებულმა გაიარა ოთახში. - აზაზელი, აზაზელი, ეს რა აზაზელის რისხვავა ჩვენ თავს! გამოდის, რომ ჩვენ ერთი ციცქნა არაფერიც კი არ

ვიციტ მასზე! ბრილინგის მოსკოვურ გამოძიებას გროშის ფასი არ აძევს! სულ ბოდვას, ფიქცია და ტყუილი - ტერორისტებიც და უფლისწულზე თავდასხმაც! გამოდის, კუდები მოუსპია? ვილაცა მკვდრები მოგვიგდო! ანთუ მართლა რომელიმე ყეყეჩ-ნილილისტს გამოსდო კვანტი? იზამდა - ეს იყო მეტათ, მეტათ ნიჭიერი ადამიანი... წყეული, ჩხრეკის შედეგები სად არის? ერთი დღე-ღამეა ვიქეჭებით!

კარი ფრთხილად გაიღო, ღრიჭოში შემოდგრა ნამარხულევი, გამხდარი ფიზიონომია ოქროს სათვალეში.

-თქვენო მაღალადმატებულეზავ, როტმისტრი ბელოზეროვი.
 -როგორც იქნა! ხსენებაზედ მარჯვედ არის! შემოვიდეს.

კაბინეტში დაღლობისგან თვალეზდაკრუტული, ხნიერი ჟანდარმერიის ოფიცერი შემოვიდა, რომელიც ერასტ პეტროვიჩმა გუშინ უკვე ნახა კანინგემის სახლში.

-არის, თქვენო მაღალადმატებულეზავ, იპოვეს, - ხმადაბლა მოახსენა მან, - მთელი სახლი და ბალი კვადრატებად დავყავით, ყოველისფერი გადავთხარეთ, ყოველისფერი დავფარცხეთ - ნოლი. მაშინ აგენტი ეილენზონი, განსაკუთრებული ყნოვსვის მამებარი მიხვდა - ესტერნატის სარდაფის კედლებზე მიგვეკაკუნებინა. და როგორ ფიქრობთ, ლავრენტი არკადიევიჩი? აღმოჩნდა საიდუმლო ნიშა, ფოტოღრაფიულ ლაბორატორიის მზგავსი, შიგ კი ოცი ყუთია, თითოეულში დაახლოებით ორასი ბარათი. შიფრი უცნაურია, იეროგლიფების მაგვარი, არაფრით ჰგავს იმას, რაც წერილში იყო. ვუბრძანე, ყუთები აქ გადამოეტანათ. მთელი გაშიფრვის განყოფილება ფეხზე დავაყენე, ახლა მუშაობას შეუდგებიან. -ბარაქალა, ბელოზეროვ, ბარაქალა, - შეაქო გუნებაგამოკეთებულმა ღენერალმა, - ეგ კიდეც, განსაკუთრებული ყნოვსვით, ჯილდოზედ წარადგინეთ. აბა-და, სამიფრვოშიდ გავიდეტ. წამოდით, ფანდორინო, თქვენც ხომ გეინტერესებათ. მერე დაასრულეზსთ, ეხლა აღარ გვეჩქარება.

ორით სართულით მაღლა ავიდნენ, ფეხჩქარა გააბიჯეს უსასრულო დერეფანში. კუთხეში შეუხვიეს. შესახვედრად მოხელე გამორბოდა, ხელებს იქნევდა.

-უბედურებაა, თქვენო მაღალადმატებულეზავ, უბედურება! ნაწერი მელანი პირდაპირ თვალწინ ფითრდება, ვერ გაგვიგია, რაშია საქმე!

მიზონოვი წინ გავარდა შემინებული, რაც სულაც არ შეესაბამებოდა მის მძიმე ფიგურას; ოქროს კლაპიტონები ეპოლეტებზე ფარვანას ფრთებივით ბრიალებდნენ. ბელოზეროვმა და ფანდორინმა უპატივოდ გაასწრეს მაღალ ხელმძღვანელობას და პირველები შეცვივდნენ მაღალ, თეთრ კარში.

მთლიანად მაგიდებით დაკავებული დიდ ოთახში ალიაქოთი სუფევდა. ათამდე მოხელე დასტრიალებდა რიგიან თეთრ ბარათებს, დასტებად რომ ეწყო მაგიდებზე. ერასტ პეტროვიჩი ერთს მისწვდა, დაინახა ძლივს გასარჩევი ნაწერი, ჩინურ იეროგლიფებს რომ ჰგავდა. პირდაპირ მის თვალწინ გაქრა იეროგლიფები და ბარათი მთლად სუფთა გახდა.

-რა ჯახნაბაა! - წამოიყვირა აქლოშინებულმა ღენერალმა. - რომელიღაც სიმჰათიური მელანი? -ვშიშობ, თქვენო მაღალადმატებულეზავ, რომ უფრო უარესი, - თქვა პროფესორის შესახედაობის ბატონმა, ბარათს შუქზე რომ გასცქეროდა, -როტმისტრო, თქვენ ამბობდით, რომ კარტოთეკა

ინახებოდა რადაც ფოტოღრაფიული საკუჭნაოს მსგავს ალაგას?

-სწორედაც, - პატივისცემით დაუდასტურა ბელოზეროვმა.

-ხომ ვერ გაიხსენებთ, იქ როგორი განათება იყო? წითელი ფარანით? -სრული სიმართლეა, სწორედ წითელი ელექტრონული ფარანით.

-ასეც ვფიქრობდი. სამწუხაროდ, ლავრენტი არკადიევიჩი, კარტოთეკა დაკარგულია და აღდგენას აღარ ექვემდებარება

-როგორთუ აღარ? - გაფიცხდა ღენერალი, - არა, ბატონო კოლეგის მრჩეველო, თქვენ რამეს მოიფიქრებთ. თქვენ თქვენი საქმის ოსტატი ხართ, თქვენ ხართ მანათობელი...

-მაგრამ არა ჯადოქარი, თქვენო მაღალადმატებულეზავ. როგორც სჩანს, ბარათები დამუსავებულია სპეციალური ხსნარით და მათთან მუსაობა მხოლოდ წითელ შუქზე შეიძლება. ამნჷამად ის ფენა, რომელზედაც ჩანაწერია დატანილი, გაშუქებულია. მარჯვედ არის მოფიქრებული, ვერა-რას იტყვი. ასეთ შემთხვევასთან პირველად მაქვს შეჯახება. ღენერალმა სქელი წარბები ასწია და მუქარით დაიხუფხუფა. ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა – ქარიშხალი ახლოვდებოდა. თუმცა ქუხილით არ უქუხია. -წამოდით, ფანდორინო,-ჩავარდნილი ხმით წარმოთქვა მესამე განყოფილების უფროსმა, - თქვენ სამუშაო უნდა დაამთავროთ.

დამიფრულში ბოლო ორი ჩანაწერის ამოხსნა ვერ მოხერხდა – ეს იყო ცნობები, მოსული ბოლო დღეს, ოცდაათ ივნისს და ფანდორინმა მათი ამოცნობა ვერ შეძლო. დადგა შედეგების შეკრების დრო.

დალლილი ღენერალი მიზინოვი კაბინეტში გადი-გამოდიოდა და ხმამალა განსჯიდა. -ესე იგი, შევკრიბოთ ის ცოტაოდენი, რაც ჩვენს ხელთაა. არსებობს რომელიღაც ინტერნაციონალური ორდანიზაცია პირობითი სახელწოდებით `აზაზელი~. იმ ბარათების რაოდენობის მიხედვით, რომელთა წაკითხვას ჩვენ უკვე ველარასოდეს შევძლებთ, მასში შედის 3854 წევრი. მათგან ორმოცდაშვიდზე, უფრო სწორედ, ორმოცდახუთზე, რაკილა ორი ჩანაწერი ვერ გაიშიფრა, ჩვენ რაღაც-რაღაცეები ვიცით. თუმცა ბევრი არა - მხოლოდ ეროვნული კუთვნილება და დაკავებული თანამდებობა. არც სახელები, არც ასაკი, არც მისამართები... კიდევ რა ვიცით? ორი მკვდარი აზაზელელის სახელები - კანინგემის და ბრილინგის. გარდა ამისა, ანდლიაში გახლავსთ ამალია ბეჟეცკაია. თუკი თქვენმა ზუროვმა არ მისიკვდილა, თუკი კვლავაც ანდლიაშია და თუკი მას, ნამდვილად, ასე ჰქვია. - `აზაზელი~ აგრესიულად ჰმოქმედობს, უკან არ იხევს მკვლელობების წინაშეც, აქ ნამდვილად არის რომელიღაც დლობალური მიზანი. მაგრამ რომელი? ესენი მასონები არ არიან, რადგან მე თავად ვარ მასონური ლოჷის წევრი და თანაც არარიგითი. ჰმ..... გაითვალისწინეთ, ფანდორინო, თქვენ ეს არ გაგიგონიათ.

ერასტ პეტროვიჩმა დამჯერედ ქვედაიდრიკა თავი და ისე შესჭვრიტა. -ეს სოციალისტური ინტერნაციონალი არ არის, - განაგრძო მიზინოვმა, - იმიტომ, რომ ბატონ კომუნისტებს ასეთი საქმისთვის ძალა არ მოსდევთ. და არც ბრილინგს შეემლო რევოლუციონერი ყოფილიყო - ეს გამორიცხებულია. რაც არ უნდა ეკეთებინა ჩუმად, ნილილისტებს ჩემი ძვირფასი თანაშემწე სერიოზულად და ძალზე წარმატებით იჭერდა. მაშინ რა უნდა `აზაზელს~? ეს ხომ ყველაზე მთავარია! და არავითარი გეში. კანინგემი მკვდარია. ბილინგიც. ნიკოლაი კრუგი - უბრალო აღმასრულებელია, პაიკი. არამზადა პიჷოვი მკვდარია. ყველა კუდი მოკვეთილია... - ლავრენტი არკადიევიჩმა აღშფოთებით გაშალა ხელები. - არა, მე სრულებით არაფერი მესმის! მე ბრილინგს ათ წელიწადზე მეტხანს ვიცნობდი. მე თავად გამოვიყვანე ხალხში! თავად მე აღმოვაჩინე! თავად განსაჯეთ, ფანდორინო! ხარკოვის ღენერალ-ღუბერნატორად ყოფნისას მე ვატარებდი ყველანარ შესამლო კონკურსებს გიმნაზისტებსა და სტუდენტებს შორის, რათა ახალგაზრდა თაობაში პატრიოტული გრძნობები და სასარგებლო გარდაქმნებისკენ სწრაფვა წამეხალისებინა. მე წარმომიდგინეს კაფანდარა, ულაზათო ყმაწვილი, გამოსაშვები კლასის გიმნაზისტი, რომელმაც დაწერა ძალიან საქმიანი და დიდი გატაცების თხზულება თემაზე `რუსეთის მომავალი~. დამიჯერეთ, სულიერი ძალითა და ბიოგრაფიით ეს ნამდვილი ლომონოსოვი იყო - უგვარტომო, ორთავმხრივ ობოლი, სპილენძის ფულით ისწავლა, მერე პირდაპირ გიმნაზიის მეშვიდე კლასის გამოცდები დაიჭირა. სუფთა თვითნაბადი ნიჭია! მე მასზედ შეფობა ავიღე, სტიპენდია გავუჩინე, პეტერბურლის უნივერსიტეტში გავამწესე, მერე ჩემთან მივიღე სამსახურში და ერთხელაც არ მინანია ამაზე. ეს

ჩემს თანამემწეთაგან საუკეთესო იყო, ჩემი რწმუნებული პირი! ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა, მის წინ ყველა გზა ხსნილი იყო! როგორი ნათელი, პარადოქსალური ჭკუა, როგორი ინიციატივიანობა, როგორი შემსრულებლობა! ღმერთო დიდებულო, ჩემი ქალიშვილის მითხოვებას ვაპირებდი! - ღენერალმა ხელი მიიღო შუბლზე. ერასტ პეტროვიჩმა, ზემდგომი ხელმძღვანელობის გრძნობათა პატივისცემით, ტაქტიკური პაუზა დაიჭირა და მერეღა ჩაუხველა. -თქვენო მაღალადმატებულეზავ, აი, მე ვიფიქრე... გემები, რა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ რაღაც-რაღაცეები ხომ მაინც არის. ღენერალმა თავი გაანჯღრია, თითქო არასაჭირო მოგონებები გარეკა და მაგიდას მიუჯდა. -გისმენთ. ილაპარაკეთ, ფანდორინო, ილაპარაკეთ. თქვენზე კარგად არავინ იცის ეს ისტორია. -მე, კერძოდ, აი, რაზე მინდოდა... - ერასტ პეტროვიჩი სიაში იყურებოდა, თან რაღაცას ხაზავდა ფანქრით. - აქ ორმოცდაოთხი ადამიანია - ორი ვერ გამოვიცანით, ხოლო ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, ანუ ივან ფრანცევიჩი უკვე აღარ ითვლება. ამათგან ყველაზე ნაკლებ რვის გამოთვლა ძნელი გახლავსთ. თავად განსაჯეთ, თქვენო მაღალადმატებულეზავ. რამდენი დაცვის უფროსი ეყოლება ბრაზილიის იმპერატორს? ანთუ ნომერ 47 F - ბელგიელ დეპარტამენტის დირექტორი, გაიგზავნა 11 ივნისს, მიღებულია 15-ში. ეს ვინ არის, ამის დადგენა ძნელი არ იქნება. ეს უკვე ორი. მესამე: ნომერი 549 F - ფრანგული ფლოტის ვიცე-ადმირალი, გაიგზავნა 15 ივნისს, მიღებულია 17-ში. მეოთხე: ნომერი 1007 F - ახალგამოცხობილი ანლიელი ბარონეტი, გაგზავნილია 9 ივნისს, მიღებულია 10-ში. მეხუთე: ნომერი 694 F - პორტუგალიის მინისტრი, გაგზავნილია 29 მაისს, მიღებულია 7 ივნისს. -ეს აცდენილია, - შეაწყვეტინა ღენერალმა, განსაკუთრებული ყურადღებით რომ უსმენდა, - პორტუგალიაში მაისში შეიცვალა ხელისუფლება, ასე რომ ყველა მინისტრი კაბინეტში ახალია. -ნუთუ? - ეწყინა ერასტ პეტროვიჩს, - მაშ, კეთილი, ესე იგი, გამოგვივა არა რვა, არამედ შვიდი. მაშინ მეხუთე ამერიკელია: ნომერი 852 F - სენატის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გაიგზავნა 10 ივნისს, მიღებულია 28-ში, სწორედ ჩემს დროს. მეექვსე: 1042 F, თურქეთი, პრინც აბდულ-ჰამიდის პირადი მდივანი, გაგზავნილია 1 ივნისს, მოვიდა ...20-ში. ამ ცნობამ განსაკუთრებით დაინტერესა ლავრენტი არკადიევიჩი. -მართლა? ო, ეს ძალზედ მნიშვნელოვანია. და სწორედ 1 ივნისს? ჰოდაჰო. 30 მაისს თურქეთში გადატრიალება მოხდა, სულთანი აბდულ-აზიზი ჩამოაგდეს და ახალმა მმართველმა მიდჰატ-ფაშამ ტახტზედ მურად V აიყვანა. ხოლო მეორე დღესვე მურადის უმცროს ძმას, აბდულ-ჰამიდს ახალი მდივანი დაუნიშნეს? ერთი მითხარით, როგორი სიჩქარეა! მიდჰატ-ფაშა გეგმას ხომ არ სახავს, რომ მურადი მოიშოროს, ტახტზე კი აბდულ-ჰამიდი დასვას?.. ეჰე-ჰე... კეთილი, ფანდორინო, ეს თქვენი ჭკუის საქმე არ არის. მდივანს ჩვენ ელვისუმალ დავადგენსთ. მერე ტელეგრაფით დაუკავშირდები ნიკოლაი პავლოვიჩ გნატევს, კონსტანტინოპოლში ჩვენს ელჩს, ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ. განაგრძეთ. -და საბოლოო, მეშვიდე: ნომერი 1508 F, - შვეიცარია, კანტონის პოლიციის პრეფექტი, გაიგზავნა 25 მაისს, მოვიდა 1 ივნისს. დანარჩენების გათვლა უფრო ძნელი იქნება, ზოგიერთების კი - შეუძლებელი. მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ეს ექვსი რომ დაგვადგენინა და მათზე გამოუცხადებელი თვალთვალი რომ დაგვანიშნინა... -აქ მომეცით სია, - ხელი გაიწოდა ღენერალმა, - დაუყოვნებლივ ვუბრძანებ, რომ სათანადო საელჩოებმა დაშიფრული წერილები გააგზავნონ. როგორც სჩანს, თანამშრომლობა მოგვიწევს ყველა ამ ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან. თურქეთის გარდა, სადაც მშვენიერი საკუთარი ქსელი გვაქვს... იცით, ერასტ პეტროვიჩ, მე თქვენთან უკმეხი ვიყავი, მაგრამ არ გეწყინოსთ. მე ძალიან ვაფასებ თქვენს წვლილს და ამისთანები... უბრალოდ, ძალიან მტკივნეული იყო ჩემთვის... ბრილიანგის გამო... მოკლედ, თქვენ გესმით... -მესმის, თქვენო მაღალადმატებულეზავ. მე თვითონაც, რამდენადმე, არანაკლებ თქვენს...

-ჰოდა, ძალიანაც კეთილი, ჰოდა, ძალიანაც მშვენიერი. ჩემთან იმუშავებთ. `აზაზელს~
 დავამუშავებთ. მე განსაკუთრებულ ჯგუფს შევქმნი, ყველაზე გამოცდილ ხალხს დავნიშნავ იქ.
 ჩვენ უშუალოდ გავჭხსნით ამ გორგალს.
 -თქვენო მაღალადმატებულეზავ, მინდოდა, მოსკოვში შემეველო...
 -რატომ?

-ლედი ესტერთან მსურდა ლაპარაკი. თავად ის, იმდენად მიწიერი არსება არ გახლავსთ,
 რამდენადაც ზეციური (აქ ფანდორინმა გაიღიმა), არა მგონია, კანინგემის ჭეშმარიტი
 მოღვაწეობის არსში განდობილი ყოფილიყო, მაგრამ ამ ბატონს ბავშვობიდან იცნობს და,
 საერთოდ, შეეძლო, რაიმე სასარგებლო ერჩია. ოფიციალურად ხომ არ აჯობებდა,
 ჟანდარმერიიდან, ჰა? მე მაქვს ბედნიერება ოდნავ ვიცნობდე მილედის, მას ჩემი არ შეეშინდება,
 თან ანლლიურადაც ვლაპარაკობ. უცებ, ხომ შეიძლება, რაიმე გეში აღმოჩნდეს? ხომ შესაძლოა,
 კანინგემის წარსულიდან რაიმეზე გავიდეთ?
 -ვერაფერს იტყვი, საქმეა. გაემგზავრეთ. მხოლოდ ერთი დღით, მეტით არა. ახლა
 დასაძინებლად წახვალთ, ჩემი ადიუტანტი გამოგიყოფთ ბინას. ხვალ კი საღამოს მატარებლით
 მოსკოვისკენ. თუ გაგიმართლებთ, იმ დროისთვის უკვე მოვა პირველი შიფრები
 საელჩოებიდან. 28-ში დილით მოსკოვში ხართ, ესაუბრებით ლედი ესტერს, საღამოს კი უკან
 ინებეთ და მაშინვე ჩემთან, მოხსენებით. ნებისმიერ დროს, გასაგებია?
 -გასაგებია, თქვენო მაღალადმატებულეზავ.

`სანკტ-პეტერბურღი – მოსკოვის~ მატარებლის პირველი კლასის ვაგონის დერეფანში ერთი
 ძალიან მედიდური, ხნიერი ბატონი შესაშური უღვაშით და უღვაშქვემოთათი, ჰალსტუხზე
 ბრილიანტის ქინძისთავით სიგარას ეწეოდა და კუპე ნუმერ პირველის კარს დაუფარავი
 ცნობისმოყვარეობით უმზერდა.

-ეი, გეთაყვა, - მსუქანი თითი დაუქნია იმ დროს გამოჩენილ კონდუქტორს.
 ისიც წაშში მიფრინდა დარბაისელ-წარჩინებული მგზავრთან და თავი დაუკრა:
 -გისმენთ-ს.

ბატონმა ორი თითი მოკიდა საყელოში და დაბალ ბასზედ ჰკითხა:
 -ახალგაზრდა ადამიანი, პირველით რომ მოდის - ვინ არის? იცნობ? ძალიან ყმაწვილია.
 -მეც ეგ მაოცებსთ, - ჩურჩულით მოახსენა კონდუქტორმა. - პირველი ხომ, სწორედ მოგახსენოთ,
 მეტად მნიშვნელოვანი პერსონებისთვის გახლავსთ რეზერვირებული, ყველა ღენერალს როდი
 შეუშვებენ. მხოლოდ იმათ, ვისაც სასწრაფო და საპასუხისმგებლო სახელმწიფო საქმეზედ
 მიეჩქარება.

-ვიცი. - ბატონმა კვამლის ჭავლი გამოუშვა, - ერთხელ თავადაც ვიმგზავრე, საიდუმლო
 ინსპექცია ნოვოროსიისკში. მაგრამ ეს-კი სულ ბიჭუკელაა. იქნებ, ვინმეს შვილია? ოქროს
 ახალგაზრდობიდან?

-არანაირად არა-ს-თ, შვილიკოებს პირველში არ ჩააჯენენ, ამაზე სიმკაცრეა. დიადი კნიაზისა
 თუ არაა. ამაზედ კი დავინტერესდი, ბატონ მატარებლის უფროსის საგზაო ფურცელშიდ
 ჩავიხედე, - კიდევ უფრო დაუწია ხმას მოსამსახურემ.

-მერე! - დაქიჩმაჩებული კონდუქტორი დააჩქარა დაინტერესებულმა ბატონმა.
 უხვი, საჩაიე შაურიან-აბაზიანების წინათგრძნობით, კონდუქტორმა თითი ტუჩებთან მიიტანა:
 -მესამე განყოფილებიდან გახლავსთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.

-მესმის, რომ `განსაკუთრებული~. უბრალო `მნიშვნელოვნებს~ პირველში არ მოათავსებენ. -
 ბატონი მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა. - და ვინ არის?
 -მაგრამ როგორც კი კუპეშიდ ჩავიკეტეთ, იქიდან აღარც გამოვსულვარსთ. ორჯერ ჩაი
 შევთავაზე - რისი ჩაი. ქალაღებში ჩაიფუტკნა და არის, თავს არა სწევსთ. პიტერიდან

გამოსვლა ოცი წუთით გადადეს, გახსოვსთ? მაგის გამო. ემაგის მოსვლას ელოდნენსთ.
 -ოჰო! - ამოიოხრა მგზავრმა. - თუმცა ეს გაუგონარია!
 -ხდება, მაგრამ ძალზედ იშვიათად-ს-თ.
 -და იმ სამგზავრო ქალაღმდ მგვარი არ არის აღნიშნული?
 -არანაირად არა-ს-თ. არც გვარი, არც წოდება.

ხოლო თუ ერასტ პეტროვიჩი სულ კითხულობდა მოხსენებათა მუნწ სტრიქონებს და ნერვიულად იჩეჩავდა თმას. ყელში მისტიკური საშინელება აწვებოდა. სწორედ ვოკზალზე წასვლის წინ სახელმწიფო ბინაში, სადაც ფანდორინმა თითქმის დღე-ღამე გამოიძინა გაუღვიძებლად, გამოცხადდა მიზინოვის ადიუტანტი, მოცდა უბრძანა - საელჩოებიდან პირველი სამი დეპეშა მოვიდა, ახლა გაშიფრავენ და მოიტანენო. მთელი საათი მოუხდა ლოდინი და ერასტ პეტროვიჩს მატარებელზე დაგვიანებისა შეეშინდა, მაგრამ ადიუტანტმა დაამშვიდა.

შესული არ იყო ვრცელ, მწვანე ხავერდში ჩასმულ კუპეში, სადაც საწერი მაგიდაც იდგა, რბილი ტახტი და კაკლის ხის ორი სკამი იატაკზედ მიბმული ფეხებით, ფანდორინმა პაკეტი გახსნა და კითხვას ჩაუღრმავდა.

სამი დეპეშა მოვიდა: ვაშინგტონიდან, პარიზიდან და კონსტანტინოპოლიდან. ყველას ერთნაირი ქუდი ჰქონდა: `სასწრაფოდ, მის მაღალაღმატებულებას ლავრენტი არკადიევიჩ მიზინოვს, პასუხად 1876 წლის 26 ივნისის ¹ 13476-8ჟ დეპეშაზედ~. მოხსენებები ხელმოწერილი იყო თავად ელჩების მიერ. ამით მსგავსება მთავრდებოდა. ტექსტი შემდეგი იყო. `27 ივნისი (9 ივნისი) 1876 წ. 12.15. ვაშინგტონი.

თქვენთვის საინტერესო პირი - ჯონ პრატ დობსია, არჩეული ა.წ. 9 ივნისს სენატის ბიუჯეტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. კაცი ამერიკაში მეტად ცნობილი, მილიონერი იმათგან, ვისაც აქ უძახიან self-made man (`კაცი, რომელმაც თვითონ შექმნა საკუთარი თავი` - ანღლ.). ასაკი - 44 წელი. ცხოვრების ადრეული პერიოდი, დაბადების ალაგი და წარმომავლობა უცნობია. სავარაუდოდ, გამდიდრდა კალიფორნიის ოქროს ციებ-ცხელების დროს. ითვლება მეწარმეობის გენიად. ჩრდილოეთსა და სამხრეთის სამოქალაქო ომის პერიოდში იყო პრეზიდენტ ლინკოლნის მრჩეველი ფინანსურ საკითხებში. არსებობს მოსაზრება, სწორედ დობსის მცდელობებით და სულაც არა ფედერალური ღენერლების თავდადებით კაპიტალისტურმა ჩრდილოეთმა დაამარცხა კონსერვატიული სამხრეთი. 1872 წელს პენსილვანიის შტატიდან არჩეულ იქნა სენატში. გათვითცნობიერებული წყაროებიდან ცნობილია, რომ დობსს ფინანსთა მინისტრად ინახავენ~.

`09 ივლისი (27 ივნისი) 1876 წ. 16 სთ. 45 წთ. პარიზი. თქვენთვის ცნობილი აგენტ კოკოს მეოხებით შევძელით გაგვეგო სამხედრო სამინისტროდან, რომ 15 ივნისს ვიცე-ადმირალის წოდება მიენიჭა კონტრ-ადმირალ ჟან ანტრეპიდს, ამასწინათ რომ დანიშნეს სიამის ესკადრის კომანდორად. ეს ერთ-ერთი ყველაზე ლეგენდარული პიროვნებაა ფრანგული ფლოტისა. ოცი წლის წინეთ ფრანგულმა ფრეგატმა ტორტულის ნაპირებთან, ღია ზღვაში აღმოაჩინა ნავი, შიგ კი მოზარდი, როგორც ჩანს, გადარჩენილი გემის ჩადირვის შემდეგ. ელდა-თავზარისგან მოზარდმა მეხსიერება დაჰკარგა, ვერც თავისი სახელი თქვა და ვერც ეროვნება. აყვანილი იქნა იუნგად და გვარი მიიღო მისი აღმომჩენი ფრეგატის სახელიდან. გაიკეთა ბრწყინვალე კარიერა. მონაწილეობდა ბევრ ექსპედიციაში და კოლონიალურ ომებში. თავი განსაკუთრებულად გამოიჩინა მექსიკის ომის მსვლელობისას. გასულ წელს ჟან ანტრეპიდმა პარიზში ნამდვილი სენსაცია გამოიწვია, რადგან ცოლად შეირთო ჰერცოგ დე როგანის უფროსი ქალისშვილი. თქვენთვის საინტერესო პირის ნამსახურობის სიას ამომწურავად მოგაწვდით მომდევნო მოხსენებაშიდ~.

კონსტანტინოპოლი.

ძვირფასო ლავრენტი, შენმა მოთხოვნის შეკითხვამ გვარიანათ განმაკვირვა. საქმე ის გახლავსთ, რომ ანვარ-ეფენდი, ვის მიმართაც შენ გამოავლინე ასეთი საჩქარო ინტერესი, გარკვეული დროიდან იმყოფება ჩემი მოუცილებელი ყურადღების ზონაში. ეს სუბიექტი, რომელიც დაახლოვებულია მიდჰატ-ფაშასთან და აბდულ-ჰამიდთან, ჩემს ხელთ არსებული ცნობებით, წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას იმ შეთქმულებისა, სასახლის კარზე რომ მწიფდება. უნდა მოველოდეთ ახლანდელი სულთნის ჩამოგდებას და აბდულ-ჰამიდის გამეფებას. მაშინ ანვარ-ეფენდი ყოველ მიზეზ გარეშე შეიქმნება უჩვეულოდ გავლენიან ფიგურათ. ის ძალზედ ჭკვიანია, ევროპულად არის განათლებული, იცის აღმოსავლური და დასავლური ენების აღურიცხავი რაოდენობა. სამწუხაროთ, უფრო ზედმიყოლებით ცნობებს ამ საინტერესო ბატონზედ ჩვენ არ ვკვლობთ. ცნობილია, რომ არაუმეტეს 35 წლისაა, დაიბადა ან სერბიაში, ანთუ ბოსნიაში. წარმომავლობა ბნელია და ნათესავები არა ჰყავს, რაც თურქეთს დიდ სიკეთეს უქადის, თუკილა ოდესმე ანვარი ვეზირი გახდება. მხოლოდ წარმოიდგინე - ვეზირი გაუმადლარ ნათესავთა წრის გარეშე! აქ ამისთანები არა ჰხდება. ანვარი - დაახლოებით `რუხი კარდინალის~ მსგავსია მიდჰატ-ფაშასთან, `ახალ ოსმანთა~ პარტიის აქტიური წევრი. დავაკმაყოფილე შენი ცნობისმოყვარეობა? ახლა კი შენც დააკმაყოფილე ჩემი. რაში დაგჭირდა ჩემი ანვარ-ეფენდი! დაუყოვნებლივ შემატყობინე, ეს შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს~.

უკვე მერამდენედ გადაიკითხა ერასტ პეტროვიჩმა დეპეშები, პირველში გახაზა: `ცხოვრების ადრეული პერიოდი, დაბადების ადგილი და წარმომავლობა უცნობია~; მეორეში: `ვერ შეძლო თავისი სახელის დასახელება და ვერც ეროვნების~; მესამეში: `წარმომავლობა ბნელია და ნათესავები არა ჰყავს~. როგორღაც შემადრწუნებლად იგრძნო თავი. გამოდიოდა, რომ სამივენი არსაიდან მოვიდნენ! უცებ, რაღაც მომენტში, გამოიჭრნენ არყოფნიდან და დაუყოვნებლივ ზევით დაიწყეს ამვრომა ჭეშმარიტად არაადამიანური სიბეჯითით. ვინ არიან - რომელიღაც საიდუმლო სექტის წევრები? ვაითუ, ესენი არაადამიანები არიან, სხვა სამყაროდან მოვლენილი? ვთქვათ, პლანეტა მარსიდან გამოგზავნილები? ანთუ ამაზე უარესი - რომელიმე ეშმაკეული დასიდან არიან? ფანდორინი მოიბუზა, თავის ღამეული გაცნობა გაახსენდა `მოჩვენება ამალიასთან~. ისიც ხომ უცნობი წარმომავლის არსებაა, ეს ბეჟეცკაია. და კიდევ სატანური შელოცვა - `აზაზელი~. ოჰ, რაღაც რუხის ეშმაკის სუნი მცემს... კარზე მოკლედ დაარაკუნეს და შემბტარმა ერასტ პეტროვიჩმა ზურგსუკან წაიღო ხელი, საიდუმლო ბუდისკენ, `ჰერსტალის~ დაღარული სახელური იგრძნო. კარის ღრიჭოში კონდუქტორის მამებლური ფიზიონომია გამოჩნდა. -თქვენო აღმატებულება, სადგურს ვუახლოვდებით. ფეხის გაშლას ხომ არ ინებებთ? იქ ბუფეტიც არის.

ამ `აღმატებულებისგან~ ერასტ პეტროვიჩმა წარჩინებულად იგრძნო თავი და ჩუმად გაიხედა სარკისკენ. ნუთუ მართლა შეიძლება ღენერლად მიიღონ? რა თქმა უნდა, `ფეხის გაშლა~ ურიგო არ იქნებოდა, თანაც სიარულისას უკეთესად ჰფიქრობ კაცი. უტრიალებდა თავში ერთი ბუნდოვანი იდეა, თან სული უსხლტებოდა, ჯერ ხელში არ ეჭერინებოდა, მაგრამ აიძებებდა - მიდი, მიდი, მიდი, მიძებეო.

-კეთილი. რამდენს ხანს ვსდგავართ!
 -ოცი წუთი, მაგრამ თქვენ აღელვებას ნუ ინებებთ, ისეირნეთ. - კონდუქტორმა ჩაიხითხითა, -
 თქვენს გარეშე ვერ წავალსთ.

ერასტ პეტროვიჩი საფეხურიდან სადგურის შუქებით განათებულ პლატფორმაზე ჩამოხტა. ზოგიერთი კუპეს სარკმლებში სინათლე აღარ ენთო - ეტყობა, ზოგიერთი მგზავრთაგანი ძილის ქვეყნისკენ წასულიყო. ფანდორინი გემრიელად გაიჭიმა და ხელები ზურგზედ შემოიწყო, მოციონისთვის, გნებავსთ გასეირნებისთვის მოემზადა, რომელიც მოწოდებული გახლდასთ

უფრო მეტად შეეწყო ხელი აზრობრივი აქტიურობისათვის. თუმცა იმავდროულად იგივე ვაგონიდან ჩამოვიდა ამაყი სანახაობის დაღლილი ბატონი ცილინდრში, ახალგაზრდა კაცის მხარეს ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერა სტყორცნა და ხელი გაუწოდა თანამგზავრ არსებას. მისი მშვენიერი, ნორჩი პირისახის სანახაობაზედ ერასტ პეტროვიჩი გაჰშემდა, ხოლო ქალიშვილს სახე გაუბრწყინდა და წვრიალა, მუღერი ხმით წამოიძახა: -მამა, ეს ის არის, ის ბატონი პოლიციიდან! გახსოვს, რომ გიყვებოდი? აი, ის, მე და ფრეილენ პფული ვინც დაგვკითხა!

ბოლო სიტყვა ცხადი კმაყოფილებით წარმოითქვა, ხოლო ნაცრისფერი და ნათელი თვალები ფანდორინს დაუფარავი ინტერესით უყურებდნენ. უნდა კი გამოგიტყდეთ, ბოლო კვირების თავბრუდამხვევმა მოვლენებმა რამდენადმე მიაჩუმეს მოგონება იმისა, ვისაც ერასტ პეტროვიჩი თავისთვის მხოლოდ `ლიზანკად~, ხოლო ზოგჯერ, განსაკუთრებით გაცხოველებულ ოცნებათა მომენტებში `ნაზსათუთ ანგელოზად~ იხსენიებდა. თუმცადა ამ საყვარელი არსების სანახაობაზე ის ალი, ოდესღაც რომ გული გაუნათა საწყალ კოლეგის რეგისტრატორს, მომენტალურად აგიზგიზდა, მსუბუქი ცეცხლის ნაპერწკლებით დაჰსწვა. -მე, საკუთრად პოლიციიდან არ გახლავარსთ, - წაიბუტბუტა გაწითლებულმა ფანდორინმა, - ფანდორინი, განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე მისი მაღალადმატებულების... -ყოველისფერი ვიცი, je vous le dis tout cru, (`პირდაპირ ვამბობ~ - ფრანც.), - იდუმალი გამომეტყველებით თქვა დაღლილმა, ბრილიანტის ქინძისთავმა გაიელვა ჰალსტუხზე. - სახელმწიფო საქმეა, შეგიძლიათ აღარ შეიჭრათ. Entre nous sois dit (`ჩვენს შორის დარჩეს~ - ფრანც.), საქმიანობის გვაროვნობის მიხედვით მეც არაერთხელ მქონია შეხება, ასე რომ ყოველისფერი ჩინებულად მესმის, - მან ცილინდრი აიწია, - თუმცა ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ. ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი ალექსანდრ აპოლიდოროვიჩ ევერტ-კოკოლიცევი, მოსკოვის საგუბერნიო-სასამართლო პალატის თავმჯდომარე. ჩემი ქალიშვილი ლიზა.

- ოღონდ `ლიზი~ დამიძახეთ, `ლიზა~ არ მომწონს, რაღაც `ლოკვას~ მაგონებს, - ითხოვა ქალიშვილმა და გულუბრყვილოდ გამოტყდა, - მე კი ხშირად გიხსენებდით. თქვენ ემას მოეწონეთ. და თქვენი სახელიც მახსოვს - ერასტ პეტროვიჩი. ლამაზი სახელია - ერასტ. ფანდორინს მოეჩვენა, რომ დაიძინა და ჯადოსნურ სიზმარს ხედავს. აქ მთავრია - არ გაინძრე, თუ არა, ღმერთმა არა ქნას და, გაგელვიძოს.

მეთხუთმეტე თავი,
რომელშიც მეტად სარწმუნოდ მტკიცდება
სწორი სუნთქვის აუცილებლობა

ლიზანკას საზოგადოებაში (`ლიზი~ ერასტ პეტროვიჩის ჭკვაში არ მოუვიდა) ერთნაირად კარგი იყო ლაპარაკი და სიჩუმეც. ვაგონი თანაბრად ირხეოდა რელსებზე. მატარებელი, ხანგამოშვებით საყვირს რომ ააღრიალებდა ხოლმე, თავბრუდამხვევი სიჩქარით მიქროდა ვალდაისკის მთვლემარე, განთიადისწინა ღრუბლებით მოცულ ტყეში, ხოლო ლიზანკა და ერასტ პეტროვიჩი პირველ კუპეში ისხდნენ რბილ სკამებზე და სდუმდნენ. ძირითადად ფანჯარაში იცქირებოდნენ, მაგრამ დროდადრო ერთმანეთსაც უყურებდნენ, თანაც თუ მათი მზერა უნებურად ერთმანეთს შეხვდებოდა, მაშინ ეს სულაც არ იყო სირცხვილი, პირიქით, მხიარული და სასიძოვნო. ფანდორინი უკვე საგანგებოდ ცდილობდა რაც შეიძლებოდა მარჯვედ შემოტრიალებულიყო ფანჯრიდან და ყოველთვის, როცა შეძლებდა შემხვედრი მზერის დაჭერას, ლიზანკას ჩუმიად სიცილი წასკდებოდა ხოლმე.

ლაპარაკი კიდევ იმიტომ არ იყო საჭირო, რომ შეიძლებოდა გაეღვიძებინა ბატონი ბარონი, განცხრომით რომ სთვლემდა ტახტზე. ჯერ კიდევ არც ისე ადრე, ალექსანდრ აპოლოდოროვიჩი

გატაცებით განიხილავდა ერასტ პეტროვიჩთან ერთად ბალკანეთის საკითხს, მერე კი, თითქმის შუასიტყვაზე, უცებ ამოიხვრინა და მკერდზე ჩაჰკიდა თავი. ახლა მისი თავი წყნარად ირწეოდა ვაგონის ბორბლების კაკუნის ტაქტზე: ჩუქუ-ჩუქუ (აქეთ-იქით, იქით-აქეთ); ჩუქუ-ჩუქუ (აქეთ-იქით, იქით-აქეთ).

ლიზანკამ ჩუმად გაუცინა თავის რომელიღაც აზრს, ხოლო როცა ფანდორინმა კითხვის ნიშნით შეხედა, აუხსნა:

-თქვენ ისეთი ჭკვიანი ხართ, ყველაფერი იცით. აგერ მამიკოს მიდჰატ-ფაშაზედაც აუხსენით და აბდულ-ჰამიდზეც. მე კი ისეთი სულელი ვარ, ვერც კი წარმოიდგენთ.

-თქვენ არ შეგიძლიათ სულელი იყოთ, - საფუძვლიანი რწმენით ამოიჩურჩულა ფანდორინმა.

-მე კი გამბობდით, მაგრამ მრცხვენია... თუმცა, მოგიყვებით. მე რატომღაც მეჩვენება, რომ ჩემზე არ იცინებთ. ანუ, ჩემთან ერთად იცინებთ, უჩემოდ კი არა. მართალია?

-მართალია! - წამოიძახა ერასტ პეტროვიჩმა, მაგრამ ბარონმა ძილში წარბები შეათამაშა და ახალგაზრდა კაცი ისევ ჩურჩულზე გადავიდა. - მე თქვენ არასოდეს დაგცინებთ.

-იცოდეთ, რომ დამპირდით. იმ თქვენი მოსვლის შემდეგ წარმოვიდგენდი ხოლმე ყოველისფერს... და კოხტად გამომდიოდა. ოღონდ ძალიან საბრალოდ და აუცილებლად ტრაგიკული ფინალით. ეს სულ `საწყალი ლიზას~ ბრალია. ლიზა და ერასტი, გახსოვთ? მე ყოველთვის საშინლად მომწონდა. ეს სახელი-ერასტი. წარმოვიდგენ ჩემთვის: ვწევარ კუბოში მშვენიერი და გაფითრებული, თეთრი ვარდებით გარშემორტყმული, ან დავიღრჩვი, ანდა ჭლექით მოვკვდი, თქვენ კი ქვითინებთ, მამიკო და დედიკოც ქვითინებენ, და ემაც ქსუტუნებს.

სასაცილოა, არა?

-სასაცილოა, - დაუდასტურა ფანდორინმა

-უბრალოდ საოცრებაა, ასე რომ შეეხვდით სადგურზე. ჩვენ ma tante (დეიდას~ - ფრანც.) ვსუტმრობდით და ჯერ კიდევ გუშინ უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ მამიკო სამინისტროში შერჩა საქმეებს და ბილეთები გამოვცვალეთ. განა საოცარი არ არის?

-ეს რა საოცრებაა? - გაუკვირდა ერასტ პეტროვიჩს, - ეს ბედისწერის ხელია. უცნაური ცა იყო ფანჯარაში: სულ შავი, მაგრამ ჰორიზონტის სისწვრივ ალისფერი არშიით. მაგიდაზე უხალისოდ ქათქათებდნენ მივიწყებული დეპეშები.

ნიკოლაევსკის ვოგზალიდან ხამოვკამდე მეეტლეს მთელი დილის მოსკოვის გადავლით მიჰყავდა ფანდორინი. დღე იყო კრიალა და სასიხარულო, ხოლო ერასტ პეტროვიჩის ყურებში არ ქრებოდა ლიზანკას გამოსათხოვარი წამოძახილი:

-ჰოდა, ყოველ მიზეზ გარეშე მობრძანდით დღეს! მპირდებით? დროში ყველაფერი ჩინებულად თავსდებოდა. ახლა ესტერნატში, მილედისთან. აჯობებს ჟანდარმერიის სამმართველოში მერე შეიაროს - უფროსთან ისაუბროს; ხოლო თუ შეძლებს, ლედი ესტერთან გაარკვიოს რაიმე მნიშვნელოვანი - მაშინ დეპეშა გაუგზავნოს ლავრენტი არკადიევიჩს. მეორეს მხრივ, ღამის განმავლობაში შეიძლება საელჩოებიდან სხვა დეპეშებიც მოვიდა... ფანდორინმა ვერცხლის ახალი პორტსიგარიდან პაპიროსი ამოიღო, არცთუ მარჯვედ გააბოლა. ჯერ ჟანდარმერიაში ხომ არ მივიდეს? მაგრამ ცხენი უკვე ოსტროჟენკაზედ გარბოდა და უკან მობრუნება სისულელე იქნებოდა. მაშ, ასე: მილედისთან, მერე სამმართველოში, მერე შინ - ნივთებს აიღებს და გადავა საკადრის სასტუმროში, გამოიცვლის, იყიდის ყვავილებს და ექვის საათისთვის მცირე ნიკიტინსკაიაზე, ევერტ-კოკოლცევებთან. ერასტ პეტროვიჩმა ნეტარებით გაიღიმა და წაიღიღინა: `ტიტულიანი მრჩეველი - ვაჟი, ქალი - გენერლის შვილი და, როგორც კი სიყვარული აუხსნა, ქალმა იფრინა შინიდან~.

აი, ნაცნობი შენობა თუჯის ჭიშკრით და ცისფერ მუნდირიანი მოსამსახურეც ზოლებიან ჯიხურში.

-სად შეიძლება ლედი ესტერის პოვნა? - დაუყვირა სავარძლიდან გადაწეულმა ფანდორინმა, -

-და ახლა თქვენ დახურავთ ჩემს ესტერნატებს რუსეთში? - წყნარად შეეკითხა მილედი. -
 ღმერთო, რა ბედი ეწევათ ბავშვებს... იმათ ხომ ეს-ესაა დაიწყეს შეგუება ნორმალურ
 ცხოვრებასთან. და რამდენი ტალანტია მათ შორის! მე თხოვნით მივმართავ უმაღლესის
 სახელზე - შესაძლოა, უფლება მომცენ, ჩემი აღსაზრდელები საზღვარგარეთ წავიყვანო.
 -სულ ფუჭუბრალოდ ჰღელავთ, - რბილად უთხრა ერასტ პეტროვიჩმა, - თქვენ ესტერნატებს
 არაფერი მოუვა. ბოლოს და ბოლოს, ეს იქნებოდა უბრალოდ დანაშაული. მე მხოლოდ თქვენი
 გამოკითხვა მსურდა კანინიგემის გამო.
 -რასაკვირველია! ყოველისფერი, რაც გნებავსთ. ბედკრული ჯერალდი... იცით, ის ხომ ძალიან
 კარგი ოჯახიდან არის, ბარონეტის შვილიშვილი, მაგრამ მისი მშობლები მაშინ დაიღრჩვენენ,
 ინდოეთიდან რომ ბრუნდებოდნენ. და თერთმეტი წლიდან ბიჭი ობლად დარჩა. ჩვენთან,
 ანდლიაში მემკვიდრეობის თაობაზედ მეტად სასტიკი კანონებია, ყოველისფერი უფროს შვილს
 რჩება - ტიტულიც, ქონებაც, ხოლოთუ უმცროსებს სულს იქით პენსი არ აბადიათ. ჯერალდი
 უმცროსი ვაჟის უმცროსი შვილი იყო, უსახსრო, უსახლო, ნათესავები მისით არ
 ინტერესდებოდნენ... აი, სწორედ ახლა, თანაგრძნობის წერილს ვწერ ბიძამისს, აბსოლუტურად
 არსაით ჯენტლმენს, რომელსაც ჯერალდთან არაფერი საქმე არა ჰქონია. რას იზამ, ჩვენ -
 ანდლიელები, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ფორმალობებს. - ლედი ესტერმა ქალაქი უჩვენა,
 მსხვილი, ძველმოდური ხელწერით რომ იყო შევსებული, თავკიდურებითა და ჩახვეულებით. -
 საზოგადოდ, მე ავიყვანე ბავშვი ჩემთან. ჯერალდს აღმოაჩნდა შესანიშნავი მათემატიკური
 ნიჭი. მე ვფიქრობდი, რომ ის პროფესორი გახდებოდა, მაგრამ გონების სიცხოველე და
 პატივმოყვარეობა მაინცდამაინც ხელს არ უწყობს სამეცნიერო კარიერას. მე მალე შევნიშნე, რომ
 ბიჭი ავტორიტეტით სარგებლობს სხვა ბავშვებში, თან ხელმძღვანელობაც მოსწონს. მას ჰქონდა
 თანდაყოლილი ლიდერის ტალანტი: იშვიათი ნებისყოფის ძალა, დისციპლინა, უნარი -
 შეუმცდარად განესაზღვრა თითოეული ადამიანის ძლიერი და სუსტი მხარეები. მანჩესტერის
 ესტერნატში ჯგუფხელად აიარჩიეს. მე ვვარაუდობდი, რომ ჯერალდი მოინდომებს
 სახელმწიფო სამსახურში შესვლას ანდა პოლიტიკაში ჩაებმება - მისგან მშვენიერი
 კოლონიალური ჩინოვნიკი დადგებოდა, დროთა მსვლელობაში, შესაძლოა, ლენერალ-
 გუბერნატორიც კი. რა დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა მან გამოხატა სურვილი, დარჩენილიყო
 ჩემთან და აღმზრდელობით საქმიანობას შესდგომოდა!
 -მაშ, რა, - თავი დაუქნია ფანდორინმა, - ამით ის ღებულობდა შესაძლებლობას, თავისი
 გავლენისთვის დაემორჩილებინა გაუმაგრებელი ბავშვური ჭკუები, მერე კი კურს
 დამთავრებულებთან დაემყარებინა სათანადო კავშირი... - მოულოდნელი მიხვედრით
 გაოგნებულმა ერასტ პეტროვიჩმა აღარ დაასრულა. ღმერთო, რა მარტივია ყოველისფერი!
 განსაცვიფრებელია, რომ ამას ადრევე ვერ მიჰხვდა!
 -ძალიან მალე ჯერალდი ჩემი შეუცვლელი თანამემწე გახდა, - განაგრძო მილედიმ, ვერ
 შეამჩნია, როგორ შეეცვალა თანამოსაუბრეს პირისახის მეტყველება, - როგორი თავდადებული,
 დაუცხრომელი თანამშრომელი იყო! და იშვიათი ლინგვისტური ნიჭისა - უმაგისოდ ჩემთვის
 შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნების ფილიალებისთვის მედევენებინა თვალყური. მე
 ვიცი, მისი მტერი ყოველთვის გახლდათ უსაზღვრო პატივმოყვარეობა. ეს არის ბავშვობის
 ფსიქიკური ტრავმა, სურვილი - დაემტკიცებინა ნათესავებისთვის, რომ ის ყოველიფერს
 მიაღწევდა უიმათოდ. მე ვგრძნობდი, ვგრძნობდი უცნაურ შეუსაბამობას - მისი
 შესაძლებლობებისა და ამბიციების პატრონი არაფრით დაკმაყოფილდებოდა პედაგოგის
 მოკრძალებული როლით, თუნდაც საკადრისი და რიგიანი ჯამაგირით.
 თუმცა ერასტ პეტროვიჩი უკვე აღარ უსმენდა. თითქო თავში ელექტრონული ფარანი ანთო და
 ის ყოველისფერი გაუნათა, რაიც ადრე სიბნელეში იყო ჩაძირული. ყოველისფერი ერთიმეორეს
 ემთხვეოდა! საიდანლაც მოსული სენატორი დობსი, `მეხსიერებადაკარგული~ ფრანგი
 ადმირალი, გაუგებარი წარმომავლობის თურქი ეფენდი, განსვენებული ბრილლინგიც - დიალ-

დიაღ, ისიც! არაადამიანები? მარსიანელები? მიღმა სამყაროდან მოსულები? თურმე, ასე არა ყოფილა! ყველა ისინი ესტერნატების აღზრდილები იყვნენ, - აი, ვინ! ისინი მიგდებულები არიან, მხოლოდ თავშესაფრის კარებთან კი არა, არამედ პირუკუ - თავშესაფრიდან მიუგდეს საზოგადოებას. თითოეული სათანადოდ და შესაბამისად მომზადდა, თითოეული ჰფლობდა ბუნებრივად გამოვლენილ და ზედმიწევნით გამოზრდილი ტალანტს! ტყუილად კი არ მიაგდეს ჟან ანტრეპიდი სწორედ ფრანგული ფრეგატის გზაზე - ეტყობა, ყმაწვილს ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი მეზღვაურისა. მარტოდენ რატომღაც იმის დამალვა დასჭირდათ, თუ საიღამ მოვიდა ასეთი ტალანტიანი. თუმცა გასაგებია, რატომაც! თუკი სამყარო გაიგებდა, რამდენი ბრწყინვალე კარიერისტი გამოდის ლედი ესტერის საშენიდან, მაშინ აუცილებლად იფრთხილებდა კიდევ. ესე კი ყოველისფერი თითქო თავისით ჰხდება. ბიძგი საჭირო მიმართულებით - და ტალანტი ყოველ მიზეზ გარეშე გამოავლენს თავს. აი, რატომაც, რომ თითოეულმა ობოლთა კოპორტიდამ~ ასეთ გაუგონარ წარმატებებს მიაღწია კარიერაში! აი, რატომ იყო მათთვის ასე მნიშვნელოვანი, კანინგემისთვის მოეხსენებინათ თავიანთი სამსახურებრივ დაწინაურებაზე - ამით ისინი განამტკიცებდნენ თავიანთ მდგომარეობას, გაკეთებული არჩევნის მართებულობას! და სავსებით ბუნებრივია, რომ სინამდვილეში ყველა ეს გენიოსი მხოლოდ თავისი საზოგადოებისთვის არის თავდადებული - ეს ხომ მათი ერთადერთი ოჯახია, ოჯახი, რომელმაც დაიცვა ისინი უღმობელი სამყაროსგან, ზრდიდა, თითოეულში გახსნა მისი განუმეორებელი `მე~. ჰოდა, ესეც ოჯახი თითქმის ოთხი ათასი გენიოსა, მთელ მსოფლიოში რომ გაფანტულან! ჰაიდა-აჰა, კანინგემ, ჰაიდა-აჰა, `ლიდერის ტალანტო~!

თუმცა

ჰსდევ...

-მილედი, რამდენი წლის იყო კანინგემი? - ჰკითხა შეჭმუხულმა ერასტ პეტროვიჩმა. -ოცდაცამეტის, - ხალისიანად მიუგო ლედი ესტერმა, - 16 ოქტომბერს კი ოცდაათოთხმეტი შეუსრულდებოდა. თავის დაბადების დღეზე ჯერალდი ყოველთვის უწყობდა ბავშვებს ზეიმს, თანაც იმას კი არ ჩუქნიდნენ საჩუქრებს, არამედ თვითონ ყველას რაღაცას იქით ჰსჩუქნიდა. ჩემი აზრით, ეს შთანთქავდა ლამის მთელ მის ჯამაგირს... -არა, არ გამოდის! - წამოიძახა გაწბილებულმა ფანდორინმა. -რა არ გამოდის, ბიჭუნი? - გაოცდა მილედი. -ანტრეპიდი ზღვაში იპოვეს ოცი წლის წინეთ! კანინგემი მაშინ მხოლოდ ცამეტი წლის იყო. დობსი გამდიდრდა მეოთხედი საუკუნის წინეთ, კანინგემი მაშინ ჯერ ობოლიც არ იყო! არა, ეს ის არ არის! -და რაებს ლაპარაკობთ? - ჩარევას ცდილობდა ანლიელი და დაბნეულად აფახულებდა ნათელს, ცისფერს თვალებს. ხოლო ერასტ პეტროვიჩი მდუმარედ მიაჩერდა, გაოგნებული იმწუთიერი და შემზარავი მიხვედრით.

-ჰო, ეს კანინგემი არ არის... - დაიჩურჩულა მან, - ეს სულ თქვენ... თქვენ თვითონ! თქვენ იყავით ოცის და ოცდახუთის და ორმოცი წლის წინათაც! რა თქმა უნდა, აბა-და, სხვა ვინ! ხოლო კანინგემი, მართლაც, თქვენი მხოლოდ მარჯვენა ხელი იყო! ოთხი ათასი თქვენი აღზრდილი, სინამდვილეში თქვენი შვილები! და თითოეულისთვის თქვენ დედასავით ხართ! ეს თქვენზე და ამალიაზე სულაც არ ლაპარაკობდნენ მორბიდი და ფრანცი! თქვენ თითოეულს მიეცით ცხოვრების მიზანი, თითოეული `გზაზედ გამოიყვანეთ~! მაგრამ ეს ხომ საშინელებაა, საშინელება! - ერასტ პეტროვიჩმა თითქო ტკივილისგან დაიკვნესა, - თქვენ თავიდანვე ცდილობდით თქვენი პედაგოგიური თეორია გამოგეყენებინათ მსოფლიო შეთქმულების მოსაწყობად.

-არა, თავიდანვე ვერა, - მშვიდად უარყო ლედი ესტერმა, რომელშიც რაღაც მოუხელთებელი, მაგრამ თვალნათელი ცვლილება მოხდა. ის უკვე აღარ სჩანდა მშვიდობიანი, წყნარი მოხუცი, თვალები გონიერებით, ძალაუფლებითა და გაუტეხავი ძალით გაუცისკროვნდა. - თავიდან,

უბრალოდ, მსურდა გადამერჩინა საცოდავი, უარაფროდ დარჩომილი ადამიანის შვილები. მე მინდოდა, ისინი ბედნიერებად მექცივნა - რამდენსაც შევიძლებდი. დეე, ასს, დეე, ათასს. მაგრამ ჩემი შრომა ქვიშის მარცვალი იყო უდაბნოში. ერთ ბავშვს ვშველიდი, ხოლო გაუმაძღარი მოლოქი- საზოგადოება ამდროს ათასს აჩენდა, მილიონ პატარა ადამიანს, რომელთაგან თითოეულში თავიდანვე ანთია ღვთიური ნაპერწკალი. და მე მივხვდი, რომ ჩემი შრომა უაზროა. კოვზით ზღვას ვერ ამოწურავ. - ლედი ესტერის ხმა ძალას იმატებდა, მოხრილი მხრები კი იშლებოდა, - და იმასაც მივხვდი, რომ ღმერთმა მეტის ძალა მომცა. მე შემძლია გადავარჩინო არა ერთი მუჭა ობლები, მე შემძლია გადავარჩინო კაცობრიობა. დეე, არა ჩემი სიცოცხლისას, დეე, ოცი, ოცდაათი, ორმოცდაათი წლის შემდეგ ჩემი სიკვდილიდან. ეს ჩემი მოწოდებაა, ეს ჩემი მისიაა. ჩემი ბავშვებიდან თითოეული - ძვირფასია, სამყაროს ნაგებობის არშიაა, ახალი კაცობრიობის რაინდია. თითოეული ფასდაუდებელ სარგებლობას მოიტანს, თავისი სიცოცხლით სამყაროს უკეთესობისკენ შესცვლის. ისინი დაჰსწერენ ბრძნულ კანონებს, გაჰხსნიან ბუნების საიდუმლოებებს, ხელოვნების შედეგებს შეჰქმნიან. წლიდან წლამდე ისინი უფრო და უფრო მატულობენ, დროის განმავლობაში ისინი გარდაქმნიან ამ სამაგელ, უსამართლო, დანაშაულებრივ სამყაროს!

-რას ბუნების საიდუმლოებანი, რომელი ხელოვნების შედეგები? - მწარედ შეეკითხა ფანდორინი, - თქვენ ხომ მხოლოდ ძალაუფლება გაინტერესებთ. მე ხომ ვნახე - თქვენ იქ სულ მთლად ღენერლები და მომავალი მინისტრები გყავთ. მილედიმ მოწყალედ გაუღიმა:

-ჩემო მეგობარო, ჩემთან კანინგემი განაგებდა მარტოოდენ კატეგორიას, ძალიან კი მნიშვნელოვანს, მაგრამ არა ერთადერთს. ` es Force (` ძალა~ანღლ.), ანუ ყოველისფერი, რასაც შეხება აქვს პირდაპირი ძალაუფლების მექანიზმთან: პოლიტიკა, სახელმწიფო აპარატი, პოლიცია და ასე შემდგომ. კიდევ არის კატეგორია: ` - Science (` მეცნიერება~ - ანღლ.), კატეგორია - Art (` ხელოვნება~ - ანღლ.), კატეგორია `B~ - Business. არის სხვებიც. პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცი წლის მანძილზე გზაზედ გამოვიყვანე თექვსმეტი ათას რვაას ოთხმოცდაცამეტი ადამიანი. ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, ბოლო ათწლეულში როგორი სიჩქარით ვითარდება მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, კანონშემოქმედება, მრეწველობა? ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ ჩვენ მეცხრამეტე ასწლეულში, დაწყებული მისი შუაწელიდან, სამყარო უცებ გახდა კეთილი, გონიერი, ლამაზი? ნამდვილი მსოფლიო რევოლუცია ჰხდება. და იგი სრულიად გარდაუვალია, თუარა-და საზოგადოების უსამართლო მოწყობა მიგვივანს სხვანაირ, სისხლიან რევოლუციასთან, რომელიც კაცობრიობას რამდენიმე საუკუნით უკან დააბრუნებს. ჩემი შვილები ყოველდღიურად გადაარჩენენ ხოლმე სამყაროს. და დაიცადეთ, კიდევ იქნება რაღაც-რაღაცეები უახლოეს წლებში. ამასთან დაკავშირებით, მახსოვს, მეკითხებოდით, რატომ არ ვღებულობ გოგონებს. მაშინ, ვინანიებ და, მოგატყუეთ. მე ამყავს გოგონები. ბევრი არა, მაგრამ მაინც. შვეიცარიაში მაქვს განსაკუთრებული ესტერნატი, სადაც იზრდებიან ჩემი ძვირფასი ქალიშვილები. ეს სრულიად განსაკუთრებული მასალაა, შესაძლოა, უფრო მეტად ფასდაუდებელი, ვიდრე ჩემი ბიჭები. ერთ ჩემს აღზრდილს, მე მგონი, თქვენ იცნობთ. - მილედიმ ცბიერად გაიცინა, - მართალია, ახლა ჰუგუნურად იქცევა და დროებით დაივიწყა მოვალეობა. ახალგაზრდა ქალებს ეს ემართებათ. მაგრამ ის აუცილებლად დაბრუნდება ჩემთან, მე ვიცნობ ჩემ გოგონებს.

ამ სიტყვებიდან ერასტ პეტროვიჩისთვის ცხადი შეიქმნა, რომ იპოლიტს მაინც არ მოუკლავს ამალია, ეტყობა, სადღაც წაიყვანა, მაგრამ ბეჟეცკაიას მოგონებამ ძველი ჭრილობები გაუხსნა და რამდენადმე შეასუსტა შთაბეჭდილება (უნდა კი ვაღიაროთ, რომ საკმაოდ ჩინებული), რომელიც მოახდინა ახალგაზრდა კაცზე ბარონესას განსჯამ. -კეთილშობილური მიზანი - ეს, რასაკვირველია, შესანიშნავია! - ფიცხად წამოიძახა მან, - მაგრამ საშუალებებზე რას იტყვი? თქვენთვის ხომ კაცის მოკვლა კოლოს გასრესასავით არის.

-ეს ტყუილია! - გულმხურვალედ უარყო მილედიმ. - მე ჭეშმარიტად ვწუხვარ თითოეულ დაკარგულ სიცოცხლეზე. მაგრამ ავგიას თავლას დაუსვრელად ვერ გამოასუფთავებ. ერთი დაღუპული გადაარჩენს ათას, მილიონ სხვა ადამიანს.

-და ვინ გადაარჩინა კოკორინმა? - გესლიანად დაინტერესდა ერასტ პეტროვიჩი. -ამ არაფერში გამოსადეგი დარდიმანდის ფულით მე რუსეთისთვის და მსოფლიოსთვის აღვზრდი ათას ნათელ ჭკუას. ვერას გახდები, ჩემო ბიჭუნო, მე არ მომიწყვია ეს დაუნდობელი სამყარო, სადაც ყოველისფერში საკადრისი ფასი უნდა გადაიხადო. მე მგონი, მოცემულ შემთხვევაში, ფასი სრულიად გონივრულია.

-და, ახტირცევის სიკვდილი?

-ჯერ ერთი, ბევრს ყბედობდა. მეორე, უზომოდ აწყენინებდა ხოლმე ამალიას. და მესამე - თქვენ ხომ თავად ეუბნებოდით ივან ბრილინგს: ბაქოს ნავთობი. ვერვინ შესძლებს ახტირცევის ანდერძის გაპროტესტებას, ის ძალაში დარჩა.

-და პოლიციური გამოძიების რისკი?

-სისულელეა, - მხარი აიქნია მილედიმ. - ვიცოდი, რომ ჩემი ძვირფასი ივანე ყოველისფერს მოაწყობს. ის ბავშვობიდან გამოირჩეოდა ბრწყინვალე ანალიტიკური გონებით და ორდანიზატორული ტალანტით. რამხელა ტრადედიია, რომ ის აღარ არის... ბრილინგი ყოველისფერს იდეალურად მოაწყობდა, ერთი განსაკუთრებულად მოსწრებული ახალგაზრდა ჯენტლმენი რომ არა. ჩვენ ყველას ძალიან, ძალიან არ გაგვიმართლა.

-მოიცადეთ, მილედი, - ბოლოს, ერასტ პეტროვიჩმა, როგორც იქნა, მოიფიქრა, რომ გაფრთხილებულიყო, - რატომ ხართ ჩემთან ასეთი გულახდილი? ნუთუ იმედი გაქვსთ, თქვენს ბანაკში გადამიბიროთ? ეს წყეული სისხლი რომ არა, მთლიანად თქვენს მხარეს ვიქნებოდი, თუმცა თქვენი მეთოდები...

მორჩილად მომდიმარმა ლედი ესტერმა შეაწყვეტინა:

-არა, ჩემო მეგობარო, მე თქვენს პროპაღანდირების იმედი არა მაქვს. სამწუხაროდ, ძალიან გვიან გავიცანით ერთიმეორე - თქვენმა ჭკუამ, ხასიათმა, მორალურ ფასეულობათა სისტემამ ფორმირება მოასწრო, ახლა კი მათი შეცვლა თითქმის შეუძლებელია. ხოლო თქვენთან გულახდილი სამი მიზეზით გახლავართ: ჯერ ერთი, თქვენ მოსაზრებული ყმაწვილი ხართ და ჩემში გულითად სიმპათიას იწვევთ. მე არ მსურს, რომ თქვენ ურჩხულად მთვლიდეთ. მეორეც, თქვენ სერიოზული წინდაუხედაობა გამოიჩინეთ, ვოგზლიდან აქ რომ მოხვედით და ამის შესახებ არ გააფრთხილეთ თქვენი ხელმძღვანელობა. და მესამე, მე ტყუილად არ დამიჯენიხართ ამ უკიდურესად მოუხერხებელ სავარძელში ასე უცნაურად გაღუნული საზურგით.

ლედი ესტერმა ხელით რაღაც მოუხელთებელი მოძრაობა გააკეთა და მაღალი იდაყვების დასაბჯენებიდან გადმოხტა ფოლადის ორი სარტყელი და ფანდორინი მკვდარივით მიაჯაჭვა სავარძელს. იმას კი ჯერ კიდევ ვერ გაეაზრებინა მომხდარი, წამოსადგომად წამოიძმართა, მაგრამ უბრალო განძრევაც ვერ შეიძლო, სავარძლის ფეხები თითქო იატაკთან შეზრდილიყვნენ. მილედიმ ზარი ააწკარუნა და იმავწამს შემოვიდა ენდრიუ, თითქოს კარსიქიდან უსმენდაო.

-ჩემო დიდებულო ენდრიუ, მალე მოიყვანე, გეთაყვა, პროფესორი ბლანკი, -უბრძანა ლედი ესტერმა, - გზაში სიტუაცია აუხსენი. დიაღ, და ბარემ ქლოროფორმი გამოიმძღვანოს. მეეტლე კი ტიმოფეის მიანდე. - აქ მწუხარედ ამოიოხრა. - ახლა უკვე ვეღარაღერს იზამ...

ენდრიუმ მდუმარედ დაუკრა თავი და გავიდა. კაბინეტში სიჩუმე ჩამოდგა: ერასტ პეტროვიჩი ჰქმინავდა, ფოლადის ხიფთანში ფართხალებდა და ცდილობდა გადაბრუნებულიყო, რათა ზურგს უკანიდან გადამრჩენელი ჰერსტალი- ამოიღო, თუმცა წყეული სახელურები ისე მჭიდროდ შემორტყმოდნენ, ამ იდეიაზე უარის თქმა მოუწია. მილედი ნიშნისმოგების აკვირდებოდა ახალგაზრდა კაცის სხეულის მოძრაობას და დროდადრო თავსაც აქნევდა. ძალიან მალე დერეფანში გაისმა ჩქარი ნაბიჯების ხმა და ორნი შემოვიდნენ: ფიზიკის გენია,

პროფესორი ბლანკი და სიტყვაძუნწი ენდრიუ.
 უცებ გადახედა ტყვეს და პროფესორმა ანლიურად იკითხა:
 -ეს სერიოზულია, მილედო?

-დიაღ, საკმაოდ სერიოზული,- ამოიხრა ლედი ესტერმა, - მაგრამ გამოსწორებადი. რა თქმა უნდა, ცოტაოდენი წვალება მოგვიწევს. მე არ მსურს, საჭიროების გარეშე საშუალების უკიდურეს ზომას მივმართოთ. აი, გამახსენდა კიდეც, რომ თქვენ, ჩემო ბიჭუნო, დიდი ხანია ოცნებობთ ექსპერიმენტზე ადამიანური მასალის გამოყენებით. ეტყობა, შემთხვევაც მოგეცათ. -მაგრამ მე ჯერ კიდეც მთლიანად არ მოვმზადებულვარ ადამიანის ტვინზე სამუშაოდ, - ყოყმანით თქვა ბლანკმა, დაწყნარებულ ფანდორინს რომ ათვალეერებდა, - მეორეს მხრივ, ბედოვლათობა იქნებოდა ამგვარი შანსის ხელიდან გაშვება...

-ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დავაძინოთ, - შენიშნა ბარონესამ, - ქლოროფორმი წამოიღეთ? -დიაღ-დიაღ, ახლავე,- პროფესორმა დიდი ჯიბიდან შუშა ამოიღო და გამეტებულად დაასველა იქიდან ცხვირსახოცი. ერასტ პეტროვიჩმა რაღაც მკვეთრი სამედიცინო სუნი იგრძნო და აღშფოთებას აპირებდა, მაგრამ ენდრიუმ ორი ნახტომით მიაღწია სავარძლამდე და დაუჯერებელი ძალით დაიჭირა ტყვე ყელით.

-მშვიდობით, საბრალო ბიჭუნო, - თქვა მილედიმ და შეტრიალდა. ბლანკმა ჟილეტის ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო, სათვალეს ზემოდან დახედა და მჭიდროდ დაფარა ფანდორინის პირისახე სუნიანი თეთრი ნაჭრით. აი, ახლა კი გამოადგა ერასტ პეტროვიჩს შეუდარებელი ჩანდრა ჯონსონის გადამრჩენი მეცნიერება! მოლალატე არომატის შესუნთქვა, რომელშიც პრანი ნამდვილად არ იყო, ახალგაზრდა კაცს არც უცდია. სწორედ ის დრო იყო, სუნთქვას შესაკავებელი ვარჯიშისთვის მიემართა. -ერთი წუთი თავზეც გადაუვა, - გამოაცხადა სწავლულმა, ცხვირსახოცს მაგრად რომ აჭერდა განწირულის ცხვირ-პირზედ.

`და - რვა, და - ცხრა, და - ათი~, - აზრობრივად ითვლიდა ერასტ პეტროვიჩი, თან არც იმას ივიწყებდა, კრუნჩხვებით დაემანჭა ტუჩები, თვალეები მიეხნიდა და კონვულსია გამოეხატა. აქვე უნდა ითქვას, ძალიანაც რომ ნდომოდა ჩასუნთქვა, ეს არც ისე ადვილი იქნებოდა, რადგან ენდრიუ რკინისებურად უჭერდა ყელზე ხელებს. დათვლა ოთხმოცს გადასცდა, ფილტვები საბოლოო ძალით იბრძოდნენ ჰაერის წყურვილისგან, ხოლო მყრალი ჩვარი სულ აგრილებდა ოფლის სისველით წამოწითლებულ სახეს. ოთხმოხუთი, ოთხექვსი, ოშვიდი, - უპატიოსნო ჩქარ თვლაზე გადავიდა ფანდორინი, უკანასკნელი ძალებით რომ ცდილობდა აუტანელად ნელი წამზომის გაბრიყვებას. უცებ წარმოიდგინა, რომ საკმარისია კრუნჩხვა, კაი ხანია დრო არის, რომ ცნობიერება დაჰკარგოს, და გაიტრუნა, ჩაკვდა, და უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის კიდეც ქვედა ყბაც ჩამოაგდო. ოთხმოცდამეცამეტე თვალზედ ბლანკმა ხელი აიღო.

-ხომ ხედავთ, - აღნიშნა მან, - როგორი წინააღმდეგობის უნარი აქვს ორგანიზმს - თითქმის სამოცდაათი წამი. `გრძნობადაკარგულს~ მხარზე ჩამოუვარდა თავი და ისეთი სახე მიიღო, თითქო თანაბრად და ღრმად სუნთქავს, თუმცა საშინლად უნდოდა ჟანგბადით დამშეული პირი ჰაერისთვის ეტაცა.

-მზადაა, მილედო, - გამოაცხადა პროფესორმა, - შეიძლება ექსპერიმენტს შევუდგეთ.

მეთექვსმეტე თავი,
 რომელშიც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ელექტრობას

-ლაბორატორიაში გადაიტანეთ, - თქვა მილედიმ, - მაგრამ უნდა ვიჩქაროთ. თორმეტი წუთის შემდეგ შესვენება იწყება. ბავშვებმა ეს არ უნდა იხილონ. კარზე დაარაკუნეს. -ტიმოფეი, ეს თქვენ ხართ? - რუსულად შეეკითხა ბარონესა, - ჩომე ინ!

დავიწყებდი, ახალგაზრდა კაცს კი შემდეგისთვის შემოვინახავდი. ეს დამატებით მანსს მისცემდა.

-თქვენ მართალი ხართ, ჩემო მეგობარო. აბსოლუტურად მართალი. ეს მიუტყვებელი შეცდომა იყო. - მილედის ხმაში მართალი გაწბილება ისმოდა.-მაგრამ მაინც ეცადეთ. ერთხელ კიდევ ამიხსენით, სახელდობრ რის გაკეთებას აპირებთ?

ერასტ პეტროვიჩმა ყურები დაცქვიტა - ეს საკითხი მასაც აინტერესებდა.

-თქვენთვის ცნობილია ჩემი ღენერალური იდეა, - აღფრთოვანებით წარმოთქვა ბლანკმა და ჩახა-ჩუხიც კი შეწყვიტა, - მე ვთვლი, რომ ელექტრული სტიქიის დაპყრობა - მოახლოებული ასწლეულის გასაღებია. დიად-დიად, მილედი! მეოცე საუკუნემდე ოცდაოთხი წელი დარჩა, მაგრამ ეს არც ისე ბევრია. ახალ ასწლეულში მსოფლიო ისე შეიცვლება, ვეღარ იცნობთ. და ეს დიადი გარდაქმნა მოხდება ელექტრობის მეოხებით. ელექტრობა - ეს მარტოოდენ უბრალო განათების საშუალება არ გახლავსთ, როგორც პროფანები ვარაუდობენ. მას უნარი აქვს საოცრებები მოახდინოს დიდშიც და მცირეშიც. წარმოიდგინეთ - კარეტა უცხენებოდ, რომელიც ელექტრომობილით მიდის! წარმოიდგინეთ მატარებელი ორთქლმავლის გარეშე - სწრაფი, სუფთა, უხმაურო! და მძლავრი ზარბაზნები, მტერს რომ ლახვრავენ მეხის მუხტის მიზანმიმართული დაცემით! ქალაქის დილიჟანსი ცხენების გაწევის გარეშე!

-ეს ყოვლისფერი თქვენ უკვე ბევრჯერ გითქვამთ, - ენთუზიასტს რბილად შეაწყვეტინა ბარონესამ, - ელექტრობის სამედიცინო გამოყენებაზედ ამიხსენით.

-ო, ეს ყველაზე საინტერესოა, - უფრო მეტად აღტყინდა პროფესორი, - სწორედ ელექტრული მეცნიერების ამ სფეროს უნდა მივუძღვნა ჩემი დარჩენილი ცხოვრება. მაკროელექტრობა - ტურბინები, მოტორები, მძლავრი დინამო-მანქანები - შეცვლიან გარემომცველ სამყაროს, ხოლოთუ მიკროელექტრობა შეცვლის თავად ადამიანს, გამოსაწორებს ჰომო საპინს-ის ბუნებრივი კონსტრუქციის ნაკლოვანებებს. ელექტროფიზიოლოგია და ელექტროთერაპია - აი, რა გადარჩენს კაცობრიობას, და არა თქვენი ჭკვიანები, დიად პოლიტიკოსებს რომ თამაშობენ ანთუ, თქმაც სასაცილოა, სურათებს ღებავენ.

-თქვენ სცდებით, ჩემო ბიჭუნო. ისინიც მნიშვნელოვან და საჭირო საქმეს აკეთებენ. მაგრამ განაგრძეთ.

-მე თქვენ მოგცემთ საშუალებას შექმნათ კაცი, ნებისმიერი კაცი, იდეალური, ბიწიერებისაგან გავანთავისუფლებთ. ყველა დეფექტი, ადამიანის ქცევას რომ განსაზღვრავენ, აი აქ ბუდობენ, თავის ტვინის ქერქქვეშ. - სასტიკმა თითმა ერასტ პეტროვიჩს მტკივნეულად ჩაუკაკუნა კეფაში.

- უფრო გამარტივებულად რომ აგიხსნათ, ტვინში არის უბნები, რომლებიც განაგებენ ლოგიკას, სიამოვნებას, შიშს, სისასტიკეს, სექსუალურ გრძნობას და ასე შემდეგ. კაცს შეეძლო ჰარმონიული პიროვნება ყოფილიყო, თუკი ყველა უბანი თანაბრად იფუნქციონირებდა, მაგრამ ეს თითქმის არასოდეს ხდება. ერთს ნამეტანი განვითარებული აქვს უბანი, პასუხს რომ აგებს თვითდაცვით ინსტინქტზე და ეს ადამიანი - პათოლოგიური მშიშარაა. სხვას არასაკმაოდ აქვს ამოქმედებული ლოგიკის ზონა და, ეს ადამიანი კი გაუვალა ბრიყვია. ჩემი თეორია იმაში მდგომარეობს, რომ ელექტროფორების მეოხებით, ესე იგი, მიზანმიმართული და მკაცრად დოზირებული ელექტრული დენის მუხტისგან შესაძლოა სტიმულირება მოვახდინოთ ტვინის ცალკეული უბნებისა და ჩავახშოთ სხვები, არასასურველი.

-ეს მეტად, მეტად საინტერესოა, - თქვა ბარონესამ, - იცით, საყვარელო გეზხარტ, მე თქვენ აქამომდე არ გზღუდავდით ფინანსირებაში, მაგრამ რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ ფსიქიკის ამგვარი კორექტირება შესაძლებელია?

-შესაძლებელია! ამაში იოტისოდენა ეჭვიც კი არ არის! თქვენთვის ცნობილია თუ არა, მილედი, რომ ინკების სამარხებში ნაპოვნია თავის ქალები ერთნაირი ნახვრეტებით აი აქ და აქ? - თითმა ისევ ორჯერ ჩაუკაკუნა ერასტ პეტროვიჩს თავში. - აქ განთავსებულია უბანი, შიშს რომ განაგებს. ინკებმა ეს იცოდნენ და თავიანთ პრიმიტიული ინსტრუმენტების დახმარებით

მეომრების კასტის ბიჭებს თავის ქალიდან ამოატეხავდნენ მშიშრობას და თავის ჯარისკაცებს უშიშრებად აქცევდნენ. და თავი? გახსოვთ? -დიახ, თქვენმა უშიშარმა თავმა~, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როცა კატას რომ დაესხა თავს.

-ო, ეს მხოლოდ დასაწყისია. წარმოიდგინეთ საზოგადოება, სადაც არ არიან დამნაშავენი! უსასტიკეს მკვლელს, მანიაკს, ქურდს დაპატიმრების მერე არ სჯიან და კატორღაში არ აგზავნიან - მხოლოდ პატარა ოპერაციას უკეთებენ და ეს უბედური ადამიანი, სამუდამოდ განთავისუფლებული სნეულებრივი სისასტიკისგან, უზომო ავხორცობისგან ანთუ ზღვარგადასული გაუმაძღრობისგან, ხდება საზოგადოების სასარგებლო წევრი! ახლა წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე თქვენი ბიჭი, ისედაც ძალიან ნიჭიერი, ჩემი ელექტროფორეზის ზემოქმედების ქვეშ მოხვდა და უფრო მეტად გაუძლიერა ნიჭი? -რას ბრძანებთ, მე ჩემს ბიჭებს არ მოგცემთ, - გააწყვეტინა ბარონესამ. - მეტისმეტი ტალანტისგან ჭკუაზედ სცდებიან. ისევ დამნაშავეებზე გასწიეთ თქვენი ექსპერიმენტები. და რა არის სუფთა ადამიანი~?

-ეს გაცილებით იოლი ოპერაციაა. ვფიქრობ, ამისთვის უკვე თითქმის მზად გახლავართ. შეიძლება დარტყმა მივაყენოთ მეხსიერების დაგროვების უნარს და მაშინ ადამიანის ტვინი გახდება სუფთა ფურცელი, თითქოს საშლელით გადაუარეთ. გადარჩება ყველა ინტელექტუალური უნარი, მაგრამ შეძენილი ჩვევები და ცოდნა გაჰქრება. თქვენ ღებულობთ სუფთა ადამიანს, თითქო ახალდაბადებულს. გახსოვთ ექსპერიმენტი ბაყაყზე? ოპერაციის შემდეგ ის გადაეჩვია ხტუნვას, მაგრამ მოძრაობის რეფლექსები არ დაუკარგავს. გადაისწავლა ქინქლების დაჭერა, მაგრამ საყლაპი რეფლექსები დარჩა. თეორიულად შესაძლებელი იქნებოდა იმ ყოველისფერის თავიდან სწავლება. ახლა ავიღოთ ჩვენი პაციენტი... ხოლო თქვენ ორნი, რა თვალებს აჭყეტთ? აიღეთ და მაგიდაზე დასდეთ. Macht schnell! (ცოცხლად!~ - ნემენც.) ჰაიდა-აჰა, ეხლა! ფანდორინი მოემზადა. თუმცა გაიძვერა ენდრიუმ ისე მაგრად დაიჭირა მხრებით, რომ შეუძლებელი იყო რევოლვერისთვის ძვრომიალი. ტიმოფეიმ~ რაღაც გააჩხაკუნა და ფოლადის სახელურები, ტყვეს რომ მკერდში უჭერდნენ, მოშორდნენ. -ერთი-ორი და, ავსწიეთ! - კომანდა გასცა ტიმოფეიმ~, როცა ერასტ პეტროვიჩი ფეხებით ასწია, ხოლო ენდრიუ ისევე ისე მაგრად ჩაეჭიდა ტყვეს მხრებში და ადვილად ამოიყვანა სავარძლიდან.

ცდისპირი მაგიდაზე გადაიყვანეს და გულაღმა დააწვინეს, თანაც ენდრიუ ძველებურად იჭერდა იდაყვებით, ხოლოთუ შვეიცარი - კოჭებით. რევოლვერის ბუდე უკეთურად შეერჭო ფანდორინს წელში. ისევ გაისმა ზარის ხმები - შესვენება დამთავრდა. -მას შემდეგ, რაც სინქრონულად დავამუშავე ელექტრული მუხტით ტვინის ორი უბანი, პაციენტი სრულიად განთავისუფლდა წინმსწრები ცხოვრებისეული გამოცდილებისგან და, ასე ვთქვათ, გადაიქცა ჩვილად. საჭირო იქნება ეს ყველაფერი თავიდან ვასწავლოთ ყველას - სიარული, ლეჰვა, ტუალეტით სარგებლობა, მოგვიანებით კი კითხვა, წერა და ასე შემდგომ. ვფიქრობ, თქვენს პედაგოგებს ეს დააინტერესებს, მით უმეტეს თქვენ უკვე გაქვთ გარკვეული წარმოდგენა ამ ინდივიდის მიდრეკილებებზე. -დიახ, ის გამოირჩევა შესანიშნავი რეაქციით, მამაცია, ჰვლობს კარგად განვითარებულ ლოგიკურ აზროვნებას და უნიკალურ ინტუიციას. იმედი მაქვს, ეს ყოველივე აღდგენას ემორჩილება.

სხვა ვითარებაში ერასტ პეტროვიჩი თავს გულგაკეთებულად იგრძნობდა ასეთი პირფერული დახასიათებით, მაგრამ ახლა შიშისგან იფიქრა, ხათაბალაც ამაშია - წარმოიდგინა, რომ წევს ვარდისფერ აკვანში, პირში მატყუარა საწოვარათი და უაზროდ ღულუნებს, მისკენ გადაიხრება ლედი ესტერი და საყვედურით ეუბნება: `უჰ, ლანაილი ცუდები ვალთ ლა, ისევ სველები ვწევალთ~. არა, ეს არა, ამას სიკვდილი უჯობს!

-ამას კონვულსები აქვს, სერ, - პირველად გახსნა ბაგე ენდრიუმ. - არ გამოფხიზლდეს. - შეუძლებელია, - შეაწყვეტინა პროფესორმა, - ნარკოზი მინიმუმ ორი საათი გვეყოფა. მსუბუქი კონვულსური მოძრაობები - ეს ნორმალურია. ხიფათი, მილედი, მარტოოდენ ერთ რამეში მდგომარეობს. მე არ მქონდა საკმაო დრო, რათა ზუსტად განმესაზღვრა მუხტის სათანადო ძალა. თუკი მეტს მივცემთ, ვიდრე საჭიროა, ეს პაციენტს მოკლავს ანდა სამუდამო იდიოტად დაარჩენს. ხოლოთუ დავუკლებთ, ქერქქვეშ შემოინახება ბუნდოვანი, ნარჩენი სილუეტები, რომლებიც გარე გამაღიზიანებლების ზემოქმედებით, ერთხელაც იქნება და, შემლებენ განსაზღვრულ მოგონებებად ჩამოყალიბებას.

სიჩუმის შემდეგ ბარონესამ დაუფარავი სიბრაღულით წარმოსთქვა: -ჩვენ არ შეგვიძლია გავრისკოთ. უფრო ძლიერი მუხტი გაუშვით. გაისმა უცნაური ზუზუნნი, მერე ტკაცატკუცი, რომლისგანაც ფანდორინს ჭიანჭველებმა დაურბინეს სხეულზე.

-ენდრიუ, ორი წრე გამოტეხეთ - აი, აქ და აი, აქ, - თქვა ბლანკმა და ცდისპირის თმას შეეხო, - ელექტროდების შეერთება დამჭირდება.

-არა, ამას ტიმოფეი გააკეთებს, - უყოყმანოდ გამოაცხადა ლედი ესტერმა, - მე კი მივდივარ. არ მსურს ამის ცქერა - მერე ღამით აღარ დამეძინება. ენდრიუ, შენ ჩემთან წამოხვალ. რაღაც-რაღაც საჩქარო დეპეშებს დავწერ, შენ კი ტელეგრაფში წაიღებ. სიფრთხილის ზომების მიღება გახლავსთ საჭირო - ჩვენ მეგობარს ხომ მალე ჩაეჭიდებიან.

-დიალ-დიალ, მილედი, თქვენ მხოლოდ ხელს შემიშლით, - დაბნეულად მიუგო პროფესორმა, მზადებით რომ იყო გართული. - მე დაუყოვნებლივ გაცნობებთ რეზულტატის თაობაზე. რკინის მარწუხები, რომლებითაც ერასტ პეტროვიჩის მაჯები იყო მიბმული, ბოლოსდაბოლოს გაიხსნა.

ძლივს მიწყდა კარს მიღმა ნაბიჯები, რომ ფანდორინმა თვალები გაახილა, ჩქარა გაითვალისწინა ფეხები და, მოხრილი მუხლები ტიმოფეის~ მკერდში აჯახა უმალ - ისე, რომ ის კუთხეში გაფრინდა. წამწამის მომდევნო დაფახულებაშიდ ერასტ პეტროვიჩი მაგიდიდან იატაკზედ გადმოხტა, და შუქისაგან შემშუმნილმა, სერთუკის უკანა კალთიდან აღთქმული ჰერსტალი~ ამოიღო.

-არ გაინძრეთ! მოგკლავთ! - შურისმაძიებლურად დაისისინა მკვდრეთით აღმდგარმა, და ამ წამში, მართლა უნდოდა ორივესთვის დაეხალა - ბრიყვულად თვალებახამხამებული ტიმოფეისთვისაც~ და შემლილი პროფესორისთვისაც, შეცბუნებული რომ გაშეშებულიყო ფოლადის ორი ჩხირით ხელებში. იმ ჩხირებიდან წვრილი მავთულები მიდიოდნენ რაღაც ეშმაკურ, შუქებმოციმციმე ნათურებიანი მანქანისკენ. საზოგადოდ, ლაბორატორიაში ეწყო ყველანაირი საინტერესო საგნები, მაგრამ მათი თვალთვლების დრო სადღა იყო. შვეიცარი არც ცდილობდა იატაკიდან წამოდგომას და მხოლოდ ოდნავ იწერდა პირჯვარს, მაგრამ ბლანკი, ეტყობა, მთლად ვერ იყო კარგად. ერასტ პეტროვიჩს მოეჩვენა, რომ სწავლულს სრულიადაც არ შეეშინდა, არამედ მხოლოდ გაცოფებულია მოულოდნელი წინააღმდეგობით, რომელმაც შესაძლოა ექსპერიმენტი ჩაუშალოს. თავში გაურბინა: ეხლა მომვარდება! და იმის მოკვლის სურვილი დაპატარავდა და უკვალოდ გაქრა.

-სისულელების გარეშე! არ გაინძრეთ! - ოდნავ შეკანკალებული ხმით დაუყვირა ფანდორინმა. იმავე წამს ბლანკმა იფეთქა:

-Mistkerl! Du hast alles verdorben! (პირუტყვო! შენ ყველაფერი გააფუჭე!~ - ნემენც.) - და წინ გაქანდა, გვერდი მაგიდის კიდეს მიარტყა. ერასტ პეტროვიჩმა რევოლვერს გამოუშალა ფეხი. არაფერი. დამცველი! გააჩხაკუნა ღილაკი. ზედიზედ ორჯერ გამოუსვა საჩვენებელი თითი ენას. ბა-ბახ! - დაიჭექა ორერთიანი ელვით და პროფესორი პირქვე დაეცა, თავით პირდაპირ მსროლელის ფეხებთან. უკნიდან თავდასხმის შიშით კიდეც სასროლად მხადმყოფი ფანდორინი სწრაფად

შემოტრიალდა, მაგრამ `ტიმოფეი~ ზურგით კედელს აეკრა და მტირალა ხმით დაანაწევრა:
-თქვენო კეთილშობილებავ, არ მომკლათ! უნებურად მოხდა! ქრისტე-ღმერთსა ვფიცავარ!
თქვენო კეთილშობილებავ!

-ადექი, არამზადავ! - შეჰყვირა ნახევრად დაყრუბულმა, გამხეცებულმა ერასტ პეტროვიჩმა. -
წინ იარე!

ზურგში ლულის წაკვრა-წაკვრით შვეიცარი დერეფანში გააგდო, მერე ქვემოთ, კიბეზე.
`ტიმოფეი~ მოკლე-მოკლე ნაბიჯით მიცუნცულეზდა, თან ყოველთვის ოი-ოის იძახდა, როცა
ლულა ნეკნებში ეჩქუტებოდა

რეკრეაციული დარბაზი მალე გადაირბინეს და ფანდორინი ცდილობდა საკლასო ოთახების
გაღებულ კარებებში არ შეეხედა, საიდანაც მასწავლებლები იჭვრიტებოდნენ, ხოლო იმათ
ზურგსუკნიდან კი ბავშვები.

-პოლიციაა! - ერასტ პეტროვიჩმა სივრცეში დაიძახა, - ბატონო მასწავლებლებო, ბავშვები
კლასებიდან არ გამოუშვათ! არც თქვენ გამოხვიდეთ!

გრძელი გალერეით ისევე ნახევარნაბიჯ-ნახევარსირბილით მიაღწიეს ფლიგელამდე. თეთრ-
მოოქროვილ კართან ერასტ პეტროვიჩმა `ტიმოფეის~ ხელი ჰკრა მთელი ძალით - შვეიცარმა
შუბლით გაგლიჯა კარი და ძლივს შეიმაგრა თავი. არავინ არის. ცარიელია!

-წინ იარე! ყველა კარი გააღე! - უბრძანა ფანდორინმა, - და გაითვალისწინე, რამე რომ იყოს,
ძალღვივით ჩაგკლავ!

შვეიცარმა მხოლოდ ხელები გაასავსავა და უკან გაქანდა დერეფანში. ხუთ წუთში
დაათვალიერეს მთელი პირველი სართულის ოთახები. არავინ ჰაჭანებდა - მხოლოდ
სამზარეულოში მკერდით დაცემულს მაგიდაზე და გვერდზე მოტრიალებული მკვდარი სახით
მარადიული ძალით ეძინა მკვდარ მეეტლეს. ერასტ პეტროვიჩმა მხოლოდ გაკვრით შეხედა
შაქრის ნამცეცებს გარდაცვლილის წვერზე, დაღვრილი ჩაის გუბეს, და `ტიმოფეის~ უბრძანა,
გზა განეგრძო.

მეორე სართულზე განლაგებული იყო ორი საძინებელი, საგარდერობო და ბიბლიოთეკა,
ბარონესა და მისი ლაქია არც იქ აღმოჩნდნენ. მაშ, არადა, სად არიან? სროლა გაიგონეს და სადმე
ესტერნატში დაიმაღლნენ? ანთუ გაქცევით უშველეს თავს?

ერასტ პეტროვიჩმა მკერდში ჩაირტყა რევოლვერიანი ხელი და მოულოდნელად იგრიალა
გასროლამ. ტყვია კედლიდან ასხლტა და ფანჯარაში წავიდა, სარკმელში რიგიანი ვარსკვლავი
დატოვა ცენტრიდან გამომავალი სხივებით. ჯანდაბა, დამცველი გახსნილია, გამოკვრა
ადვილად ხდება, გაიხსენა ფანდორინმა და თავი გადაიქნია, ყურების გუგუნისგან რომ
განთავისუფლებულიყო.

`ტიმოფეიზე~ მოულოდნელმა გასროლამ ძლიერი ზემოქმედება იქონია - შვეიცარი მუხლებზე
დაეცა და ატარტარდა:

-თქვენო კეთილ... თქვენო მაღალკეთილშობილებავ... ნუ წამართმევთ სიცოცხლეს! ეშმაკი
შემეყარა! მორჩა, მორჩა, სული მოვითქვი! ბავშვები! ცოლი ავადმყოფი! გიჩვენებსთ! ღმერთსა
ნათელი აქვნდეს, განახვებთ! საფარშიდ არიან! საიდუმლო სარდაფშიდ! გაჩვენებსთ, მხოლოდ
სული არ წამიწყმინდოსთ!

-რომელ სარდაფში? - მკაცრად ჩაეკითხა ერასტ პეტროვიჩი და რევოლვერი ასწია, თითქო
მართლას სროლას აპირებდა, ანგარიშის გასწორებას.

-აი, მომყევით, მე მომყევით!

შვეიცარი ფეხზე წამოხტა, გაიხედ-გამოიხედა და ფანდორინი ისევ პირველ სართულზე
ჩაიყვანა, ბარონესას კაბინეტში.

-შემთხვევით ერთხელ შევიხედე... ეგენი ჩვენ არ გვიშვებდნენ. ჩვენი ნდობა არა ჰქონდასთ. აბა-
და, როგორ - რუსი კაცი, მართლმადილებელი სული, არა ანდლიურის სისხლისა. - `ტიმოფეიმ~
პირჯვარი ისახა. - მხოლოდ მაგათ ანდრეის შეეძლო ჩასვლა, ჩვენ კი არაფრისდიდებით.

საწერ მაგიდასთან მიიღბინა, სეკრეტერის სახელური მოაბრუნა. უცებ სეკრეტერი იქით გაიწია და გამოაჩინა მომცრო სპილენძის კარი.

-გახსენ! - უბრძანა ერასტ პეტროვიჩმა.

`ტიმოფეიმ~ კიდევ სამჯერ ისახა პირჯვარი და კარს უბიძგა. ის უხმაუროდ გაიღო და გამოჩნდა ქვემოთ, სიბნელეში ჩამავალი კიბე.

შვეიცარის ზურგში ბიძგებით ფანდორინმა ფრთხილად დაიწყო დაშვება. კიბე კედლით გათავდა, მაგრამ კუთხეში, მარჯვნივ დაბალი დერეფანი უხვევდა.

-მიდი, მიდი! - შემდგარ `ტიმოფეის~ ლაზათიანად უთავაზა ერასტ პეტროვიჩმა. მოუხვიეს კუთხეში, კუნაპეტ სიბნელეში. სანთელი უნდა წამომეღო, გაიფიქრა ფანდორინმა, მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაიყო ასანთისთვის, მაგრამ უცებ წინ იელვა და დაიგრუხუნა. შვეიცარმა ამოიკვნესა და იატაკზე ჩაჯდა, ხოლო ერასტ პეტროვიჩმა წინ გაიშვირა `პერსტალი~ და მანამდე აჭერდა საჩვენებელ თითს ენას, სანამ ჩახმახმა არ გაიჩხაკუნა ცარიელ ჰილზზე. ხმაურიანი სიჩუმე დადგა. ფანდორინმა აკაკალებული ხელით ამოიღო კოლოფი, ასანთს გაკვრა. `ტიმოფეი~ ფორმადაკარგულ გროვად ეგდო კედელთან და არ ინძრეოდა. რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა და დაინახა გულადმა მწოლიარე ენდრიუ. ასანთის მოცახცახე აღმა ცოტა გაითამაშა მკვდრის მინისებურ თვალებში და ჩაქრა.

თუ სიბნელეში აღმოჩნდებით, გვასწავლისი დიდი ფუშე, - საჭიროა თვალების დახუჭვა, ოცდაათამდე დათვლა, რათა თვალები დავიწროვდნენ და მაშინ მხედველობა გაარჩევს ყველაზე შეუმჩნეველ შუქის წყაროს. ერასტ პეტროვიჩმა მეტი სისწორისათვის ორმოცამდინ დაითვალა, გაახილა თვალები - და ზუსტად: საიდანღაც გამოდიოდა შუქის ზოლი. უსარგებლო `პერსტალიანი~ ხელი წინ გასწია, გადადგა ერთი ნაბიჯი, მეორე, მესამე და წინ დაინახა ოდნავ გაღებული კარი, რომლის ღრიჭოდანაც იღვრებოდა სუსტი შუქი. ბარონესას მხოლოდ იქ შეეძლო ყოფნა. ფანდორინმა უყოყმანოდ გასწია განათებული ზოლისკენ და ძალით მიაწვა კარს.

ერასტ პეტროვიჩის მზერას გადაეშალა მომცრო ოთახი რაღაც სტელაჟებით კედლის გაყოლებაზე. ოთახის შუაში მაგიდა იდგა, მასზე ბრინჯაოს სასანთლე, რომელზეც კელაპტარი ენთო და ლედი ესტერის სახეზედ ჩრდილებს ათამაშებდა.

-შემობრძანდით, ჩემო ბიჭუნი, - მშვიდად თქვა მან, - მე გელოდებით. ერასტ პეტროვიჩმა ზღურბლზედ გადააბიჯა, და კარი მოულოდნელად მიეხურა ზურგს უკან. ის შეხტა, შებრუნდა და დაინახა, რომ კარზე არც კავებია, არც სახელურებია.

-ახლოს მოიწიეთ, - წყნარად სთხოვა მილედიმ, - მინდა, უკეთესად დავათვალიერო თქვენი სახე, რადგან ეს ბედისწერის სახეა. თქვენ ჩემ გზაზე შეხვედრილი ქვა ხართ. პატარა ქვა, რომელზედაც უნდა წავქცეულიყავი, ასე მეწერა.

ამ შედარებით ნაწყენი ფანდორინი მაგიდას მიუახლოვდა და დაინახა, რომ ბარონესას წინ მაგიდაზე დგას კაი გამართული მეტალური ზარდახმა.

-ეს რა არის? - შეეკითხა.

-ამაზე ცოტა მოგვიანებით. რა დამართეთ გებჭარდტს?

-მკვდარია. თავისი ბრალია - რას მოძვრებოდა ტყვიებში, - პირქუშად მიუგო ერასტ პეტროვიჩმა, ცდილობდა არ ეფიქრა იმაზე, რომ რამდენიმე წუთის წინ ორი კაცი მოკლა.

-ეს დიდი დანაკარგია კაცობრიობისთვის. უცნაური, შეპყრობილი კაცი იყო, მაგრამ დიდი სწავლული. ერთი აზაზელით ნაკლები დაჰრჩა...

-რას ნიშნავს `აზაზელი~? - შეაგება ფანდორინმა. - რა დამოკიდებულება აქვს ამ სატანას თქვენ ობლებთან?

-აზაზელი სატანა არ არის, ჩემო ბიჭუნი. ეს კაცობრიობის გადამრჩენი და განმანათლებელი დიადი სიმბოლოა. ღმერთმა შექმნა ეს სამყარო, შექმნა ადამიანები და საკუთარი თავიც ჩააბარა. მაგრამ ადამიანები ისე სუსტები და ისეთი ბრმები არიან, ღვთის სამყარო ჯოჯოხეთად აქციეს.

კაცობრიობა დიდი ხანია დაიღუპებოდა, განსაკუთრებული პიროვნებები რომ არა, რომლებიც დროდადრო ევლინებიან ადამიანებს. ისინი არც დემონები არიან და არც ღმერთები, მე მათ ვუწოდებ hero civilisateur (გმირი-ცივილიზატორი~ - ფრანგ.). თითოეულ იმათი მეოხებით კაცობრიობა წინ აკეთებდა ნახტომს. პრომეთემ ცეცხლი მოგვცა. მოსემ კანონის გაგება. ქრისტემ ზნეობრივი ზამბარა. მაგრამ ყველაზე ფასეული ამ გმირებიდან - იუდეველი აზაზელია, ადამიანს საკუკარო ღირსების გრძნობა რომ შეასწავლა. `ენოქის წიგნი~ ნათქვამია: `მან განვლო სიყვარულით ადამიანებში და გაუხსნა მათ საიდუმლოებანი, გაგებული ზეცაში~. მან ადამიანს სარკე აჩუქა, ადამიანს თავის უკანაც რომ დაენახა - ესე იგი, ჰქონოდა მეხსიერება და გაეგო თავისი წარსული. აზაზელის მეშვეობით კაცს შეუძლია ხელობების ათვისება და თავისი სახლის დაცვა. აზაზელის მეშვეობით ქალი ნაყოფისმატარებელი ჩუმი მდედრიდან გადაიქცა თანაბარუფლებიან ადამიანურ არსებად, თავისუფალი არჩევანი რომ გააჩნია - იყოს მახინჯი თუ ლამაზი, იყოს დედა თუ ამორძალი, იცხოვროს ოჯახისთვის თუ მთელი კაცობრიობისთვის. ღმერთმა მხოლოდ კარტი დაურიგა ადამიანს, აზაზელი კი ასწავლის, როგორ ითამაშოს, რომ მოიგოს. ყველა ჩემი აღსაზრდელი - აზაზელია, თუმცა ეს ყველამ როდი იცის.

-როგორთუ `ყველამ როდი~?

-საიდუმლო მიზანის შესახებ განდობილია ცოტა, მხოლოდ ყველაზე უღალატოები და განუხრელები, - აუხსნა მილედიმ, - ისინი იღებენ თავიანთ თავზე მთელ ჭუჭყიან სამუშაოს, რათა ჩემი დანარჩენი ბავშვები დაუსვრელები დარჩნენ. `აზაზელი~ - ჩემი მოწინავე ჯგუფია, რომელმაც იატაკქვეშიდან თანდათან უნდა მიუახლოვოს ხელები მსოფლიოს სამართავ შტურვალს. ო, როგორ აყვავდება და გაიფურჩქნება ჩვენი პლანეტა, როცა მას სათავეში ჩემი აზაზელები ჩაუდგებიან! და ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ასე ჩქარა - სულ რაღაც ოცი წლის მერე... ესტერნატების დანარჩენი აღსაზრდელები, ვინც განდობილი არ არიან `აზაზელის~ საიდუმლოში, უბრალოდ მიდიან ცხოვრებაში თავის გზაზე, კაცობრიობისთვის ფასდაუდებელი სარგებლობა მოაქვთ. მე კი მხოლოდ ვუთვალთვალე მათ წარმატებებს, მიხარია მათი გამარჯვებები და ვიცი, რომ თუკი გაჩნდება აუცილებლობა, მათგან არც ერთი არ იტყვის უარს თავისი დედის დახმარებაზე. აჰ, რა მოუვათ უჩემოდ? რა მოუვა მსოფლიოს?.. არა უშავს, `აზაზელი~ ცოცხალია, ის მიიყვანს ჩემს საქმეს ბოლომდე.

ერასტ პეტროვიჩი აღშფოთდა:

-ვნახე მე თქვენი აზაზელები, თქვენი `უღალატოები და განუხრელები~! მორბიდი თავისი ფრანციანად, ენდრიუ და ისიც, თევზის თვალებით, ახტირცევი რომ მოკლა! აი, ესენი არიან, მილედი, თქვენი გვარდიელები? ისინი არიან ყველაზე ღირსეულები?
 -არა მხოლოდ ისინი. მაგრამ ისინიც. გახსოვთ, ჩემო მეგობარო, მე გეუბნებოდით, რომ ჩემი ბავშვებიდან ყველას არ შეუძლია თავისი გზის პოვნა თანამედროვე სამყაროში, რადგან მათი ნიჭი დარჩა შორეულ წარსულში ანდა საჭირო იქნება შორეულ მომავალში? ჰოდა, აი, ასეთი აღზრდილებიდან გამოდიან ყველაზე უღალატო და თავდადებული აღმასრულებლები. ერთნი ჩემი შვილები არიან - ტვინი, სხვები - ხელები, ხოლო ადამიანი, ახტირცევი რომ ჩამოგვაშორა, ჩემი შვილებიდან არ არის. ის ჩვენი დროებითი მოკავშირეა. ბარონესას თითები დაბნეულად მოეფერნენ ზარდახშის ლაკირებულ ზედაპირს და თითქო შემთხვევით, სხვათა შორის, დააწვნენ პატარა მრგვალ დილაკს.
 -მორჩა, ძვირფასო ყმაწვილო. მე და თქვენ ორი წუთი დაგვრჩა. მე და თქვენ ერთად წავალთ ამ ცხოვრებიდან. სამწუხაროდ, არ შემიძლია ცოცხლებში დაგტოვოთ. თქვენ ჩემ ბავშვებს ავნებთ.
 -ეს რა არის? - დაუყვირა ფანდორინმა და ზარდახშას მისწვდა, საკმაოდ მძიმე რომ აღმოჩნდა, - ბომბი?

-დიაღ, - თანაგრძნობით გაუღიმა ლედი ესტერმა, - საათის მექანიზმი. გამოგონებული ერთი ჩემი ტალანტიანი ბიჭის მიერ. ასეთი ზარდახშები არსებობს ოცდაათწამიანი, ორსაათიანი, თორმეტსაათიანიც კი. მისი გახსნა და მექანიზმის შეჩერება შეუძლებელია. ეს ნაღმი

გათვლილია ასოც წამზე. მე დავიღუპები ჩემ არქივთან ერთად. ჩემი ცხოვრება დამთავრებულია, მაგრამ არც ისე ცოტა რამის გაკეთება მოვასწარი. ჩემი საქმე გაგრძელდება, მე კიდევ მომიგონებენ კეთილი სიტყვით. ერასტ პეტროვიჩი შეეცადა ფრჩხილებით ჩასჭიდებოდა ღილაკს, მაგრამ მისგან არა გამოვიდარა. მაშინ კარისკენ გადახტა და ზედ თითებით ფათური დაიწყო, მუშტების ბრაგუნი, სისხლი ყურებში უცემდა, დროის საბედისწერო დარტყმებს ითვლიდა. -ლიზანკა! - იმედგაცრუებულმა დაიყვირა მომაკვდავმა ფანდორინმა, - მილედი! მე არ მინდა სიკვდილი! მე ახალგაზრდა ვარ! მე შეყვარებული ვარ! ლედი ესტერი თანაგრძნობით უყურებდა. მასში თვალნათლივ რაღაც ბრძოლა მიმდინარეობდა.

-დამპირდით, რომ ჩემ ზავშეგებზე ნადირობა თქვენი ცხოვრების მიზანი არ იქნება, - წყნარად წარმოთქვამდა ბარონესა და ერასტ პეტროვიჩს თვალეზში უყურებდა. -ვფიცავ! - წამოიყვირა, ამ წუთში მზად იყო, ნებისმიერ რამეს დაპირებოდა, რაც უნდა ყოფილიყო.

მტანჯველი, გრძელი პაუზის შემდეგ მილედიმ გაიღიმა რბილი, დედობრივი ღიმილით: -კეთილი. იცოცხლეთ, ჩემო ბიჭუნო. მაგრამ იჩქარეთ, ორმოცი წამი გაქვთ. ბარონესამ მაგიდის ქვეშ შეყო ხელი და სპილენძის კარი ჭრიალით შემოიხსნა შიგნით. ჯერ საბოლოო მზერა ესროლა უმოდრაო ჭადარა ქალს და კელაპტრის მოზანცალე ალს, მერე კი ფანდორინი გრძელი ნახტომებით გავარდა ბნელ დერეფანში. სირბილში კედელს დაეჯახა, ოთხზე აირბინა კიბეზე, გაიმართა და ორ ნახრომში გადაკვეთა კაბინეტი.

კიდევ ათი წამის შემდგომ ფლიგელის მუხის კარი კინალამ ანჯამებიდან მოწყვიტა ძალოვანმა ბიძგმა და პარმალზე ბზრიალასავით გაფრინდა ახალგაზრდა კაცი დაჩხაპნილი სახით. მან გადაირბინა წყნარ, ჩრდილებიან ქუჩაზე კუთხემდე და მხოლოდ იქ გაჩერდა ღრმა სუნთქვით. მიმოიხედა, გაქვავდა. გადიოდა წამები, არაფერი ხდებოდა. მზე გამეტებით აოქროვებდა ჭადრების ვარჯებს, მერხზე ჭრელი კატა სთვლემდა, სადღაც ეზოში კრიახობდნენ ქათმები. ერასტ პეტროვიჩმა გამალებით ამიგიგებულ გულზე იტაცა ხელი. მოატუა! გააცურა, როგორც ბიჭუნა! თავად კი ფარული გასასვლელიდან წავიდა! ერასტ პეტროვიჩმა მთელი ხმით დაიღრიალა უღონო გაცეცხლებსგან და თითქო მის პასუხად ფლიგელმა ასეთივე ღრიალით უპასუხა. კედლები შეირყნენ, სახურავი ძლივს შესამჩნევად შექანდა და საიდანღაც მოისმა ჯურღმურლში აფეთქების ხმაურობა.

ბოლო თავი,
რომელშიც გმირი ემშვიდობება ყრმობას

ჰკითხეთ ნებისმიერ პირველსატახტოს მცხოვრებს, როდის სჯობია კანონიერ ცოლ-ქმრობაში შესვლა, და თქვენ, რაღა თქმა უნდა, პასუხად გაიგონებთ, რომ საფუძვლიანი და სერიოზული კაცი, თავიდანვე რომ აპირებს თავისი ოჯახური ცხოვრების მტკიცე ფუნდამენტზე აგებას, აუცილებლად დაინიშნება მხოლოდ სექტემბრის ბოლოს, რამეთუ ეს ხანა ყველაზე იდეალურად ერგება ყოფიერების ზღვა-ოკეანეში მშვიდობიანი და გრძელხნიანი მოგზაურობისთვის შეცურვის პერიოდს. მოსკოვური სექტემბერი მამლარი და ზარმაცია, ოქროს ფარჩითა და მეწამული ნეკერჩხლის სიწითლით არის დახატული, როგორც კობტად

გამოწყობილი მასკვა-მდინარის გაღმითა ვაჭრის ცოლი. თუკი ცოლს ბოლო კვირას მოიყვან, მაშინ ცა აუცილებლად სუფთა იქნება, ლაჟვარდოვანი, მზე კი ხარისხიანად და დელიკატურად გაანათებს - საქმრო არ გაიოფლება მჭიდრო გახამებულ საყელოში და ვიწრო შავ ფრაკში, ხოლო საპატარძო არ გაიყინება თავის ჰაეროვან, ჯადოსნურ, ციურ იმაში, რასაც მისადაგებული დასახელებაც კი არ გააჩნია.

ეკლესიის არჩევა ცეროემონიის ჩასატარებლად - მთელი მეცნიერებაა. ოქროსთავიან მოსკოვში არჩევანი, მაღლი უფალს, დიდია, ამიტომ უფრო მეტად საპასუხისმგებლო. მოსკოვის ნამდვილმა ძველმაცხოვრებელმა იცის, რომ კარგია სრეტენკაზე ჯვრისწერა, უსპენიის ეკლესიაში პეჩატნიკებში: მეუღლეები დიდხანს იცოცხლებენ და ერთ დღეს აღესრულებიან. მრავალრიცხოვანი შთამომავლობის საყოლიებლად ყველაზე მეტად უხდება ნიკოლა დიდის ჯვარის ეკლესია, ლამის მთელ კიტაი-ქალაქში რომ გადაშლილა ვრცელ კვარტლად. ვინც ყველაზე მეტად აფასებს წყნარ განცხრომას და შინამყოფობას - მეოჯახეობას - აირჩიე პიმენ დიდი ძველი ვოროტნიკებში. თუკი საქმრო - სამხედრო კაცია, მაგრამ სურს, თავისი აღსასრული ბრძოლის ველზე კი არ ნახოს, არამედ ოჯახური კერის მახლობლად, შვილებისა და შვილიშვილების წრეში, მაშინ, ყველაზე გონივრული იქნება საქორწინო აღთქმა მისცე წმინდა გიორგის ეკლესიაში, ვსპოლნაზე რომ არის. ჰოდა, რა თქმა უნდა, არც ერთი მოყვარული დედა თავის შვილს უფლებას არ მისცემს ჯვარი დაიწეროს ვარვარკაზე, დიდმოწამე ვარვარას ეკლესიაში - მერე იმ ბედკრულმა მთელი ცხოვრება ტანჯვასა და ვაებაში უნდა გაატაროს.

მაგრამ ცნობილი და მაღალწოდებიანი პირები არცთუ თავისუფალნი არიან არჩევანში, რაღაც ეკლესია წარმოსადეგი და ფართო უნდა იყოს, ისე სტუმრებს ვერ დატევ, მოსკოვის საზოგადოების ნაღებს რომ წარმოადგენენ. ხოლო ჯვრისწერაზე, რომელიც დიდებულ და პომპეზურ უსტინსკის ეკლესიაში მთავრდებოდა, მთელი მოსკოვი შეიკრიბა. უქნარა ბუზიყლაპიები, შესასვლელთან რომ მოგროვილიყვნენ, სადაც გრძელ მწკრივად ჩარიგებულიყვნენ ეკიპაჟები, უჩვენებდნენ თავად ღენერალ-გუბერნატორ, კნიაზ ვლადიმირ ანდრევიჩ დოლგორუკის კარეტას, ეს კი ჰნიშნავდა, რომ ქორწილი უთანაბრდება უმაღლეს რანგისას.

ეკლესიაში საგანგებო მოსაწვევებიანებს უშვებდნენ, და მაინც საზოგადოება ორასკაცამდე მოგროვდა. იყო ბევრი ბრწყინვალე მუნდირი, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო, მრავალი დამის მოშიშვლებული მხარი და მაღალი ვარცხნილობა, ბაფთები, ვარსკვლავები, ბრილიანტები. ენთო ყველა ჭალი და სანთელი, ჯვრისწერა კაი ხნის დაწყებული იყო, და მოწვეულნი დაღლილიყვნენ. ყველა ქალი, მიუხედავად ასაკისა და ოჯახური მდგომარეობისა, აღელვებული და შეძრული გახლდათ, მაგრამ მამაკაცები ცხადად გაწვალებულიყვნენ და დაბალ ხმაზე გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანთს სხვადასხვა რამეზედ, რახან ნეფე-პატარძალი უკვე კარგა ხანია, განეხილათ. პატარძლის მამას, ნამდვილ საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრ აპოლოდოროვიჩ ფონ ევერტ-კოკოლცევს მთელი მოსკოვი იცნობდა, მშვენიერი ელიზავეტა ალექსანდროვნა არაერთხელ ენახნათ ბალებზედ - მან ჯერ კიდევ გასული წლიდან დაიწყო სიარული - ამიტომ ცნობისმოყვარეობას, ძირითადად, საქმრო იწვევდა, ერასტ პეტროვიჩ ფანდორინი. მასზედ ბევრი არაფერი იყო ცნობილი: დედაქალაქელი ვინმეა, მოსკოვში გავლით იმყოფება ხოლმე, - აუცილებელ საქმეებზე, კარიერისტია, სახელმწიფო ხელისუფლების საკურთხეველთან ტრიალებს. მართალია, მაღალი ჩინები აქამომდე არ მიუღია, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და მალე ავა მთაზე. სახუმარო ხომ არ არის - ასეთ ასაკში უკვე ვლადიმირი გაქვს სალილეში. წინდახედული ალექსანდრ აპოლოდოროვიჩი ძალიან შორს იყურება.

ქალები უფრო მეტად ესიყვარულებოდნენ ახალგაზრდების ყრმობასა და სილამაზეს. მეტად შეძრული საქმრო ღელავდა, ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა, აღთქმის სიტყვებს ურევდა -

ერთი სიტყვით, საოცრად ლამაზი იყო. ხოლოთუ პატარძალი, ლიზანკა ევერტ-კოკოლცევა, საერთოდ, არამიწიერ არსებად სჩანდა, გული ჩერდებოდა იმის შეხედვაზე. თეთრი, ღრუბლისებური კაბაც, უწონო ვუალიც, გვირგვინიც საქსონური ვარდებით - ყოველისფერი ზუსტად ისეთი იყო, როგორც საჭიროა. როცა ჯვარდასაწერებს თასიდან წითელი ღვინო შეასვეს და კოცნები გასცვალეს, პატარძალს სულაც არ დაურცხვენია, პირუკუ, მხიარულად გაიღიმა და საქმროს რაღაც ისეთი უჩურჩულა, რაზეც იმასაც გაეღიმა. ხოლო ლიზინკამ აი რა უთხრა

ერასტ პეტროვიჩს:
- ბედვრულმა ლიზამ დახრჩობა გადაიფიქრა და გათხოვდა.

ერასტ პეტროვიჩი მთელი დღე საშინლად იტანჯებოდა საყოველთაო ყურადღებით და თავისი სრული დამოკიდებულებით გარშემომყოფებზე. გამოცხადდა ყოფილ თანაგიმნაზიელთა უმეტესობა და მამამისის `ძველიმეგობრები~ (რომლებიც ბოლო წელს მიწის ქვეშ გაქრნენ, ახლა კი კვლავ გამოჩნდნენ). თავიდან ფანდორინი წაიყვანეს უცოლო სადილზე არბატის ტრაქტირ `პრადამი~, სადაც მუჯღუგუნებს სთავაზობდნენ გვერდებში, თვალს უკრავდნენ და რატომღაც გამოხატავდნენ თანაგრძნობას. მერე უკან წაიყვანეს სასტუმროში, მოვიდა პარიკმახერი პიერი და მტკივნეულად ქაჩავდა თმას მსხვილ კვერცხად დახვევისას. ლიზანკას ხილვა ეკლესიამდე არ იქნებოდა, და ესეც გამაწვალებელი იყო. პეტერბურდიდან ჩამოსვლის სამი დღის მანძილზე, სადაც ახლა საქმრო მსახურობდა, საპატარძლო თითქმის არ უნახავს - ლიზანკა სულ დაკავებული იყო მნიშვნელოვანი საქორწილო სამზადისით. მერე მარტოხელა, უცოლო სადილის შემდეგ გაწითლებული ფანდორინი ქსავერი თეოფილაქტოვიჩ გრუშინმა, ფრაკში და ხელისმომკიდის თეთრი ლენტით, საქმრო ღია ეკიპაჟში ჩასვა და ეკლესიაში წაიყვანა. ერასტ პეტროვიჩი საფეხურებზე იდგა და საპატარძლოს უცდიდა, ხოლო ბრბოდან რაღაცას უყვიროდნენ, ერთმა ქალიშვილმა ვარდი ესროლა და კისერი დაეკაწრა. ბოლოს, ლიზანკა მოიყვანეს, რომელიც თითქმის არ ჩანდა გამჭვირვალე ნაჭრების ტალღებში. ისინი მხარდამხარ იდგნენ საკურთხევლის წინ, გალობდა ქორო, მღვდელი ამბობდა `ვითარმცა მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი არს~ და კიდევ რაღაცას, გაცვალეს ბეჭდები, დადგნენ ხალიჩაზე, მერე ლიზანკამ სთქვა ბედვრულ ლიზაზე და ერასტ პეტროვიჩი როგორღაც უცებ დამშვიდდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, დაინახა სახეები, დაინახა მაღალი საეკლესიო გუმბათი და თავი კარგად იგრძნო. კარგი იყო შემდეგაც, როცა ყველა მოდიოდა და ულოცავდა, ძალზე გულითადად და ალაღად. განსაკუთრებით მოეწონა ლენერალ-გუბერნატორი ვლადიმირ ანდრეევიჩ დოლგორუკი - სრული, კეთილი, მრგვალის პირისახით, გადმოკიდული ულვაშით. თქვა, რომ ერასტ პეტროვიჩის შესახებ ბევრი საქებარი სმენია და მთელი სულითა და გულით უსურვებს ბედნიერ ქორწინებას.

გავიდნენ მოედანზე, გარშემო ყველა ყვიროდა, მაგრამ ცუდად ჩანდა, რადგან ძალიან ანათებდა მზე.

ჩასხდნენ ის და ლიზანკა ღია ეკიპაჟში, დადგა ყვავილების სურნელი. ლიზანკამ გაიხადა გრძელი, თეთრი ხელთათმანი და მაგრად მიიკრა ერასტ პეტროვიჩის ხელი. ქურდულად მიუახლოვა სახე ვუალს და სწრაფად შეასუნთქა თმის, სუნამოების და თბილი კანის არომატი. ამ წამში (ნიკიტინის კარიბჭესთან მიდიოდნენ) ფანდორინის მხერა უცებ მოჰხვდა ვოზნესენსკის ეკლესიის კარიბჭეს - და თითქო გაყინულმა ხელმა მოუწურა გული. ფანდორინმა დაინახა ორი რვა-ცხრა წლის პატარა დახეულ, ლურჯ მუნდირებში. ისინი დაბნეულნი ისხდნენ მდაბიოთა შორის და წვრილი ხმით რაღაც შესაბრალისს მღეროდნენ. თავმოტრიალებულმა პატარა მათხოვრებმა ცნობისმოყვარედ გააცილეს მდიდრული საქორწილო კორტეჟი.

-რა მოგივიდა, საყვარელო? - შეეშინდა ლიზანკას, დაინახა, როგორ გაუფითრდა ქმარს სახე. ფანდორინმა არა მიუგო რა.

ესტერნატის ფლიგელის საიდუმლო სარდაფის ჩხრეკამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. უცნობი მოწყობილობის ბომბმა ძლიერი, კომპაქტური აფეთქება გამოიწვია, თითქმის არაფერი ავნო სახლს, მაგრამ მიწისქვეშეთს კი ბრე გაადინა. არქივიდან არაფერი გადარჩა. ლედი ესტერიდანაც – არაფერი, თუ არ ჩავთვლით აბრეშუმის კაბის ნაგლეჯს. ხელმძღვანელისა და დაფინანსების წყაროს მოკლებული ესტერნატების საერთაშორისო სისტემა დაიშალა. ზოგიერთ ქვეყნებში თავშესაფრები სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადავიდა ანდა საქველმოქმედო საზოგადოებებში, მაგრამ დაწესებულებათა ძირითადმა ნაწილმა უბრალოდ შეწყვიტა არსებობა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ორთავე ესტერნატი სახალხო განათლების სამინისტროს ბრძანებით დაიხურა, როგორც ბუდეები უღმერთოებისა და მავნე იდეებისა. მასწავლებლები დაიფანტნენ, ბავშვების უმეტესობა გაიქცა. კანინგემისგან ამოღებული სიით შეძლეს დაედგინათ ყოფილ ესტერნატთა თვრამეტი აღზრდილი, მაგრამ ამან ცოტა რამ მისცათ, რამეთუ შეუძლებელი შეიქმნა განსაზღვრა, მათგან რომელი ეკუთვნის ორგანიზაცია `აზაზელს~ და რომელი - არა. მით უმეტეს, ხუთნი (მათ შორის პორტუგალიის მინისტრი) გადადგნენ, ორმა თავი მოიკლა, ხოლო ერთი (ბრაზილიის ლეიბ-გვარდიელი) დასაჯეს კიდეც. ფართო, სახელმწიფოთშორისმა გამოძიებამ აღმოაჩინა უამრავი შესამჩნევი და საპატივსაცემო არსება, თავის დროზე ესტერნატები რომ დაემთავრებინათ. ბევრი ოდნავადაც არ მალავდა ამას; მიღებული განათლებით ამყობდნენ. მართალია, `ლედი ესტერის ბავშვებიდან~ ზოგიერთმა დამალვა ამჯობინა, გაქცევა პოლიციისა და საიდუმლო სამსახურების აბეზარი ყურადღებისგან, მაგრამ უმეტესობა თავის ადგილზე დარჩა, რაღაი ვერაფერში დაადანაშაულებდნენ. თუმცა გზა სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობებისკენ ამიერიდან მათ მოეჭრათ, ხოლო მაღალ პოსტზე კვლავაც დანიშვნის შემთხვევაში, როგორც ფეოდალურ დროებაში, უაღრესი ყურადღების მიქცევა დაუწყეს წარმოშობას და ნათესაობას - ღმერთმა არა ქნას, ზემოთ გამძვრალიყო ვინმე `მიგდებული~ (ასეთი ტერმინით მონათლეს კომპეტენტურ წრეებში ლედი ესტერის აღზრდილები). სხვათაშორის, ფართო საზოგადოებას წარმოებული წმენდა არ შეუნიშნავს, რამდენადაც მიღებული იქნა სახელმწიფოთშორისი, საგულდაგულოდ შეთანხმებული ზომები სიფრთხილისა და გასაიდუმლოებისა. გარკვეული დროით ცირკულირებდა ჭორები მსოფლიო შეთქმულებაზე ან მასონებისა, ან ებრალებისა, ანდა იმათზეც და იმათზეც და კიდეც სხვებზეც - ყველა ერთად აღებულზე და იხსენებდნენ ბატონ დიზრაელის, მერე როგორღაც ჩაწყნარდა, მით უმეტეს, რომ ბალკანეთში მწიფდებოდა არასახუმარო კრიზისი, რომლისგანაც მთელ ევროპას შეჰყროდა ციებ-ცხელება. სამსახურეობრივი მოვალეობით ფანდორინი იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო `აზაზელის საქმის~ გამოძიებაში, თუმცა იქ იმდენად ნაკლები გულმოდგინება გამოამჟღავნა, რომ გენერალმა მიზონოვმა გონივრულად ჩათვალა, მიეცა ახალგაზრდა, ნიჭიერი თანამშრომლისთვის სხვა დავალება, რომლითაც ერასტ პეტროვიჩი დაკავდა უფრო მეტი ხალისით. ის გრძნობდა, რომ `აზაზელის~ ისტორიასთან მისი სინდისი მთლად სუფთა არ არის, ხოლო როლი საკმაოდ ორაზროვანია. ბარონესასთვის მიცემულმა (და უნებურად დარღვეულმა) ფიცმა გვარიანად გაუფუჭა წინასაქორწილო კვირები.

და აი, ისე უნდა მომხდარიყო, რომ მაინცდამაინც ქორწილის დღეს ერასტ პეტროვიჩს თვალში მოხვდა მსხვერპლნი თავისგან გამოვლენილი `თავდადებისა, სიმამაცისა და საქებარი სიბეჯითისა~ (ასე იყო ნათქვამი უმაღლეს ბრძანებაში დაჯილდოების შესახებ). ფანდორინი დამწუხრდა, ცხვირი ჩამოუშვა, თავი ჩაქინდრა და მშობლების სახლში მისვლისთანავე მცირე ნიკიტინსკზე ლიზანკამ უყოყმანოდ აიღო სადავეები ხელში: მოღრუბლულ ქმართან განმარტოვდა გარდერობის ოთახში, რომელიც მისაღების მეზობლად მდებარეობდა და მკაცრად-უმკაცრესად ყველას აუკრძალა იქ შესვლა უკითხავად - შინაურებს ისედაც

ჰყოფნიდათ ზრუნვა მოსულ სტუმრებზე, რომლებიც ბანკეტამდე უნდა გაერთოთ. სამზარეულოდან გამოდიოდა ღვთიური სურნელება, საგანგებოდ მოწვეული მზარეულები `სლავიანური ბაზრიდან~ მუხლჩაუხრელად ირჯებოდნენ განთიადიდან; საცეკვაო დარბაზის მჭიდროდ დაკეტილ კარს მიღმა ორკესტრი ვენური ვალსების საბოლოო რეპეტიციას გადიოდა - საზოგადოდ, ყოველისფერი თავისის რიგით მიდიოდა. მხოლოდ დემორალიზებული ქმრის წესრიგში მოყვანა იყო საჭირო. როცა შეიტყო, რომ უცაბედი მეღანქოლის მიზეზი სულაც არ არის რომელიმე ადრე განშორებული ქალი, საპატარძლო სავსებით დამშვიდდა და უყოყმანოდ მოვიდა საქმეს ხელი. ჯიქურ დასმულ შეკითხვებზე ერასტ პეტროვიჩი თავის დაქნევით პასუხობდა და სულ ჯიუტად ცდილობდა შებრუნებას, ამიტომ ტაქტიკის შეცვლამ მოუწია. ლიზანკა საბედოს ლოყაზე მოეფერა, ჯერ შუბლზე აკოცა, მერე ტუჩებში, მერე თვალებში და ნეფე მოუშვა, გადნა, კვლავაც იოლად სამართავი შეიქმნა. თუმცა სტუმრებთან შეერთებას ახალდაქორწინებულები არა ჩქარობდნენ. ბარონი უკვე რამდენჯერმე გამოვიდა მისაღებში და მიუახლოვდა დაკეტილ კარს. დელიკატურადაც კი ჩაახველა, მაგრამ დარაკუნება ვერ გადაწყვიტა.

მაგრამ დაკაკუნებამ მაინც მოეწია.

-ერასტ! - დაუძახა ალექსანდრ აპოლოდოროვიჩმა, დღევანდელი დღიდან სიძეს შენობითი რომ მიმართავდა, - ბოდიშს ვიხდი, ჩემო მეგობარო, მაგრამ შენთან ფელდეგერია პეტერბურლიდამ. სასწრაფო საქმეზე!

ბარონმა შეხედა ყოჩაღ ოფიცერს პლიუმაჟიან (ძუის ფუნჯიან) ზუჩში, უმოძრაოდ რომ გაშეშებულიყო შესასვლელის მახლობლად. ილლის ქვეშ ფელდეგერს ეჭირა კვადრატული ფუთა, გახვეული ნაცრისფერ სახელმწიფო ქაღალდში, დაბეჭდილი ლუქების არწივებით.

კარიდან გაწითლებულმა ახლად დაქორწინებულმა გამოიხედა.

-თქვენ ჩემთან ხართ, პორუჩიკო?

-ბატონი ფანდორონი? ერასტ პეტროვიჩ? - ცხადი, გვარდიულმინარევებიანი ხმით დააზუსტა ოფიცერმა.

-დიაღ, მე ვარ.

-სასწრაფო საიდუმლო ბანდეროლი მესამე განყოფილებიდამ. სად მიბრძანებსთ!

-თუნდაც აქ. - გაიწია ერასტ პეტროვიჩი, - მაპატიეთ, ალექსანდრ აპოლოდოროვიჩ, (ჯერ ვერ ისწავლა სიმამრის დამახება ნათესაურად).

-მესმის. საქმე საქმეა, - თავი დახარა სიმამრმა, ფელდეგერის მერე კარი დახურა და თავად გარეთ დადგა, რათა, ღმერთმა არა ქნას და, ვინმე სხვა არ შევიდეს. ხოლოთუ პორუჩიკმა ბანდეროლი მაგიდაზე დასდო და მუნდირის საყელოდან ფურცელი გამოიღო.

-ნება მომეცით, ხელი მოგაწერინოთ მიღებაზე.

-შიგ რა არის? - ჰკითხა ფანდორინმა, ხელმოწერას რომ სვამდა.

ლიზანკა ცნობისმოყვარეობით უყურებდა შეკრულს, მცირეოდენ სურვილსაც არ ამჟღავნებდა, ქმარი კურიერთან დაეტოვა პირისპირ.

-არ გამაცნეს, - მხრები აიჭიმა ოფიცერმა, - წონით ოთხი ფუნტია. თქვენ დღეს სასიხარულო მოვლენა გაქვსთ! იქნებ, ამასთან დაკავშირებით? ყოველს შემთხვევაშიდ, გილოცავთ პირადად ჩემგან. აქ კიდევ პაკეტიც არის, რომელიც, ნამდვილად, ყოველისფერს აგიხსნისთ.

ოფიცერმა ყოშიდან მომცრო კონვერტი გამოიღო, წარწერის გარეშე....

-ნებას მომცემთ, წავიდე?

ერასტ პეტროვიჩმა კონვერტზე ბეჭედი შეამოწმა და თავი დაუქნია.

მისაღმების შემდეგ, ფელდეგერი მკვირცხლად შებრუნდა და გავიდა.

ჩრდილებიან ოთახში ბნელოდა, და ფანდორინი, გზად კონვერტის გახსნით, ფანჯარასთან მივიდა, რომელიც პირდაპირ მცირე ნიკიტინსკზე გადიოდა.

ლიზანკამ ქმარს მხრებზე მოხვია ხელი, ყურში ჩაასუნთქა. -ჰოდა, რა არის იმაში? მოლოცვა? - მოუთმენლად შეეკითხა და გაკრიალებული ბარათი რომ დაინახა ორი ოქროს ბეჭდით, წამოიძახა, - სწორედ ასეა! ოი, რა საყვარელი რამეა! ამ წამს ფანდორინმა, რაღაც ჩქარი მოძრაობით ფანჯარასთან რომ აღმოჩნდა, თვალები ზეასწია და დაინახა ფელდეგერი, რომელიც ცოტა უცნაურად იქცეოდა. სწრაფად გარბოდა საფეხურებზე. სირბილითვე შეახტა დალოდებულ ეტლს და მეეტლეს უყვირა: -წადი! ცხრა! რვა! შვიდი! მეეტლემ მათრახი მოიქნია, წამით გამოიხედა. მეეტლე იყო: შლაპა მაღალი ცით, ჭალარა წვერით, მხოლოდ თვალები არაჩვეულებრივი - ძალიან ნათელი, თითქმის თეთრი. -სდექ! - ცოფანივით იყვირა ერასტ პეტროვიჩმა და არც შეფიქრიანებულა, პირდაპირ რაფას გადაახტა.

მეეტლემ მათრახი გაატკაცუნა და შავრა ცხენების წყვილი ადგილიდანვე გაჭენდა ჩორთით. -სდექ! გესვრი! - ბლაოდა ეტლს დადევნებული ფანდორინი, თუმცა ვერაფრით ესროდა - ქორწილთან დაკავშირებით უღალატო `ჰერსტალი~ სასტუმროში დატოვა. -ერასტ! სად მიდიხარ?

ფანდორინმა სირბილისას გაიხედა უკან. ლიზანკა ფანჯრიდან გადმოჩეულიყო, მის პირისახეზე აღბეჭდილიყო სრული გაოცება. მომდევნო წამში ფანჯრიდან გამოვარდა ცეცხლი და კვამლი, მინები ჩამისხვრა, და ერასტ პეტროვიჩი მიწაზე დაეხეთქა. რაღაც დრო სიჩუმე იყო, სიბნელე და სიწყნარე, მაგრამ მერე თვალებში დაჰკრა დღის კაშკაშა შუქმა, ყურებში გუგუნნი ჩაუდგა, და ფანდორინი მიხვდა, რომ ცოცხალია. ის ხედავდა მოსტოვოს ქვარიყულ ფენილს, მაგრამ არ ესმოდა, რატომ არიან ისინი პირდაპირ თვალწინ. ნაცრისფერი ქვის ცქერა უსიამოვნო, საძაგელი იყო და მზერა გვერდით გადაიტანა. უარესი გამოვიდა - იქ ეგდო ცხენის ნეხვი და იქვე რაღაც უსიამოვნოდ თეთრი, შესამჩნევად აბრწყინებული ორი ოქროს ბეჭდით. ერასტ პეტროვიჩი სწრაფად წამოხტა, წაიკითხა სტრიქონი, გამოყვანილი მსხვილი, ძველებური ხელრთვით, ჩახვეულებით და გაწელილი ხელნაწერით: `My Sweet Boy, This is a Truly Glorious Day!~ (ჩემო ძვირფასო ბიჭუნი, ეს ჭეშმარიტად დიდებული დღეა!~_ანლლ.).

სიტყვების აზრმა ვერ მიაღწია მის დადრუბლულ განსჯამდე, მით უმეტეს, რომ კონტუზირებულის ყურადღება მიიქცია სხვა საგანმა, პირდაპირ შუაგულ მოსტოვოიზედ რომ ეგდო და მხიარულ ნაპერწკლებს ასხივებდა. თავდაპირველად ერასტ პეტროვიჩი ვერ მიხვდა, ეს რა იყო. მხოლოდ ის იფიქრა, რომ ამისი ადგილი არანაირად არ არის მიწაზე. მერე დაინახა: დახვეწილი, იდაყვამდე მოგლეჯილი ქალიშვილის ხელი უსახელო თითზე გაკეთებული ოქროს ბეჭდისგან ბრჭყვიალებდა.

ტვერის ბულვარზედ ჩქარი, უთანაბარო ნაბიჯით, გარშემო ვერავის ხედავდა, მიდიოდა პეწენიკად ჩაცმული, მაგრამ საშინლად უსუფთაო, ეტყობა, დაუდევარი ახალგაზრდა კაცი: დაჭმუჭნული ძვირფასი ფრაკი, ჭუჭყიანი თეთრი ჰალსტუხი, საყელოს გადანაკეცზე მტვრიანი თეთრი მიხაკი. მოსეირნეები ერიდებოდნენ და ცნობისმოყვარე მზერით მიაცილებდნენ უცნაურ სუბიექტს. და საქმე არც პეწენიკის მკვდრულ სიფითრეში იყო - ცოტაა გარშემო ჭლექიანი; და არც იმაში, რომ იგი უთუოდ გაუგონრად მთვრალი იყო (თან აქეთ-იქით აქანავებდა) - რა დიდი რამეც ეს არის. არა, შემხვედრთა ყურადღებას, და განსაკუთრებით დამებისა, იპყრობდა მისი ფიზიონომიის დამაინტრიგებელი თავისებურება: თვალნათელი ახალგაზრდობის მიუხედავად ამ დარდიმანდს ჰქონდა სრულიად თეთრი, თითქო ჭირხლით, ჭირხლითა და თრთვილით შეყინული საფეთქლები.

